ჩანაწერები
ინგას უბნიდან

რ ჩ ე ულ ი

რჩეული

ბათუმი 2015

რედაქტორ-შემდგენელი: ინგა გოგიბერიძე
რედაქტორი: გიორგი აღნიაშვილი
კომპიუტერული აწყობა: ნანა ჩიკვაიძე
გარე ყდის დიზაინი-ნინა მეგრელიძე
ინგას უბნის წევრები მადლობას უხდიან
მხატვრებს *დავით ბაძაღუას და გიორგი მელუას*
რჩეულის ლოგოსათვის

©ISBN 978-9941-0-7647-3
დაიბეჭდა: შპს „თეგი“
ბათუმი. კომახიძის ქ.“ 128
ტირაჟი 230 ცალი

წინასიტყვაობა

საოცარი ნივთია წიგნი, ადამიანთა ნააზრევის, ვნების თუ ოცნების შემხიზვნელია იგი. არც დრო-ჟამის ქარტეხილს ემორჩილება და არც ეპოქის ვნებებს, ხშირად უხიაგად მოვლენილს ან თავს მოხვეულს მავანთაგან და რა დიდებულია ერთი შეხედვით უსულო, მაგრამ შემოქმედის მრწამსით გაჟღენთილი ფურცელთა კრებული.

ის შენს წინაშეა, 46 პოეტის და მწერლისგან მოძღვნილი შენდამი. „ვით კუპიდონი, ტრფობის მეისრე საკუთარ ისრებს კოლხეთში სჭედდა, ოლიმპოს მკვიდრთა ნების გარეშე პოეტთა გულებს მუზით ლახვრავდა“ შენდამი სიყვარულითაა ეს წიგნი შექმნილი, ალბათ ფიქრობ, რომ მელნით ან კალმით დაწერეს პოეტებმა ეს სტრიქონები. სცდები, სცდები რადგან ხელოვანი საჭრეთელით ქვაზე და ხეზე კი არ სჭრის ორნამენტს, არამედ ქვად და ხედ ქცეულ მდუმარებას შთაბერავს დროში და სივრცეში გამეფებულ უკვდავებას სულს. მერწმუნე, ჯერ არ დაწერილა მარადისობას მიჯაჭვული ხელთუქმნელი ლექსი უდტრვინველად, რადგან თუ ამ უძღებ ღვთაებას საკუთარი სულის ნაწილი თუ არ შესწირე, ისე გულს არ აგიჩქროლებს, ცრემლს არ აგიდუღებს და სიტყვას უკვდავებით არ დაშანთავს ლავასავით რომ გადმოინთხევა ფურცელზე ხელოვანის უკვდავსაყოფად.

ნუ იქნები გულგრილი, ნურც მხოლოდ თაროზე შემოდებ ამ წიგნს, რადგან შენი სითბოს გარეშე, გულცივობა მითთა სიდიადის შემმუსვრელ აქილევსის ქუსლის განმგმირავ ისარს დაემსგავსება.

წიგნის სიდიადე მისი სქელტანიანობით როდი განისაზღვრება, არამედ შინაარსით 46 შემოქმედის გულის ძგერაა ამ წიგნის სტრიქონებში, შენდამი სიყვარულით და პატივსაცემად რომ დაუფლავთ მგოსნებს.

ეზიარე, შენი მადლიანი გონებით განსჭვრიტე და შეაფასე მუზისა ნებით ხელდასმულ პოეტთა შემოქმედება.

„და როს რითმების ქარტეხილები, ვნებისა გრგვინვით წყვდიადს ებრძოდა, ორმოცდაექვსი მგოსანი გულით შემოქმედებას სანთელს უნთებდა“

დიახ, ასეა ჩემო ბატონო, შენთვისაა ეს წიგნი შექმნილი. მიიღე ეს როგორც „ ხმა მღაღადებლისა“ შენს წინაშე და უძღვენი შენს თავს, რამეთუ კურთხევად მოგივლენს გულით შემსმენელს, რათა ფესვი განიდგას შენს გულში, მტლად რომ დაედება სულის იარებს.

კუზიანი ვაზის ჯვრის მადლი შეგეწიოს მკითხველო ...

გიორგი აღნიაშვილი-მწერალი

ჩანაწერებისათვის



ბელა ალანია

დავიბადე სენაკში. ვსწავლობდი ქალაქის მეორე საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე წარჩინებით. პირველივე წელს ჩავირიცხე მოსკოვის სავაჭრო-ეკონომიკურ უნივერსიტეტში, რომლის დამთავრებისთანავე მოვეწყვე ასპირანტურაში. მაქვს სამეცნიერო შრომები სოფლის მეურნეობის დარგში, აგრეთვე მარკეტინგის საკითხებზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვმუშაობდი საქართველოს წარმომადგენლობაში ქ. მოსკოვში, წამყვან სპეციალისტად. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. გამოვეცი ერთი წიგნი სახელწოდებით „ფიქრებით ნაქსოვი ფარდაგი“, სადაც შევიდა, ნოველები ჩანახატები, მოთხრობები, ნაწილობრივ ლექსებიც. მაქვს გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთში სხვადასხვა პუბლიკაციები. უახლოეს მომავალში გამოვა მეორე წიგნი. მყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

სამოთხის ბაღები

შემოდგომის ბაღები, დახუნძლული ქარვები,
ფერად-ფერად მძივებით, აკინძული ძაფებით,
გაზაფხულის ბაღები არც არაფრით ნაკლები,
ლალისფერი ბლებით და მსხმოიარე ატმებით,
მზისადარი ქალები, ყურზე ბლის კუნწულებით ,
ჭრელა-ჭრელა კაბებით, უზადო დალალებით,
გარეთ გაშლილ ძელსკამზე ჩამომსხდარი ბალღები ,
დაბრაწული ლოყებით, ჭორფლებით და ხალებით,
თვალბრიალით გართული, გულფიცხი ვაჟკაცები,
ღვინის ყლურწვით დამთვრალნი, მხიარული ანცები,
მოხუცებიც არიან ჩაბმულნი დიდ ამბებში,
თრთოლაშეპარულები, ხილით სავსე კალთებით,
დიდი ლხინი დამდგარა, ამ სამოთხის ბაღებში,
უფლის მადლის ქვეყანას დასდგომია ნათელი.

ორსული ვარ

ორსული ვარ, სიყვარული ვშობე
აგერაა უკვე დიდი გახდა.
და მე მაინც დავრჩი დიდი მუცლით,
საბოლოოდ არ ინება წასვლა.
სიყვარული ისევ დარჩა ჩემში,
თან იზრდება, არ მანებებს თავსა,
იკვებება ჩემი ცხელი სისხლით,
ჩემს გულსა და ჩემს სულს ვეღარ გასცდა.
ვერ გავიგე, არ მშორდება მაინც,
მერამდენედ ეს სისავსის განცდა. ..
ორსული ვარ, უამრავჯერ ვშობე
სიყვარული... უვნებელი გაჩნდა.

ნაწყენი ცაცხვი

ცაცხვის ყვავილების სუნთქვამ წარუშლელმა,
მზისფრად გადახსნილმა სულის ქონგურებმა,
თავგზა ამირია მზერამ უცოდველმა,
მათმა კოპწიობამ, თმებმა ლაჟვარდებმა.
ცაცხვის ყვავილობამ სულ მთლად დამაბნია,
ფიქრში გაბლანდული სურნელს ვეკიდები,
მთვარის ბილიკებზე, აწიოკებული
მივსდევ კისრისტეხვით, მივსდევ - ვერ ვეწევი.
ბოლოს სულსწრაფობამ მძლია, მომერია
და ხის ლამაზ მხრებზე ავედ ფეხისსხლეტით.
ასე გაშმაგებით ვყნოსე დათრობამდე ,
მისი გამჭვირვალე თეთრი ქონგურები.
იდგა გაცრეცილი, სულ მთლად ფერმიმქრალი,
ჩემზე ნაწყენი და ასე გაძარცული.
მე კი უნდილი და ასე გახვითქული,
მისი ნაზი სუნით ცამდე გაჟღენთილი.
განცდით გათანგული ბოდიშებს ვუხდიდი,
მივხვდი უკვე ჩემთვის აღარ აყვავდება,
ცაცხვის ყვავილობა დიდი სასწაული,
ცაცხვის ყვავილობამ თავი დამანება.

მინდვრის ყვავილები

მინდვრის ყვავილები ადრე იძინებენ,
ადრე გვიხურავენ ფანჯრებს,
მთვარის მოლოდინით თავს არ იწუხებენ,
ნაზად გვიხუჭავენ თვალებს.
როცა ალიონი მოდის ფეხაკრეფით,
 რათა მოეფეროს ღამეს,
ციცქნა ყვავილები ფხიზლად დარაჯობენ,
უცებ იმარჯვებენ ფარნებს.
მინდვრის ყვავილები ადრე იღვიძებენ,
აღარ გამოგვრჩესო რამე...
მინდვრის ყვავილები კოცნას არ აცლიან,
კოცნას არ აცლიან ღამეს...

რატომ მეგონა?!

როცა მეგონა აღარ გიყვარდი,
როცა გეგონა აღარ მიყვარდი
სწორედ რომ იმ დღეს, შევხვდით ერთმანეთს,
ხელში გეჭირა წითელი ვარდი.
მე გიმტკიცებდი, რომ არ გიყვარდი,
რომ არა გქონდა შენ ჩემი დარდი,
ცრემლები ღვარად მდიოდა ყელში,
სასომიხდილი ვიდექი ქარში,
დაბურდულ სიტყვებს გიმეორებდი,
ღმერთო, როგორი სულელი ვჩანდი...
როგორ ღიმილით შემომცქეროდი,
ხვდებოდი, თურმე როგორ მიყვარდი .
ღამის წკვარამი განათდა უცებ,
შენ ჩურჩულებდი, გულში მიკრავდი...
რატომ მეგონა აღარ გიყვარდი,
რატომ გეგონა აღარ მიყვარდი?!

ქალი

ვნების ნაკვალევი
ტუჩის კუთხეში,
თვალი მინავლული
ნუშის ბუდეში,
ლტოლვა წარუვალი
და წარუშლელი,
სულიჩადგმული,
მარადშეუცვლელი.
განცდა გამჭვირვალე,
ჯერაც უთქმელი,
მზისფერ მობრდღვიალე
თმების უღელი,
ფერთა ცისარტყელა
კალმით უწერი,
მკერდი მსხმოიარე
თბილ-თბილ უბეში,
კაბა დაკოპლილი,
სუნთქვა მუცელში,
ტილო გროტესკული,
ხმირად უხეში,
ქალი-სიყვარულის
სხივი ულევი,
ქალი, უკვდავების
დიდი ნუგეში...

***

ძილნასვამი და ფიქრებაშლილი,
ვცდილობ შევება ბუნდოვან აზრებს,
დროში დაღლილი გავყვები ქუჩებს,
ვათვალიერებ გრძელ შუშაბანდებს,
წვიმს გრძნობის დარად სიცივე სულის,
გავეკიდები უფერულ ლანდებს,
ბურუსი შთანთქავს მკრთალ ათინათებს,
ხმაური ითრევს ბუნების ჰანგებს.
ცნობისწადილი აუშვებს აფრებს,
გრძნობის ტყვეობას ადვილად აღწევს ,
ზაფრანისფერად შევღებავ ჩრდილებს,
ავაფერადებ სევდიან ბაღებს,
სულ შევაგროვებ დაცვენილ ფოთლებს,
მოუხელთებლებს, აყოლილს ქარებს.
გაუსაძლისი სურვილი მომკლავს,
ცის კიდურამდე ვიარო ასე..
მენალქოლია გაქრება უცებ,
სხვა აღმაფრენებს გავუღებ კარებს...

დათო არახამია

დაიბადა 1963 წლის 26 მაისს ჩხორონწყუს რაიონის სოფელ კირცხში. სოფლის სკოლის დამთავრებისთანავე გაემგზავრა ქალაქ თბილისში უმაღლეს სასწავლებელში სასწავლებლად.

დააამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. წლების განმავლობაში ჩართული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თოთხმეტი წლის ასაკიდან წერს ლექსებს. გამოსულია დავით არახამიას ლექსების ორი კრებული - „დილის დუმილი“ და „ჩამოკრა ზარმა“. ცხოვრობს თბილისში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, ერთი შვილიშვილი აქტიურად მონაწილეობს ქალაქის ლიტერატურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებში.

ანაზდეულად

ყივჩაღი საწყის ბრძოლის ველს ზვერავს,
საჭირბოროტოდ შემართავს ფრანგულს;
გაცვეთილ ჭირის მოლოდინს ძერწავს,
ანაზდეულად მიქეზებს ამ გულს.
გამოაჭენა იჩქითად ცხენი,
სრულად მიუძღვნა საწუთროს თავი;
მოითარეშა ყაბარდოს ველი,
მიმოაპკურა სისხლი ვით ცვარი.
ქვეცნობიერი თუ მომგვრის შვებას,
მხედარს მივართმევ ღვინოს ფიალით.
ნაკენწლი ურვა წარბებს რომ შეკრავს,
შეტრიალდება ჟამი ტიალი.
ვენდე შეცნობის ხიბლის ხატებას,
სანუგეშოა გონი მახვილი.
სახავს უხილავ კვანძის გავლებას,
ათასწლეულის გადმოძახილი.

კვლავ ჩხერიმელა

წინაპართ ძვლების ჩურჩულის ექო,
მთებს რომ ეხვევა ყელზე ნისლივით.
თვალს გადავავლებ სერსა და ბექობს,
ციმციმ შევიგრძნობ გულბოყვს დილის მზით.
ფესვებს იმაგრებს რცხილა, ურთხელი,
წელს ანარნარებს იელი, შქერი.
საუკუნეთა ნაჩუქურთმევი
ამაყად გვიმზერს ბებერი ჩხერი.
აღტკინებულმა ამ სისხამ დილით,
ლაჟვარდს სტრიქონი რომ შევახამე.
დაობლებული ვარსკვლავი ტირის,
აჩრდილთ მფარველობს ციხე ვახანე.
ზეშთაგონების ტალღას მივენდე,
გაყურსულია დღეს დევის ხვრელა.
ღვთისმშობლის მზეა კიდით-კიდემდე,
კალაპოტს სერავს კვლავ ჩხერიმელა.
შხუილის ექო ზარებად რეკენ,
ნაპირს გავექეც ვნებააშლილი.
სიყვარულის და სიცოცხლის მეკვლედ
წამომეშველა დევის აჩრდილი.

მოლანდეებაა

როს ცას სერავენ ელვის ისრები,
ჩუმად ვდგევარ და შორს ვიმზირები.
გადავსებულან ფიქრის ტივები,
მოლანდებაა სერაფიმების.
თქეშმა ფოთლებში გაიშრიალა,
წიწვებს შეერწყა წვიმის სურნელი.
ქუხილმა ისე შემაჟრიალა,
თითქოს დამაცხრა თავზე ღრუბელი.
ზმანებამ ხილულს დაუგო მახე,
ქარბუქს აღვირი ამოსდო ეშმამ
და ამ უბადრუკ სამყაროს სახე,
წარმოისახა შიშად და შეშლად.

აბოლდა

ქუფრდება დაისის ცის კიდე
და მალე იწვიმებს.
ღამურის კამარა ვიხილე,
ბეღურა იძინებს.
ჭილყვავებს განცხრომაც აწამებს,
მზარავი ხმა ისმის.
ცრემლები მისველებს წამწამებს,
ელვა ცეცხლს გაისვრის.
აბოლდა მიმქრალი კანდელი,
გარემო დადუმდა.
ღიღინებს აკვნების გამთლელი,
ბადაგი ჩადუღდა.
სადარო ზმანება ვინიშნე,
ძლივს მბჟუტავ სანთელთან.
მამლების მესამე ყივილზე,
სულეთში გათენდა.

ვუსაყდრისო

გავუსასტიკდი ჟამთა დინებას,
აზრთა ქარიშხლის დამადგა რისხვა.
სამყარო ნისლით გადაფითრდება
და განსხივება მოთხოვნად იქცა.
აზრის ნაყოფი ვერ დავამწიფე,
გულს ვერ შევასხი ფრთამალი ფრთები.
რადგან იმსხვრევა სტრიქონი მყიფე,
მონუსხულივით ვბორგავ და ვკრთები.
ამიხმაურა ფიქრების თავსხმამ,
ყრუდ მოხმიანე წარსულის ექო.
უნდა შევესწრო ცის ახლად გახსნას
და ვუსაყდრისო სულიერ ბექობს.

ხელი ჩავკიდე

თავს კვარცხლბეკს ვაფარებ,
ცახცახებს ჩინარი.
ჩათქორდა სამარე,
აქორრილ იფნარში.
ვარდების დაკრეფა,
ვისურვე ტყე ღრეში.
ეს როგორ აყეფდა,
ცქმუტავი ყეყეჩი.
სანამ იტრიალებს,
საკმევლის სურნელი.
ცეცხლობს სიდიადე,
განწირულ სულების.
ტირილი მეამა,
ჩაუმქრალ სანთელთან.
ამაშთო ღრიალმა,
უმწეოდ გათენდა.
ბინდ-ბუნდის წიაღში,
აღზევდა ცის კიდე.
მომავლის სიახლის,
სხივს ხელი ჩავკიდე.

გიორგი აღნიაშვილი

დავიბადე 1965 წლის 6 დეკემბერს ქალაქ თბილისში. დედა ანელი ბაკურაძე ქიმიკოსია. მის ძირითად სფეროს სამეცნიერო საქმიანობა წარმოადგენდა. ამჟამად პენსიონერია. მამა მერაბ აღნიაშვილი მათემატიკოსია, პროფესორი, ამჟამად თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობს უკვე 80 წელს მიღწეული პედაგოგი. ჩემი ძმა ზურაბი საქართველოს ერთერთი უდიდესი კომპანიის თავკაცია, მეუღლე ხათუნა ცოფურაშვილი კი თი ბი სი ბანკის წარმატებული თანამშრომელია. ჩემი უფროსი ვაჟი მერაბი სტუდენტია და ერთერთ მალალი დონის პროგრამისტადაა აღიარებული თავის სფეროში. უმცროსი ვაჟი ანდრეა კი ჯერ სკოლის მოსწავლეა.

მე ინჟინერ ჰიდრო - მშენებელი ვარ, თუმცა გარდა 7 წლიანი სამეცნიერო მუშაობისა 19 – 20 წელი ემუშაობდი როგორც სამთავრობო ასევე კომერციულ სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ამ ეტაპზე ჩვენი სააღჯახო მეურნეობის მშენებლობით ვარ დაკავებული, ძირითად საქმიანობას მევენახეობა და მემარცვლეობა წარმოადგენს, ამ ეტაპზე თხილის მეურნეობის განვითარებით ვარ დაკავებული.

ლიტერატურულ საქმიანობას საკმაოდ დიდი ხანია ვენევი. ვიბეჭდებოდი სხვადასხვა ჟურნალებში. ამ ეტაპზე გამოცემული მაქვს 3 წიგნი, და ვამზადებ მეოთხეს. ჩემს ძირითად ინტერესს რითმული პროზის განვითარება წარმოადგენს. ვარ პროზაიკოსი.

მარიამ ეგვიპტელი
(რითმული პროზა)

... და დღეს მეოცეს, უდაბნოს სიღრმეს, მეექვსე ჟამის ფსალმუნსა ჰგალობს, საყოველდღიო ლოცვას რომ ჰყოფდა მარჯვენა მხარეს ლანდი დაეცა. შიშმა დაჰრია წმინდა მოძღვარი, მამა ზოსიმე თრთოლვამ შეიპყრო. პირჯვარი თანჰყო და უკუ აგდო ძრწოლა უსაგნო და უსარგებლო და დაასრულა ლოცვა. თვალი დაჰკიდა, იქ, შორიახლოს ადამიანი,ტანად შიშველი უდაბნოსაკენ მიაბიჯებდა. მრავალდღის ეულს და ლოცვად აღვსილს ლტოლვა გაუჩნდა უცნობს ხლებოდა, პირი ჰყო მისკენ და გაემართა. შიშველმა უცხომ არ მიიკარა,სირბილით გაჰყვა უდაბნოს ქარებს, მამა ზოსიმე უკან მიჰყვება, ბებერ სხეულის ილაჯსაც სტანჯავს, ვერ დაეწია, იქვე ჩამოჯდა, სად ნაკადული ამოეშრო მზის მცხუნვარებას.

„ რად გამირბიხარ შენ ღვთისნიერო, მე მოხუცსა ბერს სულის ხსნისათვის გადმოხვეწილს ამ უდაბნოში?“

უცხო მესანგრემ ხმა ჰყო „ შემინდე აბბა, მამა ზოსიმე რამეთუ განვედ თვალთა შენთაგან, მე შიშველი ვარ, დედაკაცი ვარ, არც საშველი მაქვს შესამოსავად, მაშინ მიბოძე ეგ მოსასხამი, ტანი შევხიზნო მრავალგვემული და მაშინ შევძლებ მოვიდე შენთან ლოცვა, კურთხევა გავედრო კრძალვით “

მოსასხამს შეეხიზნა და ბერს ეახლა ქალი თვინიერად.

„ რად გსურს საუბარი უგნურ დედაკაცთან? რად დაშვრი ამაოდ ჩემთან დევნაში?“

„ჰოი დედაო სულიერო, უფალთან შენი სიახლოვე ჩემზე მეტია, ამა სოფლისთვის დაგიმარხავს შენ შენი თავი, სახელი ჩემი შეიცანი, ხუცესი მიწოდე, უფრო შენ შეგთხოვ რომ დამლოცო უფლისა მიერ“

„რისთვის მოდიხარ მამაო ჩემთან? რას ელი ეულად ჰქმნილი ქალისგან? თუმცა როგორც სჩანს შენ სულიწმინდამ, მადლი მოიღო ჩემი სულისთვის და შენი თავი მე მომივლინა. რითი ცხოვრობთ დღეს ქრისტიანნი და დღე კეთილი ეკლესიები?“

ზოსიმემ წვერზე ხელი დაისვა, წყნარად მიუგო „ . . . წმინდა ლოცვების მეოხებით სიმშვიდეაო ეკლესიას და ყოველთა ჩვენს თავს. გთხოვ რომ ილოცო ჩემი სულისთვის, ცოდვათა ჩემთა უნაყოფოდ არა მექნეს ესე ყიალი უდაბნოს შინა“

„შენ უფრო შეგთხოვ მამა ზოსიმე, ილოცე ჩემთვის და ყველასათვის და თუ მიბრძანებ გემორჩილები მე წმინდა გულით“

ხელნი აღაპყრო აღმოსავლეთით, მეუდაბნოვე ლოცვად იღვსება, ჩურჩულით ამბობს, სიტყვა არ ისმის, თვალნი მდუმარედ ზეცას მიაპყრო და მიწას მოსწყდა მეუდაბნოვე, წყრთას სიმაღლეზე და ზე ამაღლდა.

მუხლზე დაეცა მამა ზოსიმე, შეჰყურებს ქალს და ლოცვას აღავლენს. ეჭვმა გადაჰკრა მოხუცის გულში „მოჩვენებაა? რომ შემაცდინოს?“

„რად შფოთავ ასე მამა ზოსიმე? გულს რად გისერავს ეჭვის ზრახვანი? დედაკაცი ვარ მე უღირსი, ცოდვით გვემული, თუმც ნათლისღება მე მფარავს წმინდა“

„მითხარ დედაო, გვედრი მხურვალედ, სრულად მაცნე შენი ცხოვრება,რომ ცხოვრება ცხადად ვყო შენი “

„სირცხვილეულად, უამრავ საქმეთა, ცხოვრების წესით მე რომ ვცხოვრობდი უბადრუკ გვამში, თხრობით გიამბობ და ინებებ რომ განმეშორო ვითარცა წყეულს, მე კი გიამბობ და შეგთხოვ თხოვნით ილოცე ჩემთვის რომ სასოება მოვიპოვო განკითხვის დღესა.

ეგვიპტელი ვარ, თორმეტი წლისამ მე მივატოვე მშობელი კერა, ალქსანდრეას დავიდე ბინა, იქ განვეძარცვე უმანკოებას. ჩვიდმეტი წელი განვლიე მრუშად და ესე იყო ცხოვრების წესი.

ერთხელ ნავსადგურს მივაშურე და ალალ ბედზე ხალხის ბრბო ვნახე, გეზი აეღოთ ნავსადგურისკენ, თურმე იერუსალიმს ილტვოდა ხალხი ჯვართამაღლების დღესასწაულზე.

სურვილი ჩემი არცა ჰყოფილა დღესასწაულის ხილვა და ნდომა, გემზე მყოფთაგან გარყვნილებად მსახური მსურდა და გემზე ავედი. ჯვართ ამაღლების დღესასწაული ოთხივე კუთხით იერუსალიმის კარებს აღებდა. დავსეირნობდი მე ქალაქის ყველა უბანში, მსურდა ცოდვისთვის ყმაწილთა სული წარსაწყმენდელ მახეში გაბმა. იმ დილით სხვებთან ერთად მეც ვეწვიე ეკლესიას, ჟამი იდგა ამაღლების და მეცა მსურდა რომ მეხილა ეკლესიაში. კართან მივედი და საოცრებავ მე უცხო ძალამ კარებიდან გადმომისროლა. ბევრჯერ ვცადე და ღვთის განგებით მე წარწყმდილს შიგ არ მიშვებდა. და გვერდზე დავდექ, კარიბჭის კუთხეს შევეხზნე ღონე მიხდილი. ჩემი ცოდვები ზე აღმიდგნენ რომ არ მეხილა ძელიცხოველი. მე ღვთის მადლმა წყალობადამყო და შემეხო მისი ნათელი. მე კი ვსტიროდი, ვქვითვინებდი, მუშტებს ვიცემდი და სინანულის ცრემლთა დენით სახეს ვნამავდი. იქ მე ვიხილე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი და მივეახლე ლოცვა ვედრებით.

„ჰოი, ქალწულო, დედუფალო, ვინაც შვი ხორცით ღმერთი - სიტყვა! ვუწყი, რომ ღირსი არა ვარ შენი წმიდა ხატების ხილვისაც კი, რამეთუ უფრო ის შემგავს მე, საძულველ გარყვნილს, უარყოფილ ვიქმნა შენი სიწმიდისაგან და საძაგელი ვიყო შენთვის, გარნა ვიცი ისიც, რომ იმისთვის იქმნა კიდეც ღმერთი კაცად, რომ სინანულად მოუწოდოს ცოდვილთ. შემეწიე მე, ყოვლადწმიდაო დედაო, რათა ნება მომეცეს ეკლესიაში შესვლისა. ნუ აღმიკრძალავ იმ წმიდა ძელის ხილვას, რომელზეც სხეულით ჯვარს ეცვა უფალი, ვინაც ჩემთვისაც, ცოდვილისათვის დაღვარა უმანკო სისხლი ცოდვათაგან ჩემი გამოხსნისათვის. უბრძანე, დედუფალო, მეც განმიღოს კარნი ჯვარის წმიდა თაყვანისცემისა. შენ იყავ ჩემდა შუამდგომელი და თავსმდები წინაშე შობილისა შენგანვე და მე აღგითქვამ, რომ ამიერიდან არათუ აღარსოდეს არ შევიბილწავ თავს ხორციელი ბილწებით, არამედ როგორც კი ვიხილავ წმიდა ძელს შენი ძის ჯვარისა, უმალვე განვუდგები სოფელსა ამას და იქ წავალ, საითაც შენ მიბრძანებ - მხნე თავმსდები ჩემი“ და დავამთავრე ლოცვა ჩემი ღვთისმშობლისადმი. რწმენით აღვსილი შეუერთდი ტაძარში შემსვლელთ და ზღურბლის მიღმა ღირსი ვიქმენ უფლის წმინდა ცხოველმყოფელი ჯვარის ხილვისა. და საიდუმლო შევიცანი, მომნანიებელს შეიწყნარებს და შეეწევა უფალი ჩვენი. და კვლავ ვეახლე ღვთისმშობლის ხატს და ლოცვა ჩემი კვლავ განვაახლე „ჰოი, კეთილისმოყვარეო დედუფალო ჩვენო, წმიდაო ღვთისმშობელო! შენ არ შეურაცხჰყავ უღირსი ვედრება ჩემი! დიდება ღმერთს, რომელი შენით შეიწყნარებს ცოდ-ვილის სინანულს. დრო დადგა მეც აღვასრულო ჩემი აღთქმა, რომლისაც შენ იყავ თავსმდები. ეხლა კი, დედუფალო, სინანულის გზაზე დამაყენე მე!“ ლოცვის დროს ხმა შემომესმა „ თუკი გადახვალ იორდანეს, შენ მოიპოვებ ნეტარ სიმშვიდეს“

გულით აღმომხდა „მეუფეო დედუფალო, ნუ მიმატოვებ მე, საზიზღარ ცოდვილს, არამედ მიშველე და შემეწიე მე“ . გზად ერთმა კაცმა მიწყალობა სამიოდ გროში, იორდანეს გზას დავადექ, პატარა ნავით გადავცურე მე იქ მდინარე და ამ უდაბნოში მე ავღმოჩნდი უფლისა ნებით. „

მამა ზოსიმე დაეკითხა მეუდაბნოვეს „რამდენი წელი მოსანგრევდ ხარ ამ უდაბნოში?“

და დედაკაცმა უდრტვინველად პასუხადაჰყო „წმინდა ქალა-ქის დატოვების ოცდაშვიდი წელი მიითვალა უკვე განგებამ. განსაც-დელი, შიში და ძრწოლა უხვად მომიგო მე სამყოფელმა, სასტიკ, ულმობელ მხეცთა ღრიალი, ძრწოლა ჟამს ღამის, ყინვა ზამთრის და

მცხუნვარება მზისა ვიგემე. მენატრებოდა თუ ფიქრნი ჩემნი განვლილ ყოფის დღეს შემახსენებდნენ, ხორცის გემო, სუნელი ღვინის მეხსიერებას შემორჩენოდნენ, ტკბილი სიმღერაც ყურში მესმოდა, სულს მიშფოთებდა ყოველი დღენი. მუშტს ვცემდი სხეულს, რომ შიგან გამეგდო გარდასულ დღეთა მტანჯველი ფიქრი. და როს ცრემლიან ლოცვა ვედრებით, რომ სინანული აღსრულებოდა. მაშინ დიდ ნათელს ვხედავდი მყისვე და ჩემი ყოფა კვლავ წყნარდებოდა. შემომეძარცვა ჩემი სამოსი, დრომ და უდაბნომ გამიპარტახეს, შესამოსელად მხოლოდ ქვიშა მაქვს ზამთრის სიცივეს, რომ შევეხიზნო. ათასი სხვა რამ უბედურება და განსაცდელი თავზე მიწვნია და უხილავი ძალის უფლისა მე მფარველობა ხშიად მიგვრძნია. მე ვიფარავდი სიტყვასა ღმრთისა, რამეთუ არა პურითა ხოლო ცხონდება კაცი, არამედ ყოველთა სიტყვითა რომელიც გამოვალს პირიდან ღმრთისასა, რამეთუ წერილ არს „შიშუელთა მრავალთა დაიძინეს თვინიერ სამოსლისა, ხოლო სამოსელი სულთა მიუღეს. წუეთითა მთათა დასველდნენ, ვინაითგან არა აქუნდათ საფარველი, ქვათა შინა შეიმოსდნენ“. რამეთუ გვითხრეს ჩვენ“ ...განიძარცუეთ ძველი იგი კაცი საქმით მისითურთ და შეიმოსეთ ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა“... (კოლას. 3, 9). გავიხსენებდი თუ არა რამდენი სიბოროტისა და ცოდვებისაგან მიხსნა უფალმა, მაშინვე სწორედ ამაში ვპოულობდი შვებას, ეს მანიჭებდა გამოულეველ საზრდოს“.

და გააკვირვა მამა ზოსიმე, საღმრთო სიტყვა ზეპირად ახსოვს მის წინ მოსანგრეს „სად გისწავლია დაო ჩემო ესე ფსალმუნნი? და სხვა წიგნებიც წაგიკითხავს წმინდა წერილის?

და დედაკაცმა გაიღიმა წრფელი ღიმილით „ჯერ არ მინახავს კითხვისა მცოდნე ამ უდაბნოში, არც გალობას შევსწრებივარ წმინდა ტაძარში, არცა წმინდა წიგნის შინაარსი არ წამიკითხავს, კითხვა - გალობა არ მინახავს გაჩენის დღიდან. ჩემი ცხოვრება ვაღიარე მე შენს წინაშე და დავამთავრებ მე იმითი რიტაც დავიწყე, ილოცო ჩემთვის მამა ზოსიმე, ილოცო დიდი ცოდვილისათვის და დაგაფიცებ მე უფლის სახელს რომ ჯერ არ გასცე ჩემზე ამბავი და ვიდრე ჩემი აღსასრულამდე და არ გადმოხვიდე იორდანეზე შენ დიდი მარხვაზე მომავალ წელს, როგორც მონასტრის ორჩილება ამას გიბრძანებს, ხოლო ხუთშაბათს, წმინდა სერობას შენ მომიტანე მაცხოვრის ხორცი და სისხლი უფლისა ქრისტესი და იორდანეს ნაპირტან მელოდე, ვიდრე უდაბნოს დასალიერში რომ ვეზიარო“

და დაასრულა ეს სიტყვები და უდაბნოს შინა გაუჩინარდა. შემდგომსა წელსა შეხვდა მესანგრე და კრძალვით სთხოვა აბბას დალოცვა და სთხოვა რომ მომავალ წელს დამშრალ ნაკადულის შეხვედროდენ და იქ ამხელდა თვის ვინაობას.

და დადგა ეს დღეც, დამშრალ ნაკადულს რომ მიაღწია მიცვალებული დახვდა მესანგრე. წესის აგებას შეუდგა წმინდა მოძღვარი, ლოცვას ამბობდა და ფიქრმა გაჰკრა „ რა იქნებაო წმინდანის ნება რომ დაეკრძალა ქალის სხეული“ და მიწაზე ნაწერს მოჰკრა თვალი

„„ამ ადგილას დამკრძალე, მამაო ზოსიმე, სხეული მდაბალი მარიამისა. მიეც მიწას მიწისა. ევედრე უფალს ჩემთვის, რომელი აღვესრულე თვესა აპრილს, დღესა პირველს, ქრისტეს მხსნელ ვნებათა ღამეს, მას შემდეგ რაც ვეზიარე ღვთაებრივ საიდუმლოთ“. იქვე ლომის წავს, ფეხთით გუამისა, მორჩილად უმზერს მამა ზოსიმეს.

გამხმარ მიწას შეებრძოლა ბერი, გამხმარი ხის ტოტის ამარა, ვერა დააკლო და ლომს უბრძანა რომ სამარე მას გაეთხარა. ძალუმ ტორებით ბრდღვინავს ტყიური სცემდა ბელტებს და მიწასა სთხრის და გათხარა მიწა სასაფლაოსთვის. კრძალვით დაკრძალა წმინდა წალის წმინდა სხეული და განეშორნენ კაცი და ლომი გზით არჩეულით.

მამა ზოსიმემ ყოველი ამცნო იღუმენს, გაკვირვებულნი ყურს უგდებდნენ წმინდა მამაები და გადასწყვიტეს მათ ხსენიება ღირსი დედის მარიამისა და დაადგინეს დღეთ მისი გარდაცვალების.

წმიდა მარიამ ეგვიპტელს ევედრებიან ხორცთა აღძვრისას ვნებისაგან განსათავისუფლებლად.

თითბერის ბეჭედი

- ამბად მინდა გიამბოთ ეს ისტორია, საოცარი ის არის რომ, შემსწრენი ამ ამბისა ლეგენდად გადასცემენ შთამომავალთ. ბალღობაში დაწყებული უვნო ურთიერობა როგორ იქცა ჯვრისწერის მადლით შემოსილი. მაშ ასე დავიწყოთ თხრობა. - სოფლის განაპირას, გალავნის მოზიარენი, ჭირში გვერდში მდგომი მეზობლები ცხოვრობდნენ. ერთ ოჯახში ვაჟი და მეორეში კი ქალი იზრდებოდა. ქალი თქო, თორემ მაშინ ექვსი წლის იყო ბალღი, ვაჟი კი თავნებობდა, მეათე წლისთვის გადაებიჯებინა და ვაჟკაცობას სწავლობდა თავმომწონედ ჭაბუკი. ერთ სკლოლაში სწავლობდნენ, გოგონას გაკვეთილები რომ დაუმთავრდებოდა მორჩილად უცდიდა ვაჟს, რომ სახლში ერთად წასულიყვნენ. მრავალჯერ უნახავთ წვიმისა და ქარის დროს როგორ შეუმოსავს საკუთარ ქურთუკში ან ლაბადაში გოგონა, ხოლო მისი ჩანთა თავად უთრევია სახლამდე. ვაჟის მეოხებით თანაკლასელი ბიჭებიც ვერ უბედავდნენ გოგონას სითამამეს. დრო გადოდა. გოგონა გაიზარდა. ქალურმა სიამაყემ იმძლავრა. ვაჟის მზრუნველობას უკადრისობდა ქალი. ტანმშვენიერს სხვა თანატოლ ვაჟთა ყურადრება სიამოვნებდა, გამორჩეული იყო გოგონათა შორის. თაყვანისმცემელთა ქიშპობა ქალურ ამპარტავნობას უღვივებდა ასულს. ვაჟმაც მოიწყინა, გამჩენს სწყევლიდა „რატომ არა ვარო სხვა ბიჭებივით პირმშვენიერი, არც ტანადობით გამოვირჩევითო თანატოლებში... „საკუთარ მშობლებზე ბრაზი წაეკიდა ყმაწვილკაცს „ გოგოს ოჯახივით ჩვენც რატომ არა ვართო შეძლებულნი“ საუბრის დაწყება სწადდა „რად უარმყოფსო ჩემი ...ნუთუ დაივიწყაო ყველაფერი“ ფიქრი გულს უკორტნიდა კაცს. „სახლამდე გაგაცილებ“ უნებლიედ შესთავაზა ასულს , „პატარა აღარ ვარ, თავად გავიგნებ გზას, ნუღარ შეწუხდები მეტად“ ღიმილით მიუგდო პასუხი. ის დღე გაიხსენა ვაჟმა, პატარა გოგომ ფეხი რომ ოღრძო სკოლაში. ზურგზე აკიდებული მიიყვანა სახლში ასული, ანდა მამის ნაყიდ კამფეტებს რომ უზიარებდა მეგობარს, ერთ დღეც შეახსენა მეხსიერებამ, მაღალი სიცხე სტანჯავდა ასულს. მთელი ღამე მუხლებზე მდგარმა გაათია გოგოს საწოლთან, თავდაუზოგავად უკითხავდა ლოცვას მიჯნურს ნორჩი რაინდი. პირველი კოცნაც გაიხსენა ... გულის ჯავრი შემოაწვა „ თავს ნუ შეიწუხებო მეტად“ გული დაუმეწყრა მიჯნურს. უყვარადა, ხო უყვარდა გოგონა უკვე მისგანვე უარყოფილს. თითბერის ბეჭედი აელადნა მოგონებებში სიყვარულის ნიშნად რომ უძღვნა ახალ წელს. გოგონას სიტყვებიც ახსოვდა ...„სიცოცხლეს მოგიძღვნიო“... ეს

შარშან იყო . . . წელს კი სკოლას ამთავრებს და ქალაქს მიემგზავრება მამიდასთან და ბიძასთან. ფიქრიდან გამოერკვა ვაჟი, წელს ხომ ისიც ამთავრებს საექიმო ინსტიტუტს. ონკოლოგიურ საავადმყოფოში კარგ ექიმად გაიცნეს ვაჟი, გულდაგულ სდევდა ავადმყოფის სატკივარს. უებრო ექიმის სახელიც დაიმკვიდრა ოცდახუთი წლის კაცმა. ერთ დღეს ექიმს მოახსენეს, „ახალგაზრდა ასული მოიყვანეს, თითქმის უიმედოაო, თქვენს სახელს აბოდებსო ყოველ წუთს“ . სირბილით გაეშურა დასტაქარი. საოპერაციო მაგიდაზე იწვა მისი პირველი სიყვარულის ცოცხლად შობილი ხატება. პირჯვარი გადაიწერა მკურნალმა „ ღმერთო ნუ ინებებო სიკვდილთან ჭიდილში ჩემს დამარცხებას“ შეეგებდრა მაცხოვარს. საგათენებოდ გამოვიდა საოპერაციოდან ღონემიხდილი, ხატს შეხედა, „გმადლობ უფალო რომ არ დაუთმეო სიკვდილს ასული“. ბარბაცით შებიდა კაბინეტში. ფიქრად ეზმანა, იმ დღეს სკოლიდან სახლში ბრუნდებოდნენ, შხაპუნა წვიმამ მოუსწროთ ბავშვებს. ლაბადაში შეახვია ვაჟმა გოგონა, მკერდზე მიხუტებული მიაცილა სახლამდე და მხოლოდ მაშინ გაუშვა ხელი სახლის კარები რომ შეაღო პატარამ. კოჭებამდე გალუმპული შევიდა სახლში. იმ ღამეს სიცხე მისცა. შუბლზე ძმრიან საფენებს უცვლიდა დედა სიცხისაგან გათანგულ შვილს. ფუმფულა ხელები შეიგრძნო სახეზე ჭაბუკმა, ძმრიან საფენს რომ ადებდა შუბლზე და კიდევ გოგონას დიდი ბრდღვიალა თვალები. პალატაში იხმეს ექიმი „ავადმყოფი გონზე მოვიდა, თქვენს ნახვას ლამობსო თავდგმურიც“. გოგოსდედა შემოეგება ექიმს, მადლობას უძღვნიდა დასტაქარს. თვალები გაახილა ავადმყოფმა, „მომიტევეჩემი უტიფრობა, ნურც განშორებისთვის დამდებ ბრალს, ჩემს სატკივარს სკოლის ასაკიდან ვებრძვი, იცოდე ბევრი ჭორი ჰკოდავდა ჩემი ცხოვრების გზას მაგრამ, ჯერ არც ერთი მამაკაცისთვის არ მიძღვნია ცხელი ამბორი, უვნო ვარ როგორც ქალი . . . „წყლით დაუსველეს ტუჩები ავადმყოფს. „შენს სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, ყველგვარი სიავისგან განთავისუფლდა შენი სხეული“ თავდაჯერებით მიმართა პაციენტს ექიმმა შემდეგ წამოდგა და პალატის კარისკენ გაემართა. „ თითბერის ბეჭედი გახსოვს“ რელიქვია შეახსენა ასულმა„ ის სულ თან მაქვს, ჩემი რაინდის ბედსვიანი ტრფობის უცილო მოწმედ“ ...ეს ამბავი თითქმის ნახევარი საუკუნის წინ მოხდა. რაც გიამბეთ სიმართლეა. ქორწილში, როცა მათი ვაჟი ჯვარს იწერდა, ეკლესიაში პატარძლის ხელს თითბერის ბეჭედი უმშვენებდა „პირველი სიყვარულის მადლითაა ნაკურთხი და ახლა შენ ხარ ამ რელიკვიის მცველი“ - მიმართა რძალს „ გოგონამ“.

თემის დაწერას მოვრჩი, საკონტროლო სამუშაოების რვეული პედაგოგს ჩავაბარე. მეორე დღეს გასწორებული ნამუშევრები დაგვირიგა მასწავლებელმა. საოცარი ის იყო რომ იმ დღემდე მიღებული პირველი ფრიადი ამშვენებდა ჩემს რვეულს. ამაგდარს ნიშანთან ერთად მინაწერიც გაუკეთებია ჩემთვის, „გილოცავ პირველ ფრიადს, თითბერის ბეჭდის მადლი შეგწეოდეს“.

შორენა გაბელაშვილი

მე ვარ შორენა გაბელაშვილი. დაბადებული 1983 წლის 2 ნოემბერს ქუთაისში.. აქვე დავამთავრე ქუთაისის N.38 საჯარო სკოლა. პროფესიით ისტორიკოსი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი გახლავართ. სერთიფიცირებული პედაგოგი. მყავს ერთი შვილი.

შორენა გაბელაშვილი არის „ჩანაწერები ინგას უბნიდან „პირველი და მეორე კრებულების ერთერთი წარმატებული ავტორი.

უფალო, მჭირდები

"უფალო, მჭირდები...
ეს სული დატვირთულ სახედარს მაგონებს..
კვლავ, ჯერაც ვვარსებობ
და ისევ მოველი მპოვნელს და საპოვნელს.

უფალო, მჭირდები,
დრო ისე ულმობლად მიგორავს, ggონია
რომ ვერც კი მოასწრებ, შიგ გულში ჩაიკრა
ის, რაც გიპოვნია..

უფალო, მჭირდები
ვეძიებ სიმშვიდეს თვალხილულს, ვნებიანს..
ვეძიებ სიმშვიდეს,მუდმივს და ეკლიანს..
და ერთი მუქია.. მეორე თეთრია...

სასწორი უცდომლად ამ გრძნობებს აწონის
და ალბათ იგივე დარჩება სასწორი..."

ცხოვრების ნოტები

"როცა არ ძალგიძს შეცვალო ყოფა
მხოლოდ ლოდინი დაგსდევს აჩრდილად
თუმც, ყველაფერი, რაც მისით მოვა
ის არის, რაც კი გსურდა ნამდვილად?!

ლტოლვა და ბრძოლა, გაკვალო გზები,
ისე ძნელია, თანაც ადვილი
ფერს დაიბრუნებს ფოთოლი ხმელი,
თუ ძლიერია ალბათ წადილი...

კითხვა მეტია, ვიდრე პასუხი
აღწევდე მიზნის ბუნდოვან კიდეს
არ მსურს ამაო, ფუჭი არსობის
ან მიუწვდომლის სურვილი მჭირდეს..

მაგრამ, ბუნება, ჩვენი ბუნება,
მანამ ეძიებს, ვიდრემდის სუნთქავს..
როგორც მზის სხივებს გზა ვერ აჩერებს
და აბრეშუმი დაეძებს თუთას..

რომ ისე აჰყვე ცხოვრების ნოტებს
არ შეუშინდე მაჟორს და მინორს
ყველა ჩვენგანი, ყველაზე მეტად
ამოუცნობის შეცნობას ცდილობს

გაზაფხულია, სხივები მათბობს,
რაღაც შორეულს მიამბობს ქარი...
ნეტავ შემეძლოს მარტივად აღქმა,
ანდა საერთოდ არ მერქვას ქალი..."

მე და ფოთლები

"ახლა ღამეა და ირგვლივ ხმაურია..
გრძნობამ საფიქრალი სულ მთლად აურია
ისე გადამედო, ისე გაიგივდა
შემომეჩვია და ჩემში გაირინდა..
აწეწილი ქარი ერეკება ღრუბლებს
ალბათ ისევ, ისევ ფუჭად ვისაუბრებ
მღაღადებლის ხმები უდაბნოსა შინა,
იმედიც და სევდაც ერთნაირად ღვივა...
და მივყვები ქუჩებს, ქართველი ვარ ერთი
ვფიქრობ, მახსოვს, ხანაც მავიწყდება ღმერთი..
გამოწვდილი ხელი აირიდე თვალო?
შენც ხომ ევას მოდგმის და მაცდური ხარო...
მინდა ვიყო ფიფქის სისუფთავის მსგავსი
თუმცა, სურვილები არის თოვლის ფასი
თუნდაც, სულ ვერ ვიგრძნო, გაზაფხულის ძალა
მინდა ვუთხრა სევდას არა, ისევ არა...
აწეწილი ქარი ერეკება ღრუბლებს
და ფოთლების ჯარი უწესრიგოდ ყრია
მათ სევდაში თითქოს ჩემი სევდაც სუფევს
რადგან სულ ყველაფერს დროებითი ჰქვია..."

აჩუქეთ ერთმანეთს ღიმილი

"მე მეშინია სიშორე ხატების
 და წლებთან ერთად ცოდვების მატების
"არ" მედარდება ლამაზი სამყარო
 მსურს ყალბი გრძნობები გულიდან გავყარო
თუმცა, ეს სიცოცხლე მაცდურად ჭრელია
მე კი არც მგელი ვარ და არც ვარ მელია.
შენ ალბათ წაგცდება მდუმარე სიცილი
მე კი კვლავ უგულოდ ვერასდროს ვიცინი...
და დავრჩი იქ, სადაც ბავშვობის წლებია
ან, როდის გავლიე ამდენი გზებია
გაჭედავს გული და გაქრება სიტყვები
ლაქებად დარჩება ფურცლებზე ფიქრები...
იტყვიან: ცოცხლობდა, არ იყო ნარცისი
უყვარდა, სტკიოდა სხვისი და თავისი...
მანამდე იცოდე, იცოდე შორია
ჯერ ისევ ბავშვი ვარ, კვლავ ასე მგონია..
არ მიკვირს ყოველი, თვალს არ მჭრის ფერები
და მხოლოდ მაოცებს სპეტაკი ხელები...
აჩუქეთ, აჩუქეთ ერთმანეთს ღიმილი
არაფერს მოგიტანთ ბოღმა და ტირილი...
არავინ არაა ზომაზე ჭკვიანი
 მიხვდები, იქნება ადრე თუ გვიანი...
მთავარი გულია_ მთელია თუ არა
მის კარებს გარშემო ბევრმა რომ უარა..
თუმცა, მეც ქალი ვარ და ციხე ხომ არა“..

ჩემში სახლობ

"შენ ისე შორს ხარ,
და ისე ახლოს
როგორც მიწა და ზეცა ჩემიდან..

მგონია მუდამ,
რომ ჩემში სახლობ
და არც მსურს დახსნა შენი სენიდან...

ვით გაზაფხულზე
ყვავილთ დამტვერვა...
ისე მაკლიხარ, ისე მჭირდები...

დღეო, ნათელო,
უსიყვარულოდ,
თითქოს ღამე ხარ, თითქოს ბინდდები..

მუზას ერევა
ღიმილი, სევდა,
არც მსურს გაგექცე, და ვერც გელევი

როგორც მზის სითბოს,
ისე გიხმობენ,
ჩემი გული და ჩემი ხელები..."

ანტონ გაგუა

დაბადების წელი - 1977

დაბადების რიცხვი - 19 თებერვალი.

გამოცემული აქვს ორი წიგნი- „აკინძული გულისცემა და „მხოლოდ შენთვის“.

2013 წელში მიღებული აქვს პოეზიის ფესტივალზე წმინდა ნინოს ჯვარის პრემია.

***

გნატრობდი როგორც გიჟი სიმშვიდეს,
როგორც საკუთარ სხეულის სუნი.
არ ვფიქრობ ამას ღმერთი მიშლიდეს,
რომ შენ დაგითმო უკვდავი სული.
გნატრობდი როგორც მშიერი ლუკმას,
წყლის ერთი წვეთი, გამომშრალ ყელში.
ნუ ჩამომითვლი წესებს და დოგმას,
მე კესანები მიჭირავს ხელში.
გიცდიდი ყოველ დილით ნაპირთან,
ყოველ დაისში, დაგყვები ზღვასთან.
დღეს შეყვარებას ქარი დამპირდა,
უკვდავების და სიკვდილის ზღვართან.
დაგიცდი როგორც, მარტი წვიმაში,
ცივი კალთებით მიმიღებს მიწა.
მე შეგიყვარე ყველა წვრილმანში,
შენთან სიცოცხლეს ბავშვივით ვიცავ.

***

ახლა ქარია,
და მიხარია,
რომ სიზმარია,
რაც იყო გუშინ.
ისევ ღამეა,
თუ კი რამეა,
რაც გამახარებს,
ჩაგიკრა გულში.
ნეტავ არ მეთქვა,

ან გულის ფეთქვა,
არ ამყოლოდა,
მაჯაზე ცემა.
შენი ფერია,
რაც ნაფერია,
შენი თვალების,
შემშალა ცრემლმა.
ამბავს მიყვება,
დღე დღეს მიყვება,
ალბათ საჩემოს,
დახატავს ფერებს.
არ მავიწყდება,
სად დაიწყება.
სანამ მიწყდება,
შევარჩევ ბგერებს..

***

გიცდიდი როგორც მიჯნური ღამეს,
როგორც ზღვა შენთან შერთვას ელოდა.
დღეს ნოემბერი ვერ შემიხამეს,
დაყრილ ფოთლებზე ქარი მღეროდა.
აღარ მჯეროდა მოსვლა აპრილის,
ვერც შემოდგომის ვიგრძენი წასვლა.
წვიმს უმოწყალოდ, გზაზე დაყრილი,
უცხო ფერების, მომინდა წასმა.
კედლებზე, სადაც ეხატა ღამე,
დავხატავ დილის ცვარიან ტიტებს.
ვერ გავაკვირვებ ვინმეს და რამე
რომ მკითხონ რატომ, ვიმტვრევდი თითებს.
ვიტყვი უბრალოდ არ მინდა მოვკვდე,
მარტივი როგორც კეკლუცი მარტი.
ასე შეშლილი ღმერთთან რომ მოვხვდე,
რა ვუთხრა,რისთვის,რატომ მიყვარდი.
არ ვიცი!ალბათ პასუხი ჩემთვის,
ღმერთთან შეხვედრას გამიადვილებს.
შენი სულის და სამყაროს შერთვის,
ამ უკვდავების სხვა სინამდვილეს.

***

იქნებ მაპატიო,ჩემი უმწეობა,
ვეღარ შევეგებო შენთვის გათენებას.
სევდამ შეიფერა ბნელში უმზეობა,
მთვარე აპირებდა ღამის გაჭენებას.
იქნებ მაპატიო, მთები ვერ გაჩუქე,
მინდვრებს ვერ ავართვი, შენთვის კესანები.
მზე რომ დაიხრება,მაშინ შენ აშუქებ.
ცისკარს მარტოსული, ცრემლით ვესალმები.
იქნებ მაპატიო, ისე შეგიყვარე.
შენთვის განწირული გული დამითმია.
მახსოვს უკვდავების ბაღში შემიყვანე.
ახლა მარტოობამ ისევ დამითრია.

***

მომნატრებია თვალები შენი,
მეღიმილება დილა ადრიდან,
მზეს გათენება ისევე შვენის,
ფრაგმენტებივით უცხო კადრიდან.
შორეულ სუნთქვას აკიდებული,
ყვითლად დაფენილ ფოთლებს ველევი.
სამარადისოდ დაგიდე გული,
გადავაბრუნე უცხო ველები.
ამოვიჩემე ერთი სურნელი,
ამაწიოკა სხვა რაღა ითქმის,
ვნებას ავყევი როგორც სულელი,
უფსკრულის პირას, მივიდე თითქმის.

ინგა გოგიბერიძე

დავიბადე ულამაზეს ქალაქში, 1964 წლის 19 აპრილს, იმ თვეში,როცა ბუნება ყველაზე ლამაზია ალბათ, სითბო იფრება ყველა მხრიდან. ამიტომაც მზემ გადაწყვიტა ჩემს გულში ჩასახლებულიყო და მზისფერი გავმხდარიყავი. ოქროს მედალზე დავამთავრე ქ. ბათუმის ვ.ი. ლენინის სახელობის №1 საშუალო სკოლა. სწავლა ჩვენი ქალაქის, მაშინ ერთ-ერთ პედაგოგიურ ინსტიტუტში გავაგრძელე (ნუცას სკოლას რომ ეძახდნენ თბილისელები). გავაგრძელე და წითელ დიპლომზე დავამთავრე კიდევაც, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით. რამდენი ქარტეხილი გადაიარა ჩვენმა ქვეყანამ, სწორედ ის დრო იდგა რუსული ენა მჭიდროდ რომ იკიდებდა ფეხს სახელმწიფო დაწესებულებებში, ამიტომ სიხარულით ამიყვანეს აჭარის კულტურის სამინისტროში კადრების განყოფილების უფროსად. მხოლოდ ეხლა ვხდები, რომ იქ გატარებული წლები იყო ჩემი ლიტერატურული ბიოგრაფიის დასაწყისი: თეატრალური ფესტივალები, ბათუმური მუსიკალური შემოდგომა, შეხვედრები მწერლებთან, მხატვრებთან, ცნობილ მუსიკოსებთან, თეატრალებთან – ეს ქმნიდა ჩემს მეხსიერებაში ყოველივე იმას, რაც მხოლოდ სამი წელია გადმოვიტანე ფურცელზე. ბოლო ორი წლის განმავლობაში ბათუმის ბიბლიოთეკაში მუშაობამ მომცა ის უნაპირო შესაძლებლობა, რაც საყვარელ ადამიანებთან, მწერლებთან და პოეტებთან შეხვედრებმა მაგრძნობინეს.

სოციალურ გვერდზე შევქმენი ლიტერატურული-ფორუმის სახით ჯგუფი ,,ინგას უბანი'' სადაც ძალიან ბევრი შემოქმედი ადამიანია გაერთიანებული. პოეტ ხათუნა შავგულიძის სიტყვებით, თუ ვიტყვი მათი ნიჭიერების ძებნაში ჩემი მუზაც მოფრინდა და გამოვეცი შემდეგი წიგნები:

-ინგა გოგიბერიძე-მინიატურები - (იმედის დირიჟაბლი)-2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე -,,შენც ნაიკითხე''-პუბლიცისტური წერილები-2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე-მინიატურები და მინიატურული შტრიხები თქვენი პორტრეტებისათვის-2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე-ინტერვიუების კრებული -,,....ერთი ტონა ბლის მურაბა ჯილდოდ''-2015 წელი

ვარ სამი კრებულის რედაქტორ-შემდგენელი, ,,ჩანანერები ინგას უბნიდან''.

მონაწილეობა მივიღე ლიტერატურულ ფესტივალში ,,მე კართან'' და ლიტერატურულ კონკურსში ,,ოდეონი..

რგოლი

რგოლი, რომელზეც ერთი გასაღები და ლითონის ვარსკვლავი ეკიდა, სულ თან დაჰქონდა. ეგონა, კიდევ შესძლებდა ამ გასაღებით იმ კარის შეღებას, რვა წლის წინ ფრთხილად რომ შეაღო და თავისი ფიქრების სახლი შეარქვა. სახლი, რომელშიც ის ცხოვრობდა, სავსე იყო სხვადასხვა ნივთებით: კედლები სპეციალურად ლურჯ ფერზე შეაღებინა, ნათლად რომ გამოჩენილიყო, რასაც ჩამოჰკიდებდა: ზედავტომობილის საბურავები, რკინის სახელურები, ლითონის ფურცლები და ფიზიკურად მყარი სხეულები მარჯვენა კედელზე იყო დამაგრებული. წიგნების თაროები, რომლებიც ჭერამდე აღწევდა, მარცხნივ ისე ეკიდა, რომ ერთმანეთს პირისპირ უყურებდნენ. გაივლიდა ერთი ლამაზი დღე და წიგნი შეემატებოდა მარცხენა კედელს, მოვიდოდა განსაცდელი და ლითონის ფურცელი გამოიჭედებოდა გრდემლიდან. ასე გადიოდა დღეები და ივსებოდა კედლები, მანამ, სანამ არ მოფრინდა სიყვარული, რომლის ადგილიც მხოლოდ ოთახის ჭერში მოიძებნა. დაწვებოდა და ფიქრობდა... და ეს ფიქრები მისით იკეთებდნენ ბუდეს და ჩიტის ფრთებით ემაგრებოდნენ ჭერს. ეს ფრთები ბუმბულისა ნაირფერი გახლდათ - წითელი, ცისფერი, იასამნისფერი, ყვითელი და ყველა ფერისა, რომელიც ზოლად მიჰყვება ფარშევანგის ულამაზეს კუდს. ჰოდა, გაშლიდა ფარშევანგი კუდს და გაფრინდებოდა მისგან სევდა და ნაღველი, შორს არარსებულ სამყაროში. იქ სადაც მხოლოდ სევდის სახლია. დაკეცავდა ფარშევანგი კუდს, ჩამოვარდებოდა კუდიდან ერთი ბუმბული და ახლა ის აფრიალებდა სიხარულს და სიყვარულს.

ფიქრობდა, როგორ შეიძლება ადამიანი, ერთნაირად ბედნიერი იყოს, როცა ყველაფერი აქვს და როცა ამ ყველაფრიდან მხოლოდ ერთი პაწაწინა ბუმბულია დარჩენილიო. და ასეც იყო. ბედნიერება ხომ ჭერში იყო დამაგრებული და არსად არ დადიოდა- მის კარებს გასაღები არ ჭირდებოდა, მისით იღებოდა ყოველ დილა- საღამოს, თუმცა ჩაკეტილიც არ ყოფილა არასდროს.... მაგრამ მალე, სახლმა მომხიბვლელობა დაკარგა, ლითონის ნაჭრები დაიჟანგა, ავტომანქანის საბურავები დასკდა, წიგნებიდან სიბრძნე აღარ იფრქვეოდა, ფარშევანგის კუდიც სულ დახურული იყო.

რგოლი, რომელზეც ერთი გასაღები და ლითონის ვარსკვლავი ეკიდა, მალე თან აღარ დაჰქონდა, არ სჭირდებოდა და იმიტომ.

სიყვარულის ოდა

მხოლოდ დედის და მამის საფლავზე შეეძლო ეტირა, ებღავლა და ექვითინა ისე, რომ მთებს ქვა და ღორღი მიწად ჩამოეტანათ. საფლავი მიწაში იყო, მისი ტკივილი და სიხარული ცაში... იცოდა , რომ ვერ მიაღწევდა იქამდე მისი ხმა. ერთმანეთს არ შეხვდებოდნენ სხვადსხვა განზომილებიდან და გალაქტიკიდან მოსული ხმები და ტკივილები. თითქოს საფლავთა საუფლოს მაღალი ადგილი უფრო უხ-დება, მაგრამ ეს სულ სხვა იყო სასაფლაო დაბლობში. აქედან სოფლის გზა მოჩანდა , მათი ორსართულიანი სახლი და რიკულებიანი აივანი. ეზო, სადაც ყველანი ბედნიერად ცხოვრობდნენ. მამა -ზვიადი, როგორც კლდე. გენიოსი, როგორც გალაკტიონი და მგრძნობიარე, როგორც ვერხვის ფოთოლი. დედა - მკაცრი, როგორც ოთარაანთ ქვრივი და თბილი, როგორც ანას პოეზია. თვითონ კი, აფეთქებული ატ-მის ყვავილი და მოდარაჯე მზის თვალი, ყვავილებს აგროვებდა და ლარნაკებში აწყობდა, კითხულობდა, ფეხშიშველი დადიოდა, მიწის სურნელი რომ შეეგრძნო. აქედან აკრიფა სიბრძნე, სიყვარული, მოკრ-ძალებული სითამამე ადამიანების და მთების მიმართ. ჰოდა ასეთი სიყვარულით თითქოს რთული არ უნდა ყოფილიყო ცხოვრება, მაგრამ, უდიდეს სითბოსთან ერთად ტკივილების რიცხვიც მატულობდა, ხან სიცივე და ხან სითბო ცვლიდა ერთმანეთს და ამიტომ გული გაებზარა, არა, კი არ დაუბერდა, უბრალოდ გაებზარა და ტკიოდა.... უნდოდა სხვებივით ეტირა, ან ხმამაღლა ეცინა , მაგრამ არ შეეძლო. უნდოდა ჩამოეხოკა ლოყა, ან ეს ლოყა თბილ ფოტოზე მიედო და სამუდამოდ დარჩენილიყო მარადისობაში. არ შეეძლო... არ შეეძლო კიდევ იმიტომ, რომ ცხრათვალა მზესთან ცხოვრობდა და მასთან ცხოვრება მუდამ სიხარულის გაცემას მოითხოვდა.

მხოლოდ დედის და მამის საფლავზე შეეძლო ეტირა, ებღავლა და ექვითინა ისე, რომ მთებს ქვა და ღორღი მიწად ჩამოეტანათ, საფლავი მიწაში იყო, მისი ტკივილი და სიხარული –ცაში.

მერცვალა

მერცვალა. ფიქრთა მეუფე.... დაუბანელი ფიქრთა მეუფე მერცვალა ცის ქვეშეთს განშორდა. „მარტოობის ასი წელიწადი“ უკვე გამოვლილი ჰქონდა, ქვეყნიერება შემოვლილი, ზურგზე ხურჯინად მოკიდებული ულევი სევდა და ტანჯვით მოპოვებული სიხარული ზღვასთან მოჰქონდა-განბანის მოლოდინში. დაუბანელი ფიქრთა მეუფე ისე ჩუმად მოვიდა ზღავსთან, რომ მოუნდა წყალსა და სევდას ლაღი ტალღების აფრა მოეტანა მისთვის. ზღვის ტალღებს კი ,მაგრამ მას რა უნდა მოეტანა ან მოეყოლა კაცობრიობისათვის, ვინ მოუსმენდა. ის ხომ დაუბანელი და ბინძური იყო, მიუხედავად იმისა, რომ მერცვალა ერქვა. მერცხალი კი არა, მერცვალა იყო. სწორედ ორი ასობგერის ცვლილება გვაძლევდა იმის დანახვის საშუალებას, რომ გვემზირა ,როგორ უცდიდა იგი ზღვის ფსკერზე ჩაძირულ ადამიანთა გვამებს, გემების ნაფლეთებს, თევზების ლეშებს, რათა დამტკბარიყო მათი ცქერით. ავი სიტყვა ეგულებოდა ყველგან და იმიტომ იყო მერცვალა და არა მერცხალი. მერცხალი ხომ მხოლოდ კეთილი ადამიანის სახლში იკეთებს ბუდეს, მერცვალა, მისი ნისკარტით, ავი ადამიანის სახლშიც ბინადრობდა, რათა ხშირ-ხშირად ჩაეკაკუნებინა მათ გულებში და ავი სიტყვით ესულდგმულა, ამ ვალით და შავი ფერით მოიარა ქვეყანა. მობეზრდა, მოწყინდა მარტოობაც და ავსიტყვიანობაც - დაუბანელი ფიქრთა მეუფე ისევ მივიდა ზღვასთან, რომ ამოეღო წყალი და სევდა და გაელაღა ცა- მთა. ის ხომ ზღაპრიდან იყო მოსული-ძვალმსხვილი, ძლიერი როგორც დევი, ფეხები ეშმას, თვალები ქორის. ზღაპრიდან მოსულს აქაურობაც ზღაპარი ეგონა, მიიჩქაროდა, მოიჩქაროდა, რომ ყველასთვის მისი ნამდვილი სახე ეჩვენებინა-დაუბანელი ფიქრთა მეუფე, დადის იმედით კარ-კარ, მაგრამ შეუშვებს მას სახლში ვინმე? რადგან ღელვაა მასთან. დაუბანელი ფიქრით მეუფე კვლავ რომ მივიდა ზღვასთან, ზღვამ დაახვედრა ცეცხლი და წყალი და დაახვედრა ტანჯვაც.

კვლავ ტანჯვა, ურვა და ვაება. მოსწყინდა. გაიბრძოლა. ცის ტატნობზე ვარსკვლავსაც მოჰკრა თვალი, მაგრამ ამაოდ,მხოლოდ ცის ნამი ციმციმებდა.დაუბანელი ფიქრთა მეუფე, ისევ მივიდა ზღვასთან, გაცრუვდა იმედი მარტოსული მეუფის, რადგან არავინ ელოდა ნავთან. მერცვალას ფერი ეცვალა, მერცხლად ყოფნა მოუნდა, ცის ტატნობზე განავარდება, კამარას შეკვრა და სიხარულით დედამიწაზე ჩამოფრენა. არ შეეძლო, რადგან ის მერცხალი კი არა მერცვალა იყო: ნავიც უნიჩბოდ იდგა, ზღვამ ვერ განბანა, ფრთებიც არ

ჰქონდა, სურვილიც გაქრობოდა და გარედან მხოლოდ დაფდაფისა და ზურნის ხმები შემოდიოდა. მერცვალა.... ფიქრთა მეუფე. იდგა თუ იჯდა? ფიქრთა მეუფე მხოლოდ ფიქრებში იშვა.

აზიკოს შვიდგზის გული

ახალგაზრდა ქალი და კაცი ფეხშიშველები გამოდიოდნენ ტაძრის ეზოდან. ასე უთხრეს. შვიდჯერ უნდა შემოუაროთ ტაძარს შვილი რომ გეყოლოთო. შეასრულეს. სოფელი დიდი იყო და ხალხიც ჭრელი. ოდა, რომელიც მიკომ თავისი ხელით ააგო, ყველასგან განსხვავებული და ლამაზი იყო.ტყიდან უზარმაზარი მორები მოზიდა,დაზომა, დახერხა და დაამზადა. ისე დააწყო გასაშრობად, მზეზე გამოტანილი ჩურჩხელები გეგონებოდათ,ყველა ერთი ფერის და ერთი ზომისა გახლდათ.მარტო შრომას გაურბოდა. მის გვერდით მთელი სოფელი იყო. ყველას უყვარდა ამ ოჯახზე ხელის შეშველება, რადგან თვითონაც ასეთები იყვნენ.

მიკომ თავდაუზოგავი მუშაობა იცოდა.სანამ დაწყებულ საქმეს არ მოათავებდა არ მოიშლიდა. დაგეგმილი რაც ჰქონდა, ის უთუოდ უნდა დაესრულებინა. ზუსტად ოთხი თვე და თექვსმეტი დღე დასჭირდა საძირკველის ჩაყრას და ოდის შეკვრას. ყოველ ცისმარე დღეს, მაიას დედობას და იმ ფუძის ბედნიერებას შესთხოვდა უფალს, რომელსაც ასეთი რუდუნებით აშენებდა. მაია სულ მის გვერდით იყო, ყველაფერი უხაროდა. არც სტუმარი ეზარებოდა.ულამაზეს ჭრელ წინსაფარს გაიკეთებდა.ოქროსფერ თმებს თმისაბნევით შვიდგზის აიწევდა და ასე იწყებდა მჭადების ცხობას. მერე საღამოთი დაღლილ დაქანცულები შეექცეოდნენ ვახშამს თანასოფლელებთან ერთად. საუბრობდნენ ავსა თუ კარგზე, მომავალზე, ხანაც არაფერზე, უბრალოდ სიჩუმე ისადგურებდა. ეს სიჩუმეც უყვარდა მიკოს.

ჰოდა,ოთხი თვე და თექვსმეტი დღე განა ცოტა დროა ერთმანეთთან დასაახლოვებლად? სწორედ, ამიტომაც, ამ დიდმა დრომ და ერთად ყოფნის სურვილმა დარია ხელი აზიკოს შვიდგზის გულს. სიყვარულის ფესვებმა თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ გაიდგეს და გაიმაგრეს ძირები გულში. გულის ერთ პარკუჭს ხელში ნაჯახი ეჭირა, მეორეს ცელი. როცა სისხლი გამალებით დაიწყებდა ჩქროლვას და ნერგი ყვავილობას ნაჯახს მოუქნევდა, თუ მსხვილი აორტა იყო ხოლო

უფრო ნაზი ყლორტები რომ მოეჭრა, ცელს წააშველებდა. მაინც არა-ფერი გამოდიოდა. გული კვლავ ბაგუნობდა და ჩქარობდა. გაიფიქრა, გული მუხის ხეზე მიეჯაჭვა მითიური ამირანივით.ასე ვერასოდეს ამოვა ბუდიდანო. მაგრამ ყოველ ხუთშაბათს მთელი ქვეყნის მჭედ-ლები დაჰკრავდნენ გრდემლს და ისევ იფეთქებდა სისხლი აზიკოს შვიდგზის გულიდან.

ისევ გაიფიქრა, ამ გულს ჩვენი სოფლის ტაძრის ეზოში წავიღებ და იქ ჩავმარხავო, მაგრამ შვიდგზის ჩამოჰკრავდა ზარი ტაძარშიც. შვიდჯერ ლოცულობდა მართმადიდებელი ქრისტიანი და ამიტომ დამატებით კიდევ შვიდგზის გაისმოდა გულის ძგერა და ეს ხმა ჩაესმოდა ლოცვასავით აზიკოს. ამანაც, რომ არ უშველა, ადგა და გული სკივრში მოათავსა, სკივრი კი ხურჯინში. ხურჯინი ისევ გულზე გადაიკიდა და ის იყო მოგზაურობას უნდა შესდგომოდა, რომ მაიას და მიკოს შვილებმა ეზოდან ხილის კურკები გადმოყარეს. ჰო და ეს კურკები აზიკოს გულს მოხვდა. თავიდან იხარა ყველა ხემ, იყვავილა მცენარემ, დაპურდნენ ფრინველები. მხოლოდ ნადირთ ემშივნათ, რადგან მათ ბალახ-ბულახი არ უყვარდათ, მათ სისხლი და ხორცი სწყუროდათ. გული კი კარგი საკვები იყო, მაგრამ აზიკოს გული კარგად ჰქონდა შენახული სკივრში და ვერავინ, ვერავინ მისწვ-დებოდა გულს, რომელსაც მისი სიყვარული ერქვა. ამ სიყვარულს თავზე გერგეტის თოვლ-ყინულიანი მთა ეფარა და ცხრაძალიანი ოქროს ფანდურიც აღარ არსებობდა, რათა სხვებს ემღერათ.

აზიკოს შვიდგზის გული ისევ სიყვარულის საუფლოში იდგა და იმ კარის გახსნას ელოდა, შვიდ წელიწადში ერთხელ რომ იღებოდა კავკასიონზე.

ინგა გოგუაძე

დავიბადე 1965 წლის 14 მარტს საქართველოში, ქალაქ ბათუმში. 1982 წელს წარჩინებით დავამთავრე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის მეორე საშუალო სკოლა. ასევე წარჩინების (წითელი) დიპლომი ავიღე სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის, დაუსწრებელი, ფილოლოგიის ფაკულტეტის სწავლების დასრულების ნიშნად. მცირე ხანი ვიმუშავე თბილისში პედაგოგად. უსახსრობის გამო მთელი ხუთი წელი ვმუშაობდი გერმანიაში ბავშვთა მომვლელად და დიასახლისად. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ბათუმიდან საცხოვრებლად გადავედი ჩემს დედულეთში, სოფელ მოედანში, სადაც დღემდე ვცხოვრობ. სწორედ აქ, ამ მამაპაპურ ბუხართან დაიწერა თითქმის ყველა ჩემი ლექსი თუ სიმღერა.

* * *

გალაკტიკურ სავანეში
ანგელოზი დაფნას კონავს,
წიგნში, როგორც სამარეში,
ასვენია აზრთა მონა.
თვალო, ცისკენ დადარილდი,
გუმბათიდან სხივი ჟონავს.
სულო, ხორცთან კვლავ დაწყვილდი,
მიწა იქცა ამბიონად.
რწმენა კანონს გაემიჯნა,
სიტყვამ მწუხრი გადაწონა,
შემოადგა ღვთიურ მიჯნას
პოეზიის დაფიონა.

იმერელთა ხადილ

კოპლიანი თავსაფარი,
დაფქვილული კალთა.
მორგებული სატევარი,
მოკიანთე ბალთა.
უწყინარი ალაღება
საყმაწვილო ჟინის,
აკინძული ფერდს ბაღები,
ბულბულთა ჭიჭინი.
ვერ ვეღირსე სანუკვარი
იმერეთის ნახვას,
კაკაბაძიანთა კარის
გვირისტ - გვირისტ სახვას.
სული წინ-წინ გადამისწრებს,
წავა წადილ-წადილ,
მოძახილით შუკას იკლებს
იმერელთა ხადილ.

ჩემს ბატონას

შველთა ჭალის იადონო,
მოჭიჭინე ტკბილად,
უიმედოდ დამიმონე,
რად დამაგდე წბილად?!
დიადემად - იის კონა,
კაბად - ვარდი შლილა,
მაცდურ აშოლტილხარ გონად,
შენ, ალქაჯთა ჯილა.
ბედის სასწორს, ქვა რომ წონავს,
სავალალოდ თლილა :
მე - მსახური, შენ - ბატონა,
ვერ შევდგებით წყვილად.

მურეშა ხარის სიზმარი

მურეშა ხარად მასიზმრე,
სიზმარო, ღამის ფერმწერო!
პაპის უღელი მაკისრე,
ზედ ნინოს ჯვარი ეწეროს.
მეწყვილედ - გულის რჩეული,
ჩემებრ მოსილი ღარიბად,
კერასთან - დედა გრძნეული,
თბილი ბუხარი - ხარიხად.
მეხრე მასიზმრე, მართალი,
მკურნავდეს მისი გაშოლტვა,
მისი იერით დამფრთხალი,
მტოვებდეს ბრალი და ცოდვა!
ცხოვრებამ გამატარიგა,
წამიგდო ხმელი კოტორი,
შენ დამაპურე, ამ რიგად
ლხინი დამიდგი გოდორით.
მიწა მასიზმრე, ქართული,
ცხადში ვერ ვძღები მზერითა,
მწვანე ჯეჯილით დართული,
შიგ მოგოგმანე მწყერითა! –
რბილია საბან-გობანი,
პურის თავთავზე დარწული.
- ნუ მეურჩები, გოგონი,
ყელთეთრო, გიშერჩაწნულო,
ბალღები გვაყურადებენ,
პეპლის ფრთებს ამოფარულნი...
ცის სარტყელს ხიდად გადებენ
ჩანჩქერნი, კლდით აფაფრულნი.
ჯამი მასიზმრე, სიზმარო,
გარდაცვლილ ძმათა სუფრაზე.
მწდემ მათი ხილვით ვიხარო,
ვამღერო კოკა პირსავსე.
დამლოცვენ, დავილოცები,
ლოცვამ ხე ღამის დააზროს.
კაცნი საქმეს ნუ მოვცდებით,
ჟამი სიზმარშიც ჟამივრობს!

სუფრული

სახვალიო ხარჯი - ხვალეს,
დღეის პური დღეს გატყდება.
წუწკი ღვინოდ ძმარსაც დალევს,
კეთილს წყალი უღვინდება.
ერთი კაცის ვალი, თურმე,
გადაწონის ქვეყნის ვახშსაც,-
ხარობს ჩაგრულთა მეურვე,
მადლის ხნულად გაჭრის ვახშამს.
სიტყვა, მარცვლად ჩაგდებული,
თავთავს გულში გამოისხამს...
სადღეგრძელო დავლურს უვლის,
ლამის, ფრთები გამოისხას.
ხამს დიდება სუფრის თავკაცს,
აქ თამადის სუფევს ნება:
იტყვის, ბრძანებს, ხან დაგვტუქსავს,
მას ვმორჩილობთ ნება-ნება.
ვინძლო, ღვინო შემოგვაკლდეს,
დარდი ამის ნუ გექნება,-
მუხლს ვერ ჩახრის იოლად მწდე,
ხერხს თუ საღვთო ნება ება.
სასმელი თუმც გვეკიდება
დაღლილთ, ამა სოფლის ზრუნვით,
არ გვჩვევია წაკიდება,
ჩვენთან - ლხინი, მტერთან - ზრუნი.
გადაიღე, შეგერგება
ლუკმა, კაცთა ნაჯაფარი.
ჩვენ - წყალობა, მას დიდება,
ვინც ჯვარი, ვით სატევარი,
დაგვიტოვა, სულით გლახაკთ,
ალესილი სიბრძნის ქვაზე,
რომ ცხოვრებამ რაგინდ გვლახოს,
არ შევისვათ ეშმა მხარზე.
ჩვენ - წყალობა, ღმერთს - დიდება! –
პირველთქმული ითქმის ბოლოს,
ხმათა შვიდგზის აზვირთება
დააბრუნებს ჟამთა დოლაბს!

ანა გელაშვილი

სკოლაში ანას მეძახდნენ, მშობლები– ანუკის,მეზობლები – ხან რას, ხან – რას, საახლობლო – ანოს, მეგობრები – ანანოს, მამიდაშვილი – ანუკას, თაყვანისმცემელი ბიჭები – ანის, რამდენიმე მეგობარი – ანიტას, ისეთებიც არიან, ანუშკას, ანუშკის, ანიკუსის, ანასტასიას, რომ მეძახიან... მოკლედ, ჩემი სახელივით მრავალფეროვანი ვარ... ბუნებასავით ხან ისეთი მშვიდი ვარ, ჭიანჭველასაც არ ვაწუხებ, ხან მოვასავით ავღელვდები და შესაძლოა ვინმეც ჩავიყოლო... (დამსახურებულად რა თქმა უნდა). არ მიყვარს ბანალურობა და სწორედ ამიტომ არ დავიწყე ჩემი ავტობიოგრაფია ასე: დავიბადე 1991 წ 24 ივლისს, საცხოვრებელი ადგილი: სურამი. დავამთავრე სურამის მე 3 საჯარო სკოლა. ქალაქ ხაშურში, სასწავლო–საინფორმაციო ცენტრში – ქართული XXI–ში გავიარე კომპიუტერული კურსები! 16 წლიდან ვწერ ჟურნალ "გმაში" რუბრიკა "გმავნილებში" რეალურ ამბებს, აქვე ვაქვეყნებდი ჩემს ლექსებსაც...

დედას!

ისე კრიალებდა წყარო პატარების,
ვგონებ გარეული იყო აიაზმა,
ისე მეძნელები! ისე მეძნელები!
თითქოს, ჩამორეკა სკოლის ბოლო ზარმა...
წუხელ დავადგინე, გულის დამოწმებით,
შენ ხარ ჩემი სულის მთელი ლიტანია,
ისე მანანავებ დიდის მონდომებით,
როგორც, მსუბუქ ქარში, ამ ხეს ნორჩი ტანი...
სად არ დაგიკრიფე, სად არ, ბელადონა,
მაგრამ ვერასოდეს თუმცა ვერ მოგეცი,
უბეს სარჩო მქონდა შენთვის, რომ მეგონა,
სადღაც დამეკარგა პურის ის ნამცეცი!
შენ ხარ ჩემი სულის რაღაც ის ნაწილი,
რომ არ ეკარება ზედაც კაპრიზები,
იქნებ მერე მოგცე სითბო შენი წილი,
უფლის მსახურივით, როცა გავიზდები...
წუხელ დავადგინე, გულის დამოწმებით,
სხვას რომ გავეზარდე, შენთან მოვიდოდი,
ზეცა მოწყდებოდა ადგილს გაღიმებით,
ამ ლექსს სევდისათვის, ბოლო, რომ მოეღო...

ისე მიღუღუნებ გულში ნანასავით,
როგორც, ქარიშხლის დროს ღელავს მშვიდი სუფსა,
შენა ხარ ყველა გრძნობის თავი და თავი,
შენ ხარ როცა მშია პიურით სავსე სუფრა...
შენ ხარ ჩემი სულის რაღაც ის ნაწილი,
ჯერ რომ არასოდეს არ დაღონებულა,
შენთვის რომ გავიღე მადლი, ცას ასული,
გაბრწყინებულა და კიდეც ცხონებულა...
მხოლოდ ლექსის წერას როგორ დავჯერდები,
როცა ყველა სიტყვა ერთობ ზედმეტია,
ჩიტის ხელა გულში, ეს გამკვირვებია,
შენი სიყვარული, როგორ დამეტია!
ისე კრიალებდა წყარო პატარების,
ვგონებ გარეული იყო აიაზმა,
ისე მეძნელები! ისე მეძნელები!
თითქოს, ჩამორეკა სკოლის ბოლო ზარმა...

* * *

სისულელეა რაც დავწერე ცაზე, ღრუბლებზე,
გინდაც ჩემიდან წასულებზე, დაკარგულებზე,
კარგ გუნებაზე რაც დავწერე ვინანე ყველა,
ახლა ვინანე მონატრება რომ გამეწელა...
ან სულაც დარდად ეს ბუნება რას გავიხადე,
ან და კარგ ბედზე ჩემი ფიქრი რატომ გავზარდე
ახლა ვინანე ,ახლა ვიმტვრიე თავში ხელები,
კარგის ძებნაში რომ დავკარგე დღეები წლები...
სისულელეა ყველა ღამე სადაც ვეფერე,
სწორედ ვინანე დილის ნამო რომ არ გემტერე,
ახლა ვინანე ცის მწვერვალზე ასვლა რომ ვცადე
და სინანული სიხარულში რომ გადავცვალე...
ახლა ვინანე ყველაფერი რაც გავიარე
ოხ,რატომ ყოფა შენი გზებით არ მოვიარე!
სისულელეა... ღმერთო ყველგან სისულელეა,
სადაც არა ხარ და არ სუფევ - სისულელეა..."

უკაცრავად, ბუნება ხომ არ გაგიჟებულა...

"უკაცრავად, ბუნება ხომ არ გაგიჟებულა?!
ჯერ ზაფხული არ გასულა,უკვე გაწვიმებულა,
ვარდის ნაცვლად ია-ია ურცხვად გალაღებულა,
ეს მზე კიდევ დღის ბატონი სულ მთლად დამდაბლებულა!
ზეცა ნახე, ვახ მე, ვახ მე, როგორ დამუნჯებულა,
დანამული გვირილა კი ჩირგვში გაყუჩებულა,
ამისთანა არ მინახავს, მზეს რომ ბნელი სჯობნიდეს,
ან და ზამთარს მეტიჩრობის თავხედობა ყოფნიდეს,
არ წავალო არაფრითო, წვიმა გაჯიქებულა,
უკაცრავად ბუნება ხომ არ გაგიჟებულა?!"

სიშორე

"აზიდულო ცის პირისპირ ქარაფო...
იმ კლდის წვერზე მოქცეულხარ წაწალო,
მოიწიე! მინდა გელაპარაკო,
მოგეფერო, თანაც ვნება დავცალო...
ეგ სიშორე! მკლავს და სურვილს მიმძლავრებს,
ავაშენო ცის კიდემდე კარიბჭე,
მივეწებო,მივეკედლო მაგ მკლავებს,
სიყვარულს და სიმშვიდეს რომ მანიჭებს...
ეგ სიშორე, ეგ სიშორე მაფუჭებს,
მიმატოვე, დამივიწყე, გამცვალე,
მომშორდი თქო თუ დაცდება ამ ტუჩებს,
ან თუ კიდევ მოსულს არ გენაცვალე...
ეგ სიშორე, ეგ სიშორე მაფერხებს,
დავიცალო, დავიწრიტო ვნებისგან,
უშენობას გული ვეღარ ახერხებს,
მოიწიე, მიხსენ დარაბებისგან!
ცხრა მთას იქით უგზოდ-გადაკარგულო,
დამენახე! მომეახლე წაწალო,
ჩემს ეზოში ია-ვარდად დარგულო,
მოდი სითბო ერთმანეთში გავცვალოთ..."

სათხოვარი ყვავილს

"ზამთრის პირას ამოსულო ყვავილო,
დაგკრიფო თუ დაგარჩინო? რა გიყო...
ჩემი დარდი სხვას ვის ვუთხრა, აბა ვის,
მინდა შენ ერთს ,მხოლოდ შენ ერთს გაგიყო..
პაწაწინა ნამიანო ყვავილო,
რომ შეგაქო, რა სიტყვებით შეგაქო,
რად მოხვედი, სიცივეში, ყინვაში,
არა გცივა? ქვის გული ხომ არ გაქო?
სალათისფრად შეგიღებავს ფურცლები,
ესალმები წვიმასა და მზის სხივებს,
შიშველი რომ ამოსულხარ მიწიდან,
შეიმოსე... თორემ უკვე იწვიმებს...
რაც გითხარი ჩვენში დარჩეს ლურჯთვალავ,
უარი არ გამიბედო დობაში,
გეხვეწები როცა წახვალ იმ ქვეყნად,
ჩემი დარდი ჩაიყოლე მიწაში..."

გაგა გომართელი

გაგა გომართელი დაიბადა 1978 წლის 1 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

გამოშვებული აქვს ლექსების კრებული - ჩემს მომავალ თაობას".

აქტიურად მონაწილეობს საქველმოქმედო საღამოებში

ძმათა

დამდუღრებულა საგულე, ფიქრმა გონება დაბურა
დადუხჭირებულ ყოფაში, ძმათათვის სათქმელს ვაგროვებ
ვაი თუ ვერ გაგვივლია გზები სავალი კაცურად
ვაი თუ შთამომავალთა სახსენებლად არ ვვარგოდეთ
ფიქრების კორიანტელი მეხვევა დარად ნისლების
ნამოქმედარი მაშინებს, რა სუნთქვით ვკვებავთ მომავალს
ნუთუ სიკეთეს არ ვგუობთ, ავი ზრახვებით ვივსებით
ამპარტავანების თავადნი, თავად მამონას მონა ვართ?
გულს სატკივარი ამძიმებს, უბედურ წლებში ნაზარდნი
სიცოცხლეც ისე ვიტვირთეთ რომ სინანული რთულია
ღმერთო ისმინე ცოდვილთა, ჩემი თაობის ღაღადი
და აღადგინე სულებში, რაც ცოდვით დანაცრულია
რამდენი მოყმე შევწირეთ, ხრიკებს მუხთალი სატანის
ვინ აცხოს აწი სალბუნი, სხეულებს დაფხვრილ ნაწამებს
არ არის ჩვენი ადგილი სად ნეტარებენ მართალნი
რადგან ვითხოვდით მკაცრად და მოგვეთხოვება მკაცრადვე
იქნებ წყალობა მოიღოს,შეგვინდოს ცოდვა ბავშვობის
ავმა ჟამთასვლამ გვმართა და ზღვა ცოდვებს დავჯახებივართ
მაგრამ ხომ მაინც ამ მიწის, ვაზის მტევნად ვართ ნაშობნი
ხომ მაინც გვიყვარს ღმერთი და ხომ მაინც ქართველები ვართ
ძმებო იქნება დავძლიოთ, ამაო სოფლის სიცუდე
ძალა მოვნახოთ სულებში, ჩავკლათ ჩვევები სასტიკი
რომ გაყინული გულები, სიკეთის ხმობად გვიხურდეს
აღხოცილ გვყავდეს ბოროტი, მაცდუნებელი ასპიტი
რომ სამომავლოდ არ დავრჩეთ, საძაგებ-საგინებელნი
ვინც ჩვენი გზებით გაივლის არ დახვდეს წინ გეენია
გამოვაღვიძოთ ქართული სული სიკეთის მხლებელი
და მიტევებად ვაქციოთ რაც კი ვერ დაგვითმენია

თვალის გუგებში ჩამოდგეს, მონატრებული სიმშვიდე
ნაცვლად შხამის და შურისა, კვებად გვეღირსოს მანანა
ის გული გამოვიცვალოთ სად ჯოჯოხეთის შიში ძგერს
ღმერთამდე შევძლოთ ერთურთის მოძმე სულების ატანა
გავიგოთ რასაც ბუნება ღმერთის ენაზე ბაასობს
გაზაფხულს შევხვდეთ ლაღები, არ გლისპნი, ნამარხულები
რომ ზენამ მადლის სხივებით მკვდარი გულები გაავსოს
სიბნელით სხივგამოცლილი და მონანული გულები
გვეყო ტკივილი განცდები, ფუჭი აზრების ქადაგი
რაც მხოლოდ ხორცის საპოხად და საამებლად ვარგოდეს
სამშობლო მიწამ გვიშვილოს, წვიმად გვაგემოს ბადაგი
ჩვენს საფლავებზე სახსოვრად წითელი კვერცხი გაგორდეს
მაშ ძმებო გამოვიღვიძოთ, დროს ვეღარ ავედევნებით
ჩვენ ხომ სამშობლოს დამცხრალი, ჩაძინებული ხმლები ვართ
გვახსოვდეს მაინც ვენახის ვართ ქარვისფერი მტევნები
ხომ მაინც გვიყვარს ღმერთი და ხომ მაინც ქართველები ვართ

გამოზამთრება

მიწას ახურებს ვარდების ეშხი
და სურნელება მრავალ ყვავილის
მე შენი გული მიჭირავს ხელში
ბუდიდან ფრთხილად ამოყვანილი
ყველგან მოისმის შრიალი ხეთა
ნაზამთრალ სივრცის ჩუმი მდგმურების
და იცი ახლა ყველაზე მეტად
მსურს შენს განცდებში დასადგურება
ბობოქარ დროსთან ბრძოლაში დამშვრალს
მხსნელად მიგზავნის განგება ნიავს
შენი სურნელით გაჟღენთილ თავშალს
მოგონებები ალერსით მიაქვს
ფიქრი სხეულის თონეში იწვის
გეძებდი იქნებ დავიგვიანე?
მაშ მიპასუხე გიპოვნე რისთვის?
ნუთუ რომ ლექსში დამეფრთიანე

იქნებს წყალობად ეული სულის
მოსალბუნებად აღმოგაჩინე
ვით ზამთრის შემდეგ ხმა გაზაფხულის
ათას ბგერაში გამოგარჩიე
სიცოცხლის ქარში, ბუღსა და მტვერში
აღარ მადარდებს ტანჯვა განვლილი
მე შენი გული მიჭირავს ხელში
ბუდიდან ფრთხილად ამოყვანილი.

***

სხივგამოცლილი ბინდია ზამთრის
გარინდებული, ობოლი, ჩუმი
ფოთლებს გარდაცვლილს, მიწაზე დაყრილს
ედება ნისლი ვით აბრეშუმი
ეს მერამდენედ გავდივარ ხიდზე
ვინმე იკითხავს? განა ვინ მოთვლის?
სუსხი ცინიზმის ნიღაბით მიმზერს
ჩემი სულიდან ამოყავს ორთქლი
ხეებიც დგანან უიმედონი
დღეებს უთვლიან ზამთრის კალენდარს
სიცარიელე მიმსხვერპლებს მგონი
შიგნიდან უფრო ვიდრე გარედან
სუსხი აწყდება მშიერ შენობებს
ბუნების ავი მარადიორი
მინდა სიცოცხლე ისე მჯეროდეს
ვით უკვდავება გალაკტიონის
სხივგამოცლილი ბინდია ზამთრის
სიცოცხლის სუნი არსად იგრძნობა
ფოთლებს გარდაცვლილს, მიწაზე დაყრილს
მე ვუსამძიმრებ უამინდობას.

კარი დაიხურა

წვიმა თავს იგიჟებს
მთებში ძილი მეფობს
ბარში ჟრიამული
ლექსი ძველებურად სულში ამიხურდა
ლექსი როგორც განცდა, როგორც სინანული
და ვინც მომიყვანა
ცოდვილ საგიჟეთში
ვატყობ რაც გამანდო
სულაც არ იხუმრა
ლექსი გამქრალა და
ახლა შიში მერჩის
შავმა სასაფლაომ კუბო ჩაიხუტა
წვიმა თავს იგიჟებს
მთებში ძილი მეფობს
ახლა მარტოობა უფრო გამირთულდა
ლექსი გამეყინა, ვატან წვიმის შხეფებს
მე გამასვენეს და კარიც დაიხურა .

ხსოვნა

სიმშვიდე გარეთ, გულში ხმაური
აწყდება მწარე ცრემლი კაბადონს
ანაზდეული და უცნაური
ვფიქრობ ფიქრები სტრიქონს გავანდო
ვერავინ ვპოვე მესაიდუმლე
და სანუგეშოდ არ მყავს არავინ
არ ვეტნანები, სახლებს, ტიტულებს
უბრალოების მიდგას კარავი
სევდაა განცდა მხოლოდ და მხოლოდ
რა ვქნა თუ გულიც სევდით დავხაზე
ვზივარ და ვუმზერ ცარიელ კოლოფს
საკუთარ ორთქლის ვურტყამ ნაფაზებს
დაუნდობელი ყოფილა ბოლოს
სულის მხვრეპავი დროის მორევი
ამახსოვრდებით ლექსებით მხოლოდ
ისე კი არვის ამახსოვრდები.

ჯაბა გორგილაძე

ჯაბა - დაიბადა 1989 წლის 19 აპრილს ხულოს რაიონის ულამაზეს სოფელში სხალთა. ხულოს, ისტორიული მემო აჭარა, სამ ხეობას აერთიანებს. ხეობებს შორის გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატურ-რელიეფური პირობებით, ფლორა-ფაუნით, თავისი ისტორიით გამოირჩევა სხალთა-ხიხანი. სხალთა ულამაზესი სოფელია. იგი ხეობის ფერდობებზე დაბურულია მდიდარი ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით. ეს ხეობა უხვია მდინარეებით. მაშინ რა გასაკვირია, რომ აქ, ასეთ სილამაზეში გაზრდილმა ყმაწვილმა კაცმა, გულით და სულით შეიყვარა მისი ღელე-ღურდანი, და არამარტო მისი დაბადების ადგილი, არამედ მთელი საქართველოს მიწა. გულიდან ამოსდის ჯაბას თითოეული სიტყვა, რომელიც ისარივით ერჭობა მკითხველის გულს. ჯაბა გახლავთ „ჩანაწერები ინგას უბნიდან „პირველი კრებულის ერთ-ერთი ავტორი.

***

არ მთავრდებოდა, იწყებოდა,
ღამე ქარგავდა მთვარეს,
სახეს, ღიმილიან თვალებს,
ვუყურებდი და მელანდებოდა,
ხელში მეჭირა ზეცა,
მეცა.... თეთრი კაბა გეცვა.
გხედავდი მხოლოდ უსასრულობაში.
ფილმში ანგელოზის როლში.
არ მთავრდებოდი, იწყებოდა,
ფიფქები დნებოდა თოვლში,
ყველა სეზონი თვალწინ იდგა,
წელიწადი წამად გადაიქცა,
ფიქრები აფრქვევდა მონატრებას,
ხოდა გამიკვირდა, შორს სადღაც ნიცა,
ვენეცია, პარიზის კოშკში,
იქაც და ყველგან დამსდევდა ლანდი,
ვიყავი რობოტი უსუსური შოკში.
ღამე - უსასრული მე და მთვარე, მესამე დარდი.
რაიყო? ვერ გეტყვი , უბრალოდ ის ვიცი შენ იყავი,
იმ ერთ ღამეში ყველაზე და ყველაფერზე მეტად რომ მიყვარდი.

***

ვერ დავიტიე სიკეთე,
გული ბოროტებამ ჭამა,
არ ვიცი დღემდე ვაკეთე
რაც მაგრძნობინა ქალმა?
ვთესე და ვხანი ვენახი,
მივეცი ლუკმა ობოლს,
მზეა, ზაფხულის ამინდი,
ჩემს ვენახში კი მოთოვს!
ერთია, მიყვარს ცხოვრება,
უფალს წყალობას შევთხოვ,
ჰო, და რაც მიკეთებია,
უფრო უკეთესს ვითხოვ,.
მაგინებს დრო და დროება,
ჟამია ზამთრის თითქოს,
გული მახეში გაება,
სატანა ჩემ თავს ითხოვს!
დავნებდი, მგონი დავეცი,
ადგომას შენით ველი,
გზა სინათლისა მოვჭერი,
გავნაგრძე რთული, ბნელი.
რწმენა, რაც მქონდა, დავკარგე,
წყალს გავატანე კარგიც,
ვისაც აქამდის ვუყვარდი,
აწმყოს ვახვედრე დარდიც!
ვერ გავიზარდე მეგონა,
ქართული სულის კაცი.
ამდენი ზიზღით და შურით
ცხოვრებისაგან მკაცრი!

***

ცა ხატავდა უფუნჯოდ, ბერწი ღამის სიუჟეტს,
ქსოვდა მთვარე ობოლი, ოცნებაში ვარსკვლავებს,
ვხედავ უნდო სამყაროს, ვითვლი ოქროს მონეტებს,
ვერ ვიპოვე სამოთხე, უღმერთობა
მადარდებს!
ჟამი ითხოვს სიყალბეს, ფერადია დროება,
შავ-თეთრ კადრში აღვიქვი მთელი ჩემი ცხოვრება.
სულ სხვა ჟანრი მეგონა კაცში სულის ზნეობა,
ღამეს მთვარე შვენის და ღატაკს ჩვენი მხნეობა!

***

ნენეი უკვე ჯვარსაც აღარ ხატავს მჭადზე,
მიწაი ჩვენი თურქმა შეისყიდა ზურაბ!
ბადიშს აღარ უმღერიან იმ ძველ იავნანას!
გულს შიგნით, რომ ფლეთდა ბაბაის
მარჯვე ზურაბ!
მარადიდში ყავარს ვინ ხლიჩავს სიმაგრისთვის!
კითხულობს ჰოიდა-ნანას კუთხის სიმაღლისთვის?!
საცხან წევდა ჟინი სული მზე და მთვარე!
წლებს ტკივილი მოაქვს, ტკივილს
დარდი მწარე!
სხალთის ზარებს მაშინ ჩუმად რეკდი
მთავარს?
ეხლა სხალთას უნაცვლებენ თურქულ აკვანს!
ფულის ნაცვლად გავატანდით რწმენას, მავანს!
აჭარლობას დალოცავდი ზურაბ ამგვარს?!
ჰოიდა ნანა მოსასმენი გახდა მხოლოდ!
მაპატიე ზურაბ ქცევად ვერ ვაქციე!
აჭარლობა შენებური აჭარლობა!
ფესვიანი , გულ- მართალი აჭარლობა!
მხოლოდ!

***

ღმერთი და მე
ცა ხატავდა მზის სხივების ვერტიკალს,
დედამიწა იდგა ამოზნექილი,
ორსულივით, ისე ფეხზე ვერც კი დგას
უნიათოდ, ძალზე ამოქერქილი
ზღვა ტალღებში ზეცას აქუცმაცებდა,
სანაპირო სიმარტოვეს მიკლავდა,
ვფიქრობდი და ფიქრი მადიდკაცებდა,
მხოლოდ მარტო ჩემი ღმერთი მიყვარდა.
ეგოისტი, სხეულს მძიმედ ვათრევდი,
ვერ მიგებდა ვებერთელა სამყარო,
ვიპარავდი, მშიერს ტანზე ვაცმევდი.
სულელს მსურდა, გულით სითბო ვატარო,
მსურდა, მაშინ სულ სხვაგვარად მეგონა.
სამართალი თურმე გარდაიცვალა ჰოდა,
ჰოდა, ჩემში მთელი მოვლენა,
გაშავდა და უცებ ფერი იცვალა.
ზღვა ტალღებში ზეცას აქუცმაცებდა,
სანაპირო სიმარტოვეს მიკლავდა,
ვფიქრობდი და ფიქრი მადიდკაცებდა,
მხოლოდ მარტო ჩემი ღმერთი მიყვარდა.

მაყვალა დავლაძე

მაყვალა დავლაძე 1959წლის 30 მარტს დაიბადა ყველაზე ლამაზ ქალაქ ბათუმში. 1976 წელს წარმატებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის მე-2 საშუალო სკოლა. 1979 ჩაირიცხა და 1984 წელს დაამთავრა ქალაქ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაწყებითი განათლების და მეთოდიკის სპეციალობით. 2007 წლიდან ეწევა შემოქმედებით საქმიანობას. ლექსებს და მუსიკას პატარაობიდან წერს. 2010 წლიდან კი მუშაობას იწყებს მომღერალთა დუეტთან - „არტი“. ლექსზე „გწამდეს ჩემი სიყვარულის“ ახალი სიმღერა შექმნა, რომელმაც მაყვალა დავლაძეს და დუეტს წარმატებები მოუტანა. 2013 წელს გამოცემულ პირველ კრებულს მაყვალამ “ფერთა ჰარმონია“ შეარქვა. მაყვალა გახლავთ „ჩანაწერები ინგას უბნიდან „პირველი და მესამე კრებულების ერთ-ერთი წარმატებული ავტორი.

ეს, საქართველო მდუმარედ ტირის!

მთვარის ანარეკლს ლანდად მივყვები,
ჩემი სსეულის ორეულის თანაზიარით,
ბებერ ციხეთა სათობურებში მოხეტიალე,
არ გაიკვირვოთ ასე გვიან ჩემი სტუმრობით.
მდელო მკრთალ შუქზე მეწამულს მოჭგავს,
ნაწვიმარ ბილიკს ლანჩი ეკვრება,
დავიწყებული სიმღერა როკავს,
ჩემს ამონამღერს სევდა ეწყობა...
სევდა , ტკივილი ჩვენი ყოფისა,
ყოველდღიური ცხოვრების ფორმა,
ისე მოგვერგო დღევანდელობას,
ვეღარ შევხდებით მომღიმარ მზერას..
და ეს ლანდები კვეთენ შარაგზას,
ამორძალები დღიური ყოფის
ღამის ზმანებად გადახვეწილნი
კვლავ ზეიმობენ ოხვრით და ტანჯვით...
საკუთარ თავში ,ფიქრების ხვედრით,
მზერას ვაფხიზლებ ღამის წყვდიადში,
კითხვები მესხმის ქარიშხალივით,
ქარის წისქვილი ტრიალებს ცაში..
ვეძებ აპრილის ხასხასა ფერებს,
ობობას ქსელში გაბმული ლანდით,

ქართველ მეფეთა სავანე კვნესის,
დროა დაღწევის! ერთიანობის!!!
ზეცას ავდარად ჩამოსტყდა პირი,
ეს საქართველო მდუმარედ სტირის!
საშიშიაო ზანტი მდინარე,
უმოქმედობით ნელ-ნელა დაგღლის...
ფესვებს ვამაგრებთ,ხე არ წაგვექცეს,
და გაზაფხულზე ისევ ამწვანდეს,
რაც იყო უკვე აღარ მაშინებს,
ვდგავართ უხილავ გზაჯვარედინზე.
მთვარის ანარეკლს ლანდად მივყვები,
ჩემი სსეულის ორეულის თანაზიარით,
ბებერ ციხეთა სათობურებში მოხეტიალე,
არ გაიკვირვოთ ასე გვიან ჩემი სტუმრობით.

სიყვარულის და გრძნობის ფიალა

მიყრილ-მოყრილან თეთრი ფურცლები,
თეთრი მუზები სხივთმოფენილნი,
ჩემს სამყაროში მიყვარს მსახური,
მას ესმის ჩემი ნაფიქრალები.
რამდენი ღამე, რამდენი წუთი,
ამ სამყაროში შვებად მიგვრძვნია,
რამდენი ლექსი ფრთეშემსხვრეული,
ჯავრად და სევდათ გამირითმია.
მხოლოდ მან იცის ჩემი ტკივილი,
მხოლოდ მან იცის ყველაზე მეტად,
რას ვაკეთებ და რისთვის მოველი,
ბოლომდე ჩემთვის განუყოფელი.
იღბალიც აქვე ჩემი იმედი..
ასე მძაფრად, რომ შემომეხვია,
ერთად ვბერდებით, ერთად მოვდივართ.
მისი იმედი ჩემი ხვედრია.
სიყვარულის და გრძნობის ფიალა,
ჩემმა სამყარომ შემომაგება,
მეც დავიცლები ფიალასავით,
მოგეფერებით..., შემომათენდა..

მიყრილ-მოყრილან თეთრი ფურცლები,
თეთრი მუზები სხივთმოფენილნი,
ჩემს სამყაროში მიყვარს მსახური,
მას ესმის ჩემი ნაფიქრალები...
ძლიერ მიყვარხართ!

ჩემი მშობელი

აივნის ჩეროში ზის ჩემი მოხუცი,
წლების სიჭარმაგე უფარავს თვალს,
ჩუმად მივეპარე , ნაზად ვეამბორე,
შეკრთა,შემომხვია მკლავები მან.
მასთან საუბარი ისე გაგიტაცებს,
ისე გადაგისვრის წარსულის ჟამს,
თითქოს მეც ვცხოვრობდი იმ საუკუნეში,
თითქოს წინაპრები ცოცხალნი მყავს....
და ის ისტორია,ჩვები მამა-პაპის,
რეპრესიები,ომი და კვლა,
წარსულის მოტივები , ანდერძი ახსენებს
მგზნებარე ვაჟკაცობის გმირობის კვალს.
ყოველთვის ვსაუბრობთ წარსულზე,
მომავალზე, ვამაყობ ძლიერი მუხტი
რომ გვაქვს, მისთვის ისტორია
წმინდათა წმინდაა..ბზარი შეჰპარვია
მის ლამაზ ხმას...
დავტკბები, მოვისმენ, გულში
ჩავეკვრები, იქ დედის სითბოსაც
მოვძებნი თან.
მერე წამოვდგები ფიქრით დახუნძლული,
დავემშვიდობები ჩემს მოხუცს კვლავ.
მალე, მალე მოდი, ჩუმად ჩამჩურჩულებს,
სევდიან თვალებით მზერას რომ ჰკლავს,
ზვიადი მოხუცი მელის ყოველ დილით,
აივნის ჩეროდან გაჰყურებს გზას.
სიბერე სიბრალულის ასლი გამხდარა,
სიბერეს არაფერი არ უდგას წინ,
დღეს ახალგაზრდა ხარ, ხვალ კი დაბერდები,
ასე ვინაწილებთ ცხოვრების წილს.

დრო მოდის გაზაფხულისა

დრო მოდის გაზაფხულისა,
აპრილი ჩვილი კვირტებით,
ბედნიერებას მოგვაფრქვევს
მარტი იების სურნელით.
კვლავ მიყვარს...კვლავ ვიხარჯები,
უხილავი და ხილული
გრძნობების ორომტრიალში.
ისევ იღვიძებს ბუნება..
მზე მთვარეს გადააცილებს.
ჟღერს შორეული ჰანგებით,
წარსულის ნაფეხურები,
ქარიან ამინდს მივანდე,
გათანგულ....გადათელილნი..
დრო მოდის გაზაფხულისა,
მარტის ხაბარდა ფერებით,
შეჩითულ... მიმოკვირტულა
ფიქრები ნაზამთრალევი.
გაზაფხულს,ნოტიო ჰაერს,
ხარბათ ვისუნთქავ ამ გრძნობით,
ცა ღრუბლებიდან გამოვა,
კრიალა და უცოდველი.
პატარა მდელოს ხასხასას
იები სტუმრობს მარტის თვის,
და მოჟივჟივე ჩიტუნებს
ალერსით უმზერს მზის სხივი.
დრო მოდის გაზაფხულისა,
აპრილი ჩვილი კვირტებით,
ბედნიერებას მოგვაფრქვევს
მარტი იების სურნელით.

გავიღიმოთ...

გავიღიმოთ!
უბრალოდ,ერთმანეთს ვაჩუქოთ ღიმილი,
ცხოვრება კვლავაც ძველი გზით მიდის,
ეშმაკეულებს დასჩემდათ შიში....
დასჯილ ბავშვივით.....
გავიღიმოთ!
მზე, ზეცის ფარი, სხივებს გვიგზავნის,
ცა ღვარძლით იწვის,ვერ იტევს ნაღველს,
და ამ ცხოვრების არეულ დავთრებს,
გვერდზე გადავდებთ...გავერიდებით...
გული ივსება ღელვით და დარდით,
დღე კანკალ-კანკალ მიეგორება.
მშობლიურ ჰანგის ისმის მოტივი
გულს რომ მალამოდ ჩაეღვენთება.
გავიღიმოთ!
უბრალოდ ერთმანეთს ვაჩუქოთ ღიმილი,
გზა მომავლისკენ მიმავალი გადავარჩინოთ!
ნუ გავქვავდებით, ნუ დავეცემით,
სიყვარულს ვუხმოთ, სიკეთის კვარით.
ჩვენ დავიღალეთ!
სიჩუმის ზღვაში იძირება ჩვენი ფიქრები,
სხვა არაფერი, სხვა არაფერი დამრჩა სათქმელი,
ჩვენ გადავრჩებით...
არ მიხუროთ სახლის კარები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს რწმენა,იმედი,
და ვიყვეთ ცხოვრების სიკეთის მეკვლე,
რათა გავუძლოთ დაგესლილ ეკლებს,
ბედის დაცინვას და ირონიას.
გავიღიმოთ....ვაჩუქოთ ერთმანეთს ღიმილი.

ირაკლი დეისაძე

დავიბადე მკვდარი, ან გარდაცვლილი, ან უფრო სუნთქვას შეგარმაცებული და უუნარო. ეს ღმერთმა უწყის, მთავარია, რომ გავეგარდე ქალაქს, რომელსაც უამრავი მისაბაძი გაეგარდა. 1988 წლის სექტემბრის ხუთში ამოვიხვნეშე და ფილტვები გავხსენი ჩემდა, ან თქვენდა ჭირად. ჭირსაც წაუღია ჭირი.... დედ-მამა იმდენად მახსენდება, რამდენადაც ვხედავ მათ, ან უკვე ნაოჭიან სიმტკიცეს. ძმები, ჩემი ექოები, ჩემი ამოძახილები და ღირსებანი, გამომიქანდაკა განგებამ, უფრო მეტი სიყვარულის მოსაპოვებლად. არასოდეს ვყოფილვარ დედისერთა, არასოდეს ვყოფილვარ ობოლი და მაინც, მაკლია, მაკლია რაღაც. არამგონია მსგავსი ავტობიოგრაფია დაბეჭდოს ვინმემ სერიოზულ გამოცემაში, მაგრამ მე მოვრჩი...

სრული ემოცია

წუხელ პატარა ძმა ჩამაკლა ხელში სიზმარმა,
არც არასოდეს არ მენახა მსგავსი კოშმარი,
თითქოს ალუბლის ხეივანში გარდაიცვალა
და ალუბლისვე ყვავილები, სიმწრით მომჭკნარი,
ზედ დავაყარე. დიდხანს ვზვერე, როგორც ლაზარე,
თუ აღდგებოდა მკვდრეთით, ანდა ღმერთი იესო,
თუ აღადგენდა, ინტერესი მკლავდა. მაცალე
ღამევ რატომღაც მოლოდინი. მერე მეასე
მზე ამოწვერდა ალუბლებში. მესმა ოსანა,
მზით დაკაწრული ჰაერიდან გალობდა სიო,
და მე შიშველმა, სიზმარშივე შეუმოსავმა
სიოს აღმდგარი მკვდრების ვთხოვე რატომღაც სია.
მან კი, მითხრა, რომ ვუყვარდი და გულით ვტკიოდი,
რომ მოვენატრე და ბავშვობის სურდა მოხილვა,
მითხრა ყოველი, როგორ ნახა, ვით მიკიოტი,
რომ მივკიოდი სხეულს მისას და ეს, რომ ღირდა
გარდაცვალებად, სიყვარული რადგან სხვაგვარი
გამომძალა და როგორც ღმერთმა შერთო ოსიას
მეძავი, ისე შემაუღლა მასთან. ვახარე
როგორ სიკვდილში, ესეც მითხრა... შიშმა მოსწია
ჩემი გონების სივრცისაკენ უცებ ღვიძილი,
მხარე ვიცვალე, შევუბრუნე ძმის გულს სხეული,
ცოცხალი იყო, ან საიდან მასთან სიკვდილი?
ის ხომ ჯერ კიდევ მიწის არის ახალ წვეული.

და ხელი, მაინც, გულს დავადე მისას კანკალით,
ხელი, რომელი ხელიც მოხვდა გულის არეში.
ოფლად ვიქეცი. ღმერთს ვთხოვე, რომ იქნებ მაკმაროს
მსგავსი კოშმარი და წარსული ამოვახვნეშე.
დღე წაბანცალდა და ღამეულ ტალახს შეზავდა.
ჩემი ძმის ხელი გულზე მიდევს, როგორც სამყაროს
კაცობრიობა. თან ღმერთ შევთხოვ, შემოეზარდა
რადგან გულს - ღმერთო, ის რაც იყო, იყო. მაკმარე.

თავისუფალი ლექსი

დამღალა ქაოსმა.
მწყურია სიმშვიდე,
რომელიც იქ არის
სადაც ზღვის ღრიალს და ცის ტიტინს
წერტილი დუმილმა დაუსვა
და სადაც ანგელოზს აცვია სტიქარი.

გეძებდი თვალებით.
გრიგალმა მომტაცა სამყაროს ფანჯრიდან,
დაჩოქილს,
დილის მზე.
აქ მხოლოდ წყვდიადის მორჩილი ყვავები ჩხავიან,
არ გასახარებნი
და პასუხს არავინ იძლევა ტირილზე.

კოსმოსი იხრწნება,
ცის თაღი ჭიანობს, რომელიც ვერ არის
ის სივრცე,
სადაც მზის მხურვალე ამოსვლა იწყება
და სადაც ნათელი ბინადრობს, სიცოცხლის მარადი მხედარი.
განდევნეს მართლები...
ჩაგვრასაც თავისი ბორკილი დავადო იქნება როდისმე...
ცოტაც და მოვკვდები,
მდუმარე სამარხში ჩავწვები და დავსამარდები,
რომელშიც სიჩუმის სიმღერას მოვისმენ.

ჩემს თავს
მზე წაკიდებია აკიდოებს...
ცოტაც, გადაგლეკავს ნიაღვარი.
გულში, თუ რამ ბოღმას დაგიტოვებს
მთელი დედამიწა მიაყარე.
ბებლებს ჯადო უკვე შეუკვანძავთ,
სულში ძვრებიან და აბინდებენ.
მალე შეგარქმევენ შეურაცხადს,
შენ კი, მათ ნურაფერს დაპირდები,
ნურც ბილწს გაიმეტებ შესიტყვებას.
უღრანს წვიმის კოჰორტს ალუმპავენ.
ასე არაფერი შეიცვლება,
ხო და უეჭველად დაგღუპავენ.
შენი სუიციდი გაიხსენე,
მერე სიცოცხლეში მობრუნება.
მიდი, ეგ სხეული გაიხსენი,
თორემ დაგიღეჭავს მოგონება
ყველა სიგიჟეს და ახარხარებს
შენს მტრებს ბოროტების მასპინძელი.
მტერი არასოდეს გაგახარებს,
ხო და ადექი და გაინძერი,

თორე გადაგლეკავს ნიაღვარი

გულში სიბოროტეს დაგიტოვებს.
ადე, სიყვარული მიაყარე
მზეწაკიდებულ აკიდოებს.
გბარდები
შენ, გქვია ევა...
გოლიათებმა ზეცას დახსნეს ცისკრის ფარდები.
დღე მოიფონა სილაჟვარდის მომსხვილო მტევან-
მარცვლებით.
ვდგავარ ქაოსში და უხმოდ გბარდები.
ვმარცხდები.
ომის მოქიშპეა გრძნობათა აბრა.
კრიახი მთების მოუღრუბლავს მარცვლებს და ცივა.
ცოტაც და ისევ გადალეკავს სამყაროს წარღვნა

და აღსრულდება ,,შურისგების“ დიადი წირვა.
მე, მქვია ადამ...
მომღალა სევდამ,საიქიოს ვგავარ და მიღმა
გავდივარ,
როგორც მეამბოხე წყვდიადის სიღრმე.
თუ გმირი ვიყავ, თუ მშველელი, აღარ ვარ, აღარ...
გოლიათებთან ვდგავარ.
ადრე, თუ მერქვა სიყრმე,
ახლა მომღამა გოლიათთა თვალებში ღალვამ.
სიცივე მტეხავს შუაღამის სიზმრებით მოსილს,
მთვლემარე განცდის სიმაღლეზე თავს ხეთქავს წნევა.
ჩემი ძვალი ხარ, ჩემი სისხლი, სული და ხორცი,
ჩემი სუნთქვა ხარ მარადისი...
შენ, გქვია ევა.
სულს მივცემ უხმოდ, თუ დამჭირდა შენამდე მოსვლა,
მე შენში მთელი მომავალის სიცხადეს ვხატავ,
ვარ ძვალი შენი, სისხლი შენი, სული და ხორცი,
სუნთქვა ვარ შენი მარადისი...
მე, მქვია ადამ.

შემოდგომის ბალადა

გახსოვს? შენ გეცვა შემოდგომა, დროს რომ მოხიე.
დროს მოყვითალო ალიონის მოხსნეს ნიღაბი.
მერე აცივდა, ათრთოლდი და ხელი მოგხვიე,
სითბო არ გეყო და ზაფხულის მზესთან მიმყავდი.
გზა დაიპენტა ფოთოლცვენით. თოვლმა დაფარა
ზაფხულის მზესთან მიმავალი ყველა ბილიკი.
ჩვენ გავიარეთ ზარზმა, მერე ცივი საფარა
გადაგვაფარა ბერმა. უკან მოგვრჩა კვირიკე.
ცოტა ჩამოთბა. აგრილებულ სუნთქვას ჰაერის
ჩამოეთოშა შენი ბაგის ბოლო კანკალი,
ვიდექი ქართან და ღრუბლებში გასაფლავებდი.
ასე მოხდა და სამწუხაროდ ისე დაგკარგე
რომ ზაფხულის მზის აზვირთება- სხივთა ქარიზმა,
ვერ შევუგუე შენს ხასიათს. მე იქ მიმყავდი
სადაც სიცოცხლემ სიყვარული დაგვიხარისხა,
სადაც გიყვარდი.

თაფლო ზარიძე

დაბადების ადგილი; სიყვარულეთი.

წინა ცხოვრებაში თეთრი ვარდი ვიყავი - ზეციური სიყვარულის სიმბოლო.

ახლა; უფრო უსხეულო ვარ ვიდრე - სხეულიანი...

მიყვარს - სიყვარული,

მძულს - სიძულვილი,

მცივა - სიმარტოვე, მტკივა - სული...

ჩემი საუკეთესო მეგობრები;

ადამიანი - პოეზია, ადამიანი - ფერწერა, ადამიანი - ერთგულება, ადამიანი - ჩემი სისხლსულხორცი !

ჩემი შეყვარებული - ჩემი მეორე მე - მეორე თაფლო ...

საყვარელი ადგილი - ჩემი სულის სავანე - ჩემს მეორე ნახევარში...

მე ვარ ერთადერთი მაგრამ ბევრი თაფლო; უჯიუტესი თაფლო, ქვეყნად არავის, და მხოლოდ შენს ნებას რომ დაჰყვება ის თაფლო, მტირალა თაფლო, ნერვების მწიწკნავი თაფლო, მეოცნებე თაფლო, რეალისტი და ამავე დროს ყველაზე არარეალური თაფლო..

მე მე ვარ, მე ვარ ყველგან და ამავე დროს არ ვარ არსად, საკუთარ თავშიც კი... მე ვარ გზააბნეული სული, ვეძებ საკუთარ თავს ყველგან და ვერ ვპოულობ... მაბედნიერებს; ჩემი ჩემნაირის - შენი თაფლოსფერი თვალები...

ვუსმენ მუსიკის თითქმის ყველა ჟანრს, ყველაზე დიდი და დიადი მოსასმენი კი შენი ხმაა და მიყვარს სიცოცხლეზე მეტად...

საყვარელი ყავილი; შენამდე იები და მინდვრის ყავილები იყო,ახლა კი შენი ლიმილის თეთრი ვარდებია...

საყვარელი სურნელი - რათქმაუნდა შენი.

ჩემი სამყარო ჩემფერია, მრავალფერი, ადამიანების საცხოვრებელ სამყაროს კი ნისლისფერი თვალები აქვს, სისხლიანი და მკვლელი...

მეშინია - უშენო სივრცის, მეშინია ცივი სიკვდილის, სამარელი დატირების და მგონია , რომ არც მოვკვდები, არც დამასაფლავებენ, მგონია, რომ უბრალოდ გადავვარდები:) ჩემი ამჟამინდელი თავშესაფარი - შენი გულია, მინდა უკეთ მივლიდე, რადგან ხშირად მცივა, ვიყინები, ვბებანებ ...

"გამეორება ცოდნის დედაა" ასე, რომ ისევ გაგიმეორებ; მიყვარხარ ყველაზე მეტად, პოეზიიდან - ლმერთამდე...

რასაც ვერ დავივიწყებ - შენ ვერ დაგივიწყებ, და როცა დაგივიწყებ მხოლოდ მაშინ, როდესაც სიცოცხლის იქითაც აღარ ვიქნები.

ს ი ზ მ ა რ ი

სულის შემხუთავი სიცხეა. ილევა ბოლო ღამე მკათათვისა ....სუფევს სიმშვიდე და მშრალ ჰაერში გაცრეცილი ოცნებები დაცურავენ...

უღრუბლო ცა წვრილ - წვრილი ვარსკვლავებით მოკირწყლულა, დიადად ანათებს სამყაროს ჩემი და შენი მთვარე ...აი, ისევ მეღვიძება შენი მონატრებით ნაავადარს ...

მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ ... მტანჯველად მიყვარხარ ! ცხელი ცრემლების დელგმა მილუმპავს ღაწვებს... ღაწვებიდან ნიკაპზე მოედინებიან, ნიკაპიდან - მკერდზე და ჩემი გულის ძგერა სველდება უმოწყალოდ...მხოლოდ შენით და მხოლოდ შენთვის ძგერს ეს უკიდეგანოდ ნატანჯი გული, ფილტვები კი უშენო ჰაერის სუნთქვით ნადგურდებიან ...მხოლოდ უფალმა იცის, კიდევ რამდენ ხანს გასტანს ეს აუტანელი ს ი ს ა ს ტ ი კ ე ...ჰოო ...ისევ შენ მესიზმრე ჩემო სანუკვარო.. რძისფერად მოქათქათე, უნაზესად ნაქარგი პერანგი მეცვა და შენს სარეცელზე, ფეხმორთხმით ვიჯექი შენს წინაშე...

შენი ხორბლისფერი მაჯები ყელზე მომხვეოდნენ და შენი თვალების თაფლისფერი ნათებით დადაგული ცეცხლივით ვგიზგიზებდი...

სქელი ტუჩები გახშირებულ სუნთქვას გაეპო და ცხვირის ნესტოები გითრთოდნენ მღელვარებით...

ლოყა ლოყაზე მომაწებე და ცრემლიანი ღაწვები მგზნებარე კოცნამ შემიმშრალა. მე გონება დავკარგე და აი გამომეღვიძა კიდეც შეშინებულს...

ვერ ვეგუები დამფრთხალ ღამეებს.,

უზომოდ მიჭირს ეულ სარეცელზე დაძინება,სიზმრები კი მხოლოდ შენით არიან ავსებულნი... ძილშიც კი არ შემიძლია გადამავიწყდე...

ჰო, ეს სიმართლეა...

ნეტავ იცოდე, როგორ მინდა-ამიცხადდე ჩემი სიზმრებიდან, ჩემი ოცნებებიდან....

რამდენჯერ მიოცნებია, ეგ გადაღლილი მუხლები-ფეხის თითებამდე კოცნით ამევსო.

რამდენჯერ მიოცნებია ეგ საოცარი თვალები ძლიერად ჩამეკრა გულში და ყოველი სატკივარი დამევიწყებინა შენთვის..

რამდენჯერ მიოცნებია-შენი სინათლე ცაზე ჩვილის გულივით მფეთქავ მზედ ამომექარგა, შენი სურნელის ღიღილოები კი ჩემი გულის ბაღნარში გამეხარებინა..

რამდენჯერ მიოცნებია, შენს გულზე დამეძინა შენი არსით გამთბარს და აღარასოდეს გამეღვიძა...

მაგრამ შევეგუე, რომ არასოდეს ხდებიან ჩემი სანუკვარი ოცნებები....

მე ვდგები ჩემი ეული სარეცელიდან და სიბნელისკენ მივილტვი ფეხშიშველი... ვლამობ-გავუჩინარდე, გავქრე...

გული და საფეთქლები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხტუნვაში..

გარს იისფერი კვამლი მეხვევა და სიცივის ეკლები მეყრებიან,

იისფერი პეპლების ფატას კი იმ ადგილას მივყავარ,სადაც ჩვენივე სიყრმეები უდარდელ სიზმრებთან ერთად მივატოვეთ....

ნეტავ სად გაუჩინარდნენ ისინი?

მახსოვს, ხელები მაგრად ჩაჭიდეს ერთმანეთს, ფეხს აუჩქარეს და უკანმოუხედავად გაფრინდნენ..

ნეტავ სად დაესახლნენ ისინი ან რა ფერისაა მათი სამყარო?

იქნებ ზეცის წიაღში აფრენილნი ლაჟვარდის კაკანათებს აგებენ იისფერ მტრედთა საჭერად...

იქნებ ზეციური იების მინდორს მიაკვლიეს, პეპლებს დასდევენ ბადით და იის უნაზესი სურნელით თვრებიან...

იქნებ უფლის ზეციური სარკმელი იპოვნეს და იქიდან გულის ფანცქალით უმზერენ ჩვენნაირ ცოდვილთა გასამართლებას?

იქნებ მიწიერთა საძვალეებში დაეხეტებიან და გახრწნილ ნეშტებში შეყვარებულთა მფეთქავ გულებს დაეძებენ ...

იქნებ ბობოქარ ოკეანეში ჩააგორეს ბედის გორგალი და სირი-ნოზთა საიდუმლო სიღრმეებს მიაკვლიეს?

იქნებ რომელიმე დიადი ტაძრის ნანგრევებს შეაფარეს თავი,მხოლოდ მნათობთა ხილვისათვის უცემთ გული,ციცინათელებს დასდევენ ღამით და კვლავაც ეფერებიან ერთმანეთს ფაფუკ ლოყებზე...

იქნებ ჯადოსნური ფუნჯი იპოვნეს და ოცნების ფერებით ხატავენ ციდა დედამიწას?

იქნებ ადგილი ვერც იპოვნეს და უბრალოდ მოხეტიალე მოჩვენებებად იქცნენ ისინი...

ან იქნებ...

იქნებ შენმა სიყრმემ მიატოვა ჩემი,უბრალოდ ზურგი აქცია იმიტომ,რომ სიმარტოვე სურდა,ატირებული დატოვა და დარჩნენ ცალ

და ცალ... მე არასოდეს, არც ერთ ასაკში არ გაგიშვებდი ჩემგან ჩემი ნებით...

მხოლოდ შენ შეგეძლო ჩემგან წასვლა.....

გგონია-ერთად ყოფნა გამინელებდა სიყვარულს? როდესაც ჩემთან ხარ, მაშინაც კი სიგიჟემდე მენატრები, შენი ნატერფალი მიყვარს და ის ქუჩებიც კი მტკივა, სადაც, თუნდაც ერთხელ გაგივლია....

მე არ მეშინია, რომ ოდესღაც იმ სიყრმესავით გაქრება ჩვენი სილამაზე, მე თმაჭაღარა ვიქნები, შენ-თეთრი წვერი დაგამშვენებს...

ისევ გასაოცრად მეყვარები, ისევ ამდენად იქნები ჩემთვის სათაყვანო...

და შენგან სიშორე, ახლანდელივით დაიდებს ელ-ფერს მომაკვდავისას ...

***

გაივლის მცირე ხანი..

მე რომელიღაც, ჩემთვის ჯერ უცნობ განზომილებაში გადავი-ნაცვლებ და იქ სიმწრისგან მოკრუნჩხული დაგიწყებ ლოდინს... იქნებ იქ მაინც მომაგნო, რომ სამუდამოდ ჩამკეტო შენს მკლავებში და ბედნიერების ფერი დაედოს ამ უმწარეს, სისხლისფერ განშორებას....

ან იქნებ ჯობია, ახლავე შეიძინონ სილურჯე ამ ატმისფერმა ღაწვებმა,რომ შენი სიყვარული გაძლიერდეს და ჩემსკენ მოსასვლელ, აბსტრაქტულ გზებს დაუწყო ძებნა...

ან იქნებ მე უნდა გაგიტაცო იმ სიზმარში,რომელიც მხოლოდ უდარდელი ბავშვობის ჟამს მესიზმრებოდა;ლაღად რომ ვფრენდი სილაჟვარდეში, რომელსაც უნაზესი თეთრი და ვარდისფერი დაჰკ-რავდა....

ან იქნებ დროა - შევეგუო, რომ ჩემი დაბადება, ნებისმიერი არსების გარდაცვალებაზე მეტად მძიმე და მტკივნეული ხვედრია....

***

აი აკანკალდა მარიობის პირველი გარიჟრაჟი ...

სულს ღაფავს ეულ სარეცელზე მბორგავი სურვილი-შენი არამი-წიერი სურნელისა..

უტყვად ვაშტერდები ერთ წერტილს ჰორიზონტზე,

სიცხისგან გაბრუებულმა თვალებმა არ იციან, კვლავაც თუ ეღირსებათ შენი ხილვის უსაზღვრო სიხარული...

მის ნინაშე

(არამიწიერი პაემანიდან)

ყოველ ღამით, როდესაც ენძელისფერ ჰაერში გრძნეული მთვარის ვარჯები იხლართებიან, კიდევ უფრო გამჭვირვალე ხდება ჩემი სული, კიდევ უფრო ჰაეროვანი და სიფრიფანა ...წელამდე წაბლისფერ თმაზე ღიღილოები მეზრდებიან, სხეულს მოვერცხლილი მთვარის ნამით ვისველებ და ენძელისფერი, გამჭვირვალე პერანგით ვიმოსები ....

ეს ჩემი თავიდან დაბადებაა, ენძელისფერი ქუჩებით დაბრუნება ჩემს თავში ...

იისფერ სახლთან მივდივარ და ველი მას - მეწამულად რომ შევიყვარე ...

ის მოდის ბარბაცით, ჩემთან შეხვედრის სინაზით მთვრალი, მოდის და ტერფებზე მეკონება ...

ხოო ეს ისაა, ჩემსავით უმიწო ...

იისთვალა ამბორი იცის, იისფერად იცრიცება და მიმზერს ბავშვივით ...

ეს ერთადერთი წყვილი თვალია უმიწო მზერით, მზერით, რომელშიც ველური ჟინი არასოდეს იკითხება...

მისი სისხლი ენძელისფერი ხდება ამ დროს,ფეთქვა უნაზესი, მისი სურნელი მსუბუქ სიოდ მიბერავს...

მ ი ყ ვ ა რ ს - უნაზესად მიყვარს ...მის კანქვეშ სიარული მინდება ...

ვუყურებ და მაინც მენატრება, მეოცნებება, მის არსებაში ძიების დაუოკებელი წყურვილი მიპყრობს....

მისი გულის ძგერა ვხდები, მერე მაჯებიდან იისფერი პულსივით გამოვდივარ ...

მინდა მისი არსებობის ყოველი კადრი ვიხილო, ჩასახვიდან - უკვდავებამდე ....

აი ესაა ჩემი ყველაზე მიუწვდომელი ოცნება ...ის ხშირად მიმეორებს, რომ ანგელოზის თვალები მაქვს და თავის თავს ხედავს მათში ...რამდენჯერ ვთხოვე - სახეზე მომფერებოდა, მაგრამ, არასოდეს მეხება ხელით, ენძელისფერ წვივებზე სუნთქვით მეფერება ...

მისი არამიწიერი ჩურჩულის თანახმად, ჩემს ყოველ ამოსუნთქვაზე, ყოჩივარდებით იქარგებიან მდელოები...

მსუბუქი ენძელისფერი ოცნებით, ხელშეუხებლად ავყავარ ზეცაზე მაღლა,

სადაც ყველასთვის მიუწვდომელი და ხელშეუხებელი სამყაროა - იისფერი საკრალი...

ჯერ ჩვენთვისაც კი ხელშეუხებელია, მხოლოდ არსობრივად ვწვდებით...

როდესაც ორივენი ერთდროულად გარდავიცვლებით, სწორედ ამ სამყაროში, უწმინდესი სიყვარულის არილზე დაგვასვენებენ - ფოლიანტებად...

მანამდე კი სიცოცხლეში სიარული უნდა ვისწავლოთ ,ფრთხილად და ნაზად, ვიაროთ ჰაერ-ჰაერ... როდესაც ყვავილებით მოქარგულ მინდვრებს ჩავივლით,

ჩვენმა ტერფებმა ყვავილები და ბალახები არ თელონ,არც დედამიწას ეტკინოს ჩვენი ნაბიჯების ხმა ...ამისათვის, საჭიროა - ხელი ჩამკიდოს, წამითაც არ განმეშოროს, ჩემთან იყოს გამუდმებით და მხოლოდ ზღაპრად შემოვიტოვოთ მოგონება, თუ როგორ ვირთვებოდი მისთვის, როგორ მოველოდი ისფერ სახლთან,ის კი ტერფებზე მეკონებოდა და უმიწოდ მიყურებდა...

საჭიროა - მეწამულ ზეცაზე ლურჯ პეპლებად აფრთხიალებული ოცნებები აგვიხდნენ და შევხორცდეთ...

დავამსხვრიოთ ყოველგვარი სიცრუე, ალმასის წვიმად ვადინოთ, ზეცა მიწაზე ჩამოვიტანოთ...

იისფერ სკივრს,რომელშიც მისგან ნაჩუქარ ენძელების გვირგვინებს და პაწაწინა ლექსებს ვინახავ, მისი ოთახის კუთხეში მივუჩინო სამუდამო ადგილი...

შევღებო მისი ყველა კუთხე-კუნჭული იისფერად და გავაცოცხლო...

მისთვის გავიღო ყოველი მზე - მწიფე ხორბლისფერ ხელებზე დავაწურო...

ის მზე კი, ქარვად რომ ეღვრება თვალებიდან, მისივე ოთახის ჭერზე ჩამოვატკბო...

რამდენჯერაც დავიბადები, იმდენჯერვე ასე მეყვარება. ...

ვერ გადავუხვევ სიწმინდეს და სისუფთავეს ..

ჩემი სასულის იისფერ სურაში მუდამ იქნება ის კამკამა წყალი,რომლითაც არამიწიერ ყვავილებს რწყავენ...

მწყინს - სიტყვები არასოდეს არიან ჩემი განცდების ასახსნელად, ამიტომ გადავიხსენი ჩემივე ხელით საგულე,მინდა - ცოცხლად დავანახო როგორ ძგერს ჩემი გული მის წინაშე და რაოდენ მჭირდება ...

✿შ ე მ პ ი რ დ ი✿

მე შენთან მოვედი, ხელი ჩაგკიდე ძლიერად... გახსოვს - შეგპირდი ; მე შენ არასოდეს მიგატოვებ მეთქი....

არასოდეს გავტეხ ამ სიტყვას, არასოდეს....

მე შენთან ვარ და მორჩა!

როგორც საკუთარ თავს ვერ განვუდგები, ისე - შენ...

ეს იმას ნიშნავს,რომ მზად ვარ წამოგყვე ჯანდაბაშიც კი... ვერსად გაგიშვებ მარტოს... და თუკი ერთად სიცოცხლე არ გვიწერია, მზად ვარ-შენთან ერთად მოვიკლა თავი!!!!!

მაპატიე, რომ სხვის გვერდით ასწლოვან, მზიან სიცოცხლეს, შენს მკლავებში სიკვდილი მირჩევნია....

ნუთუ ავადმყოფობაა, რომ ასე შეგიყვარე - საკუთარ თავზე მეტად...

ვფიქრობ, სულ მცირე, ჩემი თავივით უნდა მიყვარდე...

თვით უფალი გვეუბნება, რომ საკუთარი თავივით უნდა გვიყ-ვარდეს მოყვასი, და თუ ოდნავ გადავაჭარბე, მგონი ამით არაფერი დაშავდება...

მე შენთან მოვედი...ხელი ჩაგკიდე ძლიერად, ხელი ჩაგკიდე იმიტომ,რომ აღარასოდეს გაგიშვა...

თოვდა, უნაზესად თოვდა,ჩვენ მივაბიჯებდით, თოვლის უსპეტაკეს დაფარნებზე, მაგრამ თოვლის სიწმინდეს ჩვენი ნაბიჯები არ სვრიდა....

არავინ ჩანდა ირგვლივ, ის ქვის მსროლელებიც კი, რომლებიც მუდამ მზად არიან ყველაზე წმინდა და ლამაზი შებღალონ...

არაფერია წმინდა და ძლიერი ამ სიყვარულზე მეტად...

მე კი მეშინია, რომ ამ სპეტაკი თოვლივით გავქრები...

ეს გაქრობა კი უნებური და ჩემგან დამოუკიდებელი იქნება...

მერე ვინ მოუფრთხილდება შენს გულს, ვინ დაიცავს შენს სუნთქვას...

ვინ იქნება მზად, რომ შენთან ერთად იტიროს, შენთან ერთად იტკინოს.. შენთან ერთად მოკვდეს!

მ ე ნ ა ნ ე ბ ი , რომ ამ გულქვა სამყაროში მარტო დარჩები, რომ იგრძნობ რასაც ქვია ჭეშმარიტი უჩემობა, ჭეშმარიტი სიმარტოვე... რომ არავინ გაგიფრთხილდება ჩემსავით, რომ ვერავინ მოგივლის ჩემსავით, ვერავინ გაგათბობს ჩემსავით, რომ ქვეყნად ვერავინ, ვერავინ შეგიყვარეს ასე ლამზად, ასე ძლიერად, ასე უკვდავად და მომაკვდინებლად....

ხო - მ ო მ ა კ ვ დ ი ნ ე ბ ლ ა დ !!!!!!

იქნებ გეღიმება კიდეც,როდესაც ვამბობ, რომ ისე მიყვარხარ - ვკვდები!....

ხო, ვკვდები . . მონატრება გულს მიჭამს და პარალიზებული ვარ სანახევროდ და მაშინ, როდესაც ჩემი სიტყვა ბოლომდე აცხადდება, მინდა მხოლოდ შენ დამიტირო, შენმა ცრემლებმა დამისველოს შენივე სიყვარულით მკვდარი გული, შენ დამაყარო პირველი მუჭი მიწა გულზე...

მანამდე კი ჩამეხუტე, ისე ჩამეხუტე, როგორც პირველად, მკლავებზე რომ შემოგადნი თოვლივით ...

გაყინულ სახეზე შენი უთბილესი ხელის გულები დამფინე და მაკოცე, ისე მაკოცე, როგორც არასოდეს გიკოცნია....

მინდა ყველა წყენა მაპატიო....

მინდა იცოდე, რომ განვიცადე, მინდა იცოდე, რომ კატასტ-როფულად არ მინდოდა, თუნდაც ერთხელ მეწყენინებინა შენთ-ვის.....

შემპირდი, რომ არ მოგკლავს ჩემი მონატრების სიცივე, შენ ხომ ჩემზე მეტად ძლიერი ხარ, ასეც უნდა იყოს!

მინდა იცოცხლო ჩემს შემდეგ - დიდხანს.

მაგრამ მინდა შემპირდე, რომ არასოდეს დაგავიწყდება, როგორ უყვარდი ერთ ყველაზე უბრალო და გულით ციცქნა გოგოს...

და როგორ უნდოდა, გაყინული საფლავიდანაც კი მზესავით გაეთბე...

შემპირდი, რომ ხან და ხან მაინც მოხვალ ჩემს სამუდამო განსასვენებელთან...

რომ ჩემს მიწას მოეფერები, გამაგონებ შენს ჩურჩულს, შენს სუნთქვას გამაგონებ და იმ სიტყვებით ამიხსნი სიყვარულს, მე რომ მიყვარს....

შემპირდი, რომ ყოველი ვარდობისთვის ოცდაერთს სისხლის-ფერ ვარდებს მომიტან, რომ დამიწნავ გვირგვინს მინდვრის ყვავი-ლებით, რომ მთის ნიავი მუდამ ჩემს სუნთქვას გაგახსენებს, რომ პაწაწინა იებში ჩემს თვალებს დაუწყებ ძებნას და იპოვნი...

მრავალი შემოდგომა დაგიდგება უჩემო, მრავალი ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული....

მერე შენც მოგიწევს დატოვო დედამიწა - ცხოვრებით გადაღ-ლილმა...

შემპირდი, რომ იქაც დამიწყებ ძებნას ,,იქაც მიპოვნი და სამუდამოდ , ს ა მ უ დ ა მ ო დ დარჩები ჩემთან... შენი თაფლო . . .

თამარ თამაზაშვილი

თამარ თამაზაშვილი დაიბადა1980 წლის 11 ივნისს ქ.თბილისში.

სწავლობდა ქ.თბილისის 217-ე საჯარო სკოლაში-1986-1997წწ, დაამთავრა ქ.თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია და მაგისტრატურა ,,დიზაინის ფაკულტეტი'' -1998-2004წწ.

2012წელს დაიწყო მუშაობა თბილისის 217 და 128-ე საჯარო სკოლებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლად.

ყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი

***

სიღრმის სიღრმემდის ძიებამ
მუსრი შემავლო ძრწოლისა,
კანკალს ატანილს ციებამ
ჟინ მაკარგინა ბრძოლისა,
რარიგ ძნელია იფხიზლო,
ჰხედვიდე თვისა თვალითა,
რარიგ ყოველი იხილი
დამძიმდეს გული დარდითა,
მისაბაძს ცოტას თუ ჰპოვებ,
იპოვო,შორით ძნელია
ნავსაყუდელსა ვერ ჰპოვებ,
ნავსაყუდელიც ბნელია,
მინდა ყოველმან ისმინოს
დიად ტაძართა გალობა,
ჭეშმარიტება იხილოს,
მანდილ დაჰფასდეს ქალობა,
მავანს მიჰბარე გულ შენი არსება ვითარ მისია,
თუნდ რღვევდნენ შენს გარს ქვესკნელნი
ნებაცა მხოლოდ მისია,
თავდახრილთ ტაძრის კართანა
რაღას დააკლებს მდევარი,
ხმა ჰყოს უფლისა ტახტთანა
ვეღარ ეღწვიდეს მწევარი..

***

მივედრებია უფლისთვის ყველა,
დასაბამიდან ვინც გაჩენილა,
ღმერთმა ინებოს ყველასთვის შველა,
უშველად კაცი არც გაჩენილა,
ყოველთა ჯანი-მრთელი უფლისთვის,
მივედრებია დღემდის ვედრება,
თავსაც გავწირავ კაცთა მოდგმისთვის,
თუკი ამითი მას ეშველება,
მე თქვენ მიყვარხართ, იმ სიყვარულით,
რაც მოუცია განგებას ჩემთვის,
რაც მიტევია ლოცვანი გულით,
მიჩუქებია ყოველთა თქვენთვის,
ღმერთმა ინებოს, დალოცვა თქვენი,
და მე არ მინდა, არარა ჩემთვის,
შვილთა ჩემთა და შვილთა ყოველთა,
უფლის კურთხევა აენთოს თქვენთვის.

***

მე მაპატიე, არარას შენსა
უპიროდ ყოფნის განვლილი დღენი,
ნათლის მაგივრად ვიდოდი ბნელსა,
თვალახვეული მოყვასი შენი,
განა რას შველის სიტყვანი ჩემი,
მელნით ნაკალმარს საით აქ გეზი,
მარად სდიდებდეს სახელი შენი,
ღმერთო, შემინდე ცხოვრება ჩემი,
ის ვარ, ვინც არ ვარ, უძღები შვილი
ვერ მიპოვია ხის ქვეშაც ჩრდილი,
ორი არს ერთში, ტკივილ განცდილი,
მთლად დანგრეულა ნდობის აჩრდილი,
მე მაპატიე არარას შენსა,
ჩემს სულს შევვედრი თვით ძესა შენსა,
მომეცი ძალა გავკვალო გზანი,
ქარწაღებული ცხონების კვალი.

***

განა ვასწორებ გზებსა და ან განვიკითხავ ყოველთა,
განა არს კაცი ჩემზედ შემცოდე ამ წუთისოფლსი მცხოვრებთა,
ენა მიმძიმს და მიყივის, გააფთრებული ფხოველი
რას მერჩის წუთისოფელი, მასში მცხოვრები ყოველი,
სიტყვამ ჩემგანმა ნასროლმა თუ კაცი დასჭრა რომელი!?
მე თვის სინდისის განწმენდას მხოლოდ უფლისგან მოველი,
კაცთა ნიღაბთა სიმრავლემ გზა ამიბნია ყოველი,
ნეტავ, ნამდვილი სადღააქვთ, თვით არ იციან რომელი,
კარი-კარს აღებს დაგხვდება არ საყოფელი შორელი,
სანთელ გულს აღარ უნთიათ რაღაა გასაყოფელი,
კაცი კაცს სძულდეს, მოშურდეს რაღაა აქ სამყოფელი,
ღმერთო, მოგვეცი ყოველთა ჩვენ სინანული ცხოველი.

***

როცა ღამით მარტო რჩები,
იძირები თავთან მარტო,
რაღაც აღარ მოგწონს, ხედავ
მოვიქეცი ასე რატომ?!
რაღაც გტკივა, რაღაც გხიბლავს
ახლის შეცვლის მოლოდინი,
თვალ დახუჭულს რაღაც გძირავს,
თან ფიქრობ და თანაც გძინავს,
ჩაგიხედავს გულში სიღრმის,
ნეტავ სხვას თუ ვარგე რამე,
რად მოვედი, ანდა რისთვის,
სხვისთვის მიშველია რამე?!
ცრემლი ცრემლებს დამატია,
ღვარძლიც ღვარძლად დარჩენილა,
ზოგი კაცი ნახატია,
ზოგ დიადად გაჩენილა,
ცხოვრება კი მიდის მერნით,
რაღაც იწერება მელნით,
ბევრიც იკითხება ენით,
საშველი კი არ ჩანს ჩვენი,
თუკი სულს ჩაუდგავ საქმეს,
თუკი აშენდება სახლი,
თუკი ვიტყვით ჩვენ-ჩვენ სათქმელს,
მჯერა, გამოჩნდება კვალი.

მელი თურმანიძე

დავიბადე მთიან აჭარაში, ქედის რაიონის სოფელ მერისში. უკვე 9 წელია ოჯახთან ერთად ვიმყოფები ემიგრაციაში, ვცხოვრობ იტალიაში, ქალაქ მილანში. სკოლის ასაკიდან ვწერდი, პერიოდულად ჩემი ლექსები იბეჭდებოდა რაიონულ გაზეთში. მერე მქონდა საკმაოდ გრძელი პაუზა, წერა განვაახლე ორი წლის წინ.

2014 წელს გამოიცა ჩემი პოეზიის პირველი კრებული „მაისიდან მაისამდე“

ჩემი ქალაქი

მაცდური ქალის გადაგლეჯილ
გულისპირ მოჰგავს,
აქაფქაფდება, ადუღდება,
მერე მშვიდდება,...
ქაფიდან მუდამ, ყოველ დილით,
ეროსი მოჰყავს
და ქუჩა ქუჩა დაახეტებს
სანამ ბინდდება.
უძინარ ქუჩებს გალოკავს და
ჟანგს აცლის ღამის,
ნდომით შეშლილი ამოჰყვება
გაღეღილ უბეს.
სხეულზე ნაზად იფანტება
სველი ნილსები,
რომელიც , თურმე ცისფერ კაბას
სარჩულად უდევს.
სულ ფეხშიშველა ხეტიალობს
ზევით და ქვევით,
გაბურჯგნულ წვერზე უცნაურად
უმზერს დალაქი.
აქ არც სიყვარულს და არც ვნებას
ქოლავენ ქვებით,
რადგანაც თავად ეროსია
ჩემი ქალაქი!

***

მაპატიეთ ! წიწამური გავიხსენე,
ნატყვიარი, რადგან, ახლაც
მტკივა!
გავბედე და აფხაზეთი მოვიკითხე,...
მერე გავწვდი, ძველ აჭარას,
მთიანს.
უკაცრავად, სამაჩაბლო მომაგონდა,
მტკივა, მტკივა, კიდევ ერთხელ
მტკივა!
ქედის ქედზე, ჰოიდა ნანა მოვიკითხე,
ნენეს თვალზე კურცხალები,
თრთიან!
გალახული დედა-ენა მედარდება,
ვხედავ, როგორ, გამუდმებით
რყვნიან!
ჩვენს გაყიდულ ქართველობას ვეწვიე
და, მგონი, იქაც მივაღწიე
გვიან!
იუდას და ქისა ოქროს არ ვახსენებ,
ჩვენში მაგას, გამცემლიძე
ქვია.
გოჯი გოჯ და ნაკუწ ნაკუწ დაგლეჯილი
საქართველო! მომახურეთ მის მაგიერ
მცივა...
მამის შუბლი, ვერცხლის ფასად ნატყვიარი,
მოშუშდება? - მოშუშდება
გვიან!
მეტკინა და მოვიკითხე წიწამური,
მაგრამ ჰოი, მოვიკითხე
გვიან?!

***

შენ, თუ იმის დერდი არ გაქ ცუნცულავ,
ზეით რომ ახვალ, რანა უთრხრა ნენეს?
აბა ჭადზე ჯვარს ვიღასთვინ სახავდა,...
კეცზე რისთვინ ითუთქავდა ხელებს?!
შენ თუ ისევ თავშალინა წეიკოჭო,
ისევ ფოსტზე ახალონა თავი,
აბა მითხარ: - ნენეი ვისთვინ წვალობდა?!
მტკივა ნენეს დათუთქული კლავი!
შენ , თუ ისევ „ბისმილლანა“ იძახო,
„შუქურ ალლაჰ“, ადიდონა ღმერთი,
მოდი აგზე, დიმიყურე, გკითხონა:
ნენეი რისთვინ ლოცულობდა ერთი?!
დიმიჯერე მოვა დრო და გეფიქრება,
დუშმნის ლაქუცს დაანებე თავი!
ახლა ვერ გრძნობ, მარა ვიცი გეტკინება,
ჯვრის სახვისას დათუთქული კლავი!

ქალი ვარ!

ქალი ვარ!
-მერე? -პატარა ვარ ვით საქართველო!
-თუმცა სინაზეს, სიმამაცის ...
აჩნია კვალი!
-ლხინია?!
უნდა ვიკეკლუცო, უნდა ვიქალო.
შენ შეეცადე არ გახელდე,
მოთოკე თვალი!
-ომია?!
აბჯარს მეც ავისხამ, სისხლს ავადუღებ,
დავხვდები მომხვდურს, არ წაბილწოს
წინაპრის ძვალი!
ქალი ვარ!
მიტომ , ერს ვამრავლებ, აკვანს დავარწევ!
ლეკვებს გამოვზრდი, რომ ატირონ
მტერი მუხთალი!
წინ გავუძღვები,
უყოყმანოდ, მამულისათვის!
მე სისხლში მიზის, ვინც ვერა გრძნობს
იმათ უთხარი!
მაგრამ ქალი ვარ!
გულისპირი ხშირად ჯიუტობს
და მეკარგება აწყვეტილი
ღილი ოდესღაც!
ქალი ვარ,
ოღონდ , არა ვიღაც ნებისმიერი.
მე ქართველი ვარ! გაუფრთხილდე
უნდა რომელსაც!

პეპელა

ვიცი, შენ ფრთაფარფატ პეპელად
გაჩნდები,
გრძნობებით სავსე და ღარიბი ...
ცხოვრებით.
მინდორში გვირილის სურნელით
დათვრები
და მერე ყაყაჩოს ჩაუვლი
ბარბაცით.
მეძავი ქალივით ღიმილებს
დახვეტავ,
იების სურნელში მზის სხივს,
რომ დარჩება.
მინდორში უსაზღვრო სიყვარულს
დაბერტყავ,
სულ ყველგან მოირბენ სანამ
დღე ჩაქრება.
იფიქრებ ცხოვრება ძალიან
მოკლეა
და არ ღირს ცრემლები , რად უნდა
იღელვო?!
სხვები, რომ წლეობით ნაყავენ
გზასავალს,
შენ, უცებ, სამ დღეში , მოასწრებ
იგემო...
და როცა მზის სხივი სისველეს
მოძებნის,
ამოსვრეპს სინედლის ბოლო წვეთს
დარჩენილს,
შენ მშვიდად ახედავ გვირილის
ფოთლიდან,
შენს ფრთებს, ზეცისკენ, უშენოდ
გაფრენილს.

შორენა კეკუტია

მე მქვია შორენა... გვარად კი კეკუტია ვარ... მოდიაქოთი ლომი. დავიბადე ქალაქ ბათუმში 1982 წლის 21 აგვისტოს. ვარ დაოჯახებული -მყავს მეუღლე და ერთი შვილი. ვსწავლობდი ბათუმის სასულიერო გიმნაზიაში. დავამთავრე ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, შემდეგ სწავლა გავაგრძელე ქალაქ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში - მაგისტრატურაში – ვარ ესთეტიკოს კულტუროლოგი.

ბავშვობაში ვწერდი ლექსებს..... ახლა არა.

***

თუკი როდესმე მიატოვებ სასახლის კედლებს,
და თუკი წადილს დაიმარხავ ნატყვიარ გულში,
თუკი როდესმე დაივიწყებ შენ დედის ხელებს,
მაშინ იცოდე, დაიმარხა სიწმინდე ხნულში.
მინდა ოცნებას დავუხიო მე ფარჩის ფრთები,
მინდა წარსულში დავიმარხო მე ჩუმი გული,
რა იყო მაშინ, რა არის ახლა, და რისთვის ვკვდები
ზეცამ ვერ მიცნო, დაბინძურდა უფრო ფერი.
წადილს ვერ აღწევს თეთრი გედი, გადაიღალა,
აღარ თენდება ისე ვით უწინ, ჩამოგვიღამდა,
გაფრინდა ჩვენი ნამდვილი ყოფა,რაღა გვინდა რა?
მხოლოდ და მხოლოდ ვიცი შენს გულში გადაიდარა.
სიტყვა, სიტყვაა, ალბათ იტყვით, საქმე საქმეა,
მაგრამ სიტყვის თქმას უნდა დიდი გამბედაობა,
რატომ დაობდა ჩვენი გმირები, რატომ დაობდა?
რატომ არ ისმის მათი ხახიდან ისევ „ერთობა“.
როგორ წალეკა შავმა ფერმა დღეს ყველაფერი,
აღარ სჩანს ცრემლი, სტირის გული, უფრო დავეცით
ზეცას ვერ ვხედავთ, წავიდა ბრძოლა, მიწას ჩავბარდით,
და ჩავიყოლეთ ბინძურ მიწაში სიტყვა ნაზარდი.
შენც დაიღლები, ბოლოს და ბოლოს, შენც დაიღლები
და შენი ფერიც გამწვანდება ოდესმე ალბათ,
მაგრამ არ მინდა ფიქრი ამაზე, ასწიე ფარდა
და დამანახეთ, რა იყო უწინ ასე რომ მკლავდა.
აჰა სინათლე, ულამაზო და მაინც რბილი,
თურმე რამხელა სიდიადე ყოფილა უწინ,

ამისათვის ვკვდებით, ამისთვის ვცდებით, ღირსი ვართ თურმე
რას ვერ ვხედავდით, რას ვერ გავუღეთ ჩვენ ჩვენი გული.
არ დაიღლები, აწი, არ დაიღლები
შენთვის ყოველთვის აინთება სარკმელზე მნათი,
აწი არასოდეს დადუმდები, მე ახლა მივხვდი.
რა არის წვიმა, რა არის თოვლი, რა არის კაცი.
თითქოს ვიღაცამ დაამსხვრია დიდი ხატები,
ისე უგონოდ, ისე ბილწად დავიმარხებით
წადი, მომშორდი, თეთრო გედო, შენც ნუ ისვრები
უშენოდ ჩვენ ხომ ჩუმ კრავებივით დავიფანტებით.

***

წარსული დღიურების
დავწვათ ყველა ფურცელი
მაგრამ ამის სანაცვლოდ
შენ მშვიდობას ნუ ელი.
            დაწვავ და თუ არ დაწვავ
            ამას არა აქვს არსი
            შენში მაინც იცხოვრებს
            წარსულის ამანათი.
დავწვათ ყველა ფურცელი
დავწვათ ყოველი გვერდი
და ქარს მივსცეთ ღრუბელი
ვაი,რა შორს გავედი
            წინ რა მელის, რა მელის
            რა არის ის მარადი
            რასაც უნდა შევწირო
            ნექტარი და შარბათი
ვინ რა იცის ამ ქვეყნად
ცა სად არის სადარი.
ვინ რა იცის თუ რომელ
ზღვაში მინდა ბანავი
            რომელია ცის კიდე
            რომელ ცაზე ვეკიდე
            მაშინ როცა ქარბუქმა
            მომაშორა მე კიბე

ვაი,რა შორს გავედი
და რამდენი გავძელი
რამდენჯერ დამეკარგა
მე საბრალოს ბრმა ველი
            რომელ ქარმა შესწირა
            თავისი რქა სამსხვერპლოდ
            და ნეტა თუ მიიღო
            მან, ვინც ტანჯვა სისხლ იღო.
რომელ ხატთან ვილოცო
რომელ ხატთან დავანთო
ჩემი წმინდა სანთელი
და ცრემლებად დავღვარო
            ანდა აღარ ვილოცო?
            ანდა აღარ დავანთო?
            ჩემი წმინდა სანთელი
            ცრემლად აღარ დავღვარო?
აწი რა ვქნა არ ვიცი
ცას ვუყურებ, ცა ვიცი
შენ გიყურებ და მაშინ
აღარ ვიცი რა ვიცი.
            ვაი, რა შორს გავედი
            და რამდენი გავძელი
            ვაი რამდენ ერობას
            ჩამოშორდა ზე ხელი.
ყოფიერი აღარ არს
ყველაფერი გამუქდა
მიტომ რომე ერობამ
აღიარა ყრმა ბედა.
            ნეტა საით წავიდე
            რომელ მთებში ვიმღერო
            რომელ მთებს მივუტანო
            მე ლერწამი ხის ღერო.
წვრილად ვწერო,
წერს წერო,
აბა რა ვქნა
მითხარ ღმერთო.
            მითხარ,
            რომელ ცას შევხედო

თუკი მეტყვი,
ვფიცავ ვმღერო
ვაი, რა შორს გავედი
და რამდენი გავძელი
ღმერთო, ამის სანაცვლოდ
რა მომეცი? რამდენი?
სად არის სხვა ქვეყანა
უცხო მხარე სად არის
სად არის სერაფიმი
რატომ ვეღარ ავფრინდი.
ეხლა ტანჯვას რა ვუყო
რაღა ვუყო წამებას
მაჩვენე სარეცელი
რომელზედაც წვა ევა
ვაი, რა შორს გავედი
და რამდენი გავძელი
ღმერთო, ამის სანაცვლოდ
რა მომეცი? რამდენი?

***

ჩუმი და მომხიბლელი, იყო დიდი ზამთარი
თეთრის გარდა ყველა ფერს, დაეხურა საბანი.
და მოვიდა დიდ ზამთარს, ფიქრის დიდი ფიფქები
ბევრი, ძალიან ბევრი, მწარე, ცრემლად ვიღვრები.
გაუცნია თეთრ წეროს, ყველა ფიქრი მთავარი
ჩამომძახა რაკრაკით, ნუთუ ასე გავფლასდით
მთელ ქვეყანას დაუცხრა,გამარჯვების სურვილი
ხმალის მაგივრათ ხელში, აუღიათ ყურმილი
თურმე გაცივებულა, ჩვენი ხალხის გულები
შიგნით არაფერია, მხოლოდ მხდალი ფულები.
სად წავიდა დიდგორი, სად წავიდა თამარი
თამარ ქალი მდიდარი, ოქროები მრავალი,
დადიოდა დარბაზში, დადიოდა ქალაქში
ისე როგორც ღარიბი, უხამური, ღატაკი
თურმე აღარ არსებობს, დღეს ნამდვილი ქართველი
ამიტომაც ჩვენ გველის უსასრული ზამთარი.

ნუთუ ლაშარის გორაზე აწი ვერავინ ავა
და ვერავინ ვერ განვლის შუშანიკის გზას ახლად
სად წავიდნენ ქართველნი, სად წავიდნენ გმირები
ახლა აღარ არსებობს, ქართული ნაფიქრევი
დღეს მოვიდა ზამთარი,დიდი ძალიან დიდი
ვაი, რომე ამ ფიფქებს, ვეღარ მოჭყვა ფიქრები.

***

დასკვნებს დაულეწიათ
ჩემი ოცნება მცდარი
ფიქრებს ამისთვის დაურქმევიათ
„ჩუმი ამბების ქარი“
ნეტა რა ამბებს ყვება,
ანდა რა იცის სიომ
რომ მე გუშინდელ ნარდში,
ზეცა მიგებდა რვით ნოლს
გაუფანტია ხეებს
მათი ფოთლები მწვანე
და თავდახრილნი მძიმედ
ეგებებიან ქარებს.
ყოველი კაცის გულში
იმდენი რამე ცხოვრობს,
რომ თითოეული თითოს
ვეღარ უნახავს ბოლოს.
გასულა ბევრი წელი,
გასულა ბევრი ხანი,
მაშინ არ იყო სუსხი,
მაშინ არ იყო ქარი.

***

I

ცალთვალე ღამემ განასკვნა კვანძი
ჩემი და მთვარის ალბათ.
მთვარემაც ღიმით მიმიღო ძღვენი,
ესიამოვნა ალბათ.
მეკი ჩამიხშო ბოლო იმედი
ღამის სიჩუმის ხმამ,
მთვარეს მიმათხოვა, მთვარეს გამატანა
თავიდან მომიშორა მან.
იქეთკენ გამამგზავრა ჩემი იმედებით
თითქოს ვუმძიმებდი მხარს,
მთვარეს მიმაბარა, ხელები დაიფერთხა,
ჩქამიც არ გაუღია ხმას.
ცისკენ აშვერილი ხელები გამეყინა
მთვარეს რომ ეკავა მაგრად
ლიცლიცა სხივების ბარბაცმა ჩემს ტანზე
მთვარისკენ ამიტაცა ჩქარა.
ეს იყო ქორწილი ჩემი და მთვარის
ღიმით რომ მიმიღო ძღვენი
ძღვენი განწირული, ძღვენი უვარგისი.
აწ მხოლოდ მთვარისთვის მქმნელი.

II

ცალთვალა ღამემ მთვარეს რომ გამაცანო
მასვე მიმათხოვა ბავშვი
იმ დღიდან არვისთვის აღარ შემიხედავს
ხიწვებით ამევსო თვალი.
ის ბავშვის ხელები, თბილი და ნორჩი
მთვარეს რომ ჩაეკრა გულში
ქალწული გავხდი და ჯერ კიდევ არვის
არ გავუთბივარ, ვუცდი.

გავიდა წლები და ქალის იმედით
გაყინულ მთვარეზე ვცხოვრობ
არ ვიცი რაღა ვქნა,ქალი ვარ,მცივა

და ამიტომაც ვლოთობ.
ჩავასხი სურაში სასმელი ბურახის
თითქოს ჩამილბო ყელი,
მაგრამ ხელები მთვარეს რომ ეჭირა
ო როგორ დაბერდნენ, ვცვდები.

III

ვიგრძენი სითბო სხეულზე, ყელზე
ხელები გამიშვა მთვარემ
ღამემ ახალი ქაწული აარუქა
ჩემს გაუმაძღარ, მთვარეს.

***

აირდილს ეთამაშება
ჩემი ხელი შავი
მის ორეულს ემსგავსება
ჩემი ტანის ხაზი.

ჰარმონიულ მოძრაობას,
ჰარმონიულ შერწყმას,
მიაქვს ჩემი თვალთახედვა
გული ჩემი ღელავს.

რატომ არის ორეული
მხოლოდ შავი ფერის
რატომ არის მის ფერებში
ჩემი ზრახვაც ბნელი.

ის რაც თეთრად მიმაჩნია
თურმე არის შავი,
თურმე ჩემში არ ყოფილა
ცის არც ერთი ძაფი.

ნინო კემულარია

ნინო კემულარია - დაიბადა 1971 წლის 12 მაისს, ხობის რაიონ სოფელ ახალ ხიბულაში, ამჟამად ცხოვრობს ხობში.

1988 წელს დაამთავრა ბიის საშუალო სკოლა, 1990 წელს ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აგრობიზნესის ფაკულტეტის, აგრონომ-მენეჯერის სპეციალობაზე. 1990-1996 წლებში მუშაობს აგრონომად ბიის კოოპერატიულ მეურნეობაში. 200-2003 წლებში ხობის სოფლის მეურნეობის სამმართველოში, აგროქიმიური და ნიადაგობრივი ნაყოფიერების უფროსად. 2003-2006 წლებში მეთესლეობისა და სარგავი მასალის ინსპექციაში მთავარ აგრონომად. 2006-2009 წლებში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ხობის რაიონულ სამმართველოში სურსათის ხარისხისა და ზედამხედველობის მთავარ სპეციალისტად. 2009-2010 წლებში-მცენარეტა დაცვის მტავარ სპეციალისტად და სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 2012 წელს-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში. არჩეულია საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ გაზეთს ,,მერმის,,-ს. გამოცემული აქვს სამი ლექსების კრებული, ,,თოვლი უშენოდ,,- ,,ასი ლექსი"- ,,მახარია", წერს ათი წლის ასაკიდან, როგორც პოეზიას ასევე პროზასაც.

საქანელა

ხის ტოტებზე შემომსხდარან ჩემი წლები,
მიდის წყნარად, ფეხაკრებით ნელა-ნელა,
ეფერება ჭაღარა თმებს სიოს სუნთქვა,
აქეთ-იქით მაქანავებს საქანელა.
ხან წინ ფრინავს, ხანაც უკან, თავბრუს მახვევს,
ეს ცხოვრებაც ზნე-წესს იცვლის წარა-მარა,
რომ მატკბობდეს უსასრულოდ სიყვარული,
ყოველი დღე დიდხანს მყავდეს აღარ კმარა.
წლები შუბლზე ღარებს ითვლის სათითაოდ,
მზემ ამოსვლა ამ ბოლო დროს დაანელა,
ხის ტოტებზე წლებთან ერთად დაკიდული-
თავბრუს მახვევს აქეთ-იქით საქანელა.

გავააპრილე

გავააპრილე უკვე ზამთარი,
ნათოვარ ყვავილს აზის ფუტკარი,
ყოველდღე ნასუნთქ ჰაერს ვაგროვებ
და ღმერთს მადლობა დღესაც ვუთხარი.
გრილი მდინარე ამითამაშებს
ფოთოლდაცვენილ შავ-თეთრ ნაფიქრებს,
მერე ტალღები გარიყავს სადმე,
და შუქს მოაფენს ღამის ნაპირებს.
ზოგჯერ უფერო დამყურებს ზეცა,
ზოგჯერ შვიდფერში ხტიან მიწები,
მალე გაზაფხულს გავაზაფხულებ,
და მზის ცხელ გულში ამოვიწვები.
გავააპრილე ჩემი აპრილი,
და ღმერთს მადლობა დღესაც ვუთხარი,
სითბოს ფერება უხდება მინდორს.
როგორც სიყვარულს ტურფის უსტარი.

მე ჩემს საქართველოს კვლავაც დავუდგები...

ტყვიებს გადაჰქონდათ დედის იავნანა,
ძარღვში მოძრაობდა სისხლი საქართველოს,
დედის ბაგე ლოცვით ძილშიც ჩურჩულებდა
,,ღმერთო, ნუ დაუშვებ მტერმა გადაგვთელოს...,,
ბრძოლის ველზე იდგა დროშა სიცოცხლისა,
წვიმად უდენია სისხლად გადაქცეულს,
ზეცას გადაწვოდა სახე ცეცხლისაგან,
ზეცის ცრემლი ბანდა დაჭრილ შვილის სხეულს...
ახლა მარმალიროს თეთრი კედლებიდან,
ოქროს ასოებით წვეთავს სახელები,
დედის შავ კალთაზე მამულს დაუჩოქავს,
ყველა ნატყვიარი ტკივა გახელებით...
ჰოი, გულის ჯიბეს იწვის წერილები,
გზები გაბზარულა ჯერ ვერ დაუგები...
-დედავ, კვლავ აღვსდგები მიწით ვაჟკაცი და
მე ჩემს საქართველოს კვლავაც დავუდგები...

სამეგრელოში ნანა ერთია

მდინარეს აღმა აჰყვა დაისი,
იქნებ სიზმარი კეთილად ახდეს,
მეფე გუბაზის ჭრილობა მტკივა,
ორჯერ მაზრაკი ზურგში რომ ჩაცხეს.
ჭიხუს მთებიდან უბერავს ქარი,
ხეზე შრიალებს შავი პერანგი,
მზისფერი ჰუნე ხობისწყალს შედგა,
ზურგს ეპარება მტერი ვერაგი.
კოლხთა იმედი ზეციდან კივის,
საქართველო ხომ მისთვის ღმერთია,
სამეგრელოში არ მამლუქობენ,
სამეგრელოში ნანა ერთია.
მზე ამოგორდა თითქოს მეორე,
ლაზიკის გაღმა დარჩა დაისი,
ჭიხუს მთებიდან უბერავს ქარი,
სანაპიროზე დაჰქრის მაისი...

სასაფლაო

(მამის - რამის კემულარიას ხსოვნას)

ჩაძირულა სიჩუმეში სივრცე,
სივრცის კედლებს შეხეთქვია ჟამი,
საუკუნის ხეთა ფესვის ძირას
მოწყენილად დაცვარულა ნამი.
მიწას გული უსველდება ღვინით,
თაფლის სანთელს ჩამონღვენთავს ხსოვნა,
მამის საფლავს შეჩვევია ცრემლი,
აქ ძნელია რაღაც დროის პოვნა.
სასაფლაო ბოლო სადგურს მოჰგავს,
მზეს მოსტაცა გაზაფხულის ქნარი,
საფლავის ქვას მიყინულა მზერა,
განვლილი გზა, სახელი და გვარი...
საფეხურზე ხტუნავს ცოდვა-მადლი,
სივრცის კედლებს დასტყობია ჟამის,
აქ ძნელია რაღაც დროის პოვნა-
საფლავის ქვას ვეფერები მამის...

ირმა კიკოლიაშვილი

ირმა კიკოლიაშვილი დაიბადა ქ. ბოლნიში 1976 წლის 31 იანვარს. 1993 წელს დაამთავრა ქ.ბოლნისის №3 ქართული საშუალო სკოლა 2001წ. ჩაირიცხა თბილისის ნ.დუმბაძის სახელობის ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სპეციალობით ,,სამართალმცოდნეობა,, გავლილი აქვს საადვოკატო პრაქტიკა ირაკლი გაფრინდაშვილის ,,ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციაში, - მუშაობის მცირე გამოცდილებით. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

გამოშვებული აქვს ისტორიული რომანი-შორეული წარსულიდან ამოძხილი ხმა.

ირმა გახლავთ „ჩანაწერები ინგას უბნიდან“ მესამე კრებულის ერთ-ერთი ავტორი.

***

რატომ გგონია?! - რომ მე ღმერთი ვარ შენში,
იქნებ, შენშია ღმერთი?! - და ღრმა სიყვარულს ელი!
მე უბრალო ვარ ღმერთში
და უბრალო ვარ ერში,
მძიმე ნახვედრი მესმის
შენ გაოგნებას ელი.
საოცარია, გეტყვი: - რომ სიყვარულით ვმღერი...
ვინ?! - ვინ მიყვარს
გეტყვი: - ადამიანი ღმერთში!...

***

აზრი შვილია და
გაგრძელება ეს შვილთაგანი,
თუ არა ნაყოფს არ აწვეთე გულის საგანი.
სანამ გექცევა სიყვარული
წმინდა საგულედ,
მანამ იქადე საქადებლად საგალობელი.
აზრი ერთია და სიკეთის მაუწყებელი,
ამაოდ ვლენა და ცხოვრების წუთის მწენდავი...
რა გული უძლებს, რომ გულისას

სათნო არ ხდება,
სასომიხდილთან მხოლოდ ზენაა
მათ ეცხადებათ!

***

შენთვის დავიბადე, ჩემო საქართველოვ,
შენთვის მოვილხენ გონებით, წმინდად,
გამოგეცლები უკვდავებისთვის
და უკვდავებით გაოცებ ყველგან!

***

ღვთის ერთი სიტყვა
ღვთის ერთმა სიტყვამ
ადამი ერთი სიტყვით ასახა,
განზეც შეცვალა,
გარდაქმნა და გარდაცვალება,
რა რიგ ეცვალა.
ღვთის ერთი სიტყვა
და ერთი სმენა შვებად იქცევა,
და თუ განარისხე ცოდვად,
ტანჯვად გექცევა.
კვალსაც დატოვებს, არ დაგიტოვებს
შვების სიმშვიდეს
და არ გაკმარებს
სინანულის ჩარჩოს არ გარგებს...
თუ დაიბადე, მაშ იღვაწე ჰარმონიაში,
ეს ჰარმონია შენ გექცევა მარადის კვალში

***

შენს ტანთ რხევას
მე მაგონებს ალვის ხის სწორი
შენს თმის დალალებს
მე შორიდან
ვეამბორები,
მომაჯადოვე, დამიმიჯნურე
ვეღარ გშორდები,
აწ თუ მაშორე
სული შენი
მე კვლავ მოვკვდები,
დაშორებისას
რა მოხდება
მითხარი, ნორჩო?
და მე თუ დავსძენ
განშორებას,
მოაქვს სიკვდილი.

მრწამსი

ყველა დროის აღსაქმელი ფაქტორი, უფლის ძალას ეკუთვნის და მისი გამოყენება, ცრუ ხედვითა და ცრუ შესმენით, დაუშვებელი ხიბლია.
როგორც არსებული სიტყვა ივსება გახმოვანებით და სრულყოფილია სიტყვის მარცვლებით, ისე დროც მარადიულობის ამბოხებისა და უქმი მეტყველების გარეშე, უნდა შეივსოს და ხარისხიანად ღირსებაში მოიყვანოს და დაიყვანოს წამი, წუთის ძალასა და რეაქციის ტვირთვაში.

მხოლოდ უფალს ეთქმის სუფთა ყოველივე ჩვენს გარეშე, მხოლოდ უფალს, ემორჩილება ღირსეული წამი, წუთი, ჩვენ კი ეს ყოველივე სუფთა გრძნობით უნდა მოვიპოვოთ, ამ ყოველივეს წინააღმდეგი საწყისშივე უნდობელნი არიან, ცარიელი სულის მატარებელნი და არც არა ესმით რა! სიმბოლური ძალა, კაცობრიობაზე გავლენად იქცა, ის ნამდვილად გმირული ღვაწლით, დიდად გამოაშკარავდა მრავალ დათესილ და აღმოსაცენ სიკეთეებში. დღემდე არის ნათელი სიტყვით აღსაქმელი და დადებითად, სულიწმინდის მადლით თითეულ ქრისტიანზე, ცრემლის მორევად გამტარებელ - დამკვიდ-

რებული. ეს ცრემლმორეული მადლი აღკვეთს იმ ცოდვის გამოვ-ლინებებს, რაც სიკეთის წინ არის დავანებული, მაგრამ აქაც სომ-ბოლურად, ის ძალა არის საჭირო, რომელიც არის მოპოვებული ღირსეულად ჩვენს მიერ, ნაბრძოლი, რომელიც მოვიდა ჩვენივე უნარ - ჩვევით და განპირობებული, იმით რომ საწყისშივე იყოს უარყოფილი, საწყისი დანაშაულებრივი გადაცდომები, უარყოფილი ძალამდე არ მისული. აქ, შეიძლება ვივარაუდოთ რომ სულიერი გადაცდომები თუ მივიდა უარყოფით ძალამდე, აუცილებელი ორმხრივი ძალის პირობით მატერიაში, ძირეულად დამკვიდრდება და გულის სიღრმეე-ბიდან, ძალმომრეობის მოწონებითი ხიბლით მიიღებს რეალიზების მოთხოვნებს. ამიტომ სანამ აქამდე ძალები ბრძოლას დაიწყებს მგმინავი შორი, ახლოსმიერი ნიადაგით გადება - დახვეწას, მანამ უნდა მოუხმოთ სავალ გზას. ეს სავალი გზა ერწყმის მხოლოდ გულის სისუფთავიდან ამოსულ მარცვალ სიტყვებს, რომლებიც ეხიბლება სულიწმინდის ცრემლმორეულ, ნათელ, გაცისკროვნებულ სულიერ სამყარითა შენაძენებს!...

ხათუნა კვესელავა

„დიდი შესვენების შემდეგ ვიწყებ თავიდან“... წერს ხათუნა კვესელავა. პატარა მშვენიერი გოგონა, რომელიც მარტვილში დაიბადა, მოხიბლული იყო მისი მხარის ლამაზი ბუნებით. თვითონაც მდიდარი ბუნების პატრონმა პატარობიდანვე დაიწყო წერა, მაგრამ რატომღაც შუა გზაზე შეჩერდა და ქუთაისის აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა. აქ ის ეკონომისტის პროფესიას დაეუფლა. დღეს მას მეუღლე და ორი შვილი ჰყავს... სულმა არ მოისვენა, მუზამ არ დატოვა და ამდენი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ თეთრ ფურცელს მიაკითხა.. აქტიურად მონაწილეობს ქალაქ თბილისში საქველმოქმედო და ლიტერატურულ ღონისძიებებში. ხათუნა გახლავთ „ჩანაწერები ინგას უბნიდან“ პირველი კრებულის ერთ-ერთი ავტორი.

არ მეშინია

არ მეშინია,თუ დავიჭრები,
თუ ვითარება აღარ დამინდობს,
ქედსაც მოვიხრი თუ საჭიროა,
ჩემი სიმართლით პასუხს არც ვითხოვ.
დროის თვისება არ მოგასვენებს,
იმ სამყაროდან ვერასდროს წამშლი,
ყველას თვალებში დავიბეჭდები
და სხვა გზით ცხოვრებას ვეღარ დაიწყებ.
რამდენი ღამე გათენდა ცივად,
ნუგეშის შუქი არა სჩანს ცაზე,
ცრემლები მიწვავს უძილო თვალებს,
როგორც ახალი უბიწო მთვარე.
არ მეშინია თუ დავიჭრები,
თუ ვითარება აღარ დამინდობს,
ქედსაც მოვიხრი, თუ საჭიროა,
ჩემი სიმართლით პასუხს არც ვითხოვ.

ვნების სათავეში

გუშინ საოცარი სიზმარი ვნახე,
ცხადში კი მთაფლავს სასწაული,
ღმერთო სიზმარიც დაიფარე,
ღამე გამიგრძელე საამური.
სული შევიცანი შენს სუნთქვაში,
ვნების სათავეში გადავეშვი,
სიტკბო ამოვიღე ნაყოფიდან,
გულში სამუდამოდ ჩამისახლდი.
კოლხი ქალბატონის ნაკვალევზე,
ბედს არ უწერია დამარცხება,
ვიგებ საოცარი ანგარიშით,
ამით დასაწყისსაც ეშველება.
ღმერთო სიზმარიც დაიფარე,
ღამე გამიგრძელე საამური.

***

უფერო იმედი
რატომღაც მგონია,
ცხოვრება დამთავრდა,
მოვკვდები! დამდგარა
ჟამი დასასრულის.
და ასე იტყვიან:
უდროოდ წავიდა,
ღმერთო გაუნათე
გზა... კვალი თავისი.
ჩემი ოცნებები,
სულ სხვა გზით წავიდნენ
და დავრჩი უფერო
იმედის ამარა.
გონებამ აქამდე,
სხვა აზრი დაბლოკა,
ხვალ კი აღარ ვიცი
რა ფიქრი წამოვა.

***

უძირო მწუხრი
გატყდა იმედი,
სიჩუმე მეძებს,
ვერ ვემალები,
ღამე სევდიანს.
მჭრის მოგონება,
მახსენებს წარსულს,
კადრში დაფრინავს,
თეთრი თოლია.
დროს არაფერი,
არ წაუშლია,
ყოფიდან წასვლა,
უკვე ძნელია.
როცა ლაჟვარდი
გადაჭრის ნისლებს,
მზე გაანათებს,
თეთრ მაგნოლიას.
უძირო მწუხრი,
ფერებით მოვრთე,
კითხვები ისევ,
პასუხს ელიან.

***

ერთგულების ჯაჭვი
ქარი მიაქროლებს,
ფოთლებს მწუხარეს,
აღარ ეშვება,
ცვივა უმოწყალოდ.
მე ისევ ვთვრები ,
ყვითელი დარდით,
ზამთრის მოლოდინში,
ოცნებები მათბობს.
წუთებს ვეფერები,
უკვე წარსულიდან,
ერთგულების ჯაჭვი,
მარტოობას ნანობს.
ისევ მეურჩება,
მდუმარების ძარღვი,
სევდიანი მარშით,
უერთდება აწყმოს.
ქარი მიაქროლებს,
ფოთლებს მწუხარეს,
მე ოცნება და
ლექსები მათოვს.

ნინო ლაზიშვილი

დავიბადე 1980 წლის 1 დეკემბერს, ქალაქ ბათუმში. 1999 წელს დავამთავრე ქ.ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველი სკოლა. ამავე წლის მაისის თვეში გამოვიდა მოთხრობების კრებული ,,ბინდისფერია სოფელი".

წიგნის გამოცემა საკვიზიტო ბარათი გახდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ჩავაბარე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, პირველი კურსის დახურვისთანავე უგამოცდოდ ჩამრიცხეს თბილისის, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სკოლაც და უმაღლესიც წარჩინებით დავამთავრე. ორგზის გახლდით მემედ აბაშიძის პრემიის ლაურეატი, ჯილდოებისა და სიგელების მფლობელი.

ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, ასევე უგამოცდოდ ჩავერიცხე მაგისტრატურაზე, რაც 2005 წელს დავამთავრე.

სტუდენტობის დროს პუბლიკაციები იბეჭდებოდა გაზეთებში ,,საქართველოს რესპუბლიკა" და ,,აჭარა"; ვთანამშრომლობდი ფაკულტეტის გაზეთთან-,,ახალგაზრდა ჟურნალისტი,,.

მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს- საგანი ,,პოლემიკის ხელოვნება".

2006 წლიდან დღემდე ვმუშაობ კერძო სკოლაში -,,ნიკე", ვასწავლი საგნებს -,,ქართული ენა და ლიტერატურა" და ,,მსოფლიო ლიტერატურა".

პირველი წიგნის შემდეგ პერიოდულად იბეჭდებოდა ჩემი პუბლიკაციები (ჟურნალისტურიც და მხატვრულიც), ე.წ ჩანახატები და ნოველები ქართულ პრესაში, 2014 წელს, ქალბატონი ინგა გოგიბერიძის ავტორობითა და რედაქტორობით გამოვიდა კრებული -,,ინგას უბნის ჩანაწერები,,- სადაც ჩემი facebook-ჩანაწერებიცაა.

მყავს მეუღლე - ნიკოლოზ ბერიშვილი და ქალიშვილი - მარიამი.

კადრ-ვორდი

... ნამიანი დილა იყო..სანდლები ხელში ეჭირა და ფეხშიშველა მიაბიჯებდა ბალახში, მალი-მალ ტაძრისაკენ აპარებდა თვალს, წვივებს მარგალიტებად ებჯინებოდა ცვარი. ტერფები კი მიწის გემოსა და სურნელს ისრუტავდა... დროგამოშვებით პირჯვარს ისახავდა. გრძნობდა, რაღაც უცნაური ემართებოდა, ივსებოდა, გული სხეულის ყველა ნაწილში ფეთქავდა... არც ლექსს წერდა, არც მოთხრობას, უბრალოდ პოეტისეული შეგრძნება ეუფლებოდა და წადილს ისრულებდა, მაგრამ ტაძარი ახსენებდა ფრაზას აღთქმიდან: „...და თუ ჩვენთვის არის შექმნილი ეს წუთისოფელი, რატომ არ ვფლობთ მემკვიდრეობას ამ წუთისოფელთან ერთად„.

...უნდობლობა გაუჯდა ძვალსა და რბილში, სიცრუეს შეჩვეული სიმართლეს ვეღარ იტანდა... ღიმილი გაეყინა, თვალებში სხივი ჩაუქრა... რა უძლურია- ვერ ეგუებოდა, რა სულელია-ტაძართან ეძებდა დიოგენეს კასრს, ეძებდა ჩირაღდანს.... ლოცვით ილოცებოდა... მერე რა, რომ სიცოცხლის დასასრულს გრძონდა? არც არაფერი... უბირი იყო ბოლომდე... წუთისოფელმა ვერ გაუგო... ო, როგორ შეხრა შურმა...შეჭამა, დააპატარავა.

...ღამის ფარდა ჩამოეშვა ტაძარს...სანდლები მიაგდო და ტაძარში შესვლა გაბედა... თავი შეაფარა, ღვარცოფად ქცეულ ნამს დაემალა...ნეტავ აქამდე შეეღწია და თავდახრილი ჩაემუხლა ხატთან... შვება იგრძნო, ლოდი ჩამოსწყდა იმ გულიდან, რომელიც ყველგან ფეთქვავდა... ბევრს იტევდა, გულიც ცემა ტკივილამდე ახსენებდა ტაძრის ძალას....

...სოფელში წუთით შეყოვნდა...

,, . . . ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!. .,,

გენიოსი იყო ვაჟა-ფშაველა, სულის ფილოსოფოსი... სასწაულად წერდა, აი, ისე, ბევრჯერ რომ სურს ადამიანს თქვას, მაგრამ არ გამოსდის, ვერ გამოსდის.... სიბრაზე მძლევს ვიცი, დამამცირებლად და გოროზად გამომივა, ამიტომ სჯობს, ისევ ვაჟას ფრაზა გადავაბულბულო...

დიდი ტკივილი და დიდი სიხარული მაწერინებს ხოლმე, მაგრამ როცა უსამართლობას ვაწყდები, სხვა გრძნობით ვიმსჭვალები. არ მინდა და ვერ ვიგებ შურს, ბოღმას. არ მინდა და ვერ ვიგებ ქიშპობას... გულის ტკივილამდე ვერ ვიტან ქლესობას და ორპირობას... ზემოთ აღნიშნული ფრაზა ავტო თერაპიაა... ამით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ მე იმდენად კარგი ვარ, რომ მტერი მყავს თქო, რომ... არა, მე იმდენად საინტერესო ვარ, რომ ჩემს ირგვლივ ძალიან კარგი და იდეალური ცუდი ზრახვებით ავადდება... გულს დარდი აწვება, გონებას იჭუჭყიანებს...

P.S აბიტურიენტის დღიურს წავაწყდი, ,,ალუდა ქეთელაურს,, მინაწერი გაუკეთა.

სიცოცხლის წყარო

ხუთ ვარსკვლავიანი გურიაა მეთქი ჩოხატაური-ტყუილად კი არ ვიმეორებ(ადრე მოვისმინე სამარშრუტო ტაქსში შედარება). ღანჩ-ხუთშიც ვყოფილვარ, მარტო ყოფნა კი არა გავზრდილვარ, მთელი ბავშვობა მაკავშირებს უსაყვარლესი ბებიები და დედულეთი მასაზრდოებს, ოზურგეთშიც დამისვენია დეიდას ,,ქმაროულს", მაგ-რამ დუმბაძის ჩოხატაურში მართლაც სხვა გურიაა, ,,სიცოცხლის სამოსახლოა,, ...იტყვიან ალბათ -ეს აჭარელი ქალი, როგორ ,,იჭრის ვენებს,, გურიისთვისო, ან აფერისტობს , ,,მისი" დაივიწყა და ,,სხვა", ურჩევნიაო, მაგრამ ასეა და რა ვქნა... იუმორთან განაწ-ყენებული რომ იყო, მაინც ჩაიღიმებ, წვიმა ხვატად და ,,თაკარა,, მზედ გადაგექცევა, სიძულვილს სიყვარული შეცვლის, რა სჯობს აგვისტოს ,,მდუღარე,, მზეში, საღამო ჟამს ბუხართან, ტაბლა-მაგიდას, კეცის ჭადებს, ქვევრიდან თიხის ჭურჭლით ამოღებულ შავ ადესას, მწნილს, ნიგვზიან ,,შეჭამანდს,, და ,,ხარლამის" ყველს (ჭყინტი ყველი და მერე კბილის კრაჭუნი არ მიყვარს), დაცვარული სახეები და მწერლის ნათქვამიც აქვეა -,,კარი გამოხურე, ღამე იყურება" ; გამოხურავ კარებს და უკვე თენდება , ღობერზე /ღობე/ ჩამოწვება მზე, ისიც როგორ ,,გურულად" ასხივებს, ხან ცალ თვალს გაახელს, ხან ,,პირს დაიბანს" და ზოგჯერ კი გულში ბოლომდე გიკრავს, გაგრძნობინებს ფესვებს, ჭიშკრებთან ილიკოს, ოლღას და ილარიონებს გაგაცნობს, სამწუხაროდ მერი და ზურიკელა არსად ჩანს...გახიზნულია სოფელი, აქა-იქ, კანტიკუნტად თუ ჩანს მოსახლე, უფრო ზაფხულში დამსვენებლები, მიტოვებული ეზო, კარ-მიდამო საქონლის ,,ბირჟაა" ...ექოა მოსახლეობის მომკითხველი და ანბანის ხმოვნები (აბა, დაფიქრდით და გაიაზრეთ).

ჰოდა, ასეთ გურიას სტუმრობს ერთი ენაჭარტალა გოგო ყოველ ზაფხულს...

5 წლის შვილთაშვილის და 85 წლის ბებია-ბაბუის ,,საუბრები“

-ბებო, როგორ ხარ?

-რაფერც დამტიე, ისე...

...გობისტოლათვალები, კითხვა ორჭოფული-კი, მაგრამ როგორ დავტოვე, უფრო გამართული, უფრო ჯანმრთელი..ახლა, კი...ა, მივ-ხვდი-ენას გულისხმობს, ემატება ,,მარილი“ და სანელებლები.

-ბაბუ, შენ როგორ ხარ?

-ეჰ, ბაბუ, როგორ და დამშრალი წყაროსავითო...

- ეს როგორ გავიგო ბაბუ?

- დაბერებულ კლდეში მოდის კურცხალი (ცრემლი) დანჩქერი-ვით (ჩანჩქერი), ჩნდება ნაპრალი გულგატეხილობისა და იმედგაც-რუების და მერე წვეთ-წვეთ შრება.

უფ, ნამეტარი ფილოსაოფიაარ-იფიქრა გოგონამ , თუმც არ მოეშვა, აბა მაინც მითხარი, ხელით მითხარი როგორ ხარო?...ასე ვიყავიო, მზესთან ახლოსო-გაშალა ხელები მოხუცმა, ახლა კი მარტო ცას ეყურება (ესმის) ჩემი.

p.S. ჩასაფრებული ვუსმენდი და ე.წ კურცხალი თავისით ჩამომდიოდა... შეუძლებელია მსგავსად ახსნას ვინმემ ხანდაზმუ-ლობა.

ამალთეა დაგვიბრუნდა

თოვლში ჩამალულ საკვამურებზე დაცემულ ფანტელებს ცხელი ოხშივარი ასდიოდა... სუსხმა გვარიანად მოიკიდა ფეხი. აივნის ჩუქურთმებს ყინულის ,,ჩურჩხელები“ ამშვენებდა...

ბარდნიდა , თან ბინდდებოდა ერთდროულად!

უხალისოდ შემოიხურა კარი. დათოვლილი ქურთუკი მიაგდო და ხელები ბუხარს მიუშვირა...

-დედა, ძაღლი რომ აყმუვლდება, არ ვარგა?

- რად გინდა ახლა ეს სისულელე? ფიჩხები შეუმატე ცეცხლს...

უფროსის ნათქვამი ყურად არ იღო, ბუხრის კედელს გაფშე-კილი თითები მიაჭდო და მიამტერდა ოქროსფრად ალაპარაკებულ ალს.

-ტელევიზორი ჩართე, მოვისმენთ, დავტკბებით .

-დედა, ამალეთეა უღონოდა�ა, მგონი ძაღლიც იმიტომ აყმუვლ-და, რომ ვეღარ დაასრულა და ატირდა.

-კარგი, დაწყნარდი, კაცი ხარ უკვე, აბა ვნახოთ რა ხდება ქვეყანაზე .

ბავშვი გულში ჩაიკრა.

-უი, ნახე შენი ტოლები გვილოცავენ...აბა მოვისმინოთო- მოემ-ზადა თითქოს, მაგრამ მალევე სურვილი დაეკარგა, ბავშვთა სახლიო გაიგონა და ... უეცრად სახეც აელეწა.

ბიჭს არასოდეს უკითხავს მამის არსებობა, არც იმით დაინ-ტერესებულა, თუ რატომ იყო დედა დიდედას ასაკის...უცნაურმა აზრმა გაულვე წუთით, მაგრამ კიდევ კარგი რომ ბარდნიდა.

--დედა, ამალთეას უთხარი, რომ არ მოკვდეს.

-არა, ჩემო ბიჭო, ლანგარზე კომბოსტო დაუდე და ვერ გაბედავს სიკვდილს.

დანაპირები შეუსრულა ბავშვს, გარეთ გაუშვა დახუნძლული ხის ლანგრით, თვითონ კი კარადასთან მილასლასდა, უჯრიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ხელის გულში ჩამალა ფურცლის ნაგლეჯი, სადაც შავით თეთრზე ეწერა: წონა-3და 700. სიგრძე 54სმ. ნომერი 34 უცნობი გიორგი. ჩაიკითხა უცებ, კარს თვალებს აპარებდა, დაიძაბა...

შიშით აკოწიწებული სიყვარული, ნაფერები წუთები.

წლები დნება საკვამურზე დაცემული ფანტელივით -არა, არ უნდა გაიგოს.

არ შეიძლება, მე ვარ დედა, მე ვარ.

ბინდი უკუნს შეეგება. სად წავიდა ნეტავო? დაინტერესდა, შეშფოთებით მიაძახა- გიორგი, შვილო.

სახლის უკან მდგარ საქონლის სადგომს მიაშურა , დაყვირება უნდოდა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა. რკალის ფორმა მიეღო თხას, შუაში ბიჭი იწვა, თხის ცური პირში ედო და ნება-ნება წოვდა. ფრთხილად აიყვანა, შეიშმუშნა ბიჭი, გაუხარდა დედა რომ დაინახა და წაიბუტ-ბუტა: ამალთეამ მითხრა, ზევსი გავზარდეო და შენც არ გიღალატებო, სიუხვის რქაც მომცა.

განცვიფრდა ქალი, არასოდეს მასთან ზევსი და მისთანანი არ უხსენებია, თვითონ რა იცოდა, რომ გიორგისთვის მოეთხრო.

მთვლემარე ბიჭი სახლში შეიყვანა, ბოტები წააძრო, ტანსაც-მელი გახადა და ლოგინში ჩააწვინა.

მუჭი ძნელად გაუშალა, მასში მოტეხილ რქას მალავდა, რატომღაც ბავშვთა სახლის ფურცლის ფერი მიეღო რქას, მოგო-

ნებები აიშალა; - ღმერთო, ნუთუ დადგა აღსარების დრო? ვუთხრა რომ...,,არ მომიპარავს, მიპოვნია"-გააჯავრა საკუთარი თავი.

ჩაძინებულს სუნთქვის შეკვრამდე ჩაეხუტა- გაინაბა!

გარეთ საახალწლო ,,გასროლა" , ხმიანობა და ხმაური იყო.

-ახალ წელს გილოცავ ჩემო...ჩემო უცნობო, უთვისტომო, პერანგი შეუხსნა და შუბლიც ჩაუკოცნა.

-დედა, ამალთეა დაგვიბრუნდა? - კითხვა დაუსვა მძინარემ.

ქალს ისევ კარისკენ გაეპარა მზერა, ზღურბლთან ცალ რქა მოტეხილი ლურჯი თხა იდგა, თითქოს საპატიო დახვედრას ითხოვდა, საერთოდ არ ეტყობოდა წინა საათების უსიცოცხლობა. გაოგნებული ათამაშებდა თვალის გუგებს ჭარმაგი ქალი.

აღარ ბარდნიდა, თენდებოდა! -ჰო, შვილო, ჰო, დაგვიბრუნდა, აღარასოდეს დაგვტოვებს!

P.S. ერო და ბერო, ზოდიაქოს სიმბოლოს ფერით(ლურჯი თხის) განცვიფრებული გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!

მატარებელი...თან...ში

მგზავრებითა და ხელბარგით სავსე ბაქანს მიუახლოვდა. ადგილი გამოძებნა, ჩანთაზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა... ასე უთავბოლოდ საით მირბიან ადამიანები, ფანჯრებს მიკრულები და თავსატეხებს ჩაჩერებულები... მატარებელი ჩამოდგა.

იულიუსის მეგობარი იქნებ იცოდეთო, მიუბრუნდა ვიღაც, ფიქრში გართული, მოულოდნელმა შეკითხვამ გააოგნა, გვერდზე გაიწია ჩანთიანად. ოღონდ შვიდი ასო-ბგერა უნდა იყოს, დაანახა ჟურნალში მოთავსებული უჯრები პირობით კეისრის მეგობარი, ვინც მახვილი ჩასცა ზურგშიო...

-ბრუტუსი, უპასუხა მოვალეობის მოხდის მიზნით. მართალია, დაადასტურა ,,მეზობელმა", მრავალმნიშვნელოვნად დააქნია თავი, ეს მეც ვიცოდიო, უბრალოდ გამოგცადეო.

...ჰოდა, თუ ასე ფლანგავს დროს, მაშ რად ემდურის დაუნდობელ, სწრაფმავალ წუთისოფელს, ნუთუ აღარ უნდა თქვას მოკვდავმა: -აი, როგორც იქნა მოვედიო!

მოვედი კი არადა აგვიანებს მატარებელი გასვლას, ზოგი შედის, ზოგიერთი ბარგს ამოწმებს, გამცილებელი პირად ნომერს და სურათს სუდოკუს ,,ამომხსნელივით,, აკვირდება... ზოგიც ბაქანს

უბრუნდება, ან აბრუნებენ... დაჰყურებს ნაგვით მოლამაზებულ ფილა-ქანს, ელოდება როდის გავა მატარებელი.

ვინ იფიქრებდა თუ ახლანდელ დროში ამას წააწყდებოდა ადამიანი...ბრბოს შუაში მოუქცევია ,,ბოშა ქალი", და ,,რა ქალი", ...საჩვენებელ თითზე თუთიყუში დაუსვამს, გაწვრთნილ ჩიტს რეზინაშემოჭერილ, ხვეულაკს მიუახლოვებს და უბრძანებს: ...აბა, კაი მარჩიელი, ამოიღე... ...,,კრაც", ყოჩაღად ჩაკრავს ნისკარტს და სწრაფად ამოაძვრენს... ქალი გაშლის ფურცულაკს და wow! მომა-ვალია, ბედ-იღბალი, შემირცვხენია ბედისწერის დამწერი... გაწუწ-კებული კი არის ,,კრა" (თუთიყუშის სახელია, მიხვდით ალბათ), პატრონმა თუ ფული წინდაში არ მოაყუჩა, რომც დაუჩოქოს სადგუ-რის მოლარემაც კი, მაინც არ აათამაშებს ნისკარტს... დედაკაცისა და ,,კრას" გარშემო უსაქმურთა ბრბო ზღვაში ჩაღვრილი მაზუთივით იშლება და იკუმშება. ბოშა იგინება, სიგარეტის ნამწვავს აწვალებს და ეხმიანება მომდევნო მსხვერპლს.

...აბა, კაი მარჩიელი, მომე ხელი....

...არა, მადლობა!- ცივი უარი.

...არ უნდა ფული, მომე ხელი...შერცხვა, ბედისწერის ნუსხა რატომ გავუფუჭო მკითხავ-მჩხიბავსო და ამოაცურა ფული ჯიბიდან...

...არ უნდა ფული, არც შენი ხელი მინდა, წადი დაიბანე ხელი, წადი საერთოდ შორს, მეგობარი მოგკლავს შენ!

ჩამოუშვა ხელი, გაეშურა ...ადამიანი-მგზავრი ვაგონში შევიდა. ადგილიც მოძებნა, N 30. მარტო იყო, არავინ უმშვენებდა გვერდს.

ვაგონში დამონტაჟებულ ტელევიზორს ახედა, ისევ Wi-Fi სჯობ-სო, ამოიღო მობილური, მოძებნა ქსელის სიმბოლო, არ გაუმართლა, ცუდი სიხშირე იყო.

---საქართველოს რკინიგზა მოგესალმებათ! -ჩაიძირია ოპერა-ტორის ხმაში...

მგზავრი მგზავრს აცილებს, სუსხსა და ქარს თვალებით გამთ-ბარ მზერაში ახრჩობს. პრესა გაიყოლეთო - ხმამ მიახედა, ლილიპუტი ჩანთით ჟურნალ-გაზეთებს ათრევს, მძიმეა ჭაპანი... მიუჯდა გვერდით, როგორ ეცნობა, თუ უნდა რომ ეცნობოდეს, არ იცნობს... ახსოვს? ბაღელია, სკოლელია? უმაღლესში ერთად იყვნენ? თუ მიტინგებზე? ალბათ, ისე ქუჩაში... არ გაწირა მეხსიერებამ-ის ,,ინტელექტი,, იყო, ბრუტუსი რომ შეახსენა. კიდევ კარგი ცნობიერე-ბის მუზამ არ დატოვა უცხოთა იმედზე.

ნახირს ჩამორჩენილი საქონელივით ფრუტუნ-ფრუტუნით მიაზმუვლა მატარებელმა. ბაქანს შემორჩა უძინარი, აქოშინებული, შეშინებული, გადაღლილი, გამოლოდინებული სხვა მგზავრის მგზავრი...

...დგნ,დგნ, დუ-გუ..უ..უნ... მატარებელი ტოვებს ფანჯრებში შემორჩენილ გზებს, სახეებს... ქუთუთოები მძიმედ ჩამოეშვა.

ასე უსაშველოდ, უთავბოლოდ საით გარბიან ადამიანები....

გამცილებელი აგრძელებს სუდოკუს ამოხსნას, უნარების ამოცანების მსგავსად უცნაურად ჩასცქერის ბილეთს, პირადობას და მერე მგზავრს...

სად არის ბილეთი, აი ბილეთი, ეს არის ბილეთი...

სად არის Wi-Fi, გაქრა, ვაი-ფაი, აუ რა გაძლებს, მოდი რა Wi-Fi...

დარჩა ბაქანზე ბოშა, ლილიპუტი, ბედისწერის ,,გრაგნილები" , მართლმორწმუნე ,,კრა" ავიდა ვაგონში მგზავრი, ადამიანი, გამცილებელი. გადახურებულ რელსებზე მიდგაფუნობს მატარებელი... ჩამობნელდა, დაიღალა მთვარე, მართლა დაიღალა....

უკვე მივიდა, მგონი მიაღწია, ალბათ მილასლასდა...და როგორც იქნა - გაჩერდა ...

ასე უთავბოლოდ რატომ წახვედი ადამიანო?

p.s ,,ჩქაროსნული,, ნელა დაგაწერინებს!

დიანა ლომიძე

მე დიანა ლომიძე დავიბადე 1985 წლის 7 თებერვალს ქალაქ თბილისში, დავამთავრე შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კერძოდ ტურიზმის ფაკულტეტი. ლექსების წერა დავიწყე ცხრა წლის ასაკიდან. 2000 წელს გამოიცა ჩემი პირველი წიგნი სახელწოდებით „ეს დაბადებაც იმთავითვე ბედისწერაა“, ხოლო 2002 წელს „მმანება“. ასევე ჩემი ლექსები იბეჭ-დებოდა გაზეთ „მეფეთ უბანში“. ორჯერ ჩატარდა ჩემი შემოქმედებითი საღამო. ახლა ვმუშაობ ახალ კრებულზე და მის წარდგინებაზე.

***

შენ ჩემთან მოსვლას არ აპირებ ახლა ვით სხვები,
როცა ნიავი ყვავილებთან ცეკვით ერთობა,
მხოლოდ შენს გულში ვერ დარჩენით გარდავიცვლები,
მაცოცხლებს რადგან შენში ჩემი ერთადერთობა.
ხარ ავსებული სიყვარულით ვით წყლით კაშხალი.
და მაგ თვალების ლურჯი ციდან წვიმები წვეთავს,
შენი მზერაა ჩვენი გრძნობის მზე და მაშვალი,
წამო კურთხევა შევავედროთ ნისლიან მცხეთას...
ქარებთან ცეკვის მალე ჩემიც დადგება ჯერი,
ალავერდიდან ალაზნის ველს ეღვრება ლოცვა,
ძვირფასო ჩემთვის უშენობა არის სასჯელი,
და აღმაფრენა ერთმანეთზე ვლოცულობთ როცა.

***

ჩემს ყველა ნაბიჯს ბედისწერა წინასწარ ძერწავს,
არავინ იცის, არც მე ვიცი ხვალ რას ველოდო,
ამიშლის რითმებს ქარი, როგორც თმაგაშლილ ძეწნას
აუშლის კარეს...- თქვენ ამბობდით ჩემო თეოდორ
- რომ თუკი მინდა მმორჩილებდეს მთელი ქვეყანა,
ჯერ საკუთარი თავი უნდა დავიმორჩილო,
სულის საცდური სხეულიდან გამომეტანა
ვცდილობდი, მაინც ვერ გიშველე სულო მორჩილო...
დღეს ჭეშმარიტი მწუხარებით უფრო დინჯი ვარ,
ფუქსავატ კაცსაც მატებს ძალას ხშირად ტკივილი,
ხელისგულებით სიცოცხლის გზა ისე მიჭირავს,
თითქოს მუჭებში მეტეოდეს მთელი სიკვდილი.
ფიქრები ისევ გულზე ფეთქვით წერენ საჩივარს,
თეოდორ - ალბათ თქვენც ჩემსავით გღლიდათ შუბერტი?!
თავისუფალნი იმ ეთადერთ შემთხვევაში ვართ,
როცა სიკვდილიც და სიცოცხლეც ხდება სულერთი...
ჩემს ყველა ნაბიჯს ბედისწერა წინასწარ ძერწავს,
არავინ იცის, არც მე ვიცი ხვალ რას ველოდო,
ამიშლის რითმებს ქარი, როგორც თმაგაშლილ ძეწნას
აუშლის კარეს - თქვენ ამბობდით ჩემო თეოდორ..

***

ნუ წაიკითხავთ თუ არ გინდათ იცოდეთ რას ვწერ,
ნუ დააძალებთ თქვენს სურვილებს გამოღვიძებას,
მოვა დრო როცა ჩემს დღევანდელ გულახდილ ნაწერს,
ბევრი დაუწყებს უსარგებლო გამოძიებას...
თუმცა რად უნდა ამ სტრიქონებს ფილოსოფია,
რაც მიწერია, ჩემი გულით არის ნაგრძნობი,
ამას არ უნდა ტაშები და ფილარმონია,
ადამიანიც კმარა ერთი, მსგავსი განწყობით...
დავენანები მისი ფერის დარდის მთხრობელი,
ცრემლი დაშრება გაკრულ ხელით ნაჯღაბნ მელნებზე,
თუ არ მოგხიბლავთ ჩემებური წუთისოფელი,
მე გადამფურცლეთ და გადადით შემდეგ გვერდებზე.

***

უფლისმიერი სიტყვის ძალით გქვია შედევრი,
ბინდი ჩააცვა შუაღამემ მთას სალაბადე,
კარგი და ცუდი ყველგან ჩნდება, ცოტა და ბევრი,
მაგრამ ერთია დადიანი შენ რომ დაბადე...
აქ ყოველ დილით ღვთისმშობელი ლოცავს ალიონს,
მის დარდთან ჩვენი პირადული რა სამსჯელოა?
და თუნდაც მტერმა ეს მჩქეფარე სისხლი დალიოს,
მე იქ ვიქნები სადაც ჩემი საქართველოა.
არ იყავ ვრცელი არასოდეს, როგორც სხვა მხარე,
რაც ხარ, რამხელაც და როგორიც გავედრებ გამჩენს,
ცრემლით მლოცველმა ამ ღამითაც თავი დავხარე,
ღმერთო იქნება სულ პატარა სამშობლო დამრჩეს.

***

ღამეა უნუგეშო, მარტოსული...
მთის ტევრებს სარეცელად იფენს მთვარე,
სიზმარი ჯერ ჩემამდე არმოსული,
ბავშვივით უანგაროდ შევიყვარე...
ღრუბლების ნასუფრალი ტატნობიდან,
თეთრ ფიფქებს ნამცეცებად ისვრის ქარი,
მიყვარხარ გულმართალი ბავშვობიდან
და მაინც სიბერემდე ვერ გითხარი...
მძიმეა უთქმელობა ვით ეს მთები,
ალიონს ცრემლის მძივებს ვაბნევ გულზე,
სანთელსაც ვეღარაფერს ვეუბნები,
ღმერთივით ჯვარზე გაკრულ სიყვარულზე...

მაია მახარაშვილი

მაია ფარნაოზის ასული მახარაშვილი - დაიბადა 1961 წლის 16 მაისს ქ.თბილისში, მეცნიერ-ფიზიკოსის ოჯახში. 1978 წ. დაამთავრა ქ.თბილისის ვ.მ.კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკის საშ. სკოლა. განათლებით მათემატიკოს-პროგრამისტი (1983 წ. დაამთავრა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი), იურისტ-ეკონომისტი (2003წ. დაამთავრა თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტი). შრომითი საქმიანობა დაიწყო 1983 წ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „რადიანში“, სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში პასუხისმგებელ და ხელმძღვანელ თანამდებობებზე და დღემდე ერთგულად ემსახურება ქართულ სახელმწიფოს. ლექსებს წერს 1978 წლიდან.

მაია მახარაშვილი არის 3 წიგნის ავტორი, მათ შორის: პოეტური კრებული "საქართველო მოიშუშებს იარებს", გამოიცა 2011 წელს ქ.თბილისში, დაცულია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში; ელექტრონული წიგნების სახლის "საბა" საიტზე saba.com.ge გამოქვეყნებული ელექტრონული წიგნები "უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი" (გამოქვეყნდა 2014 წელს) და "ნიღაბჩამოხსნილი ქალები" (გამოქვეყნდა 2015 წელს)

*მაია მახარაშვილს სწამს, რომ კაცობრიობის ამ ქვეყნად სიცოცხლე, ფილოსოფიურ ასპექტში, ნიშნავს ადამიანების ურთიერთსიყვარულისა და სულიერი შემოქმედების და მატერიალური შრომის ურთიერთკავშირსა და ერთობლიობას, ანუ მათემატიკურად, სიყვარულისა და შემოქმედების ნამრავლის ჯამს. ამ პოეტურ-ფილოსოფიური თვალსაზრისის მათემატიკურ მოდელს ავტორი შემდეგნაირად გამოსახავს: კაცობრიობის სიცოცხლე= ∑(სიყვარული*შემოქმედება), სადაც ბერძნული ასო ∑ (სიგმა) მათემატიკაში ჯამის აღმნიშვნელია.*

ჩემს ძვირფას, ძირძველ ბათუმს - ქართველთა სულიერი ერთობის ქალაქს

ზღვაში განწმენდილ, თაკარა მნათობს
გულში ჩაიკრავს მწუხრზე ბათუმი,
მოხუცი მთვარე კოპწია სახლებს
შეეგებება სიტყვით ქართულით.
თოლიებს შვენით ნისლის ქულაჯა,
აქაურ ცაში სურნელთ ხიბლია,
აქ კვლავ ლაღად ფრენს სული ქართული
და სიყვარულით სწავლობს ბიბლიას.
დრონით დაფერილ სანაპირობზე
ცისკრით ნავარდობს ტალღა მზიური,
ძირძველ ქალაქზე სვე-ჟამთა ნაჭდევს
განასპეტაკებს მადლი ღვთიური.
მორწმუნე ძმათა სალოცავებში
წარსულის ჯანღი დალექილია,
„სულთა ერთობა მარადიული
გადაგვარჩენს“-ო, ბრძანა ილიამ
ქართველის გულში სიკეთის მუხტი
განტოტვილია რწმენის ძარღვებად --
სამშობლოსათვის ლოცულობს მუფტიც
და პატრიარქიც შესთხოვს განგებას.

მარჯნის მზე აწრთობს ბათუმის კედლებს,
ზღვიან ქვაფენილს აპკურებს წვიმებს,
სულიერება აქ ყოველ კენჭში
განფენილია და გაიბრწყინებს...

ქართულ ანბანს

ქართველთ სულის ანარეკლი --
დამწერლობა ძირძველი,
წინაპართა თანმდევი და
ფარნავაზის მხილველი,
უშრეტ ნიჭთა სავანე და
მზით ნატიფად მოსილი,
იდუმალი სისადავით
შემკული და მოქნილი.
ვაქებ ანბანს მხნეს და ძალუმს,
მშობლიურს და სანუკვარს, --
მომხდურთ ხმალს და სალოცავებს
კლდედ და ფარად აღუდგა,
დედა ენა დაგვიმშვენა,
აზრთა წყობა შეგვიმკო,
სიტყვათ კაზმვით დაიფერა,
ერის მრწამსი შეიგრძნო...
ქართველთ სიბრძნის საგანძურო,
ასწლეულთა კარიბჭევ,
ხელთუქმნელი სიდიადით
აღმაფრენას მანიჭებ!
მიყვარს შენი ხვეულები,
ვაზის ყლორტად ჩაწნული,
შენში მღერის მომავალი
დაირით და ფანდურით.
ასომთავრულს, ნუსხურს, მხედრულს
გულში ხატად ვატარებ,
შენით ლოცვად ვიღვრები და
ლექსთა ქარგვაც მახარებს...
ქართველთ სიბრძნის ანარეკლო,
საგანძურო სულისავ, --
დამწერლობავ მშობლიურო,
კუთხეულო უფლისგან!

П О С В Я Щ А Ю

моей дорогой подруге детства
Галине Крыловой из Мюнхена,
которая после долгих поисков
нашла меня аж через 42 года!

ОТЗВУК ЛУЧЕЗАРНОГО ДЕТСТВА

В плену раздумий: о тленности бытья,
О неизбежности всех преломлений жизни,
О бренной кутерьме, суете сует,
Об отголосках душ давно ушедших близких,
О быстротечности нравов и времен,
О вкусе горечи в паленом ветре встречном, --
Со скороспелыми мыслями скрипя,
Сопровождал меня тот хмурый вечер в вечность...
Печалясь и молясь, взывая к небу сердцем,
Паря и растворясь в лоскут лазурной выси, --
Мне снился частокол замшелых крепостей,
Как символ, след и глас борьбы, забот и жизни.
Мне отблески судьбы на гранях хрупкой призмы,
Как журчание ручьев весенних у ворот,
Как хоровод лучей в окне под старой крышей
И неимоверный сплав цветистых лепестков.
Когда небытие, порхая в лунном свете,
Из пепла и рассветов сплело везенья ком,
Вновь подарило нам благоуханье детства,
Улыбку горной речки и песенки сверчков...

ვლამობდი ლექსის შეთხზვას

ატმის ტოტების უნაზეს კვირტებს
თავს ფანტელებად მაფრქვევდა მარტი...
მე რუდუნებით ვარჩევდი სიტყვებს, --
მიხმობდა ლექსი, წრფელი და სხარტი.

ფრთაშესხმულ რითმთა კრიალა ბირთვებს
ზანტად მესროდა კეკლუცი მუზა,
ვეფერებოდი ფერწასულ წიგნებს, --
მათით ნაკურთხი ნებართვა მსურდა.

ველოდებოდი ხმათა სიუხვეს,
მოწიფულ აზრთა უზადო ფრენას, --
ვით შევძახოდი მთაში ჭიუხვებს
და ცისკრისათვის ვმმადლობდი ზენას.

ოდეს მიაღწევს ღაღადი მნათობს
და გამოსტყორცნის ლალისფერ ბლითებს, --
მე თავდახრილი ვილოცებ მარტოდ
და ხელთუქმნელად ავაგებ ხიდებს.

შევერკინები სიტყვათა წყობას,
პეშვს შევაგებებ სიმართლის სანთელს,
არასდროს დამღლის ლექსების ტრფობა,
ვეროდეს შთანთქავს ბნელეთი ნათელს...

მივეახლები სამშობლოს ტევრებს, --
ყურს ჩამჩურჩულებს პასუხს და კითხვებს.
ძველ ნასახლარებს შემოვხვევ ხელებს
და შევერწყმები დროსა და სივრცეს...

ჭ ა დ ა რ ი

გზის გასაყარზე, აპნისის სუსხში
მორცხვად როკავდა ქარში ჭადარი,
მზიან სამოსელს ნატრობდა გულში,
ემწარებოდა ზამთრის ღადარი,

აგონდებოდა უხვ სიმწვანეში
მოოქროვილი ბურთების კრთომა,
და გაზაფხულის ეშხით გამთბარი
ანცი ჩიტების ხმელ კუნძზე ხტომა,

ნატიფ კვირტებად გამოკვართული
მეზობელ ხეთა კოხტა კაბები,
ცისარტყელების ჭრელი კამარა
და მოფრიალე ბაირაღები...

იდგა ჭადარი ეულად ნისლში
და თანადგომას ფუჭად ელოდა.
არავის სურდა ესმინა მისთვის, --
პირქუშად ცრიდა, კუშტად ბნელოდა...

შორეთს მიმავალს გადამეღობა
შემოძარცვულთა ფესვთა ხლართები, --
შევეხმიანე ხის წრფელ გულისთქმას
და გავამხნევე ბაიათებით...

ჭადარი მკვირცხლად აცეკვდა ჯანღში,
მკერდს სამკაულად ფიფქიც შვენოდა,
მეწამულ ფოთლებს მიწნიდა თმაში
და ქართან ერთად ლაღად მღეროდა...

გიორგი მელუა

გიორგი მელუა დაიბადა 1957 წელს. დაამთავრა ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტები.

1986 – 99 წლებში მოღვაწეობდა ქართულ მედიაში. როგორც პოეტი, იბეჭდება 1997 წლიდან. პირველი პოეტური კრებული გამოვიდა 1993 წელს.

1998 –99 წლებში გამოსცემდა საკუთარ გაზეთს.

ავტორია 6 უფოლოგიური და 2 პოეტური კრებულის.

1999- 2011 წლებში ემიგრაციაში (აშშ) იყო.

როგორც მხატვარს, მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ გამოფენაში აშშ-სა და საქართველოში.

***

სხვა რა გინდოდა?
მზეთუნახავთა გულისცემას უსმენდი,
თბილი წვიმები გეფერებოდნენ,
სიტყვებს მერცხლის ნერწყვით აწებებდი,
ზემელს უყვარდი
და მთვარის პოეტი გერქვა, –
სხვა რა გინდოდა?!

***

გავიდა დრო
და ახლა ჩემი სახე
და სულისმეტყველება
ერთმანეთს აღარ შეესაბამება.
არ ვიცი, რამდენად საწყენია ეს,
რადგან მეც დროსთან ერთად მივრბოდი
და ჩემს გარშემო მზის ტრიალმა
სიყმაწვილის ფერი წაიღო.
მხოლოდ ესაა
გულსა და თვალებს
ადრინდელი შერჩათ ხილვები,
უწინდებურად შეუძლიათ სხივთა მოფენა
და აღმაფრენის უსაზღვრო სრბოლა
ისევ ესე ეადვილებათ.
მაგრამ მუდამ ასე როდია:

ზოგჯერ გულს რეჩხი მოერევა
და მახსენდება,
რომ დრო ყოველგვარ
ცვლილებათა როტაციონია
და ჩემს თვალებში არეკლილ სურათს
ძველებურად ადარ ეუხდები.
მაშინ მე სარკმელთან მივდივარ
და მთვარის მობრუნებას ველოდები,
ვიცი, ავსებისა და დაშრეტის წესი
ორივეს ძველ სახეს დაგვიბრუნებს,
რადგან არავინაა სამყაროში გამონაკლისი,
არც მე და არც მთვარე.

***

ზოგჯერ გაზაფხული დგება
და ვარსკვლავები იკვირტება,
კოსმიური ტივი მიცურავს
ვერცხლისფერ მდინარეზე
და ანგელოსები ადრეული ყვავილებით
ცეცხლოვან გვირგვინებს იწნავენ.
და ამ გაზაფხულს არა აქვს წარსული,
რადგან ყოველი გახსენება
ნაპირზე მინარცხებას ნიშნავს,
რადგან მისწრაფება უკუსვლას არ იცნობს
და ანგელოსთა ხარისხი
მარადიული აღმასვლის საჩუქარია.
ზოგჯერ გაზაფხული მეწვევა
და სულის ყლორტებს უსაზღვროება იზიდავს,
მაშინ თვალებში ცრემლი ჩამიდგება,
რადგან ვიცი, ქარიშხლები დაამსხვრევენ
ჩემს მოგონებებს
და წარსული აღარ მექნება,
აღარ მექნება აქაური
ნეტარების ქსოვილი
და აღარაფერი დამენანება.

***

იგი გულიდან
ჩემი სხეულის ზედაპირზე გადმოიცემა,
მერე მე ხელით ვეხები
და ვკითხულობ.
ეს არის ჩემი სხეულის წინასწარმეტყველება
ხვალინდელ დღეზე,
ეს არის ახალი ტკივილები,
რომელიც უნდა მეწვიოს
და ზოგჯერ ცოტა სიხარულიც,
აქაური ცხოვრება
აუტანლად რომ არ მომეჩვენოს.
ნუ მკითხავთ,
რარიგ ძნელიაწინასწარ იცოდე
ხვალინდელი ავბედითობა,
მე მხოლოდ იმ წუთზე ვფიქრობ,
როცა ჩემი საწყისი შეირხა,
რატომ იყვნენ
მთვარე და ვარსკვლავები
ასეთი მოწყენილნი
და რატომ მომწერეს
ნაღველიანი სიცოცხლის წერილი.

***

ჩიტები სინათლის დაბრუნებას ელოდებიან,
მერე პირველ სხივებს ხმელეთამდე მოაცილებენ
და სიყვარულით შეჰგალობენ დღის დაბადებას.
ეს ხდება ალიონზე,
როცა დედამიწას მზის ნათელი მოეფინება,
როცა ცისკრის
ბილიკებზე
დილა
ჩამორბის.
მერე ადამიანები იღვიძებენ,
ჯერ კანტიკუნტად გამოდიან სახლებიდან,
ქუჩებს ავსებენ და სახეებზე ნიღბებს ირგებენ.
ასე ინთქმება ხმაურში ყველაფერი,
ქაოსის ეტლები
გიჟური ენებით დაქრიან

და ქალაქები სმოგში იძირება.
არ ვიცი, რატომ ხდება ასე
დილა ადამიანებისათვის
მხოლოდ დრო და ათვლის წერტილია,
ისინი ახლა შემოსაზღვრული
სივრცით ცხოვრობენ
და განთიადის სილამაზე
მათ თვალებში დიდი ხანია აღარ ჩამდგარა.
მაშინ ქქვეყნის დაღუპვაზე
ძველი წინასწარმეტყველება მახსენდება,
შეშფოთებული ვაწყდები კამარას
და გული მეუბნება:
რა მოხდებოდა, ადამიანებს
სამყაროს მშვენიერება არ დავიწყნოდათ,
რა მოხდებოდა,
სინათლესა და სიყვარულზე
ჩიტებივით ტკბილად ემღერათ,
მაშინ დილა და ადამიანები
ხომ ისევ ერთად იქნებოდნენ
და ცუდი წინასწარმეტყველება
ქვეყნის დაღუპვაზე
აღარ იარსებებდა.

ნანა მეტრეველი

მე, ნანა გიორგის ასული მეტრეველი, დავიბადე გორის რაიონის სოფელ ქორდში, პედაგოგების ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ცხინვალის სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დავამთავრე და სწავლა გავაგრძელე მოოვეტერინარულ ინსტიტუტში მოოსაიყინრო სპეციალობაზე, ოცდაოთხი წელი ვიმუშავე თბილისის რეფერალურ ჰოსპიტალში ანესთეზისტად, ლექსებს ბავშვობიდან ვწერ, პოეზიის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია, ამჟამად უფრო აქტიურად ვწერ , რადგან ვიმყოფები ემიგრაციაში და ნოსტალგია თავის სათქმელს ლექსებით ამბობს. აქ ათენში დამეხმარა ქართული სათვისტომო და ემიგრანტ მეგობარ მზაფო ოსიშვილთან ერთად დამიბეჭდეს ლექსების კრებული, ახლა ახალი მაქვს მზად და უახლოეს დროში გამოიცემა, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ საბერძნეთის ქართველთა სათვისტომო "ოქროს საწმისის". მყავს მეუღლე და სამი ვაჟი, შვიდი შვილიშვილი. ოთხი წელია ემიგრაციაში ვარ საბერძნეთში, კერძოდ ათენში

სალონიკში გამოიცა ჟურნალი "თაობა,სადაც ერთი გვერდი ჩემს ლექსებს ეთმობა.

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს

საიდან ხარო, უცხოეთს
როდესაც მეკითხებიან,
საქართველოდან ვპასუხობ,
კი, ვიცით, მეუბნებიან.
ეჰ, შენ, ჩემო მასპინძელო,
კი იცი სადაურიც ვარ,
თუმცა კი, დღეს შენს მიწაზე
მე უსახლ-კარო მდგმური ვარ.
შენ ვერ მიხვდები ჩემს წუხილს,
ვერც ლექსებს, ხშირად ცრემლიანს,
შენს მიწაზე ხარ, სამშობლო,
ალბათ არც მოგნატრებია.
ანდა რა იცით სად არი,
ჩემი ლამაზი მთა- ბარი,
იცით, რომ ჩემსა სამშობლოს
ქვეყნად არა ყავს ბადალი?.

ჩემი სამშობლო იქაა,
სადაც ლამაზი მთებია,
ზედ გაწოლილი ნისლები,
ბარს ნანას ეუბნებიან,
სადაც ამაყი ჯიხვები
ზედ ქარაფებზე ხტებიან,
ო, ამ ყველაფრის დანახვა,
დღეს როგორ მომნატრებია.
იქ მთებიდან მორაკრაკე
უკვდავებისა წყლებია,
ამიტომ მტერნი მრავალნი,
მასთან ვერაფერს ხდებიან,
სადაც არ უნდა წავიდეს
ქართველი რა ქართველია,
სამშობლოს გახსენებაზე
ცრემლი თუ არ დასდენია,
საქართველოსთვის ღვთისმშობელს
თვის კალთა უფარებია,
მიტომაც ქართველს სამშობლო,
სხვაგვარად შეჰყვარებია.

სოხუმის დაცემა

ოცდაშვიდი სექტემბერი თენდებოდა,
ზღვა წუხილით ასკდებოდა ნაპირებს,
ვაჟკაცების სიხლით მიწა ირწყვებოდა,
საქართველოვ , მერამდენედ გატირეს.
განთიადზე მამალსაც არ უყივლია,
ზეიმობდა სატანა და ღალატი,
სულს ღაფავდა დენთისა და სისხლის სუნში,
ქრისტესავით გაყიდული ქალაქი.
სოხუმს გული ორად ქონდა გახლეჩილი,
ასეთ ყოფას არყოფნაც კი ერჩია,
ცრემლით, ლოცვით აცილებდა თავის შვილებს,
უფალს სთხოვდა ყველა გადაერჩინა.
თოლიებიც კი არ ჩანდნენ ზღვის ნაპირზე
გაისმოდა მხოლოდ გმინვა, გოდება
სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენილნო,
აფხაზეთი კიდევ დაგელოდებათ.
"ჰერიო ბიჭებოც" ისევე ამღერდება,
სულ ენთები გმირთ სულისთვის სანთელო,
მჯერა უფლის მადლითა და მოწყალებით,
კვლავაც გამთლიანდები საქართველო

ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო

საიდან გადამეყარე,
ქალავ, გაშლილო ვარდადა,
თავი ძლიერი მეგონა,
შემომჩენიხარ დარდადა.
ქალაქელი არ გეგონო,
გოგოვ, გავზრდილვარ მთასაო,
არ დაგეხსნები სანამდე
არ შეგაყვარებ თავსაო,
ნუ მტანჯავ, ნუ მემალები,
გული ნუ დამიავადე,
ბევრს არ დაგიცდი იცოდე,
აღარცა გკითხავ არაფერს,
ჩამოგიქრილებ ქორივით
ჩემთან წაგიყვან მთაშია,
გაჩვენებ სილამაზესა
არაგვის ხეობაშია.
ქვეშაგად მდელოს გაგიშლი,
ზეცას დაგხურავ საბნადა,
ისეთ სიყვარულს გასწავლი
არ გაგეგონოს არსადა.
ოღონდ ნუ დამემალები
სულ ერთხელ მითხარ "მიყვარხარ",
სხვა ქალას აღარც შავხედავ,
მაგ ლამაზ თვალებს ვფიცავარ.
ჩამსახლებიხარ გულშია,
მინდა გიკოცნო თვალები,
იცოდე ჩემზე ძლიერად
არავის არ ეყვარები.
ცხრა თვეში სამნი გავხდებით,
ბალღს ჩავაგორებთ აკვანსა,
ბედნიერებით ვხარობდეთ,
ვმადლობდეთ ღმერთსა მაღალსა.
არასდროს გადარდიანებ,
თმაშიც ჩაგიწნავ გვირილებს,
თუ მაინც გამებუტები,
სულ კოცნით შემოგირიგებ.

მირზა გელოვანს

შენ დაბრუნდები იმ ნაცნობი თმების სურნელით,
ომის ქარცეცხლში თან რომ წაგყვა, როგორც თილისმა,
ახლა ბრუნდები, იყვავილეს უკვე ნუშებმაც,
სავანეც უკვე გაგიმზადა შენმა თბილისმა.
არ შეარჩინე მტერს მოძმეთა წვეთი სისხლისა,
ფეხდაფეხ სდიე, დაშნითა და საწერ-კალამით,
ნატყვიარ გულზე მოგეფერა ვიტებსკის მიწა,
გამოატანე ლექსს მამულთან ბოლო სალამი.
პირსისხლიანი მტერი ალბათ როგორ ხარობდა,
ტყვიით შენს მკერდში ნორჩი გული რომ გააცია,
როგორ მოტყუვდა, მგოსანს ტყვია რას დაგაკლებდა,
შენმა ლექსებმა უკვდავებად გადაგაქცია!
მონატრებული თიანეთი მოგირჩენს წყლულებს,
ლოცვად ქცეულა ღვთისმშობელი თვალცრემლიანი,
ბუმბერაზების გვერდით პოვებ განსასვენებელს,
და ჩაგიხუტებს გულში ლადო ასათიანი!

სამადლობელი

სამადლობელი უფლისადმი, ჩემი ლექსია,
ხშირად ნაღვლიანს სულ სხვა ხმაზე მალაპარაკებს,
რა ბედენაა მელექსესთვის ერთი სიცოცხლე,
მაინც კარგია, ის ერთიც თუ არ დაამადლეს.
რამდენჯერ ნათქვამს გულიც თანვე ამოჰყოლია
არა, უგულოდ არც რა მითქვამს, არც სად ვიარე,
სამადლობელი შეიწირე ჩემგან უფალო,
ტკბილ- მწარე ტაბლას პოეზიის, რომ მაზიარე.
კარი გააღეთ, ნურც დარაბებს ნუ დამიკეტავთ,
ვერ ვეგუები უჰაერო, ჩაკეტილ სივრცეს,
მინდა ციმციმა ვარსკვლავებს კვლავ ხელით შევეხო,
და შევეგებო მზის ამოსვლას აისის პირზე.
და ვივლი ასე, ლექსიც ისევ ფურცლებს შეავსებს,
წაღმა უკუღმა იტრიალებს ბორბალი ბედის,
და რამდენჯერმე ალბათ კიდევ გააპრილდება,
სანამ მითქვია სევდიანი სიმღერა გედის.

გიორგი მიცკევიჩი

დავიბადე თბილისში 1949წ. არა მაქვს აღებული არავითარი პრემია არც კრებული 25 წელია ვწერ ლექსებს პირველად შარშან გამოვაქვეყნე სოციალურ ქსელში და 2014 წლიდან კი ,,ინგას უბნის“ აქტიური წევრიც ვარ.

***

მეც ხომ ვიყავი ერთ დროს პატარა
მეც ხომ მიყვარდა ცეკვა თამაში
რახან დავბერდი ეხლა აღარ ვარ?
და აღარ ბრწყინავს ჩემთვის ალმასი?
განა მე გული არ გამაჩნია?
და აღარ ფეთქავს როგორც მანამდის?
სიბერემ კვალი თუ დამამჩნია
გრძნობა პირიქით უფრო გადამდის!
დღეს სიყვარული ჩემში სავსეა
და არც უჯერებ ქვეყნად არავის
ბედნიერი ვარ რომ გამაჩნია
მე სიყვარული!-ეხლა ნახვამდის!

***

გთხოვ სიყვარულის ერთი ღამე მაჩუქო კიდევ
გადამავიწყო ამ ცხოვრების სევდა ვარამი
გთხოვ მაპატიო უაზრობას ჩემგან რომ ისმენ
და გამახსენო შენი სითბო ბევრჯერ ნანატრი
მინდა სიძველემ კიდევ ერთხელ იჩინოს თავი
და გადაეშვას სიყვარულის წმინდა მორევში
არც კი ვინანებ თუ გახდება ეს ბოლო წამი
მოფერებებში! შენთან ერთად მოფერებებში!
არ დავნებდები და ბოლომდე ვიბრძოლებ მაინც
სულაც არ მაწყობს ვარსებობდე მოგონებებში
დაიმახსოვრე! სიყვარული აქ ჩემში არი!
და შენი სიტყვა გუშინდელი ცივ ნოემბერში!

***

გადავიღალე მართლაც ძლიერ გადავიღალე
ვერ ავიტანე მარტოობა ვერ ავიტანე
გთხოვ წამიყვანე ნუ დამტოვებ გთხოვ წამიყვანე
სასუფეველში შენთან ღმერთო გთხოვ წამიყვანე
მე სიცოცხლეში ჯოჯოხეთი გამოვიარე
არ ვეზიარე ამ ცხოვრებას არ ვეზიარე
და ვინც ვიწამე თურმე მასვე უნდა ვეწამე
რად გამამწარე რას მერჩოდი რად გამამწარე
შენზე ფიქრებში ბევრი ღამე მითენებია
შენს მოლოდინში ბევრი ლექსიც დამიწერია
ჩემი ოცნების შენ იყავი მართლაც ფერია
და სამუდამო განშორება წილად მრგებია
მე შენ სიყვარულს გულით მუდამ თან ვატარებდი
შენზე მლოცველი ამომავალ მზეს გადარებდი
ოცნების ზღვაში დავცურავდი კოშკებს გიგებდი
შენ კი პირიქით ყველა მხრიდან მახეს მიგებდი
გეკონებოდი ხელი მკარი არ მიმიკარე
გემონებოდი დამიპყარი მონად გამხადე
ჩემი გრძნობები გადათელე გაანადგურე
რასაც ელტვოდი მიაღწიე და აისრულე
უსულო საგნად სათამაშოთ გადამაქციე
როცა მოგბეზრდი გამებუტე ზურგი მაქციე
მე სუყველაფერს გპატიებდი ყველა საქციელს
მე გაპატიე მაგრამ ღმერთი არ გაპატიებს.

თანამედროვე წითელ ქუდა!

წითელი ქუდი თვალები ჭრელი
მოკლე კაბა და ფეხები გრძელი
ხელში უჭირავს კალათა წნელის
უნდა წაუღოს ბებიას ძღვენი
გასავლელი აქვს მინდორი ვრცელი
ტყე უღრანი და საშიში ბნელი
სულ არ აწუხებს თქმულება ძველი
რომ ტყეში ცხოვრობს მშიერი მგელი
გზად მიმავალი ყვავილებს კრეფავს
დააგროვებს და თაიგულს შეკრავს
ისიც მასავით ლამაზი არი
და ორივენი ეტრფიან ზეცას
ამ დროს ბუჩქებში მგელი მშიერი
თვალები ფართო, მუხლი ძლიერი
ფიქრობს ვინ არის ეს მშვენიერი
დღე გამითენდა მე ბედნიერი
შიმშილის გრძნობა უცებ გაუვლის
რაღაც სხვა გრძნობა სისხლში დაუვლის
ქალიშვილს ფრთხილად გვერდით ჩაუვლის
ახლოს არ მიდის შორიდან უვლის .
და ესე ჩუმად მიყვება გვერდში
გაბრაზებული თათს ირტყამს მკერდში
რა მემართება? რა ხდება ჩემში?
ჯერ არ ვყოფილვარ მე ესეთ დღეში
ღონეს მოიკრებს წინ აღუდგება
ქალიშვილს შიში დაეუფლება
მგელი თავს დახრის და ეუბნება
- შენზე ლამაზი არ მეგულება
წამოდი ჩემთან! მაჩუქე გული!
გამიადვილე ცხოვრება მგლური!
შენზე ვილოცებ ღმერთი ხარ ჩემთვის!
შენთვის მოვკვდები მონა ვარ შენთვის.!
გოგონა შეკრთა დაკარგა ფერი
გადმოუვარდა თვალიდან ცრემლი
მგელს მოეხვია შენი ვარ შენი!
- და მოისროლა ბებიას ძღვენი!

***

დაღონებული ჩემს თავს ვამხნევებ
წყალწაღებული ხავს ვეჭიდები
მწარე ფიქრებსაც თავს დავანებებ
სიცოცხლეს მაგრად ჩავეჭიდები
მე უბრძოლველად ფარხმალს არ დავყრი
გზა მოფენილი არ მაქვს იებით
თუ ღმერთის ნებით ეხლაც გადავრჩი
ვერას დამაკლებს მერე ტყვიებიც
ტკივილებს გულში ჩავიკრავ მაგრად
ამით გავხდები უფრო ძლიერი
ღამე გაივლის მოვა დრო ალბათ
დღე გათენდება ყველა მშიერის
მოწყურებული წყურვილს მოიკლავს
მონატრებული მას ვისაც ელის
თავისუფლებას ღმერთი მოგვიტანს
სატრფოს ვედრება და დედის ცრემლი
ყველას ეძღვნება ეს ჩემი ლექსი
ვინც დღეს ჩემსავით დაჩაგრულია
ჩვენი ძახილი რატომ არ გესმით!
თქვენ! ვის ხელშიაც ჩვენი ბედია!.

ნინო მოდრეკილაძე

ნინო მოდრეკილაძე დაიბადა 1981 წლის 2 აპრილს, ქალაქ კასპში. პირველი ლექსი 9 აპრილს მიუძღვნა. 1992 წელს, გაიმარჯვა მოსწავლეთა შემოქმედებით კონკურსში და ლექსი ,, ნეტავ რა ვარგო მე ჩემს ქვეყანას", დაიბეჭდა გამომცემლობა ,,ქართლის" მიერ გამოცემულ კრებულში ,,ოცნება". იბეჭდებოდა გორის შემოქმედებით გაზეთში ,,ყაყაჩო" და რაიონულ პერიოდიკაში. 1998 წელს დაამთავრა კასპის პირველი საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. წლების მანძილზე, სხვა და სხვა გამოცემებში მუშაობდა კორესპოდენტად, ნინოს ლექსები დაბეჭდილია ლიტერატურულ კრებულში ,, გარა". ბათუმში გამოცემულ კრებულში ,,ლექსების გამოფენა" და ,,ლექსების გამოფენა და ასი სიტყვა", მონაწილეობდა მთიან აჭარაში, ლიტერატურულ – კულტურულ ექსპედიციაში ,,ზე კარი", და მისი ლექსები შევიდა 2013 და 2014 წლებში დაბეჭდილ კრებულებში – ,,ზეკარი". 2014 წელს, წიგნში, ,,დაუბეჭდავ ლექსთა კრებული". ამავე წელს გამოსცა პირველი საავტორო კრებული ,,სულის ქარვები".

2015 წელს დაიბეჭდა ლიტერატურულ ჟურნალებში: ,, ანეული" , ,,ქართველები". ნინო მოდრეკილაძე 2015 წლის მარტიდან არის საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი.

ჰყავს მეუღლე გიორგი ხმალაძე და შვილები – ნიკოლოზ და ერეკლე ხმალაძეები.

ათასმეორე ღამე

ურჩად გავრბივარ ჩემი თავიდან,
მაინც ვიღვიძებ ყოველდღე ჩემში,
საწუთროვ, ფიქრი მეტი არ მინდა,
დროზე დამხარჯე, წყალივით შემსვი...
თორემ ნერვები აჰყვა ბილიკებს,
აღარ თავდება თეთრი გზის ლანდი,
მზე დახუჭული თვალებით მისმენს,
ცასაც მოერღვა ღრუბელზე ბლანდი...
გიჟივით იქნევს ქარი მტვრის ხელებს,
ავადობს, ფანჯრებს ასკდება ჯავრით,
სიზმარი ღამეს ვერ გამითენებს,
ისიც ჩემს თავთან მარიგებს ძალით...

ათი კვადრატის ვიღობავ ჰაერს...
მიწას ავცდი და ცამდე შორია,
ვერა, ფიქრებით ვერ გავეცალე
ათასმეორე ღამის ფორიაქს...

კიდევ უნდა ვეწვიო

(სელიმ ხიმშიაშვილის ხსოვნას)

გურჯისატანი არ შერჩა
საბოლოოდ ოსმალოს...
ლურჯი ფერის ცა გვხურავს,
თავს დაგვნათის მწველი მზე,
ქართველობის შეგრძნება
უნდა გამიასმაგოს
მუხის - ნაძვთან ხორცებამ
და ამბავმა სელიმზე...
არ მსახურობს არავინ
ერთდროულად ორ ბატონს...
წვიმა დელიკატურად
დაასველებს გირჩს და რკოს...
პაწაწინა ფრინველი
მხიარულად მზეწვიობს,
სელიმს საფლავის ქვასთან
კიდევ უნდა ვეწვიო...
სხვა რა მინდა, - ვახარო
დიდ წინაპარს ამაყად,
კი არ დარჩა ლეგენდად,
კი არ დარჩა არაკად....
ხიმშიაშვილს, სიტყვები
დრო - ჟამმა ვერ მოჰპაროს
გურჯისტანი, არ შერჩა
სობოლოოდ, ოსმალოს

მრავალწერტილი...

ტალახს ნუ შეაყრი ანგელოზს, ციციკორე,
ყველას ხელები გვაქვს ცოდვიანი,
ბედი ცაში წყდება, ბედი, თორემ
უცოლოც კაცია და ცოლიანიც...
ფუფალა თუ მოარღვევს ოღრო – ჩოღროს,
წუმპეს აიტაცებს კაბის კალთა,
შიოლა... ყველასია, ყველა გოგოს
უნდა კაცი სწორედ მაგისთანა.
გთხოვ, ნუ შეაფურთხებ, ანგელოზს, ციციკორე,
შენც ხომ ხელები გაქვს ცოდვიანი,
ბედი ცაში წყდება, ბედი, თორემ
უცოლოს ერქმეოდა ცოლიანი...
ღოდებთან დაჩოქილს, ნანგრევთან სიკვდილი,
ჩაქოლილ ანგელოზს დასცქერის ქვის ყორე,
ერთადერთს, ერთადერთს, დაკარგულს მივტირი,
სული ტალახისთვის ცოდვაა, ციციკორე...

არ გიღალატებ

(ემიგრანტის დღიურიდან)

გზა სამშობლოდან...
ცრემლით ვბანე.
დროც იქ გაჩერდა,
არ გამიკვალავს ეკლიანი
ბილიკი თითქოს,
ღმერთო,
არსად ჩანს მზის შუქი და გამონათება,
გული თბილისურ გაზაფხულს და
გვირილებს ითხოვს...
მთაწმინდის მხარზე ჩაძინებულ
ვარსკვლავთა სუნთქვას,
წარსულთან - აწმყოს ჩუმ პაემანს -
ნარიყალაზე,
საქართველოსთან ყოველღამე ვმართავ საუბარს,
სიცხიანივით ვიმეორებ: ,,არ გიღალატებ!..“
არ გიღალატებ, დავბრუნდები,
თუმცა, ხარ შორი,

გზა...
მიჯნურების ფიქრებივით უსასრულოა,
ენძელებს ვნატრობ
ღელისუბნის უკვალავ თოვლში
და გაზაფხულზე
მდინარეთა უნაპირობას.
მე შენთან დამრჩა შვილიც,
დედაც,
ძმაც და
თვით ღმერთიც,
დასაფიცარი საფლავები,
ბავშვობა, ყრმობა,
საქართველოთი
ავადმყოფი მუდამ ვიქნები,
მატარებელი...
სამშობლოსკენ
ვიდრე არ მოვა...

სოფელი

ჩემი სოფლის კერა მიხმობს,
ბზარებგაჩენილი თონე,
თეძოამოვარდნილ ფეხზე
მძიმედ ჩამომდგარი ღობე...
სადაც კედლებს სცვივა კირი,
მიწას ჭაღარებად ათოვს,
გული ქალაქს აღარ იცდის,
სოფლის ორღობეებს ნატრობს.
სადაც ცელს კვერავდა პაპა,
ახლა მამა კვარავს ფიჭვებს,
მზე დაირას ხელს შემოჰკრავს
და სამყაროს გააღვიძებს...
არა, როგორ მიგატოვე,
გაგიმეტე პაპის სახლო,
დაკოჟრილი ხელებით რომ
გაშენებდა გულთან ახლოს...
ჩემი სოფლის კერა მიხმობს,
ბზარებგაჩენილი თონე...

ქეთევან ნათელაძე

მე - ქეთევან ნათელაძე დავიბადე 1993 წლის 6 თებერვალს. დავამთავრე დედოფლისწყაროს “ 2 საჯარო სკოლა. ლექსებს ვწერ სამი წლის ასაკიდან.

2009 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი კრებული ,,ყვავილების ინტერლუდია”. 2014 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების მეორე კრებული “რეპორტაჟი ციდან”. ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ასევე ხელოვნების და მეცნიერებათა აკადემიის წევრი. პერიოდულად ვიბეჭდები ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში, ვარ ლიტერატურული კონკურსების გამარჯვებული. ამჟერად ვსწავლობ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსზე ფსიქოლოგიის განხრით.

***

როგორ მოვახერხეთ, რომ ერთ ქალაქში ვცხოვრობდით და ერთმანეთს ვერ ვხედავდით, როგორ მოვახერხეთ, რომ სხვებისთვის ერთმანეთზე მოგვეყოლა გულგრილად...

შენ ამბობდი, რომ თვითმკვლელობა სისულელეა, რომ არავის გამო არ ღირს იტვირთო ამხელა ცოდვა, ღამღამობით აივნიდან სანახევროდ სივრცეში გადახრილს ეს სიტყვები ჩამესმოდა და ოთახში ვბრუნდებოდი...

ჩემმა სიყვარულმა სიკვდილი ვერ მოახერხა, რაც დრო გადის თავის თავთან ცამდე მაღლდება, ჩემი სიყვარული მარადიულია...

მოდი და მოუსმინე ჩემს გულისცემას, მოუსმინე, რომ მიხვდე სხვას არავის არ ჰყვარებიხარ! მოდი და ჩამხედე თვალებში, თვალებში ჩამხედე, რომ მიხვდე სხვას არასოდეს დაუნახიხარ! მოდი და ჩამეხუტე... რისი გეშინია, რაღა უნდა წაგართვას დრომ, დრომ ერთმანეთი უკვე წაგვართვა...

ახლა ერთხელ მაინც ერთმანეთს რომ ჩავეხუტოთ, ვეღარაფერი დაგვაშორებს...

თუ სულ დასრულდა

ამ აყვავებულ გაზაფხულშიც უნდა მიყვარდე,
ამ მარტოობის შუაღამემ თუკი ინათა,
შენ უჯერებდი იმ ცივ ტალღებს, მე რომ მრიყავდნენ,
შენ უჯერებდი იმ ქარიშხალს მე რომ მძირავდა.
ყველა მორჩენილ ტკივილივით ესეც გაივლის,
აქ ხომ ღალატი სიყვარულზე უფრო ხშირია,
ჩვენ აღარ გვჯერა ერთმანეთის, მაგრამ არ მიკვირს,
აქ ხომ ყველა და ყველაფერი მოგონილია...
და გაზაფხულიც ჩემს ფანჯრებთან ელავს ფერებად,
და უკვე წასულს აღარ შეგწევს ძალა წახვიდე,
ვერ დავავიწყე ჩემს სუსტ ხელებს შენი ხელები,
ვერ ვაპატიე უშენობა მარტის ამინდებს.
ხან დაბრუნება წასვლაზეც კი უფრო რთულია,
მით უფრო მაშინ, თუ გავცვალეთ ბედთან როლები,
აქ თვითმკვლელობაც ისეთივე ბანალურია,
როგორც ქუჩებში მოციმციმე სვეტაფორები.
ამიტომ ასე, ლექსებიდან გემშვიდობები,
მეტაფორებით, ოცნებებით, მხრებით, თვალებით,
შენ არ იცი რომ უკან აღარ მოიხედავენ,
ისე მიდიან ჩემნაირი ფიქრის ქალები.
თუ მთელი ეს დრო ერთმანეთზე ფიქრიც არ გვსურდა,
თუ ყველა გრძნობა უკვალოდ და უხმოდ წავიდა,
ჯობს არ დაიწყოს არაფერი, თუ სულ დასრულდა,
თუ ყველაფერი დასაწყები არის თავიდან...

***

შენსავით ახლობელს.
იმ ძველი მითების თანახმად,
ხეებში ნიმფები სახლობენ,
ვის ვნახავ შენსავით ჩემეულს,
შენსავით ძალიან ახლობელს...
ხვალ უნდა ატამი გათოვდეს,
მზემ უნდა იელვოს შორიდან,
შენსავით ვინ უნდა მახსოვდეს,
შენსავით გარდასულ დროიდან.
ცა არის დამცხრალი კოცონი,

ვარსკვლავთა სიცილით გამთბარი,
შენსავით ვინ უნდა მაჩუქოს,
ღიმილი წრფელი და მართალი.
შენსავით ვინ უნდა დამცილდეს
სტროფებად დაწყვეტილ გზებიდან,
შენსავით ვინ უნდა მაცლიდეს,
ყვავილებს აბურდულ თმებიდან.
დარდია შორეულ მოტივად,
გულში რომ ჩამოწვა ლოდივით,
შენსავით ვინ უნდა მელოდოს,
უხმო და დაუღლელ ლოდინით.
ცრემლები ვინ უნდა შემიშროს,
ვარსკვლავი რომ გაათასდება,
შენსავით ვინ უნდა შენიშნოს,
ჩემი ყვავილებთან მსგავსება.
წვიმებმა გაშალეს კარავი,
ვიცოდი წლები რომ დაგვღლიდა,
არავინ, არავინ, არავინ,
აპრილად არ მოვა ახლიდან.
იმ ძველი მითების თანახმად,
ხეებში ნიმფები სახლობენ,
ვის ვნახავ შენსავით ჩემეულს,
შენსავით ძალიან ახლობელს...

***

ქალი მარტოა და ღამე მისნობს,
რა დრო გასულა - აწმყო რომ ზარავს,
ბუხართან ისევ ნებივრობს ფისო,
და ზამთრის სუსხი აფხიზლებს ქალაქს.
ფიფქი ჩნდება და თავს კარგავს წამსვე,
თეთრი ოცნება შემოაქვს ღამით,
ქალი მარტოა, ჩასცქერის გაზეთს,
ხელში სიგარით და ჭიქა ყავით.
დღეს ყველაფერზე პასუხი მზად აქვს,
ეს პასუხები მთელს სხეულს იტევს,
პასუხებს ითვლის უკლებლივ მაგრამ,
დღეს აღარავინ იძლევა კითხვებს...

თამარ ნიკურაძე

დაბადების ადგილი - ბათუმი 1985 წელს დაამთავრა ბათუმის “ 2 საჯარო სკოლა. 2000 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ინგლისური ენის ფილოლოგია)

2012 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დოქტორანტურა)

2012 წელს გამოიცა ლექსების კრებული Carpe Diem

2013 წელს დააფუძნა „დოროთეა პარკელის საქველმოქმედო ფონდი“ - განხორციელებული პროექტები:

1. „არაფორმალური განათლება სამღვრებს მიღმა“

2 ,,კულტურა და სოციუმი”

2 საქველმოქმედო აქცია „პური ჩვენი არსობისა“ (მიმდინარე)

2013 წელს გამოიცა ლექსების კრებული 51 ჰაიკუ

დროგამოშვებით იბეჭდება ჟურნალ „ჟოროხში“

გაქცევა

- ვიცი, ყველაფერი ვიცი!

- მაინც რაზე ამბობ?

- აქედან წასვლა მინდა და არ მიშვებენ.

- რატომ გინდა წასვლა?

- იქ თავისუფლებაა, აღარ დავიტანჯები.

- აქ რა გტანჯავს?

- ყველაფერი.

- და რა იცი, რომ იქ კარგია?

- გამოვცადე.

- როგორ?

- როგორ და კისერზე შემოვიხვიე ინტერნეტის კაბელი.

- მერე?

- მერე რა და, რა ჯოჯოხეთი, და რისი ჯოჯოხეთი.

- რას გულისხმობ?

- ჯოჯოხეთი არ არსებობს! პირიქით, იქ სამოთხეა! ასე განზრახ ამბობენ, რომ ყველა არ წავიდეს იქ.

- სად, ინტერნეტში?

- არა, ჯოჯოხეთში. ყველა რო ასე მოიქცეს, ძალიან ბევრი გაუბედურდება, მასობრივი სუიციდის ხარჯზე.

- შენ რა იცი, რომ იქ კარგია?

- სანახევროდ იქ ვიყავი.

- როგორ? აბა, ამიხსენი!

- ჯერ ხელები და ფეხები დამიბუჟდა, მერე თვალებში გამინათდა, სინათლე იყო... იყო უმტკივნეულობა...

- მერე?

- რა მერე? მომაძრეს საიქიოს ტრანსპორტი.

- ვინ?

- ვინ და პიდარასტკამ, უხ მაგის...

- აააა, ცოლმა ალბათ...

- აჰა, მაგრამ მაგის ჯინზე კიდევ ვცადე გაქცევა.

- როგორ?

- თოკით.

- მერე?

- ისევ კაი პონტში ვიყავი და მამაჩემმა მომისწრო.

- მერე?

- მერე ვენები გადავიჭერი, მაგრამ უკვე გაძლიერებული ყურადღების ქვეშ ვიყავი და ისევ დამაკავეს.

- ვაა..

- მოდი, ყურში გეტყვი. ახლა აქ მითვალთვალებენ, მაგრამ მაინც გავიქცევი. იქ მაგარი პონტია. ყველას ატყუებენ, ჯოჯოხეთის ალიო და რაღაც მისთანები, მაგრამ მე ყველაფერი ვიცი და ვეღარავინ შემაჩერებს.

სამი მარწყვი

ნათიამ გადმოფერთხა საფულე, საიდანაც ორი ოც თეთრიანი გამოვარდა. კიდევ ერთხელ იგივე გაიმეორა, მაგრამ ამ მოქმედებას იგივე შედეგი არ მოჰყვა. იქნებ ათ თეთრიანიც იყოს სადმე, პური მაქვს მოსატანი. უკმაყოფილო სახით საათს გახედა. უკვე ექვსი სრულდებოდა. ჯაბას მოსვლის დრო იყო. სამსახურს ექვსზე ასრულებდა. სანამ ის მოვიდოდა ნატალისთვის სადილი უნდა გაემზადებინა. სახლში კი პური არ იყო. ათი თეთრი აკლდა პური რომ ეყიდა. რა ქნას, მივარდა საკიდთან, სადაც მისი ერთადერთი ზამთრის სამოსი-ქურთუკი ეკიდა. სწრაფად მოქექა ჯიბეები, მაგრამ იქაც უშედეგოდ. ნისიად შეიძლებოდა პურის მოტანა, მაგრამ რცხვენოდა იმდენი ვალი ჰქონდათ დაგროვილი სუპერმარკეტში რომ იქ გასვლა აღარ ღირდა. ხოლო ერტადერთ მეზობელთან რომელთანაც ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, პირშავნი იყვნენ. ისევ ჯაბას უნდა

დალოდებოდა. ნატალი კი ამასობაში აწრიპინდა, როგორ უნდა გააგებინო სამი წლის ბავშვს რომ პური არ იყო სახლში. სუპი კი იყო ცხელი მაგრამ უპუროდ რას დაანაყრებდა.

ნათიას დედ-მამა უკვე ოთხი წელი სრულდებოდა რაც ნათიას ემდუროდნენ. ეს კი იმის გამო რომ მათ დაუკითხავად გაიპარა და გაყვა ჯაბას. ჯაბა ერთი მოძველბიჭო ელემენტი იყო, მაგრამ არა ბოროტი, ისევ თავისთვის იყო უცნაური. ბევრ სამსახურს არ კადრულობდა და შესაბამისად სახსრები მუდამ აკლდათ.

რამდენიმე თვით ადრე, ზური ბიძიამ თავის საამქროში შეგირდობა შესთავაზა და გარკვეული დროის შემდეგ შტატში ჩასმასაც დაჰპირდა. თან ხელობას ისწავლიდა, მაგრამ ჯაბამ უარი განუცხადა უხელფასოდ ვერ ვიმუშავებო. არადა ზური ბიძია ფულის გარეშე მაინც არ დატოვებდა ისედაც სულ ეხმარებოდა. რამდენჯერ უნდა დახმარებოდა ბოლოსდაბოლოს ყველას თავისი სატკივარი აქვს. მასაც ყავდა ოჯახი და ძალიან დიდი: სამი ვაჟი და შვიდი შვილიშვილი. მისი ბიჭები კი მუშაობდნენ, მაგრამ ისეთი დროა მაინც ყველას უჭირს. და ამიტომაც შვილებზე გადაყოლილი მამა ორ განაკვეთზე მუშაობდა რომ დახმარებოდა მათ. ჯაბასაც არ აკლებდა ხელს ამ მხრივ. ჯაბა ზური ბიძიას უმცროსი ძმის შვილია. ძმა ადრე გარდაეცვალა და პატარა, ოთხი წლის ძმისშვილის საზრუნავი საკუთარ თავზე აიღო. მიუხედავად იმისა, რომ ჯაბას დედა თავს არ ზოგავდა ერთადერთი შვილისთვის, მაინც არ იყო საკმარისი მისი ფაბრიკაში მუშაობით ნაშოვნი სარჩო. მოკლედ, ჯაბას პატარა ოჯახს ძალიან უჭირდა. ამჟამად ჯაბა თავისმა მეგობარმა დაასამსახურიანა. უფრო სწორად, თავისმა მეგობარმა სათამაშო აპარატების კლუბი გახსნა და იქ დაცვად დააყენა სამეთვალყურეოდ. მაღალი ხელფასი არ ჰქონდა, მაგრამ წესით, შიმშლით არ უნდა მომკვდარიყვნენ. ნათიაც მუშაობდა ერთ-ერთ კერძო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად.

ჩვეულებრივ ჯაბა სახლში გვიან მოდიოდა. ეს მისი სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე კი არა, უბრალოდ სამსახურის შემდეგ მეგობრებთან გაივლიდა ხოლმე, ხშირად სვამდა. სიმთვრალე კარგი ჰქონდა, სულ ეფერებოდა ცოლ-შვილს, მაგრამ სახლში იშვიათად თუ ატარებდა თავის თავისუფალ დროს. დღეს კი ხელფასობა იყო და ჯაბაც დაჰპირდა ნათიას ადრე მოვალ და პროდუქტები შევიძინოთო.

მოკლედ, შესრულდა ექვსი. გავიდა ათი წუთიც ექვსის შემდეგ. ჯაბა კი არ ჩანდა. ტელეფონში ანგარიშიც კი არ ჰქონდა ნათიას რომ დაერეკა. უკანასკნელი კრედიტი წინა დღით აიღო და ისიც ამოწურულიყო. კიდევ ათი წუთი გავიდა, ნახევარიც შესრულდა. ნათიამ

უკვე ნერვიულობა დაიწყო. მომდევნო ათ წუთში ნერვიულობა ბრაზში გადაიზარდა. ნატალიმ წრიპინნარევ ტირილს უმატა. ნათია ისევ გაზქურასთან მივიდა გაცივებული სუპის შესათბობად, მაგრამ აქაც განგებამ უმტყუნა. გაზი აღარ დაინთო. ერთი თვის დატენილი იყო და უკვე დაცლილიყო. ხოლო ბუნებრივი აირი, რომელიც მათ სადარბაზომდე მისული იყო, ვერ შეიყვანეს სახლში ესეც უსახსრობის გამო. ერთი მხრივ, ნათიას უხაროდა ის, რომ სახლში ვერ შეიყვანეს აირი, რადგან ერთ-ერთი მეზობლის სიცოცხლე არასწორად დამონტაჟებულმა კარმამ იმსხვერპლა. ერთი სიტყვით, ყველაფერს აქვს როგორც უარყოფითი ასევე დადებითი მხარე. ზეგ სკოლის ფართია. თანამშრომლები იკრიბებიან და ჯაბას ხელფასის იმედზეა. ფიქრებში გართული ნათია ისევ ნატალის ჭყიპინმა გამოაფხიზლა. რა ექნა ნათიას ელოდებოდა და თან უკვე გულზე სკდებოდა. ნატალის შიოდა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა ბოლოს ზურა ბიძიასთან გადაწყვიტა წასვლა. უკვე რვა სრულდებოდა. პატარა ნატალიკო გამოიპრანჭა და ფეხით დაუყვნენ გზას.

- ვა, ნათი, როგორ ხარ შვილო? ალერსიანად შემოეგება ბიცოლა.

- დარეჯან ბიცოლა, მაპატიეთ, გაუფრთხილებლად მოვედი, მაგრამ ტელეფონზე ანგარიში არ მქონდა რომ დამერეკა. ჯაბას ველოდი, ხელფასის დღეა დღეს და თან გაზიც ამომეწურა. ნატალის საჭმელი ვერ გავუთბე.

- რას ამბობ შვილო, ხო იცი რომ სულ სახლში ვარ. შენ გენაცვალე პაწუკა, მოდი ბებო, ჩაგეხუტო. ბიცოლამ ნატალი თბილად და ღრმად ჩაიკრა გულში, შემდეგ ჩაკოცნა და სამზარეულოსკენ გააქანა.

- დარეჯან ბიცოლა, თქვენი მობილური მათხოვეთ ჯაბას დავურეკავ.

- მისაღებ ოთახშია ნათი და აიღე.

ნათიამ რამდენჯერმე დარეკა ჯაბასთან, მაგრამ ის მიუწვდომელი იყო. კლუბის მეპატრონეს ნომერი კი არ იცოდა. გადაწყვიტა კიდევ დალოდებოდა იქნებ გამოჩენილიყო ჯაბა ან თვითონ დაერეკა ნათიასთვის. ნათია ბრაზისაგან უკვე ფრჩხილებს იკვნეტდა. ამასობაში დარეჯან ბიცოლა უკვე დანაყრებულ ნატალის ართობდა. ფრჩხილები რომ შემოეჭამა, სამზარეულოშ გავიდა. ბიცოლამ ცხელი ჩაი მიართვა. მაინც ვერ ეტეოდა კანში. უცებ წამოხტა, წაავლო ხელი ნატალის, ბიცოლას სწრაფად გადაუხადა მადლობა, განახლებული ნერვიულობით ჩაეხუტა, დაემშვიდობა და გულზე მიხუტებული ნატალიკოთი უკან დაბრუნდა სახლში. სახლს ჯაბას მოსვლის ნიშნები არ

ეტყობოდა. როგორი ცივიც დატოვა სახლი იმაზე მეტად გაცივებულიყო. უკვე სიბნელეს ბოლომდე დაემარცხებინა დღის შუქი, მზეს ხელი ჰკრა და დასავლეთში ჩააგდო.

ნათია უკვე ვეღარ ფიქრობდა. მობილური ამოიღო მაგრამ ამაოდ, ანგარიში არ ჰქონდა. ნატალი ისევ აწრიპინდა. ეძინებოდა. ამ დროს დედამთილი მოვიდა სამსახურიდან. ნათელა ძალიან კარგი ადამიანია, თბილი. ყველანაირად ცდილობს რძალს რთული პირობები შეუმსუბუქოს, მაგრამ რა ქნას, არ გამოსდის ისე, როგორც მას სურს.

- ნათი, როგორ ხართ? გაზი დამთავრდა, ხო? დილით ყავარ რო ვხარშავდი, მაშინ ულვე მივხვდი რომ საღამომდე ძლივს თუ გასტანდა.

- ჰო, დედა! დამთავრდა უკვე. ნატალის დარეჯან ბიცოლამ აჭამა საჭმელი. ჯაბას ველოდებოდი, მისი იმედი მქონდა და აი უკვე თერთმეტი სრულდება და არ ჩანს. არადა ხელფასი უნდა მოეტანა და საყიდლებზე წავსულიყავით.

- მომკლა მაგან, როგორ შეიძლება მუდამ ერთი და იგივე.

- დედა, მათხოვე შენი ტელეფონი, დავრეკოთ იქნებ ჩართო.

- რა, გამორთული აქვს ისევ?

- ხო, სულ ასე არ აკეთებს?!

- ეჰ. იმედგაცრუებით ამოიოხრა ნათელამ და თავისი ტელეფონი სიძველისგან გაცვეთილი ჩანთის ჯიბიდან ამოიღო.

ნათიამ დაუყოვნებლივ აკრიფა ჯაბას ნომერი, მაგრამ სიახლე ამჯერადაც მიუწვდომელი იყო. მობილური ტელეფონი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან - ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. ნათიას ბრაზის ტალღისებური ალები უკვე მოსვენების საშუალებას არ აძლევდნენ.

- იქნებ გურამს დაურეკო ან რეზოს? იქნებ მათთან ერთად არის.

- არა, დედა, მათთან, რაც აპარატებში დაიწყო მუშაობა, თითქმის აღარ კონტაქტობს. აზრი არ აქვს.

- კარგი, შვილო, შენ როგორც საჭიროდ ჩათვლი, ისე მოიქეცი.

ამ დროს უკვე ნათია გარეთ გასასვლელად ემზადებოდა.

- აი, შვილო, აიღე ეს ორი ლარი და შენს ტელეფონში ჩარიცხე. იქნებ დარეკვა დაგჭირდეს.

- კარგი! ცივად ისროლა სიტყვა ნათიამ და კარში გავიდა.

სახლიდან წრიულზე გავიდა და იქიდან ფიროსმანის ქუჩას დაუყვა, უკვე სამარშრუტო ტაქსები თითქმის აღარ დადიოდნენ. ჩა-

სარიცხ აპარატთან მივიდა, ერთი ლარი ანგარიშზე ჩარიცხა, ნაწილა მაინც კრედიტი ჩამოაჭრიდა და დარჩენილი ერთი ლარი მარშრუტის ფულად ჯიბეში ჩაიდო. დაუყვა ფიროსმანის ნახევრადგანათებულ ქუჩას. სასპორტო სკოლამდე რომ მივიდა საშინელი დაღლა იგრძნო, მაგრამ გზა მაინც გააგრძელა. პოლიტექნუკურ ინსტიტუტთან უკვე ცუდად გახდა, თავბრუ დაეხვასავით, მაგრამ მალევე გამოფხიზლდა. ძალიან ნერვიულობდა ჯაბას დაგვიანების გამო. რა თქმა უნდა მსგავსი სიტუაცია ბევრჯერ შექმნილა, მაგრამ ამჯერად რაღაც განსხვავებულ შედეგს მოიტანდა ნათია. უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა რაღაც-რაღაცეები. ამ წუთას გზაში საკუთარ თავს ებრძოდა. სიმწრის ოფლი ასხამდა. უკვე გორგილაძის ბოლოშ იყო. აქა-იქ ტაქსები დადიოდნენ. ზოგი ანელებდა მანქანას იმის იმედით რომ ნათია ჩაჯდომას მოისურვებდა, ხოლო ნათიას მარშრუტის ფული ძლივს ქონდა ჯიბეში არა თუ ტაქსის. აი, ელიტ ელექტრონიკსის მაღაზიას ჩაუარა, საიდანაც დიასახლისისათვის საოცნებო ტექნიკა უმზერდა, იზიდავდა მაცივრები, გაზქურები, კონდენციონერები, კომპიუტერები, ლეპტოპები და სხვა მრავალი რკინა. გრძნობადაცლილი აპარატურაც კი თანაგრძნობას გამოხატავდა ცრემლიანი ნათიას მისამართით.

სათამაშო აპარატების ხროვა ღრმად ქალაქში ძველ ბაზართან განლაგებულიყო. ყველა ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო ჩამწკრივებული. კიდევ ოცი-ოცდახუთი წუთი სჭირდებოდა ნათიას იქამდე მისასვლელად, ხოლო მანამდე ცენტრალური, საინტერესო ქუჩები უნდა გაევლო. უკვე გორგილაძის ქუჩაზე თიბისი ბანკთან მისულიყო. უცებ ბანკის სესხი გაახსენდა, რომლის შესატანი ერთი კვირით დაეგვიანებინათ, ჯარიმაზე ფიქრმა ცალკე დაუმძიმა ტვინი. ამან კიდევ უფრო მოუმატა სადარდებელი. ახლა ყურადღება მოპირდაპირე მხარემ მოსტაცა, სადაც ბავშვების ტანსაცმელების მაღაზია „ჯივილი“ დაინახა. პატარების ნაირნაირი ტანსაცმელები ჩანდა, რომლის ყიდვაც თავისი ნატალიკასთვის არ შეეძლო. მის მდგომარეობას ეს ნაღველიც დაერთო. კიდევ რამდენიმე ათეული მეტრის გავლის შემდეგ სხვა, დიდების მაღაზიების ვიტრინებს ჩაუარა. სკოლის ფართი გაახსენდა და ტანსაცმელზე დაიწყო ფიქრი, რომელიც საყიდელი ჰქონდა. იქვე, ახლოს ფეხსაცმელების მაღაზია „სტელა“ დაინახა, სადაც აქცია იყო ორი ერთის ფასად. დარდში დაბლანდული ნათია კვლავ ცუდად გახდა. შეჩერდა, თავი გამოფხიზლების მიზნით ერთიორჯერ იქით-აქეთ გადაიქნია და შემდეგ გზა გააგრძელა. იქვე პიცერია რომ დაინახა გულის რევის შეგრძნებამ შეიპყრო. ჩაი, რომელიც ბიცოლასტან მიირთვა, ახლა ყელში, ზემოთა მიმართულე-

ბით მოცოცავდა. ნათიას უცებ ჯიბეში ეულად მიგდებული ერთ ლარიანი მოაგონდა და იქვე მახლობელ სუპერმარკეტში ნაბეღლავი იყიდა. ნაბეღლავი შეებრძოლა გულისრევის შეგრძნებას მაგრამ ბევრი ვერაფერი დააკლო. კვლავ ფიქრები იტაცებდნენ ახლო წარსულში იმ დროს, როდესაც ის და ჯაბა ჯერ კიდევ შეყვარებულები იყვნენ. ახსენდებოდა რომანტიზმით გადაპიპინებული ჯაბას ქცევები, რომლის ყურადღებაც ზოგჯერ ზედმეტადაც ანებივრებდა ნათიას და ნათიაც მეცხრე კიარა და მეათე და მეტერთმეტე ცაზე იყო სიხარულისგან. იხსენებდა თუ რა დაპირებებს აძლევდა მას ჯაბა, რომელსაც აუცილებლად განახორციელებდა შეუღლების შემდეგ. აგონდებოდა ის თბილი ჯაბა, რომელიც ახლა სადღაც დარბოდა სითბოდაკარგული. სითბო კიარა თავად ჯაბა იყო დაკარგული და ღმერთმა იცის სად. გაოცებული იხსენებდა ნათია ახლო წარსულს და უკვირდა ასე რას უნდა შეეცვალა იგი. ახსენდებოდა სიყვარულით სავსე დღეები, რომელსაც მაშინ ბოლო არ უჩანდა და არ ილეოდა. სად იყო ახლა ეს სიყვარული? ნუთუ ერთი ზარის ღირსიც არ იყო ნათია, ნუთუ ერთი სიტყვის ღირსი არ იყო ნათია, ნუთუ?

ამ ფიქრებში გართული ნათია გორგილაძის ქუჩის დასაწყისში აღმოჩნდა. ცირკი დაინახა. მასზე აფიშა იყო გაკრული - უკრაინული ცირკი ჩამოსულიყო გასტროლზე და ხალს ეპატიჟებოდა დაუვუწყარ სანახაობაზე. ნატალიკო გაახსენდა აუცილებლად უნდა წაიყვანოს ცირკში. თოჯინების თეატრში ხშირად დაჰყავს მაგრამ ცირკში ჯერ არ ჰყოლია. ამ აფიშაზე გამოსახულმა ჯამბაზმა, რომელიც თითქოს ნათიას უკრავდა თვალს, ოდნავ დათრგუნა ნათიას სევდა, მაგრამ ბევრი ვერაფერი დააკლო. ნათიას მსუბუქად გაეღიმა და ცირკსაც ასე ჩაუარა. ბარათაშვილის ქუჩა ძალიან უყვარს. აქ მისი ბებია ცხოვრობს, უფრო სწორად, მამამისის დეიდა. ძალიან უყვარს და ხშირადაც სტუმრობს მარტოხელა მოხუცს. გაახსენდა ლამარა ბებო და სითბო ჩაეღვარა გულში. ეს სითბო კი უცებ ბოღმის სითხემ გადაფარა რომელიც მთელი გზა მოსდევდა. ასე მიუყვებოდა გზას. გრძნობების ჟრუანტელში გახვეულმა ნათიამ როგორც იქნა მოედანს მიაღწია. სოკოებივით გვერდიგვერდ ჩამწკრივებული პოკერ კლუბები ახალი წლის ნაძვისხეებივით ბრჭყინავდნენ. აქა იქ მამაკაცები თვალიერებით უვლიდნენ გვერდს მაგრამ ნათიას ყურადღება სხვა მხარეს იყო მიმართული. ახლა მისი მზერა ერთ-ერთმა კლუბმა მიიპყრო, რომელშიც ჯაბა მუშაობდა. მანძილი თითქოს რაც უფრო ახლოს მიდიოდა უფრო გრძელდებოდა ნათიასა და კლუბს შორის. ფეხებში ძალაც ეცლებოდა და აღარ ემორჩლებოდნენ იმისათვის, რომ უფრო

სწრაფად გადაედგა ნაბიჯები. ამ დროს თითქოს ჯინზე რაღაც ფიცრისმაგვარიც კი გამოეჩხირა ფეხებში, ნათია წაბარბაცდა და წაქცევისგან თავი ძლივს შეიკავა. ასე წვალებით მიაღწია კლუბამდე. კლუბში შევიდა და როგორც იქნა ჯაბა დაინახა. ცალ ხელში ლუდი ეკავა, ერთ-ერთ აპარატს მიჯდომოდა და მეორეთი აპარატის ღილაკებს ურტყამდა არა კი არ ურტყამდა ცემდა. ჯაბა ზურგით იჯდა და ნათიას შესვლა არ შეუმჩნევია. კლუბშ მის გარდა არავინ იყო. ნერვულად ცემდა აპარატის ღილებს არა ახლა უკვე აღარ ცემდა ახლა უკვე აწამებდა მათ სიგარეტით გაჟღენთილი თითებით და თან ლუდს გინებ-გინებით აყოლებდა.

- შენი დედას შევეცი, გამომიგდე მესამე. მესამე კი არა და არ ჩანდა.

- შენი დედა მოვტყან, შე თესლო, შენ. უყვიროდა აპარატს, თითქოს ამ უკანასკნელს მისი ესმოდა. ჰო, ესმოდა აბა რა და არც უგდებდა იმ რაღაც მესამეს, რასაც ჯაბა მუქარით წამებითა და გინებით ითხოვდა.

ნათია ამ დროს გაშეშებული იდგა. განძრევის თავიც არ ჰქონდა. ვერც ხმას იღებდა. თითქოს სიტყვები ლაპარაკის წინააღმდეგ აჯანყებულიყვნენ. ამ სამყაროში აღარც იდგა.

ჯაბა კი სალანძღავ და საგინებელ სიტყვებს არა და არ ასვენებდა. თან ასლარიანებს ძალით ტენიდა აპარატის დაღებულ, საკმაოდ დანაყრებულ ხახაში. ნათიას ყველა პრობლემა ერთად დაუტრიალდა თავში: ბანკი, გაზი, ტანსაცმელი, საჭმელი...

- მიდი შენი, ერთი, ორი, წადი შენი, მესამე მოიტა შე ახვარო.

ამ დროს ნათიას მიცვალებულისფერი ტუჩები გაიხსნა და ჩუმად ამოღერღა:

- ჯაბა!

ჯაბა ამ დროს გინების მომდევნო სართულისთვის ემზადებოდა და როდესაც ნაცნობი ხმა ჩაესმა, შემობრუნდა. ნათიას დანახვაზე სიგარეტი პირიდან გამოუვარდა, შეშუპებული თვალები გაუფართოვდა და ყალბი ღიმილით როგორც იქნა ერთი კითხვა გამოამზეურა:

- ნათი, შენ ხარ?

- ჯაბა, რას შვები, თამაშობ? უკვე ცრემლები ებრძოდა ნათიას ცისფერ თვალებს.

- არა ნათი, ისე უბრალოდ ვთამაშობ.

- დღეს ექვსზე გელოდებოდი, რამდენი გეგმა გვქონდა, რატომ არ მოხვედი?

- ვერ მოვახერხე, საქმეები მქონდა.

- ამას შენ საქმეს ეძახი?

- ნათი, ახლაც იმ საქმეს ველოდები, შენ ხო გჯერა ჩემი? თუ ის საქმე გავარტყი, ძალიან კარგად ვიქნებით.

- რა საქმეა ასეთი?

- რო გავარტყამ მერე გეტყვი. თითქოს შვებით უპასუხა ოდნავ დამშვიდებულ ნათიას.

- ტელეფონი რატომ გათიშე? სულ რატომ მანერვიულებ?

ჯაბას უცებ თავისი ტელეფონი გაახსენდა ჯიბეში რომ ჰქონდა უმოწყალოდ მიგდებული და რომ ამოიღო აღმოაჩინა რომ დასატენი იყო.

- აი ნათი ხო ხედავ, დასატენია. ხელსაყრელი გარემოების ხელშეწყობით კმაყოფილ ჯაბას სხვა გამოსავალი არც უძებნია.

- კი, მაგრამ ხო შეიძლებოდა დაგერეკა რომ არ მენერვიულა? სულ ასე რატომ მიკეთებ?

- ნათი, მომისმინე, ახლა შენ წადი სახლში. მე გივის ველოდები და როგორც კი მოვა, მეც წამოვალ.

- ხელფასი აიღე?

- არა, ფული არ იყო კასაში და ვერ ავიღე. ცივი ტყუილი ცხლად მიაგება ნათიას კითხვას აუფიქრებლად.

- აბა ის რა ფული იყო? ის ას ლარიანი აპარატში რო ჩააგდე?

ახლა უკვე მართლა დაიწყო სიტყვების ძებნა ჯაბამ, რადგან ხელში არ ჰქონდა მზა პასუხი. ნათიასთვის ყველაფერი გასაგები იყო. იგი უხმოდ გავიდა კლუბიდან და ჯაბას დადევნებული სიტყვეი აგიხსნი ყველაფერსო არად ჩააგდო. მსგავსი ახსნებით ადრეც დაუნაყრებია ნათიას ცნობისმოყვარეობა. აზარტში შესულმა ჯაბამ კვლავ გააგრძელა თამაში. თამაშიც დროს სულ მესამეს გაიძახოდა „მომეცი მესამე“, „მესამე“, „სამი მინდა“.

ამ დროს ნათია დარდისგან გულამოსკვნილი და გამწარებული მიუყვებოდა უკან გზას, რაც გამოიარა. იმედდაცლილი და სულწართმეული მილასლასებდა ქუჩაში. ისევ ცუდად გახდა. ამჯერად უფრო ძლიერ დაესხა თავბრუ. ვეღარ გაუძლო და დაეცა.

• • •

ნათია საავადმყოფოში გამოფხიზლდა დილის ექვს საათზე. თავს დედამთილი დედასავით დასტრიალებდა. სიყვარულით გამთბარ თვალებს არ აცილებდა რძალს. როდესაც ნათია სრულად გაერკვა თუ სად იყო, სწრაფად იკითხა:

- რა მოხდა?

- არაფერი ნათი, საშიშ არაფერი. ნუ გეშინია ახლა ყველაფერი კარგადაა.

- ჯაბა სად არის?

მიუხედავად იმისა, რომ ნათელას წარმოდგენაც არ ჰქონდა ჯაბას ადგილსამყოფელის შესახებ, ნათიას დასამშვიდებლად უთხრა სახლში გავუშვი დასაძინებლადო.

უცებ დაურტიალდა თვალწინ წინა ღამის ამბები ნათიას და თვალები განმეორებითი სევდით აევსო.

ამ დროს პალატაში ექიმი შემოვიდა.

- როგორ არის ჩვენი თვალხატულა გოგო?

- კარგად, ექიმო, მშვიდად მიუგო დედამთილმა.

- დღეს შუადღისას გავწერთ. უთხარით უკვე?

ამ კითხვის გაგონებაზე ნათიამ სმენა გააქტიურა.

- არა, მაგრამ ვეტყვი, საშიში მაინც არაფერია.

- ჰო, თქვა ექიმმა და პალატიდან გავიდა.

- რა ხდება დედა, რას მიმალავთ?

- ფეხმძიმედ ხარ შვილო. გაურკვეველი გრძნობით მიახარა დედამთილმა, იგივე გაურკვევლობამ მოიცვა ნათიაც.

ამ პერიოდში და პირობებში ნამდვილად არ ემეორებავშვებოდა.

- ბოლო უნდა მოვუღო ამ ყველაფერს.

- რას გულისხმობ შვილო?

- მალე ყველა გაიგებთ. დედა, გთხოვ, მეტი არაფერი მკითხო. ჯაბას დაურეკე მოვიდეს.

- ნათი, შენთვის ახლა ნერვიულობა არ შეიძლება.

- მომაწოდე ტელეფონი მე თვითონ დავურეკავ.

ჯინზე შეჯდა ნათია და ნათელამაც წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია და ტელეფონი გაუწოდა. ჯაბას ტელეფონი თავისას არ იშლიდა. ჯიუტი თუთიყუშივით სულ ერთი და იგივე ფრაზას იმეორებდა.

- სად არის ჯაბა? კითხვა განმეორდა ნათიას მხრიდან ნათელას მისამართით ახლა უკვე მომთხოვნი ტონით.

- შვილო, ნუ ნერვიულობ!

- სად არის ჯაბა? სიმკაცრენარევი ნერვიულობით კიდევ უფრო უმატა ტონს ნათიამ.

ნათელამ თავი ვეღარ შეიკავა და ცრემლები გადმოუგორდა თვალებიდან.

- სად არის ჯაბა? უკვე ნათელას ცრემლებით გულაჩუყებულმა სიბრალულით იკითხა.

- ვერ ვიპოვეთ. სამსახურში აღარ იყო და გივიმ მითხრა აქედან პირველის ნახევარზე გავიდა, დამიბარა სახლში მივდივარო, სახლში კი არ მოსულა. ეს თქვა და ახლა უკვე ცრემლებმა თამამად იფეთქა მისი თვალებიდან. ნათიასაც იგივე დაემართა. ერთხანს ასე იყვნენ. ისევ დედამთილმა გააგრძელა.

- გურამს და რეზოს მაინც დავურეკე, მაგრამ შენ მართალი იყავი, ბიჭებმა მითხრეს უკვე რამდენი ხანია აღარ მოგვიკრავს თვალიო. ნათია უკვე კედლის ერთ წერტილში მიშტერებული სდუმდა. ნელ-ნელა ცრემლები შეახმა თვალებზე.

ახლა უკვე მტკიცედ გადაწყვიტა პრობლემა მოეშორებინა. ექიმს დაუძახა, აუხსნა ყველაფერი და ამ გადაწყვეტილების მიზეზიც. ექიმმა ექთნებს ყველაფერი გაამზადებინა და რამდენიმე ათეულ წუთში ყველაფერი მორჩა.

ნათელას წინააღმდეგობა არც გაუწევია რძლის გადაწყვეტილებისთვის. საკუთარი თავი გაახსენდა ნათიას ასაკში. ამგვარი რამდენიმე შემთხვევა მასაც გადაუტანია დაახლოებით მსგავსი პირობების გამო. რძალს ბოლომდე გაუგო. რამდენიმე საათის საავადმყოფოში ყოფნის შემდეგ ერტად შეკრული რძალ-დედამთილი სახლში დაბრუნდნენ. ნატალიკო დარეჯანთან დაეტოვებინა ნათელას. ჯაბა რა თქმა უნდა არ იყო სახლში ნამყოფი. მთელმა დღემ ჯაბას გარეშე ჩაიარა. საღამოს, კარზე კაკუნი გაისმა. ორი მამაკაცი მოვიდა. თქვეს ბინა უნდა დაცალოთო. ქალები ცხარედ გაოცებულნი შესცქეროდნენ ჯერ ერთმანეთს და და მერე იმ მამაკაცებს კარში რო იდგნენ. ჯაბას ბინა ჩაუდია სათამაშო აპარატებში და წაუგია იმ ღამით. ეს ორი ჯალათი კიდევ ერთ-ერთი სათამაშო კლუბის მეწილეები იყვნენ.

- ჯაბა სად არის? მშვიდად იკითხა ნათიამ.

- სახლში არ მოსულა? ჩვენ გვითხრა ჩემებს გავაფრთხილებ და ორ საათამდე ყველაფერს მოვაგვარებო, რომ აღარ მოვიდა დღისით, უკვე ჩვენ გადავწყვიტეთ მოსვლა.

- ამ საქმეს არაფერი ეშველება?

- ბინის გაყიდვას?

- ჰო.

- გოგონა, თუ მოვინდომებთ, ყველაფერს ეშველება. თანხის ნაწილიც რომ იშოვოთ, პრობლემა არ არის. დანარჩენს გადაგივადებთ. ნათიას ახლა უკვე ისტერიულად გაეცინა. ნათელა კიდევ ხესავით იდგა, რომელსაც ყველა ტოტი მოჭრილი ჰქონდა.

რამდენიმე საათში ბინა დაცალეს. საღამოს ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ ვიღაც ახალგაზრდას გვამი ზღვამ ნაპირზე გამორიყა.

ჯანმრთელობა

- აფცხიკ!
- ჯანმრთელობა!
- რა, გინდა მოვკვდე?
- რატო, საიდან მოიტანე?
- აბა, ჯანმრთელობაო, ხო მითხარი?
- მერე რა, ცუდია?
- ჯანმრთელობა მხოლოდ ერთ ადგილასაა.
- სად?
- კუბოში.
- უ, შენ უბერავ!
- მე რა, ქარი ვარ?
- მაშინ, აფრენ!
- არც პილოტი ვარ.
- შენ ვერ ხარ კარგად.
- ჰო, მეც მაგის თქმას ვცდილობ, გავცივდი. აფცხიკ!
- ბევრი ფული!
- რად მინდა?
- არა, ისე... ჯანმრთელობას იყიდი...
- შენ მე სულელი გგონივარ?
- სულაც არა, სულელი მე ვარ!

მზაღო ოსიშვილი

დავიბადე კასპის რაიონში, სოფელი ლამისყანა, 1963/16/04. ცხოვრებით ვცხოვრობ თბილისში. მყავს სამი შვილი, ორი გოგო და ერთი ბიჭი. გოგოები გათხოვილი, ბიჭი დასაქორწინებელი. მყავს ორი შვილიშვილი, რომლებსაც მხოლოდ კომპიუტერის საშუალებით ვიცნობ. 9 წელია რაც ემიგრაციაში ვიმყოფები. მეუღლე გარდამეცვალა 3 წლის წინ, ჩემი ემიგრაციაში ყოფნის დროს და ვერ წავედი, რადგანაც არ მქონდა საბუთები. ვერ გავაცილე საბოლოო გზაზე. მონატრებამ და გულის ტკივილმა ხელში ამაღებინა კალამი და ორი წლის წინ დამაწყებინა ლექსების წერა. ვარ უკვე ორი წიგნის ავტორი. პირველი წიგნის კრებული, ჩემს მეგობართან, ნანა მეტრეველთან ერთად გამოვეცი, რომელსაც "მონატრება" დავარქვით. მეორე კი ჩემი საკუთარი წიგნია, რომელსაც ჰქვია, ,,ჩემი სამოთხე საქართველოა". სულ ახლახან დაიბეჭდა და 14 თებერვალს მქონდა პრეზენტაცია, ქალაქ სალონიკში თეატრ ალექსანდროში.

ლამისყანას

მერე რა რომ შორსა ვარ და ვერა გხედავ,
ფიქრით მაინც შენთანა ვარ გენაცვალე,
ჩემო კოპწია სოფელო, ლამისყანავ,
შენს ხატებას, მთებს და ველებს ვენაცვალე.
ახლაც უცბათ მომეძალა შენზე ფიქრი,
მომენატრე მშობლიურო, საყვარელო,
კალამს ცრემლი გამოჰყვა და ფურცელს ნამავს,
იცი როგორ მენატრები? -უსაშველოდ.
ცოტა მინდა, სულ ცოტაც და მალე გნახავ,
ბებერ გულში და ფესვებში ჩაგეხვევი,
ყველაფერს და ყველას ვინც კი მენატრება,
ჩამოვუვლი სათითაოდ მოვეხვევი.
სულ ცოტა ხანს,სულ ცოტა ხანს მადროვე და
სანამ სხეულს ჩემი სული გაეყრება,
მსურს მოვასწრო, სანამ ცოცხალი ვარ გნახო,
სული კბილით მიჭირავს და გულიც კვდება.

მთას

აცივდება მალე და მთაც,
მოიხურავს თეთრ ნაბადსა,
ნეტავ მომასწრო ვნახავდე,
მთაში არწივთა ნავარდსა.
იალაღზედა მოფენილს,
თეთრად გაშლილსა ფარასა,
მთის წვერს, ნისლებში შემალულს,
ხევში ჩაძინებულ ჯანღსა.
ვუსმენდე იმ ლამაზ მთებში,
სალამურს აკვნესებულსა,
სამოთხეში ხომ არა ვარ?
ვეკითხებოდე ჩემ თავსა.
წყაროს წყალს, ტანის რხევითა
კოკით მონავალ ქალასა.
ლოყებწითელა მგლის ბოკვრებს,
ბალღებსა მთისა ჯანსაღსა.
ჯიხვების ჭიდილს ქარაფზე,
შემასწრო ირმის ყვირილსა,
გამარჯვებულსა სიმართლეს,
ცაში არწივის ყივილსა.
შესაწირავით სავსესა
ხატებს და სალოცავებსა,
იებით მოფენილ კორდებს,
თოვლიან მთისა კალთებსა.
ვნახავდე მთისა სოფელსა,
ძველებურს, გალაღებულსა,
ლამაზი ქალ-ვაჟებით და
ბალღებით გამრავლებულსა.
ერთმანეთს მხარს უმაგრებდნენ,
ზღვარი არ ჰყოფდეს მთა-ბარსა,
ჩემშიაც მთის სისხლი ყივის,
ვენაცვალები მის ხალხსა.

დედას

რომ იცოდე როგორ გნატრობ,
ჩემო დედი, მედარდები,
ვნატრობ, სულ რომ კარგად მყავდე,
ტკბილო ხომ არ დამიბერდი?
იცი? თვალებს რომ დავხუჭავ,
ფიქრით უცბათ შენთან ვჩნდები,
სევდიანად შემოგყურებ,
და როგორც ბავშვს, გეფერები.
თუმცა თმებზე დაგათოვა,
შუბლზე გაგიჩნდა ღარები,
ჩემთვის ისევ ლამაზი ხარ,
ასე ლამაზად დარჩები.
შენ ხარ ვისაც ჩემი ესმის,
შვილის ენა დედამ იცის,
განშორების მიზეზიც ხომ
შენ ყველაზე უკეთ იცი.
მეც ხომ შვილების დედა ვარ,
მათი გულისთვის ვირჯები,
ემიგრანტიც მიტომ მქვია,
მონატრებით ვიტანჯები.
ყველაფერი იცი დედი,
და ყველაფერს კარგად ხვდები,
მაპატიე ასეთია,
ემიგრანტის მწარე ხვედრი.
შვილის მოვალეობას რომ
სათანადოდ ვერ ვასრულებ,
ვიცი მაპატიებ დედი,
ჩემ გულს მხოლოდ შენ გაუგებ.
რომ იცოდე როგორ გნატრობ,
ჩემო დედი, მედარდები,
ვნატრობ, სულ რომ კარგად მყავდე,
უფალს შენ თავს ვევედრები.

სტუმრად სიცოცხლე მიცვნია

სტუმრად სიცოცხლე მიცვნია,
შენ არ მინდიხარ სიკვდილო,
ნეტავი შეიძლებოდეს,
თავიდან რომ აგიცილო.
შენი სტუმრობა გულს მიკლავს,
ცრემლს მადენინებს მწარესა,
სიცოცხლევ ხშირად მეწვიე,
ახარებ არემარესა.
მოდი და შენ გაამრავლე,
ჩემი მოდგმა და გვარია,
ჩვილი მიმრავლე აკვანში,
შენგან აი ეს მწადია.
სიცოცხლედ მოველ ამ ქვეყნად,
მეგონა გავიხარებდი,
თურმე მეც სტუმარ ვყოფილვარ,
ჰოდა, ერთს დავიბარებდი.
წადი და აღარ მოხვიდე,
სიკვდილო ოხერტიალო,
ძვირად უჯდება კაცს შენი,
ერთი სტუმრობა ტიალო.
სიკვდილსაც კარგები უყვარს,
და მიჰყავს თავისთანაო,
დაუნდობელი რატომ ხარ,
სიკვდილო ამისთანაო.
სიცოცხლევ ხშირად მესტუმრე,
შენ არ მინდიხარ სიკვდილო,
ნეტავი შეიძლებოდეს,
თავიდან რომ აგიცილო.

საქართველოს

საქართველოს სადიდებლად თასი ამიწევია,
მისი ხილვა, ჩახუტება ნატვრად გადამქცევია,
გულს მოაწყდა როგორც ზვავი, ძლიერი ნოსტალგია,
სამშობლოზე ფიქრი მათბობს, მათრობს როგორც ბანგია.
საქართველო სამოთხეა, ჩემთვის ყველაფერია,
მისი ცა ხომ მოლივლივე, ლურჯი იისფერია,
ეს ცხოვრება მის გარეშე მიჭირს,ოჰ რა ძნელია,
ქარია თუ ავდარია, ნათელიც კი ბნელია.
დაილოცოს საქართველოვ შენი მთა და ველია,
ჩემი მიწის ქვა რომ ქვაა, ისიც საყვარელია,
გაგიმარჯოთ ქართველებო, დაგელოცოთ გენია,
ასეთი ქვეყნის პატრონებს, სხვაგან რა დაგვრჩენია.
ღვთისმშობლისგან დალოცვილი, ნაკურთხი წილხვედრია,
მძიმე ჯვარი ვზიდოთ ყველამ, ეს ხომ ქართველთ ხვედრია,
მაგრამ მაინც ვიქართველებთ, მტერს ნუ გაუხარია,
რადგან ჩვენთვის ქართველობა, უფლის საჩუქარია.

წუთისოფელი ასე ყოფილა...

წუთისოფელი ასე ყოფილა,
ზოგჯერ ვიღაცა რაღაცას კარგავს,
ვიღაც თავისვე წარმოსახვაში,
უმშვენიერეს ცხოვრებას ხატავს.
ზოგჯერ პირიქით, სხვაგვარად ხდება,
ერთი თუ კარგას,სხვა მას პოულობს,
ზოგი ფულს დიდი შრომის ფასად და
ზოგიც იოლი გზებით შოულობს.
ზოგი დაკარგულ სიყვარულს ტირის,
ვერ ამოიღო ჯერაც გულიდან,
მაგრამ ფერფლიც კი აღარ არსებობს,
იმ მოგიზგიზე სიყვარულისგან.
ეთამაშება ცაში ვასკვლავებს,
ზოგმა იპოვა ბედნიერება,

შეყვარუბულთან ფიცსა სდებს მტკიცეს,
სამარადისოდ რომ ეყვარება.
ზოგს დაუკარგავს იმედი ხვალის,
ძირს დაცემული ძლივსღა მიხოხავს,
კაცთ მოდგმისაგან მივიწყებული,
შესაბრალისად ტირის და ოხრავს.
დაუკარგია დედა სამშობლო,
ზოგსაც ჩემსავით დიდი ხანია,
ემიგრანტებად მიმოფანტულებს
წლები გავიდა არ გვინახია.
ზოგიერთმა კი სიმწრით ნაშოვნი,
ფული დაკარგა,ქარს გაატანა,
სასოწარკვეთილს გაბოროტებულს,
შესძულებია მთელი ქვეყანა.
ზოგმაც იშოვნა ის რაც ეწადა,
ფული, მანქანა, სახლი-სასახლე,
მოსამსახურე ჰყავს ზოგსაც სახლში,
ზოგი კი სხვისი არის მოახლე.
ხშირად ფულია ყველაფრის წყარო,
ყველანაირი სიბინძურისა,
წრფელი ბავშვობა, უმანკო სული,
მოგონებაა ტკბილ წარსულისა.
და კარგად ვიცით, რომ ყველაფერში,
თვით უფლის ხელია გარეული,
რასაც დავთესავთ დედამიწაზე,
მასვე მოვიმკით თითოეული.

არაფერია ცხოვრება

არაფერია ცხოვრება,
ამოსუნთქვაა ერთი,
ვეცადოთ ისე ვიცხოვროთ,
რომ არ გაგვიწყრეს ღმერთი.
ვილოცოთ, ღმერთი ვადიდოთ,
დავიცვათ ათი მცნება,
დღეს ცოცხლები ვართ,ხვალე კი
არ ვიცით რა მოხდება.
გვახსოვდეს იგი ყოველთვის
და არა, როცა გვიჭირს,
სანთლის ანთება და ლოცვა,
განსაცდელისგან გვიხსნის.
არ დავივიწყოთ ამაგი,
იმათი, ვინც ჩვენ გვშობა,
ნურც დაგვეკარგოს მშობლების
პატივისცემის გრძნობა.
გაჭირვებულთა ხსნა ვიყოთ,
სიკეთე ვთესოთ გზებზე,
არ მივატოვოთ, თუ შევძლებთ
წამოვაყენოთ ფეხზე.
ქომაგი ვიყოთ უძლურთა,
დაჩაგრულთათვის ფარი,
სიმართლისათვის ვიბრძოლოთ
არ დავაჟანგოთ ხმალი.
ცილს ნუ დავწამებთ ნურავის,
გვიყვარდეს ჩვენი ერი,
სხვის დასაცინი არ გავხდეთ,
არ გავახაროთ მტერი.
ნუ გავუწირავთ დედას შვილს,
ნუ გავიმეტებთ ქართველს,
გავმრავლდეთ, ჩვილის ტირილი
მისწვდეს ცასა და მთა-ველს.
სამშობლოს არ ვუღალატოთ,
სულს ნუ მივყიდით ეშმაკს,
შვილთა-შვილს არ ველანძღვინოთ,
ცოდვამ კბილი არ მოსჭრას.

არაფერია ცხოვრება,
ამოსუნთქვაა ერთი,
ვეცადოთ ისე ვიცხოვროთ,
რომ არ გაგვიწყრეს ღმერთი.

არ დავიღლები

სანამდე პირში სული მედგმევა,
გულო სანამდე გამიცივდები,
სანამ ვიცოცხლებ სამშობლოვ ჩემო,
შენ სიყვარულში არ დავიღლები.
არ დავიღლები და სულ გიმღერებ,
ეს სიყვარული რომ დაგიმტკიცო,
თუ როგორ მიჭირს უშენოდ ყოფნა
მე შემიძლია ხატზე ვიფიცო.
ანდა ფიცი რა მოსატანია,
ნუთუ არსებობს სადმე ქართველი,
რომ არ უყვარდეს სამშობლო თვისი,
ღვთის მოხატული ტურფა მთა-ველი.
ბევრჯერ ცრემლებით დამიწერია,
ეს სიყვარული და მონატრება,
ჩემო სამშობლოვ, ჩემი სიცოცხლე,
როგორც სანთელი უშენოდ ქრება.
სანამდე პირში სული მედგმევა,
გულო სანამდე გამიცივდები,
სანამ ვიცოცხლებ, ჩემო სამოთხევ,
შენ სიყვარულში არ დავიღლები.

მაია რაზმაძე

დაიბადა 1960 წელს ქალაქ გორში. დაამთავრაა ბერშუეთის საშუალო სკოლა წარჩინებით და სწავლა გააგრძელა გორის სახელმწიფო ინსტიტუტში იურიდიულ ფაკულტეტზე. 1991 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში - კერძოდ უნგრეთში, ცხოვრობს ბუდაპეშტში. აქტიურად ურთიერთობს ქართულ დიასპორასთან.

არ მიტიროს უქართველო თბილისმა

საქართველო ზურმუხსტიფრად ბიბინებს
გაზაფხული გვეწვია!
ვარსკვლავების თვლაში ვეღარ ვიძინებ
ბევრი ღამე ლექსით გამილეწია.
განშორების უსაშველო ფიქრი მკლავს
მოლოდინის ნიაღვრებში თენდება
უსამშობლო მერცხლებივით მივქრივართ
ეს ქვეყანა როდის გაგვიმრთელდება?!
მალე კარზე მოგვადგება აღდგომა
ნახევარი საქართველო სად არი?
მიტოვებულ ნააკვნართან განდგომამ
საფლავშიაც ააბორგა თამარი!
ვის შევჩივლო იბერიის ტკივილი
ქართლის დედა ლამის ბოღმამ დაახრჩოს
და კრწანისთან ჩვენი ბედის ყივილი
ფერს უცვლიდა თეთრჩოხიან ყაყაჩოს
მხრებზე მედგას შენი მძიმე უღელი
მუხლიჩოქამ მოვიარო სიონი
არ მენახოს ცაზე შავი ღრუბელი
მგლოვიარე ჩემი კავკასიონი!
აღარ წავალ ანაცრემლი თვალებით
გავიყოლებ სიყვარულის თილისმას
საქართველო თუ კი არ გებრალებათ
არ მიტიროს უქართველო თბილისმა.

ბებერო მტკვარო

ეს რა ჩემსავით ამღვრეულხარ ბებერო მტკვარო ,
რას მოგისხია სევდისფერი ნისლის ლაბადა
ამ ცხოვრებაზე გულგამწყრალი ბევრი მინახავს
შენც დატანჯულხარ ჭირ, ვარამი ბევრჯერ გადაგხდა.
ისე ღრიალით მოაგორებ მქუხარე ზვირთებს
შიგ გულში იხვევ მთელი ქვეყნის
დარდს და ხვაშიადს
და არტანუჯთან დაბერილი ძარღვების ფეთქვა
ორთაჭალაში ათასწლოვან ლოდებს დაშლიან
აბორგებული სიყვარული გულს გამიხეთქავს
ჩამომეცალე სიძულვილით დაღლილო ქარო
ჭაღარა მუხა რად მიხმობდა რა უნდა ეთქვა?
ეს რა ჩემსავით ამღვრეულხარ ბებერო მტკვარო!

სასჯელდადებული სიკვდილია

რა შესაშურად ლამაზია და
რა სევდიანი ეს გაზაფხული
ტალღამ მარჭანები ამოზიდა
გულს ოხვრა აღმოხდა დაზაფრული
მივყვები ლიანებს აღმართებზე
მაბრუებს სიმწვანის იდილია
შენთან განშორება დამიჯერე
სასჯელდადებული სიკვდილია.
ჭოროხის ხეობებს ავედევნე
ჭორებს ეღლაბუცა ოლეანდრამ
მამტვერევს უჟამური ხელის მტევნებს
შენი მოფერება მომენატრა!
ჟღალი არაბულით დამედევნე
ვიდრე გამიტაცებს ათაბაგი
ვიდრე ჩამანათებს ჭოღა თვალებს
ვიდრე გამაბრუებს კოცნის ბანგით
ოშკის ნანაგრევებთან შემეფეთე
მოდი შემომხვიე დევის მკვლავი
ბინდი ფიანდაზად დამიფინე
და მერე წყურვილი მომიკალი!

დაგიბრუნდები

ვიცი ამ წუთებს განგება წარღვნის
შორს გამაფრინა შლეგმა ულაყმა
მეწვის ჯვარცმული სხეულის ძარღვი
და ნაკვერჩხლებზე ვწევარ გულაღმა
გადავეჩეხე ვნების ბასტიონს
და ქარაფები ვლეწე რიონის
გადათელილი სულის ტატხტრიონს
წამოსწევიან გამთენიონნი
ჩამომეცალე ბედის მწერალო
ეს ქარიშხლების მომდევს იერი
თქვენი ვარ მთანო ნამეწყერალნო
ხომ არ გგონივართ გადამთიელი.
მიმქრალი ზეცის ღვთაებრივ მანდილს
მხრებით ვატარებ ვით რელიქვიას
ძარღვებში ლურჯი იმედი ბარდნის
რომელსაც შენი სახელი ჰქვია.

ლექსი სულეთის ბინადარია

მანავში ღვინომ რად გადაგვრია
ან ქართლში ატმებს რატომ ვეომეთ
ლექსი სულეთის ბინადარია
ასიათასჯერ გავიმეორებ.
თუ პოეზიის დაგვწვა ალმურმა
მაშ გოგლას ღვინოს რაღად ვაბრალებთ?
დღეს დაგვიარა ძარღვში დავლურმა
შუამთის ქვევრებს გადამაბარეთ
გადამაფარეთ ივრის ხეობებს
სად ბერიოკოებს შემოვეყრებით
თუ ამიტანენ სასაკლაოზე
იის კონებად ხომ დამეყრებით?!
მე პოეზიის დამწვა ალმურმა
წელზე მარტყია ეკლის ქამარი
სიყვარულის გზაც თუ კი გამრუდდა
ნუღარ წამიყვანთ ლექსის ტაძარში!

თემურ საბელაშვილი



დაიბადა 1994 წლის 5 მაისს. ქალაქ თბილისში

სწავლობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მომავალი იურისტი.

დაუოჯახებელი....

მუდამ შეყვარებული.....

ღამის ზმანება

მახსოვს იმ ღამით დუმდა ბუნება
ზეცას ჩაექრო მთვარის ლამპარი
ვერ გავუძელი ეშმას ცდუნებას
და თავს გადამხდა ერთი ამბავი
ბარში შევედი ვითხოვე ვისკი
რეალობისგან მოწყვეტა მსურდა
რაც იმ დღეს მოხდა თამამად ვიტყვი
თუმცა დამალვა ამას რად უნდა
ბართან ვიჯექი როდესაც უცებ
კიბის საფეხურს დაუყვა ქალი
თითქოს გავშტერდი და ასე ვუცქერ
ქალი კი არა ქალღმერთი არის
გიშრის სიშავე უმშვენებს ნაწნავს
ტანზე ეშვება ვით რუ ანკარა
ღაწვებზე ცოტა სიწითლე დაჰკრავს
თითქოს და ქარმა კოცნა აკადრა
ეს მისი სხეული სამოთხე პატარა
ქვეყნად რომ იმ წუთას ყველაფერს მერჩია
თვალები, რომელმაც დამწვა და დამდაგა
როგორც ჩანს ეს მისი მთავარი ეშხია
კაბის გრძელ სათავეს უმშვენებს დეკოლტე
და მკერდზე პეპლებად დაყრილი ხალები
ყვავილს გავს სინაზით, ამოსულს ბექობზე
თავიდან ბოლომდე კანი აქვს ხავერდის.
და სანამ ჩემამდე ნელ-ნელა მოვიდა
დრომ სუნთქვა შეწყვიტა და მერე გარდასვლა
უეცრად საოცრად ძლიერად მომინდა
ტუჩების ტუჩებზე უსიტყვოდ გადაბმა
როდესაც ვეცადე მეკოცნა და თითქმის
მთლიანად ვნებების ჩავეშვი მორევში

ჩემს ირგვლივ სამყარო გაქრა და ვიღვიძებ
ჩვეული ცხოვრების მე ჩვეულ მოდელში
ეს იყო სიზმარი და ძლიერ მიჭირდა
მე მისი მართვა და ცხადისგან გარჩევა
მაგრამ ხმა, თვალები და ქალი გონებას
ვიცი რომ სიცოცხლის ბოლომდე დარჩება.

მთვარის რითმები

ისევ ვიცეკვებ მთვარის რითმებზე
ლამპიონების შუქი ჩაქრება
სანთლებს ავანთებ ქუჩის კიდეზე
და უშენობაც სადღაც გაქრება
ისევ დავასხამ ჭიქაში ღვინოს
წითელი ფერის გიყვარდა მახსოვს
ერთი ორ ჭიქას რომ დავლევ იქნებ
ფიქრებში მაინც გეცეკვო ტანგო
ისევ ვთამაშობ ბანქოს ეული
გაგიკვირდება ხანდახან ვაგებ
love story წიგნად გადაქცეული
ისევ მიყვება მე შენზე ამბებს
ისევ ჭიდილი მარტის აპრილთან
და აყვავება ატმის კოკრების
უშენოდ მართლა მართლა არ მინდა
არც ერთი წამი მე ამ ცხოვრების
ისევ ანაზდად თებერვალის ღამეს
მახსოვს დაიწყო თოვა ძლიერად
მე ვიხსენებდი შარშანდელ ამბებს
როცა გაკოცე მაშინ პირველად
ეს მოგონების წლები ულევი
შენ მონატრების გახდი იარა
ამბები მართლაც გამოულევი
რომელმაც თითქმის ყველგან იარა
ისევ მთვარის რითმი, ტანგოს მელოდია
ოქროს ასოები ფურცელზე იხატება
შენი სიყვარული უბრალო როდია
განძია რომელიც ჩემში იმალება

ქალი

ქვეყნიერების მრავალ ხიბლს შორის
და უკვდავების ვარსკვლავთა ზედა
არსებობს ერთი თვით სასწაული
და დღეს მე მასზე ლაპარაკს ვბედავ
ალბათ მიმიხვდით, დიახ ეგარის
ამოუცნობი მისი ბუნებით
და თუკი ქარი მართავს ხეთა რიგს
ის მართველია ჩვენი გულების
ჭკუას აგირევს ფიქრებს აგიშლის
ასე უბრალოდ მარტივად თანაც
თან ახლოს გიშვებს და თანაც გიშლის
თითქოს თამაშობს ის ორმაგ თამაშს
მათრობელაა თითქოს და ღვინო
მისი ღიმილი ტოლია ყანწის
ის ერთადერთი არსება არის
ვისაც კი ძალუმც მონუსხვა კაცის
ის არის თითქოს თვით სასწაული
როგორც მოფრენა მერცხლების მაისს
სილამაზით კი შევადარებდი
ყვავილს სახელად აფრიკულ დაისს
მზის ამოსვლაა როცა წვიმს დღისით
და ვარსკვლავია მოღრუბლულ ღამის
ეს სასწაული არის თვით უფლის
რომელსაც ქვია სახელად ქალი.

იცი ახლა რას ვიზამ

იცი ახლა რასვიზამ?
მოგიყვები ვნებაზე
სანამ მუზა წავიდა,
სხვაგან თავის ნებაზე.
იცი ახლა რას ვიზამ?
სიყვარულზე გიამბობ,
მერე ნეტარებისგან
რომ თვალები მინაბო.
წაყვე, ჩუმად დინებას
და ბოლომდე გატაროს,
განახებდი მე ფერად
ულამაზეს სამყაროს.
ყველა სიტყვას თავიდან
ისე გრძნობით გეტყოდი,
ვიცი მღელვარებისგან
ვერაფერს ვერ მეტყოდი.
მხოლოდ, ჩუმად უსიტყვოდ
მაგ ლამაზი თვალებით,
თავბრუს დამახვევდი და
მერე გამაწამებდი.
ცხოვრების გზას, ბილიკებს
ერთმანეთში არევდი,
მე შენს აბლაბუდაში
უნებურად გავები.
დამიბინდე აზრები
თითქოს გული გაჩერდა,
თვალები კი მხოლოდ შენ
ხო მხოლოდ შენ გამჩნევდა.
სისხლმა იწყო დუღილი
ცელსიუსის შკალებით,
ნაკვერჩხლებზე მწველია
კარგო შენი თვალები,.
ეგ ტუჩები ლამაზო
თვით სიგიჟის ზღვარია,
გეფიცები ნამდვილად
უკვდავების წყალია,

ჰოდა როცა მზის სხივი
მოეხვევა ალიონს,
უკვე წყურვილ მოკლული
გავაბოლებ ყალიონს.
ძლიერ ნაფასს დავარტყამ
ფილტვებს ნისლში გავახვევ,
ლექსის სახით დავტოვებ
სიყვარულის ანაბეჭდს.

გალა

თურმე იმ ღამით, როდესაც გაწვიმდა
და ქარიც უხეშად, საზარლად ყვიროდა
უეცრად საოცრად ძლიერად აცივდა
თითქოს და ბუნება პირველად ტიროდა
ცა იყო პირქუში, როგორიც არასდროს
თითქოს და უნდოდა სამყაროს ჩათრევა
ზღვა ასე ჯიუტი არასდროს არ მახსოვს
ტალღების სიმაღლე ზეცამდე აღწევდა
და როცა ტალღები მოგავდა ჯოჯოხეთს
ეშმაკი მიწაზე სახლობას ლამობდა
ხეებს კი ძირიდან კენწეროს ბოლომდე
ცეცხლისებრ ლახვარი წამებში აპობდა
მთებიდან მოწყვეტით დაეშვნენ ლოდები
სალი კლდე წამებში კენჭებად დაიფშვნა
ისმოდა მხოლოდ ხმა სამყაროს გოდების
თითქოს და უფსკლულის კარიბჭე გაიხსნა
თუ ფიქრობთ, რომ ამ დღეს სიცოცხლე დასრულდა
თქვენ ცდებით პირიქით მერწმუნეთ გაგრძელდა,
უბრალოდ იმ ღამით ჯვარს მერი იწერდა
და მოძღვარს თანხმობის პასუხებს აძლევდა.
როგორც ჩანს სიყვარულს აჯობა სიგიჟემ,
სიკვდილმა ნაბიჯი ნაბიჯზე გადმოდგა
ზეცაც კი იმ ღამით მოგავდა მიწისფერს
იმ ღამით ხომ გალა ფანჯრიდან გადმოხტა..

რუსუდან სალუქვაძე

დავიბადე 1952წლის 29 ნოემბერს, სამტრედიაში. აქვე ვიზრდებოდი დიდედასთან. სწავლა დავიწყე ოზურგეთის რაიონის ულამაზეს სოფელ ჭანიეთში. სამტრედიაში გურულს მეძახდნენ, ოზურგეთში იმერელს. ვერ გავრკვეულიყავი ვინ ვიყავი სანამ ლექსი, ,,მე პატარა ქართველი ვარ" არ ვისწავლე. 1972–1978წ ვსწავლობდი თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში. 1978წლიდან 2004წლამდე ვმუშაობდი ქ. ბათუმის ბავშვთა პოლიკლინიკაში. უბედნიერესი ვიყავი როცა პატარები ექიმის შიშის ნაცვლად ხელგაშლილები მეგებებოდნენ.

2005წ.– 2008წლეში ვმუშაობდი ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს აჭარის ფილიალში. 2010წლიდან დღემდე ვარ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსის მოადგილე.

საქართველო

ზღვა ლურჯი და
ცა კამკამა,
მთა ზვიადი და
უმწიკლო.
მინდორ- ველი
ყვავილებით მოფენილი და
უნაკლო.
გადაშლილი ბაღ-ვენახი და
გალეწილი კალო,
გენი, ნიჭი, ენა, რწმენა და
მზის ათასფრად შუქის ფენა,
ჭირის დარდით გამოგლოვა,
სიხარული უზომო და
კარგი ლხენა.
ეს ხომ ჩვენი ქვეყანაა,
ჩვენი ტკბილი საქართველო.
ვინ მეტყვის. რომ ის არ არის სრულყოფილი და
უნაკლო.
გევედრები დაიფარე ის უფალო.

ანბაბის კოშკი

ა რ ვიცი როგორ ვთქვა, რითი დავიწყო,
ბ ევრს კი არ ვითხოვ,
გ ემუდარები მუზავ უნდა განმაწყო,
დ უმილს ვერ შევძლებ, ფიქრი სტრიქონად უნდა ავაწყო.
ე ნავ ჩემო, ენავ ქართულო, იდუმალო არ წაბილწულო,
ვ ენახო ჩემო, ტაძრის კედლებზე ნაჩუქურთმევო,
ზ ღვავ ჩემო და ზეცავ ჩემო უკიდეგანოვ,
თ ეთრი ქათიბით შემოსილო თეთნულდო ჩემო,
ი ებით იისფრად მოფენილო მინდორ– ველო,
კ ალმახებით ავსებულო მდინარენნო ჩემო,
ლ აშქარს დროშით გაძღოლილო დედაო ჩვენო,
მ ირონცხებულ მიწას ვუმღერ,
ნ ათელო, ბევრისგან გამეტებით ნათელო, ქვეყანავ ჩემო.
ო დესღაც, ხომ ,,დიდი ყოფილა საქართველო“,
პ ატარავდება, ცოტავდება, გესმით? ქართველნო.
ჟ რუანტელს მგვრის ამაზე ფიქრი
რ ანი ვიყავით,
ს ად მივდივართ, რა გვემართება,
ტ კივილი მკლავს, ტირილი მინდა.
უ ფრო მეტი ერთობა გვმართებს,
ფ იქრის, აზრის,
ქ მედებების ერთობლიობა.
ღ ვარცოფისაგან უნდა დავიცვათ
ყ ველამ ერთად ჩვენი ქვეყანა.
შ ორიდან მზერა არას გვარგებს ვფიქრობ
ჩ ვენ ახლა,
ც ოტაც და
ძ ალიან გვიან იქნება ალბათ.
წ აგვლეკავს უცხო კულტურა, შური და ბოღმა.
ჭ ირისუფლობა არას გვიშველის, მაგრამ მე მჯერა
ხ ალხი ბრძენია. კვლავაც გვექნება ხალისი ლხენის,
ჯ ირითის და ჯომარდობის.
ჰ ანგად დაღვრილი ლექსების, ქვეყნის შენების, ეს უფრო გვშვენის.

გამოიდარებს

გაავდრებულა.
ცაზე ღრუბლები გამურულა, გაავებულა,
ფოთლებზე ისმის წვიმის წ ვეთების
ცეკვა, მარულა.
მთვარე ზღვაში ჩაძირულა,
გემი ნაპირს გარიყულა,
იმედები გაფრენილა,
გულს წუხილი მოფენილა.
ცუდი ხშირად შემმთხვევია,
ჭირი ლხენად შემჩვევია,
ბრძოლის ველის დატოვება,
უბრძოლველად არ მჩვევია.
შევჭიდებივარ ავდარს,
გგონიათ ვიყენებ რადარს?
ღვთის იმედით ველოდები
გამოდარებას, კარგ დარს.
თქვენ, როგორ ფიქრობთ,
გამოიდარებს?
ჰო, გამოიდარებს,
ალბათ.

მ ე ლ ა ნ ქ ო ლ ი ა

ნუ შემპირდები დაფნის გვიგვინებს,
და ნურც მიბოძებ შარბათს შხამიანს,
თორემ ეს გული მეხად იგრგვინვებს,
დავენარცხები ბალახს ნამიანს.
გამომეცლება ფეხქვეშ სამყარო,
ვერ ვუმკლავდები ფიქრებს ბოღმიანს,
არც არაფერი მაქვს საამაყო,
მელანქოლია მწვევია მგონი ვით მოდილიანს.
შავი ფერებით დავხატავ მიწას,
მწვანე ფერებით, სახლებს ბანიანს,
ლურჯი ფერებით გამოვყოფ ზეცას,
სერით კი,სახლის რიდესთან, ფისოს ბაფთიანს.
თუ მესტუმრები სუფრას გაგიშლი,
ფიალით შევსვამთ ღვინოს მადლიანს,

მოგენდობი, გულს გადაგიშლი და ჩუმად გეტყვი
მინდა ვემსგავსო კარგ ადამიანს.
ნუ შემპირდები ბედნიერებას,
და ნურც მიბოძებ შარბათს შხამიანს,
ნუ დამიპირებ გადაბირებას,
თორემ გვიანი იქნება მერე
და შენ მიხილავ ცრემლით ნამიანს.

ცხოვრების სიმფონია

ორი დღეა გადაუღებლივ წვიმს.
ზოგჯერ ცრის,
ზოგჯერ ცა, დედამიწის ჭირ-ვარამს
მსხვილ საცერში სცრის.
ქალი ფანჯარასთან ზის,
ნატრულია მზის.
დარდიანი გაჰყურებს აღელვებულ ზღვას
და სანაპირო ქუჩის ლამპიონის რიგს.
თავს ვერ ართმევს ფიქრს,
სრულად ხილვა მოინდომა განვლილი გზის.
ნაღვლიანი ზის
და ქმნის თავის ცხოვრების მითს.
დრო გაჩერდა, სამ დე ფორმატს დაემსგავსა,
ყველაფერი ლაბირინთში ჩაიხლართა.
არ დანებდა,
წარსულს, აწყმოს და მომავალს,
სანთლით ჩუმად დაეძებდა
და დაბერდა.
ნაცრისფერმა, წვიმიანმა დღემ და ღამემ
სული თითქოს გაუყინა,
გონი სულ მთლად დაუბინდა.
სევდიანმა გაიფიქრა, მოვკვდე ბარემ.
ფანჯრის რაფას თავმიდებულს
ძილი ჩუმად მოპარვია,
ძილ ბურანში ჩაესმოდა წვიმის, ზღვის და ქარის
მელოდია, სიმფონიად.
მის ყურებას ვერ გაუძლო მზემ და მთვარემ,

ისევ ზეცას მოევლინენ, გაბატონდნენ.
ჰოდა უკან დაიხია
წვიმიანმა დღემ და ღამემ.
ქარი ჩადგა, ზღვა ჩაწყნარდა,
 ცაზე კიდევ მზე ათასფრად გაცისკარდა.
გაიღვიძა, გაიღიმა, მზის სხივების ათინათი
დამზრალ სხეულ უჩვეულოდ უთრთოლებდა.
სული გათბა, გული გალღვა,
დარდი გატყდა,
სხივის მსგავსად გარდატყდა
და იმედების ცისარტყელად აცისკარდა.

მე ვარ ღიღილო

საოცარია ბუნება ჩვენი,
მოგვართვა ძღვენი,
გაგვილამაზა ყოფა
და უსახური დღენი,
მისი წყალობით გვაკრავს გარშემო,
ეს სილამაზე სახიერი
და ყოვლის მშვენი,
მე სულ შენ გელი.
ვარდი, ლილია, ია კესანე,
გლადიოლუსი, გერბერი თუ შროშანე,
ყველას რა ჩამოთვლის
შენი კვნესა მე.
ზოგს ფერი მისცა გასაოცარი,
ზოგს სიდიდე და სიდიადე,
ზოგსაც სურნელი დაუვიწყარი,
შეიყვარებ და შემდეგ სულ ელი.
დაიბენი, დაიგვიანე და ვეღარ ამჩნევ,
ყოჩივარდას და ფურუსულას
ვარსკვლავებივით, რომ მოუჭედავთ
ეს მინდორ ველი.
რა დავაშავე შენი კვნესა მე,
არ ვარ კესანე და არც სულელი,
მე ვარ ღიღილი, შენ ასეთი უნდა მიმიღო,

და მკერდს საკინძის ღილად მიმიკრო.
როცა შეჰყურებ მშვენიერებას,
მარადისობა და უკვდავება გიპყრობს ანაზდად,
ამაყნი ვხდებით და გვავიწყდება,
წუთისოფელი წუთია მხოლოდ.
ყვავილებივით ავყვავილდებით,
ავფერადდებით
და მერე ვჭკნებით,
მერე კი ვკვდებით.
მე ვარ ღიღილო
 და მაინც მინდა გაზაფხული,
 მზის სხივები და ნამის წვეთი,
 ერთი წუთით ისევ ვიხილო.

ციდან დედამიწამდე

ერთი ციდა მანძილია,
ციდან დედამიწამდე,
ერთი პატარა ვარსკვლავი,
ციმციმ ჩამომიტანე.
მხოლოდ ერთი ნაბიჯია,
... სიძულვილამდე,
ერთი ციცქნა სიყვარული,
მტრედით გამომიგზავნე.
ჩემი თეთრი მანდილია,
... ბოროტებამდე,
ამ ცხოვრების მძიმე წლები,
მხრებით გამოვიტანე.
ცრემლით ღამის გათენება ბევრჯერ გამოვიარე,
დედამიწის მღვრიე წყლები, ღელვით გადავიარე.
მესმის ციდან, შენ ყველაფერს გადაიტან
ოღონდ ღმერთი იწამე.
ერთი ციდა მანძილია,
ციდან დედამიწამდე,
ცაში ფრენა დამავიწყდა,
ფრთები გამომიგზავნე.
მარტოობის მძიმე წლები,

ოხვრით გამოვიარე,
ერთი ციცქნა სიხარული,
ლექსად შემოვინახე.

სულ დაგეძებ

სულ დაგეძებ, სულ გეძახი,
გაიგონო ეგების,
დაგიკრიფე ყვავილები
ნაირ - ნაირ ფერების,
მე სხვა არა მინდა რა, გარდა შენი ფერების,
ხომ იცი, რომ უშენოდ დარდს ვეღარ ვუმკლავდები,
სულ თან დამდევს, არ მტოვებს
სითბო შენი ხელების.
მე სხვა არა დამრჩენია, გარდა ფიქრის, სიზმრების.
ღმერთს შევთხოვე არ დამტოვოს,
არ მომაკლოს მადლი
კეთილ საქმის კეთების.
იქნებ უფალს მართლა ესმის,
ეს ხმა ჩემი ვედრების,
მე თავადაც ვერ გავიგე
ჩემი სულისკვეთების.

ღრუბლები

საით მისცურევენ ღრუბლები,
თეთრები ვით ბამბის ქულები,
თხოვე დაგელოდონ გაყვები?
კი მაგრამ საით გაყვები თუ არ გელოდება არავინ.
ალბათ ჰო, გაყვები, ყველგან გაყვები,
მაგრამ შენ ჩვენ გელოდებით დარჩები?
ჩვენთან დარჩები?
ღრუბლები ყოველთვის თეთრები არაა,
ის ზოგჯერ შავდება, მზაკვრდება,
ბოღმით და დარდით, შურით და ბრაზით,
ვარამით ივსება,
ბობოქრობს, ჭექა- ქუხილად ფეთქდება,
ელვის ბასრ ისრებად იფრქვევა,
ირღვევა, წვიმის წვეთებად იღვრება, იცლება.
მერე კი ისევ თეთრდება, ვარდისფერდება.

ეგო

არ გინდა,
არ მკითხო
ყასიდად როგორ ხარ,
ხომ ვიცი პასუხის მოსმენაც
არ გინდა, არ მინდა
ვისმინო, თვალარიდებული,
ცრუ შეფასებები,
ხოტბა და დიდება,
აღტაცებული შეძახილები
ფარისევლური
და შელამაზებული.
მე ამის მოსმენაც
არ მინდა.
რად გინდა
ტყუილი,
უაზრო, ბოროტი
და თუნდაც კეთილი.
რად გინდა.

მე მინდა მიყვარდეს
ყველა და ყოველი და თანაც მე რომ გიყვარდეთ
ის მინდა
მინდა, რომ მიყურო
თვალებში ყოველთვის,
მითხრა სიმართლე,
თუმც ამას ზოგჯერ
ცრემლები ერთვის.
მინდა მომხვიო ხელები და
ილოცო ჩემთვის.
მე კი ლამაზი ყვავილები
დავკრიფო შენთვის
თუ გინდა, სიზმარში მეწვიე ხანდახან,
ასე ძლიერ მომენატრე რახან.
ჩუმად მითხარი ვინც მიყვარდა
იმას, რომ გავხარ
და გამახსენე ისევ, რომ მყავხარ.
მე მინდა,
არ მინდა,
ეს მინდა.
ის მინდა.
ამოტივტივდა ზედაპირზე
ეგო
ძლიერი, ძალისმიერი.
მგონი აჯობებს ცოტა ვიყუჩო
და უფალს ვკითხო,
ის რას ფიქრობს,
მას როგორ უნდა,
სწორად ვცხოვრობ?
ვარ ბედნიერი?
გამომეცხადა
და განმიცხადა,
აბა რას ამბობ,
საკითხავია?
ეგო.

ნინო სიხარულიძე

დავიბადე თბილისში. 6 წლიდან ვცხოვრობდი ვაკეში. შემდგომ საცხოვრებლად გადმოვედით ვერაზე, ა. ხორავას 12-ში და მე-2 კლასიდან ვსწავლობდი ქ. თბილისის გ. ტაბიძის სახ. 51-ე საჯარო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1981 წელს. იქვე, ბარნოვზე, დავდიოდი მე-9 სამუსიკო სკოლაში და 1978 წელს დავამთავრე სკოლის მთლიანი კურსი ფ-პიანოს სპეციალობით. 1983 წ. ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1982 წლის 6 ოქტომბრიდან დღემდე ვმუშაობდი ქ. თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში. 1999წ. დავაარსე ორგანიზაცია "თამარის საქართველო" (ქართველ მწერალთა ლიტერატურული საღამოები გადაარჩენს ქართულ სულსასეთი დატვირთვა ჰქონდა). ჩემი პროზის გმირები ძირითადად ჩემი მოსწავლეები არიან...

ჩრდილებს მიღმა ნაკვალევი

თავისუფალი დრო ნისლია; თავისუფალი დრო ნაცრისფერი ცის ფონზე - ღრუბელთ როკვა; მიმოფანტულ გამოსახულებებში მზის სხივების წვიმაა და დედამიწაზე ცაცხვის ჩრდილში წარსული, მოყოლილი ამბების სურნელოვანი ქროლვაა. ნიავი აშრილებს ტოტებს ქარისას, შორიდან შემოძახილი ხმების ეხოა, ყურის ბიბილოს რომ აგიწითლებს და გიხურებს - ვინმე ჩემზე ლაპარაკობს და გიხსენებს - ე.ი. ესაა. "ესა მესა, გადის ესა." რამდენი ცხოვრება გადის, გადაითვლება და ბოლოს, მაინც ერთად გროვდება.

იქნებ ცხოვრება ჩრდილია, გადაქანცულის დაჩრდილობება, როცა ზამთარში ჩრდილიდანაც გამოყავხარ და მანათობელ მზეზე თოვლის ბზინვარებასათან ერთად ცხოვრებასაც აგიმეტყველებს, რადგან სასწაული უფრო დაგიმტკიცოს.

ღვთისგან მოვლენილი ადამიანი, იდეაშივე განსაკუთრებულია, რაც საკმარისია , ვიდრე ცივი გონებით არიო ცხოვრება, შეითავსო ის, რაც მიუღებელია და საკუთარი პრაქტიკიდან დანახული, კრახით დამთავრებული, გადაგამოწმებინოს მორბედს ახლით, იქნებ გამოვიდეს, როცა არასდროს გამოვა, რაც არ უნდა მეტი გაფრთხილება ჰპოვო, რადგან დანაგვიანებულია აზრები და ვერასდროს გაიწმინდება. უნდა შვა ახალი, ნათელი აზრი, რომელიც უფალმა თითოეულში ჩადო.

გამიგია, გამიგია, "დანაკვალევს წვიმა შლიის ", მაგრამ გულიდან სიტყვებს რა წაშლის, როცა ბავშობიდანვე იჭერდა, საოცრად ითვისებდა და რაც არ მოსწონდა, თურმე, ისარივით ჩხვლეტდა. მერე გრძნობით აზროვნებას გამოხატავდა და მსჯელობისას ახსნა-

გარმარტებას უმატებდა. ჯერ კიდევ პატარა დაბადებამდე ევლი-ნებოდა სიტყვა-სიტყვით დეკემბრის სუსხიან შუაღამეს. თოთხმეტი წლის ასაკში მან , თითქოს, რაღაცის წერა ინდომა, გაჩნდა საკუთარი ჩანახატიც: გოგონა გრძელი, შავი, ხვეული თმებით წითელ სამოსში გამოწყობილი, ნაცრისფერი, მოხდენილი მაღალყელიანი წინდებითა და შავი ფეხსაცმელებით მონაცრისფრო, ულამაზესი გრძელი ჩანთით, რომელსაც მომცრო წრე არტყამს - ხელში კარგად ჩასაჭიდად, მარჯვენა ხელით რომ ჩაუკრავს, თეთრ მინიან კარებთან დგას და გაწვდილ მარცხენა ხელში, თითებით შემოვლებულ, დაწერილ ფურცელს ბრდღვიალა თვალებით დასცქერის და კითხულობს.

გარემო თბილია. ყავისფერ, დიდ სავარძელზე ორი, კვერცხის-გულისფერი, ოთკუთხედი ბალიში ერთმანეთის მიყრდნობით იდო, წითელი გულით მოყავისფრო, მონაცისფრო რომბისა და ოთკუთხე-დივე ფიგურებით გაფორმებული. ოთკუთხა ჩარჩოები, ნაცრისფერი ფანქრის ჭრილით, კარის ქვედა ჩარჩოსაც მოეცვა. ოთხკუთხედებში ჩასმა ყველგან და ყველაფერში აისახებოდა. წითელი, თბილი, ბერეტივით ქუდი თავზე უკან გადაეწია მოხდენით, ქუდთან თმაში კი წითელი ყვავილი- ვარსკვლავის სადარი.

ღამე და სილამაზე... მრგვალ, ქარვისფერ მთვარეს ვარსკვ-ლავებიც აჰყოლოდნენ მაგიურ ნათებაში. გვერდძე მიწერილი მთვარისაგან ნაჩუქარი სამომავლო, საიდუმლო წარწერა, რასაც გაფრთხილება სჭირდება, თითქოს ოქროსფერი ფონიდან, თერთ ფურცელზე გადადიოდა; ღამესავით შავი ასოები, თბილები, ქარი-ვით მონაბერი, აფორიაქებულები, აფუსფუესბულები-ერთმანეთში მოლაპარაკენი, თავად ეწყობოდნენ გვერდიგვერდ. იქმნებოდა სიტყვები, თითქოს, მზის გულიდან თეთრ ყვავილებზე გადასულები.

გოგონას ფეხები ყავისფერ ფონზე ელაგა და მას აქეთ წითელი საღებავი ბევრის მომცველად დაეტვირთა; ოღონდ მთვარე და ვარსკვლავები, ღამის ცის ფონი იყო ახლოს, ყველაზე ახლოს მასთან. უფრო მეტიც, გოგუცუნას თბილ გარემოში შემოფრენასაც ლამობდ-ნენ. წითელი ფონი მისთვის ცუდისა და კარგის ორთაბძოლა გახლ-დათ. წარსულის ჩრდილებიდან ქვეცნობიერად გადმოსულები. ბევრჯერ, წამოწოლილს, ძირს დაუხედავს და დანაკვალევის გასუფ-თავება უცდია, არა თავისი, არამედ სხვისი, მაგრამ დასუფთავება მაშინ უადვილდებოდა, როცა ისინი მონანიებულნი იყვნენ და თავადაც ეხმარებოდნენ გაწმედაში.

გოგონა მუდამ ჩქარობდა. იგი მაინც ყველაფერს მოასწრებს, რამოდენიმეჯერ მოვლილი ოთახი, თავად აღებს კარებს და ზღურბლ-

ზე ბედისწერა ეზმანება ისეთივე შთამბეჭდავი, როგორც ერთხელ გადასული სინამდვილე, ახლობლების წრეში, სადაც პირველად დაარტყა შუბლში გამჭოლი სიყვარულის მაცნე, ეს მე ვარ, შენი აზრებისა და ნაცადი ნახატების რაინდი. რაინდობაც ძალას დამატებული სათნოებასავით იჭრებოდა მის გულში. უმატა ფურცლებზე აზრის გადმოტანას და ხატვის ჟინმა გაიტაცა. მხოლოდ ექვსი თვის თავზე გაიგო, რომ ის მისთვის მეგობრობის იქეთ არაფერს გრძნობდა. ასე ჩაახედა ქალწულმა თავისი სიყვარული სარკეში და აღუთქვა, ყველაფერს მიატოვებდა, რადგან უფლება აღარ ჰქონდა სიყვარულის, რომ გოგო იყო მაინც და მეტი მოეთხოვებოდა .

წლების მანძილზე ბევრი აკეთა. ენთუზიაზმი გააჩნდა. სამი მეგობარი თუ ყავდა და ანდობდა მათ ტკივილსა თუ სიხარულს. ერთიერთი მისი თამნამგზავრი იყო ბავშვთა სახლში შემოთავაზებული ქველმოქმედებისა, ერთად რომ უვლიდნენ და ზრუნავდნენ თანამეგობრობაზე. იქედან დაქანცული ბრუნდებოდა. სახლში პატარა დაიკო ელოდა, დედით ერთნი იყვნენ. ერთად იყოფდნენ ლუკმას და უფროსს გათავისებული ჰქონდა, რომ თავად ესწავლა, მოწყობილიყო - ტელეჟურნალისტობა ურყევ ოცნებად რჩებოდა, და კიდევ, დისათვის მიეხედა. ასე აკვალიანებდა მაათ დედა და დაიკოს მამა, რომელიც წარმოშობით მექსიკელი გახდათ, ამერიკაში ცხოვრობდა და ყურადღებას არ აკლებდა მათ, ერთმანეთისაგან არ არჩევდა გოგოცუნასა და პატარა პრინცესას, არც პირველი ქორწინების პირველი შვილებიდან. რომელთა დედა გარდაცვლილი იყო და სამწუხაროდ, ამ კეთილშობილ კაცს, სამი შვილი გულის ნაფლეთებად ამ ქვეყნიდან ზეცას გაეცილებინა.

ტკივილი აქეთაც არ აკლდა დედას, პირველი ქორწინებიდან უსაყვარლესი წლისა და ექვსი თვის ბავშვი დაკარგა, ულამაზესი, თბილი, გონიერი თაკო, გურამი ბაბუს გარდაცვალებამდე დატოვა ისინი აღდგომის კვერცხზე ვერ შეხებულმა აღდგომისავე დღეებში, წმიდა შვიდეულის კვირას, შვიდფერ ცისარტყელას აჩუქეს კოცნა და დედამიწას გასამხნევებლად უწილადეს.

პატარა ბაბუს მტკივან ფეხზე დებდა თავს, ყურისგდებით ხსნიდა ტკივილს და ტანჯვისგან ჯერ არ გამოფხიზლებულ, მაგრამ ახლობლების თქმით, ყოჩაღ ბებოს ენდობოდა. ბავშვმა გაიყოლა დარდი და სიძლიერე შემატა ახლობლებს; ბებოს დამ გაცილების წინა ღამე მასთან გვერდით გაატარა, ბავშვის თავზე ფერებით, ღრმა ძილში, როცა მიწიერი ანგელოზი ზეცად აყავდათ მეუფეთ.

,,ადამიანი მოკვდა, მაგრამ მისი კავშირი ქვეყანასთან

განაგრძობს მოქნედებას ადამიანებზე და არა მხოლოდ ისე, როგორც სიცოცხლეში, არამედ გაცილებით უფრო ძლიერ, და ეს მოქმედება მატულობს მათი გონებისა და სიყვარულის ზრდასთან ერთად და იზრდება, ყოველივე ცოცხალი განუწყვეტლივ და გაუთავებლად ". /ალ. ტოლსტოი/ გოგონამ იტკივილა თავისი პატარა დაიკო. იმ ღამეს ესიზმრა და ტირილით გაეღვიძა, - დედა, თაკო წაიყვანეს დედა. მერე ღმერთს უთხრა, ვიცი, შენთან არის, ამოიკვნესა და განაგრძო ცხოვრება. კვერცხისგულისფერის ბალიშის შუაგულზე უყვარდა თავის დადება და გახელილი თუ დახუჭული თვალებით, გვირილას გულს ადარებდა კვერცხის გულსა და სამყაროს მანათობელს.

,,სამყარო ესტეთიკური! ფარშევანგის ლაქებითა და ვეფხვის ტორებით, ვარდისფერი ცამდე ასული, რეკენ ზარები -უიმედო და იმედიანი! რეალობა ოცნებასთან შეზრდილი, ძეგლად ქცეული შემოდგომა და ხე... მდოგვის მარცვლისგან აღმოცენებული მგლური ხელებითა და ის ფოთლები... ჩვენ, ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი. ერთმანეთს არ ვგევართ, ხო, არ ვგავართ და დრო სამრეკლოში სხივებს შემოჰყვა და მზე, ხო, მზე, გვირგვინად ქცეული ჩემს თმაში. და ანგელოზი, ის ანგელოზი, ზამთარს რომ ჰგავდა. და სიცოცხლე, ის სიცოცხლე, მან რომ მაჩუქა!

და მე ქარალდის ნავით რძის აუზში, სულს არ მისველებს დროის წვიმა, წვიმა თამაში. და შენ დუმილს რომ არღვევ და ოქროს კარგავ. და დრო დროს რომ ედავა". /ნათია კუტალაძე/

ღამემ ჩაიხუტა სიზმარი წყნარად. თმებზე ბევრი ეფერა და მიიძინა. თავადაც იძინებს, აბა როგორ. ყველას უკვირს, ვერავინ ხსნის, ღამეს ძინავს თუ ღვიძავს. როცა საჭიროა, ძინავს, როცა არა-- ყურს უგდებს მოშრიალე ნიავივით თავისსავე წყვდიადს. არა, არ რჩება არც კარგი და არც უმსგავსო სენი კაცობრიობის უსწორ-- მასწორო განაჩენისა, რომელსაც ვაჟას შემოქმედება, უძლიერესი "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" აბათილებს, გენიოსები ავლე-ნენ ზოლად და იკვრება წრეე ხსნადობისა და მოქმედებისა, ამოძრავებული მარადისობისა, გამჭოლ ზოლივით მიწიდან ზეცამ-დის " თეთრ ოლარებად" მიმობნეულისა.

გოგონა ანი გახლდათ - ანი გურგენიძე. დიდი ხანი ელოდა სამშობლოდან გასვლას, ოჯახს ჰქონდა გადაწყვეტილი. ადრეც, საკ-მაო ხნით, მოსკოვში ცხოვრობდა. სიყვარული კი მაინც სამშობლოში აიდგა. მას მერე საზღვარგარეთ გასვლა ვერ მოხერხდა, მიუხედავად საუკეთესო პირობებისა, რაღაც უშლიდათ ხეელს. იგი მაინც

მოახერხებს ამას, მისი ნახევარ-და მედეა, თბილისშივე დაბადებული, ამერიკის მოქალაქეა. პატარას სად დაუძახებს სისხლის ყივილი, ჯერ არავინ იცის, მაგრამ ანი საზღვრებს გარეთ მიღებული სწავლა-განათლებით გულმხურვალედ დაუბრუნდება მშობლიურ ქალაქს. ნეტა, იქ თუ იჭიკჭიკებს ისე გაცხარებით, როგორც აქ დაფუსფუესებს ქარნარევ , წვიმიან დღეებში თავის სიყვარულს, ქვეყნის სითბოთი რომ იმოსავს კოპლებიან მოსასხამს.

რამდენ ზაფხულს გადაატარებს ცაცხვის ძირში ცაცხვის ტოტებიდან მოლაპარაკე ფოთლებთან; რამდენჯერ დაუქროლებს დასავლეთის ქარები და გურიის ტკბილ კრიმანჭულს ამოუყვება საზაფხულო არდადეგებზე მთების ფერდობებს; კიბე-კიბე დაუყვება დიდი კელაპტრებით, ჩალისფერი კაბითა და წითელი მოსასხამით თავდაბურული უდაბნოს პატარა ნაფეხურებს - სიღრმისეულსა და საიდუმლო ბილიკებით გათანგულს. ხეებით სავსე ფერდობები არც კი მალავენ მთიდან დაქანებულ წყალს, რადგან ხმაური ფსკერიდან ამოძახილს ჰგავს და გაწვდენს წაბლიანების ძურებში სატკივარსა თუ სამომავლო დანაბარებს- ანდერძად დასმულს განახლებულ უდაბნოში.

იწირებოდა ხატები, ნათლის სვეტები უდაბნოდან უადაბნოში გზებს ოქროსფრად ანათებენ; ჭიშკრის მარჯვენა მხარეს გაწვიმებამდე ქარის ქროლვასთან ერთად შრიალებენ ანუკის აზრები და მწუხრამდის შთაბეჭდილებებს ავსებენ. უკვე შემოპარული სიბნელე მეზობლების საქონელს რომ აბინავებს, ისიც ეზოში შესვლის წინ მარჯვნივ უდაბნოს ეკლესიას გახედავს, სახლის უკან აზიდულ მთებს ააწვდენს თავლებს ზევით და ზევით, საიდანაც სიყვარული უღიმის და ბედნიერ მომავალს ჰპირდება.

ერთხელ, კანადის ქუჩებში, დაიკოსთან ერთად სეირნობდა; თან მაგისტრატურის საბუთებს აწესრიგებდა. ინსტიტუტიდან ინსტიტუტში დაქროდა. მერე პატარა ტბას მიაკვლიეს და ნავით გაისეირნეს. უფროსი თავად უსვამდა ნიჩბებს მდუმარე წყალს (ერთ დროს დედას აკადემიური ნიჩბოსნობა სწადდა, სცადა ბედი, მაგრამ დედამისმა დაუშალა თითქოს, გოგოსთვის როგორო. ის კი დაჟინებით ითხოვდა, მაგრამ ყველაფერი ასე გაქრა). ანუკიმ გადაცურვა მოახერხა, უკანაც დაბრუნდნენ ასე ლამაზად; მზეზეც გაირუჯნენ. მეორე დღეს ნიუ-ორკში მოფრინავდნენ და ერთ კვირაში საქართველოს უახლოვდებოდნენ. იქაც ეძებდნენ აქაურ მთებს, აკაციის ფოთლების სურნელს. ბათუმის ქუჩებს პატარძალივით ესტუმრნენ, თბილისს ბოლომდე ისუნთქავდნენ, მაგრამ მთელი

ამოქშენა გურიის დობიროს მთები გახლდათ, მაღლობზე ასვლა და იქედან იმ მეოცნებე კიბეებზე აზიდვა, ცამდის რომ აწვდენდა სურვილებს, საიდანაც აღსრულდა სითბო და ნეტარება, საუცხოო სურნელი და მშვიდი სუნთქვა. ყველაფერ ამას მთიდან მთაზე გადაძახილიანიიი და მედეას სახელთა გადაცვლა, როგორც თითებში გაყრილი თეთრი ძაფების ერთმანეთის ხელებში გაცვლა, რომელიც ცხოვრებას ერთმანეთში ხლართავს, ალაგებს და ერთმანეთის არეული თითები კემსავს ნანატრ მომავალს.

ციდან იყრებოდა ბაბთების ცვენა. არასდროს უთოვია ასე. გურია თოვლმა დაფარა; ორივენიც, სადაც არუნდა ყოფილიყვნენ, გურიაში ნაჭორავები ამბებით, იქაური ხალხის კუთხური მეტყველების სიამოვნებით ახელდნენ თვალებს.

თოვლით დაფარული გურიის მთები ყელყელაობდნენ და ბახმაროს ბუმბერაზებს თავს აწონებდნენ. მობლანის ედელვაისები აქეთ იმზირებოდნენ, ე.ი. სიყვარული გაჩდებაოო და, მოწონების ნიშნად, გულმკერდს უქარგავდნენ მთებს, რადგან ენძელასა და საპოვნელას ადარეს თავი. ამბობენ, როცა ენძელა ამოვა, თოვლი აღარ იქნებაო; მაშინ, ისინი დამეგობრებულ სულებს მწვერვალზე კოშკებს უგებდნენ...

ლაგდებოდა სამგზავრო ჩანთები, მოგზაურობა თავს არ აბეზრებდათ. ჩემოდნები თავიანთ პატარა ბარტყებს ფარავდნენ და ისინიც ბედნიერ დედებად აგრძელებდნენ ცხოვრებას.

ერთხელაც, თავად მოტეხეს სიმინდი, ასე ორი ცალი მხოლოდ. ფუჩეჩიდან სიფრიფანა, ოქროსფერი ფოჩები ამოიღეს და წყალში დასველებული თითებით წნა დაუწყეს. ნაწნავები შვილებიდან გოგონებს მიადეს თავზე, თავიანთი გამოცდილება ჩაუწნეს სულში და მათ სირბილს იდაყვდაყრდნობით ალერსიანად ადევნებდნენ გულისყურს.

წითელი მზე იწვერებოდა დაგროვილი ამბებით მთებს იქით. ჩრდილი აღარ დაკრავდა მათს ცხოვრებას. ჩრდილებს მიღმა ნაკვალევი ტკბილად ივსებოდნენ ცაცხვებს ქვეშ და წამიერ გაევლებას, ცხოვრება რომ ღირებულია, ბურთივით მზეზე სიმრგვალეს ქმნიდნენ; უმზეოდ ხომ არცერთ წამს არ შეუძლია შეავსოს გული, გააგრძელოს სიტყვა და შეკრას წრე ხსნადობისა. პაპანაქება სიცხეში მხოლოდ დანთებული სანთლები არ გვწვავენ, გაგრილებენ, რადგან აქრობენ ცუდს და სულს გიმსუბუქებენ, ისინიც რომ მზეს ეახლებიან ჩრდილებს მიღმა თუ პატარა ამბებით დაწნული კალათის სამარადჟამო ამოლაგებით.

კალათაში კვერცხები იდო. ოქროსფერი გულები ყვითელ წიწილებს ჩეკდნენ, ზოგჯერ სხვადასხვა ფერიც ერეოდათ, მაგრამ მზეზე ერთი იყო ყველა, მზის სიყვარულითა და მისგან მიღებული უდიდესი ენერგიით.

დაცალკავებული ცხოვრება ფერხულს უვლიდა. წრე ნელ-ნელა იკვრებოდა და ადამიანებიც ერთმანეთს ხვდებოდნენ...

გურია კი ნოდარ დუმბაძესთან ერთად იხსენიება, მან რომ გვასწავლა: "ადამიანის სული გაცილებით მძიმეა, ვიდრე სხეული. იმდენად მძიმე, რომ ერთ კაცს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა მივაშველოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული. თქვენ-ჩემი, მე-სხვისი, სხვამ-სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამე თუ ამერთი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე."

მიწა იძრა, არავისთვის არაფერი უვნია, პირიქით, ახალი იდეები უთავაზა კაცობრიობას.

ანუ კი დაიკოსთან ერთად გადახედა პატარებს. მას ხომ სიყვარული ესიზმრა კიდეც...

გინდა და წერ მთელი ენთუზიაზმით, უფრთხილდები ვინმეს, არასოდეს გააიოლოს სხვისი დანაკვალებით გზა, თუ ის ჯანსაღი არ არის; თავად გაიკაფოს იგი და ერთი კია, თუ ერთსაც უნდა შენთვის საუკეთესო და თავად გონივრულად მოიქცევი, სამარადჟამო სიყარულის ტალღა ისე დაგაბზიალებს, რომ მთავარ წერტილში აღმოჩნდები, იქ, სადაც სიყვარული და ბუნებრივი სილამაზეა; ჩრდილებს მიღმა ნაკვალევიც, როცა ის შეიძლება შესანიშნავიც იყოს, თავისთავად გაქრება და ბედნიერად იცხოვრებთ!...

ძლიერი გადადის მორალის ზღვარზე, სუსტი ეფარება მორალს, ხოლო ის, ვინც მისდევს მორალს, ყოველთვის დგას ძლიერსა და სუსტს შორის. ცხოვრება ასანთის კოლოფივითაა: მისი ზედმეტად სერიოზულად აღქმა სისულელეა, ზედმეტად არასერიოზულად აღქმა-საშიში /აკუდაგავა რიუნოსკე /

ანის მომარჯვებული ნიჩბები გზამკვლევი აღმოჩნდა ცხოვრების ტალღაში. ძალასა და წარმატებებს ზეციდან თაკოც უყოფდა კოცნით!... ჩუმად დახედავდა მის ძილს და ნათელ დღეებს ულოცავდა ანისა და მედეას მომავალს! ცოტა ცრემლსაც უპკურებდა, მზეზე რომ აშრობდა და აღვივებდა მათ სახეებს...

ზოგჯერ იქედან უფრო მეტს გვიკეთებენ, ვინემ ჩვენ გვყოფნის გონება, გონება, რომელიც ასე გვიხალისებს ცხოვრებას, რასაც გულის სიტყვები სჭირდება მხოლოდ და ავსებს ჩრდილებს მიღმა ნაკვალევს...

ნინო სპანდერაშვილი

ნინო სპანდერაშვილი დაიბადა 1966 წელს კახეთში, სიღნაღის რაიონი, ქ. წნორი. დაამთავრა სტავროპოლის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის ჰუმანიტარულ-ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. 1985 წლიდან ცხოვრობს ქ. ერევანში და ეწევა დატვირთულ და საინტერეო საქმიანობას. მუშაობს სომხეთის საზოგადოებრივი რადიოს ახალი ამბების სამოვარგარეთის გადაცემების განყოფილებაში მთარგმნელ-დიქტორად, სანოტარო მოქმედებების ქართულ-სომხური ენების ლიცენზირებულ მთარგმნელად, ერევნის საკვირაო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელად, სათვისტომოს გაზეთ ,,ივერიის,, ქართული ნაწილის რედაქტორად. 2000 წლიდან სომხეთის ქართული სათვისტომო ,,ივერიის,, გამგეობის წევრია, ხოლო 2014 წლიდან მისი ვიცე-პრეზიდენტი.

ნინო სპანდერაშვილის ლექსები და თარგმანები დაიბეჭდა სრ ეროვნულ უმცირესობათა შემოქმედების ალმანახის 1-ლ (2012წ.) და მე-2 (2014წ.) წიგნებში, ,,სამშობლოს სურნელში,, (2013წ.), პერიოდულად იბეჭდება სათვისტომოს გაზეთ ,,ივერიაში,,.

ლექსების ქართულ და სომხურ ვარიანტებზე შექმნილია 6 სიმღერა.

დრონი მეფობენ

სცენაზე დგომა თავბრუს ახვევს ათი ათასებს,
თაყვანისცემის გვირგვინს ირგებს უდრეკი ხელი,
კვარცხლბეკზე ასულს ავიწყდება ჭეშმარიტება-
ზემავალს ხშირად ძირს დაცემის სიმწარეც ელის.
ბრბოთა რჩეული წუთისოფლის მუდმივ სპექტაკლში
ახალ როლს ირგებს და მზადაა უარყოს ძველი,
მაგრამ მეფობენ მხოლოდ დრონი არა მეფენი,
საპნის ბუშტს მოჰგავს ჩაქროლილი ცხოვრება მთელი.
აღზევებული თუ უჩინო დროს ემონება,
ყველას ულმობლად აცამტვერებს სიკვდილის ცელი.
მხოლოდ სიყვარულს შესწევს ძალა აქციოს მეფედ,
ვისაც გვირგვინის ღირსად გახდის განგების ხელი.

***

ბედმა მოგვიწყო მწარე გამოცდა,
აღარ მაღელვებს შენი ღიმილი,
ფიქრარეული დავეძებ მიზეზს,
რომ საბოლოო დავსვა წერტილი.
შენსკენ სავალი გზა აღარ მიხმობს,
გულს ჩაურაზავს სულყველა კარი,
კერაზე უკვე მინავლებულ ცეცხლს
ალბათ ბოლომდე ჩააქრობს ქარი.
გარდასულ დღეებს გაჰყვა განცდები,
ჩვენს ერთად ყოფნას გასვლია ყავლი,
ერთდროს მშფოთვარე და მოგიზგიზე
გრძნობა ჩამქრალა, თვალებს წვავს კვამლი.
სული აივსო განცდის ნამსხვრევით,
რომ შეეწირა სიყვარულს ხარკად,
და რაც მიმაჩნდა მარადიულად
ორივესათვის ქცეულა ბარგად.
გადააბიჯა მოთმენის საზღვარს
ემოციებით დაღლილმა გულმა,
დაასამარა აწ და მარადის,
წარსული აწმყომ ხელმოცარულმა.

***

უფლის წყალობით შევხვდით ერთმანეთს
როცა ცხოვრება ჩალად მიღირდა,
მონათესავე სული შევიგრძენ
განშორებაზე ფიქრიც მიჭირდა.
ჩვენს შეხვედრას და დამშვიდობებას
თან ახლდა წმინდა, ღვთიური ხიბლი,
მან მაგიური ფრთები შემასხა
ჭრელი ბუმბულით და ნაზი ღინღლით.
მას შემდეგ როგორც ჩიტი ნიბლია
შენს საგალობლად ამქვეყნად დავალ,
თან გავიყოლებ შეხვედრის სითბოს,
როს სამუდამოდ მზის იქით ჩავალ!

ხვალის იმედი

რამდენი გზა არ ერთდება ქვეყნად
და ელოდება ჟამგასულ ხვალეს.
იქნებ აღარ გვაქვს უკვე საერთო,
ფიქრი ეჭვებად ადნება თვალებს.
არ გამოვკითხავ კოპიტს და ვერხვებს,
ან ღრუბელს, მთვარეს და წვიმის წვეთებს,
შენს სამყოფელს და დუმილის მიზეზს,
მე გულმოდგინედ ფიქრებში ვეძებ.
მტანჯველი ეჭვი სვავივით მკორტნის,
გოდებს და შფოთავს სულში ტკივილი.
ვშიშობ, არ ჩატყდეს ჩვენს შორის ხიდი,
ცრემლზე მწარეა ჩემი ღიმილი.
ხვალის იმედი ქარგავს მოლოდინს,
დათოვლილ სულში უფრო ბევრდები.
თუმც არ ერთდება ქვეყნად ბევრი გზა,
ვიდრე სულს მითბობ არ დავბერდები!

უცხო ზეცის ქვეშ

შორიდან ვეტრფი მონატრებულ მშობლიურ მიწას,
უცხო ზეცის ქვეშ დავატარებ სამშობლოს სითბოს,
მოგონებების სხივით უცებ მესხმება ფრთები,
გაორებული, რუხ ღამურას ვედრები თითქოს.
ბრწყინვალე შუქი მაბრმავებს და ჩრდილს ვეფარები,
მაღლა აფრენილს კვლავ მეგება დარდი საფენად,
დაბლა ცხოვრება აღარ ძალმიძს, მთლად გავუცხოვდი,
მაგრამ სხეული არ მომყვება ცაში საფრენად.

თამარ ქამადაძე

თამარ ქამადაძე–პროფესიით ფსიქოლოგია. ამჟამად მუშაობს სოციალური მომსახურების საგენტოს ფსიქოლოგად.

ბავშვობიდანვე მიყვარდა წერა, ბავშვობაში ვწერდი ჩანახატებს სკოლაზე და მაშინდელი საბავშვო გაზეთ ,,ნერგის'' აქტიური წევრი ვიყავი. შემდეგ იყო 9 აპრილი, მაშინაც სკოლის მოსწავლე ვიყავი, პირველად მაშინ დავწერე სევდიანი ყანრის ჩანახატი, განვიცდიდი რაც ხდებოდა. სტუდენტობის და მუშაობის პერიოდში უკვე პროფესიულ სტატიებს ვწერდი. მიყვარს ჩემი პროფესია, რთული, საინტერესო და საპასუხისმგებლოა, ადამიანებს უსმენ და ეხმარები, ლექსების წერა მეხმარება, რომ ჩემს თავსაც მოვუსმინო დრო დავუთმო, ვიფიქრო, ვიოცნებო და გავიღიმო...

ჩემი ყველაზე დიდი ბედნიერება ჩემი ოჯახია, მშვიდი და ლამაზი გარემო, მეუღლე როინი რიყვაძე–ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია, უყვარს ლიტერატურა პროზა, პოეზია. ორი პროზაული ნაწარმოების „33" და „ევფორია"– ს ავტორია. შვილები მართა და გრიგორი რიყვაძეები სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები არიან.

მოხვედი ჩემთან

მე სწორედ ის ვარ...
ვინც ოდესმე გამოიგონე..
გამომიგონე...
და ხატავდი ფერადად სათქმელს,
წარმოსახვაში მე ვიყავი ისეთი ცხადი,
რომ გამოგონილს აღარ ვგავდი, რომ გამიცანი.
მოხვედი ჩემთან...
მეც შენსავით ფიქრში გხატავდი
და აღარ იყო არც ეჭვი და არც ფანტაზია,
ყველგან მეძებდი
ყველაფერში მხედავდი ალბათ,
რომ დაკარგული შენი ნეკნი
გენახა ცხადად.

ჩემს შვილებს

ჩემს გაზაფხულს გაჩუქებთ,
ჩემს წილ მზეს და ცას,
იებს შევკრავ კონებად
თან მოვივლი მთას.
გვირილებთან ერთად
დაგიმშვენებთ თმას,
ჩემს გაზაფხულს გაჩუქებთ
ჩემს მთასა და ზღვას.....
სულ ყველაფერს თქვენთვის
გავიმეტებ მთლად,
სითბოს გაგინაწილებთ
თანაბარი სხივებით,
ჩემს გაზაფხულს გაჩუქებთ
ენძელებით იებით....
თქვენთვის დავწერ ზღაპარს,
ფერად-ფერად ამბავს,
ცისარტყელას ფერებით,
მოგიხატავთ ანბანს....
სიყვარულს და სიკეთეს,
გადაგიგებთ გზად,
ხელის გულზე გატარებთ
სევდას არ გაგაკარებთ.
ცაში ლამაზ ფანტელებს,
სურვილებს რომ აბარებთ,
სულ ქათქათა ფიფქებს
მთა- ბარს გადავაფარებ,
ჩემს სიხარულს გაჩუქებთ
ჩემს ღიმილს და იმედს,
მწამს რომ ჩემი ოცნება
თქვენში გაიბრწყინებს.

რა ფერია სითბო

რა ფერი აქვს სითბოს
ყველა ფერს რომ გვითბობს,
რა ფერი აქვს ფიქრს
დუმილით რომ თრთის.
რა ფერი აქვს დუმილს,
ოცნებას და სურვილს,
ფერთა შეხამებას,
ვეღარ იტევს სევდა.
რა ფერი აქვს სევდას,
რა ფერი აქვს დარდს,
სევდა ნაცრისფერად
შეუერთდა ცას.
ააცრემლებს ღრუბლებს,
ნისლისფერი ფერით,
თბილ და ლამაზ ფერებს,
მზის სხივებში ველით.
ის მოხატავს ზეცას,
სხივად დაიღვრება,
მღიმარე ცხრათვალა,
ყველას თავს ევლება.
ბევრი ფერებით და
ცისარტყელებით,
მოიხატა ტილოდ
წვიმამ გადაიღო.
რა ფერი აქვს სითბოს
ოცნებებს რომ გვითბობს?

ზურაბ გორგილაძეს

მე მოკრძალებით ჩავუვლი ქუჩას,
რომელსაც შენი სახელი ჰქვია,
ისე ლამაზი სიტყვებით ქარგე,
სად სევდა არის, სად ხალისია.
იმ მთებს შევავლებ სევდიან მზერას,
გორობს ტკივილი ვერ დაუთვლია,
შენ რომ გტკიოდა უსაზღვრო ჯავრად,
ვის თვალსეირად რომ გაუხდია.
შენს ლამაზ სიტყვებს მე დავესესხე,
სიტყვებს ქართული სულით გაჟღენთილს,
ის გვანცას ლოცვა, ის ნენეს ნანა,
რა სევდიანი არის ის ,,განა''
ეფერებოდი ხიხანს და სხალთას
ზარებს რეკავდი ჩვენს გასაგონად,
ვინ გაიგონა... ვაი ვინაც არა...
ვინ გაიღიმა, ვინ ცრემლი ღვარა.
მთების იქეთ რომ გტკიოდა ბანა
და ჩაუმქრალი ანთებდი სანთლებს,
ლოცავდი ხანძთას, ლოცადი შატბერდს,
და ავედრებლი აქ სხალთიხატებს.
ლოცვასავით ვიმეორებთ ისევ ,,ოჰოი ნანა''
ისევ ტკივა საქართველოს შატბერდი და ბანა,
თან ჩვენია და თან სხვისი, ნანგრევებით ოხრავს,
თითქოს შენი ,,ოჰოი ნანა'' მთების იქეთ მოთქვამს.

ტაო კლარჯეთი

ოშკი რომ მოთქვამს, უსანთლოდ იწვის,
ხანძთას უჩნდება გუმბათზე ბზარი,
ხავსმოდებული ბანას სამრეკლოს
ბებერ კედლებზე ეტყობა ჯავრი.
დადუმებულა არტანუჯის მაღალი ზარი,
ნაცრისფერ ნისლში გახვეულა შატბერდის ჯვარი,
ჩამონგრეულა ხახულის და იშხანის კარი,
და ამღვრეულა ფანასკერტელის ნაკურთხი წყალი.
ახიზას ციხის დარბაზებში ისმის გოდება,
ველის ციხესთან ჩარაზულა სასახლის კარი,
ურთა, ჩაისი, არდაგანი მდუმარედ სტირის,
რადგან ამ ზეცას არ ცილდება მწუხარე ნისლი.
აქ ტაძრებიდან სევდიანი გალობა მოსთქვამს
რომ მათი დილა არ თენდება ქართული ცის ქვეშ...

ირაკლი შამათავა

დაბადების ადგილი: ქ. გალი. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 2011 წელს.

6 სტატიის ავტორი, მისი მოთხრობები იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში: ლიტერატურული პალიტრა, ქართული მწერლობა, ჟურნალი "ალავერდი". ნაწერები განთავსებულია Lib.ge, Lit.ge-ზე და urakparaki.com-ზე. მისი მოთხრობა "ჯაენი და სახარება" თარგმნილია რუსულ და სომხურ ენებზე. რუსულ ენაზე თარგმნილი მოთხრობა შესულია მსოფლიო ხალხთა პროზაულ კრებულში.

საქართველოს მწერალთა კავშირი, წევრი

ჯილდოები, პრემიები და პრიზები

• 2012 - გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემია მინიატურისათვის "ბავშვობადაკარგული თაობა"

• 2012 - დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია რომანისათვის "დემნა უფლისწული"

• 2010 - ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმისა და ქ. თბილისის მერიის მიერ ორგანიზებული ლიტერატურული კონკურსი "მცირე პროზა", II პრემია მოთხრობისათვის "კაენი და სახარება"

ჩემი სახელია ჰიროსიმა

„პროზაიკოსი გარდა იმისა რომ პოეტია, ისტორიკოსი და ბიოგრაფიც არის ერთდროულად, მაშასადამე, ის განუყრელად უნდა დაუკავშირდეს (გარკვეულ ეპოქაში, გარკვეული ქვეყნის) ადამიანთა ცხოვრებას.”

რიუნოსკე აკუტაგავა[1]

ჩემი სახელია **ჩიზუკი.**

ოღონდ, სინტოს[2] ღვთაებას გაფიცებთ, მეტსახელი არ გეგონოთ!..

მშობლები 1945 წლის 6 აგვისტოს დაიღუპნენ.

მე დავინახე სოკოს ფორმის ღრუბელი, ვიდრე ჰიროსიმა წარსულის საკუთრება გახდებოდა. ნანგრევებიდან, საბავშვო მელოდიასავით, დედის ხმის ექო აღწევდა; საწოვარგაჩრილს[3] ვერაფრით გამეაზრებინა მოთქმის ტრაექტორია[4].

კალენდრის მიხედვით ბუცუმე-ცუ[5] იყო. ამიტომ, ტრადიციულად, დაკრძალვა მომდევნო დღეს დაინიშნა.

განბანვის შემდეგ დედას თეთრი ჰაორი[6] ჩააცვეს, მსუბუქი მაკიაჟით გაალამაზეს, ხელთ კრიალოსანი და ქისა დააჭერინეს, რომელშიც 6 მონეტა მოათავსეს. ო, დიდებულო სინტო, ამის გამო მძულს ციფრი ექვსი და აქ ცრურწმენა არაფერ შუაშია...

ჩრდილოეთისკენ იყურებოდა იმისი ნაწამები, დაღლილი და ტკივილისგან შეწუხებული პირსახე. მეხსიერების უჯრედში ვინახავდი დედის სიფერმკრთალეს, მწუხრშეპარულ აღნაგობას, სხეულზე მიმხმარ უბედურებას, მარმარილოსებრ გაყინულ თითების ფორტეპიანოს, რომელზეც ჩრდილები შეუპოვრად ცეკვავდნენ. ვიცოდი, ოდესმე ვირუსშეპარული უჯრედი დააქვრივებდა ტვინს და მასში მოთავსებულ ინფორმაციას ერთიანად წაშლიდა. სხეულის ჰარ-

---

[1]. მწერალი, ახალი იაპონური ლიტერატურის კლასიკოსი. (1892–1927).

[2]. უძველესი იაპონური რელიგიური მიმდინარეობაა, რომელიც სულების თაყვანისცემას ეფუძნება.

[3]. ბოთლზე წამოსაცმელი ნახვრეტებიანი რეზინის მილაკი, რომლითაც ძუძუმწოვარ ბავშვს რძეს აწოვებენ.

[4]. სივრცეში სხეულის ან წერტილის მოძრაობის გზა.

[5]. მიცვალებულთა დასაკრძალად 6 არასასურველი დღეა: სენსიო, ტომობიკი, სენბუ, იაიანი, სიაკო და ბუცუმე-ცუ.

[6]. მოკლე ზედა კიმონო.

მონიას კი მოწყდებოდა - მონატრება - სულის ამაფორიაქებელ-დამპყრობელი. (მონატრებაზე საზიზღარი დამპყრობელი კაცობრიობის ისტორიას არ ეხსომება).

მაგიდას თეთრი ნაჭერი გადავაფარეთ და სურნელოვანი ჩხირი დავაკმიეთ. ბრინჯის ფიალაში ჭასი[7] ვერტიკალურად დამაგრდა და ბუდისტური წესის თანახმად, გარდაცვლილს ახალი სახელი დავარქვით. მართალია უფრო სინტოიზმის წესით მერჩივნა ყველაფერი გაკეთებულიყო, მაგრამ ძია ტიარსომ გაწია ხარჯები და ამადაც, მისი რწმენის შესაბამისად აღსრულდა დაკრძალვის ცერემონია.

მერე ბუდისტმა ბერმა დაახლოებით ექვს (ისევ 6) საათზე სარიტუალო ლოცვა წაიკითხა.

მოგვიანებით კუბოდან ამოვალაგეთ რკინის და შუშის ნივთები, რათა კრემაციისთვის ხელი არ შეგვეშალა.

ო-ბონის დღესასწაულზე[8] ფერფლი ძია ტიარსომ მემორიალს მიაბარა.

მას შემდეგ, დავხეტიალობ ამ მემორიალზე. მთავრობა გვპირდება, რომ გარდაცვლილებს ქვებს დაუდგამს, რათა თითოეულის სახელი უკვდავყოს. თუმცა არ მჯერა დაპირებების!.. რა ქვა, რის ობელისკი, როცა დაღუპულთა სტატისტიკაც არ იციან...

თავიდან ერთი ადგილი ამოვიჩემე, სადაც დედის ნეშტი მეგულებოდა. მოგვიანებით ისიც გადათხრილი დამხვდა. ვინ იცის, ეგებ სხვა მიცვალებულის ფერფლს მიუჩინეს ადგილი. წარმოიდგინეთ რა უბედურებაა, როცა საფლავიც კი საზიარო და სადავო გაქვს ადამიანს ამ ცისქვეშეთში.

მამაჩემი მთარგმნელი იყო და არა თარჯიმანი, როგორც ეს სხვებს ჰგონიათ. იგი ნაბეჭდ ტექსტს სხვა ენაზე თარგმნიდა და ამით არჩენდა ოჯახს. ხელმოკლედ ვცხოვრობდით, თუმცა მაინც ბედნიერები ვიყავით. იტყოდა ხოლმე, - შვილო, ბედნიერებას ძებნა უნდა, ნაპოვნს კი გაფრთხილება. ბედნიერება იმალება კლდის ნაპრალში, ზღვის ფსკერზე, სარდაფში, კიბეზე და ციხის ქონგურზეც კი... იგი შეიძლება თავდებად დაიყენო, დაიგირავო, ან მეგობრულად შეიყვარო და პატივი სცე.

ჭკვიანი კაცი იყო და რაკი მას ვადიდებ, ნუ გეგონებათ როგორც სისხლით ნათესავს და ოჯახის წევრს ვასხამდე ხოტბას. ხშირად ვცდილობ გავიხსენო ყველაზე უმნიშვნელო წყენა, უმისამართო საყვედური, უაზრო გულისწყრომა, რათა სამუდამოდ უარვყო მამა-

---

[7]. ჩხირები.

[8]. იაპონელებს სწამთ, რომ ამ დღეს სული ოჯახში ბრუნდება.

ჩემი და ცხოვრებას უფრო მხიარულად ვუყურო. (დარწმუნებული ვარ, თუ მამას შევიძულებ მონატრების გრძნობა არ დამტანჯავს). თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენადაც ვცდილობ გავამტყუნო, იმდენად ზნეკეთილად შემომცქერის, უფრო მოსიყვარულე ხდება.

და მაინც... ჩვენ, ობლებს, გვჭირდება მამა: ფეხბურთის თამაშისას, ჩოგბურთის კორტზე ან საცურაო დარბაზში სასიარულოდ. რადიოგადაცემის თუ წიგნში დაფლული შეგონებების გასამარტავშესამეცნებლად; გვჭირდება მამა სკოლიდან მობრუნებულებს, შემოგლეჯილი სამოსის დასამალად და დედასთან შუამავლად. დასისხლიანებული ცხვირ-პირის მოსაწმენდად და ნამოქმედარის განსასჯელად.

მთავრობისგან გამოყოფილ უსახლკარო ბავშვთა სახლში ვცხოვრობ. საცხოვრებელი პანსიონატის მსგავსია. საპირფარეშოაბაზანა და სამომხმარებლო ნივთები საერთოა. საკუთარი არაფერი გამაჩნია, თუ არ ჩავთვლით კბილის ჯაგრისსა და საგარეო ტანსაცმელს.

ძია ტიარსო ყოველწლიურად მიგზავნის ოცდაცამეტი (33) ათას იენას[9]. [ძუნწი მიწოდეთ თუ გნებავთ, მაგრამ ფულის სესხება არ მიყვარს. როგორც მამა იტყოდა, თუ ფულს მისცემ ვინმეს, წინასწარ უნდა შეეგუო, რომ ის დაკარგე]. ძია ტიარსო ამბობს, რომ ხელმოკლედ ცხოვრობს. ძია ტიარსო მპირდება, როგორც კი მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყებს მუშაობას, მეც ჩემს ბიძაშვილებთან წამიყვანს საცხოვრებლად.

ბავშვების უმრავლესობას პნევმონია აწუხებს. სამასამდე ვიქნებით ალბათ. ნუ გაიკვირვებთ, რატომ სამჯერ მეტნი არ ვიყავით. ადმინისტრატორი მძიმე ხასიათის, პირქუში და ბუზღუნა მოხუცია, რომელიც დღედაღამ გაიძახის: ძილიც დროული უნდა იცოდეს კაცმაო!..

ბრძანებისამებრ, ცხრა საათზე არავინ უნდა ფხიზლობდეს. თავიდან ვიფიქრე, უბრალოდ ასეა საჭირო–მეთქი!

ერთხელაც, ვითომ თავი მოვიმძინარე, ფეხაკრეფით მივჩოჩდი ფიცარაკრულ ფანჯარასთან და ჭუჭრუტანიდან რას ვხედავ. საკაცეზე ასვენია ბავშვის ცხედარი და შავკიმონოიანი მამაკაცები სამხედრო ფურგონში სხდებიან. ვიფიქრე, ალბათ ლაზარეთში მიჰყავთ–მეთქი. ახლა ვხვდები ყველაფერს, დიდებულო სინტო... მკურნალობენ, არა?! დიახ, რასაკვირველია, ეჭვგარეშეა რომ მკურნალობენ.

[9]. იაპონური ფულის ერთეული.

იმდენად საფუძვლიანად, რომ სამკურნალო დაწესებულებად კრემატორიუმს იყენებენ, ღმერთმანი.

ექიმმა სკოლიოზით[10] დაავადებულთა სია შეადგინა და საუბედუროდ ამ სიაში მოხვედრილებს სასტიკად აგვეკრძალა თამაში. (განახათ ერთი ჩვენი სათამაშოები; ძირითადად გაფუჭებული ვაზნები[11], ტყვიები და სამხედრო დანებია) ამიტომაც მსაყვედურობენ თანატოლები, რომ „პატივმოყვარეობა გამონაყარივით მაქვს“. ქედმაღალი და ამპარტავანი სულაც არ ვარ. აქ სხვა უფრო დიდი მიზეზი უნდა იყოს. პირველი ის, რომ ადამიანში ყველაზე ძლიერ უბრალოება მაშინებს, და მეორეც ამ უნდობლობით გამოწვეული მარტოობა სნეულებასავით შემეყარა.

სიკოხტავე ადრიდანვე დამყვა და სკოლიდან დაბრუნებული საკიდზე ვათავსებ ჩემს ფუროსიკის[12] და ფუროსიდეს[13]. ხასიათით ჭირვეული და ბუზღუნა ვარ. ენაგადმოგდებული, დამანჭული და მიმიკადაგრეხილი მობინადრეები ადმინისტრატორის ნაბიჭვარს (ბოდიში მომიხდია ბილწსიტყვაობისთვის) მეძახიან, რადგან ჩვენს შორის მართლაც ხასიათობრივი მსგავსებაა.

ჭამით ცოტას ვჭამ, - განსაკუთრებით საერთო საცხოვრებლის პირობებში მომზადებულ საუზმესა და ვახშამს. კვება ორჯერ არის დღის წესრიგში; დილით ჩაისა და ერთ ფუნთუშას მივირთმევთ, ღამით კრევეტებს ან (თუ საცხოვრებელს ვინმე ქველმოქმედი ფულს გადმოურიცხავს, მადლიერების ნიშნად მთელი წლის მანძილზე) წითელი მისოს სუფს.

სკოლა დაახლოებით ოცდაათი სიაკუს[14] სიახლოვესაა და ტრანსპორტის ფულის დასაზოგად, ძირითადად, ფეხით დავდივარ. ერთი დანჯღრეული, მწყობრიდან გამოსული ავტობუსი გვემსახურება. გზაში ორჯერ მაინც ფუჭდება და მძღოლის საყვედურების მოსმენას მირჩევნია ფეხით სიარული.

ჰიროსიმა, ომის შემდეგ, საშინელებათა ფილმს დაემსგავსა!.. ძალიან ყურადღებით უნდა იარო ქუჩებში, რადგან თითოეულ შესახვევში გაცხოველებული მშენებლობაა დაწყებული და ნანგრევებიდან ცდილობენ ახალი მონუმენტების აღმართვას. კუნძული მჭიდროდ დასახლებულია და დიდძალი მსხვერპლის მიუხედავად, ხალხით

---

[10]. [ბერძ. skoliosis მრუდე] – (მედიც.). ხერხემლის გვერდითი გამრუდება.
[11]. დენთითა და ტყვიით გატენილი მასრა.
[12]. ფერადი ბოხჩა.
[13]. ლამაზი საგარეო კიმონო.
[14]. სიგრძის საზომი, ერთი სიაკუ დაახლოებით 31,3 სმ-ია.

გადაჭედილ მოედნებზე, გზის გაკვლევაც მიძნელდება, რის გამოც სკოლაში ვაგვიანებ ხოლმე და მასწავლებლის საყვედურს ვიმსახურებ.

ფილოსოფიისა და ლიტერატურის გაკვეთილებს შორის ექვსწუთიანი (6) ინტერვალია და ამ დროს მოსწავლეები სასადილოში ჩადიან ხოლმე.

ბავშვობა რომ დაკარგო, ოდესმე ხომ უნდა გქონოდა იგი. მე კი აღარც ბავშვობა მინახავს და არც სათამაშოები. არა, არ გეგონოთ, თითქოს გავბოროტდი, შურმა თვალისჩინი წამართვა და ეგოიზმმა ცეცხლი წამიკიდა. უბრალოდ, ადამიანურად მომადგება ხოლმე ნერწყვი და შიმშილნარევ მზერას დავადევნებ დანარჩენ ბავშვებს, რომელთა მამებს, ომის მიუხედავად, ეტყობა ჯიბის სისქე ჯერაც არ დაუთხელდათ!..

რომ მქონდეს თუნდაც ორმოცდაათი იენი, შევუკვეთავდი უმებასს[15] და მადიანად მივირთმევდი კაპარჭანას სასიმს[16]. სასადილოს კართან ატუზულს ეს იმდენად ხმამაღლა წამომცდა, რომ შემრცხვა ჩემი სულმოკლეობის. მხარზე შეხება ვიგრძენი და ენისბორძიკით ნათქვამი:

– მე გეპატიჟებით.

სახეზე მანამ არ შემიხედავს, ვიდრე არ დავაგემოვნე მებუფეტისგან მოტანილი სადილი.

ღმერთო ჩემო!... რა მშვენიერი, მებრძოლი და ვაჟკაცური გამოხედვა ჰქონდა ძლივს გახელილ თვალებში. სახეზე სიყვითლე გადაჰკრავდა და თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ბოტკინი[17] აწუხებდა.

მაგიდაზე ცარიელი თეფშები ელაგა. შემატყო, რომ მაძღარი არ ვიყავი და თავისთვის განკუთვნილიც მე გამომიწოდა. მხოლოდ იმის გამო არ გამოვართვი ბრინჯის პური, რომ შემეშინდა, ვაითუ ინფექცია გადმომედოს და მერე რა უსმენს საცხოვრებლის მეპატრონის მუქარას.

– მეტს ვერ გეახლები, – ვუთხარი თავაზიანად.

---

[15]. ქლიავისგან დამზადებული საჭმელი.

[16]. მზადდება უმი თევზისგან. იგი დაჭრილია განსაკუთრებული წესით და ამოვლებულია სოიოს საწებელში, უმატებენ პირშუშხასაც.

[17]. ინფექციური, ვირუსული დაავადებაა, რომელიც აზიანებს ძირითადად ღვიძლს და იწვევს მის ანთებას.

ისე ხელმარჯვედ ეჭირა ჰასი და ისე ლამაზად გადაეჭირა ობი[18], რომ შურით აღვივსე, ღმერთმანი!.. იგი გადაშლილი წიგნიდან რაღაც შეგონებას კითხულობდა.

—რას კითხულობ, სადაკო?

—ძენის წვრთნის კლასიკურ მაგალითს, სადაც წერია „როგორ უნდა დააღწიო თავი შობისა და სიკვდილის წრეს“. მედიტაციის ძალით მიხვდები მის პასუხს და უნებლიეთ დასვამ ერთადერთ მართებულ კითხვას: „ვინ მომაქცია ამ წრეში?“

—საინტერესო ახსნაა. თუმცა ცხადია, რომ სიკვდილის წრე ბუდას ხელის თითზე ჰკიდია და ბედისწერის ძალით, ადრე თუ გვიან, ყველას დაგვაჩოქებს. როგორც ჩვენში ამბობენ, „არ შეიძლება მოინდომო იმაზე მეტი, რაც ბედისწერამ მოგიზღო“. სიკვდილი კი ბედისწერის უკანასკნელი ძღვენია, - ადამიანის მიერ განხორციელებული ყველა ქმედების კომპეტენტური ჟიური. (ადამიანის სიცოცხლეც ხომ კონკურსია ერთგვარი). იგი უფრო დიდი რამაა, უფრო ემოციური და ეფექტური, ვიდრე წიგნის დაჭიავებული ფურცლებიდან იკითხება.

— შენ რა იცი როგორია იგი? - იკითხა გოგონამ და მის კითხვაში დაცინვის ნატამალიც არ ერია. ეს იყო გულწრფელი, ცნობისმოყვარე ადამიანის ანგარიშმიუცემელი შეკითხვა.

—მასწავლებელმა გვითხრა. სადღაც წაუკითხავს [ვგონებ ნინძიობონიში[19]]და ირწმუნება, რომ სიკვდილი არის სიცოცხლის უკანასკნელი წამის არითმეტიკული პროგრესია, მათემატიკური და**[ანგარ]**იშ**[ება]**, [რადგან მხოლოდ მათემატიკურ ციფრს შეუძლია იყოს ანგარებიანი]. რომელიც, რასაკვირველია, უსასრულობისკენ მიემართება მანამ, ვიდრე არ შეაჩერებს ბობოქარი ძალა და ყელს არ გამოღადრავს დანით.

—კიდევ რას ამბობს მასწავლებელი?

—ამბობს, „სიკვდილით იმიტომ არ უნდა მოვკვდეთ, რომ ეს ხელსაყრელი არ არის!.. მაშ, რატომ უნდა გადავიხადოთ სიცოცხლით არაფრის ვალი?“[20]; რომ ნებისმიერი გონიერი არსება ფლობს ფილოსოფიურ მაგიას, წინასწარგანჭვრეტისა და სამყაროს შემეცნების უნარს. თუმცა, ნიცშე, რომელმაც ზედმეტად ბევრი შეიცნო, აღიარა, რომ „ღმერთი მოკვდა“. მაშ, რას გვარგებს ჩვენ მოძღვრება,

---

[18]. კიმონოზე მოსაჭერი დეკორატიული ქამარი.
[19]. წიგნი ადამიანური გრძნობების შესახებ.
[20]. ჰაგაკურე ბუსიდოს მოძღვრება.

რომელიც რწმენას მოგვიკლავს? „უღმერთობა ხომ იგივ გაუკუღ-მართებულ გზაზე დადგომაა, უფსკრულისკენ გადებული ბეწვის ხიდის დაპყრობაა, მთვარეულთან მოკავშირეობაა“. ყველაფერი, რაც ბოროტებისგან მომდინარეობს, უკეთურია სადაკო. მართალია რწმენის დაკარგვა პირო**[ვნებას]** შინაგანად ავითარებს, თუმცა სულიერად რყვნის. პიროვნება კი იანუსის[21] ქანდაკების მსგავსია. შეხედავ და გული აგიჩუყდება იმის მშვენიერებით, მეორე წუთში კი საზიზღარი მიმიკით დაგემანჭება. მასწავლებლის მიზანია გვაპოვნინოს ჭეშმარიტება, რისთვისაც საჭიროა შევიმეცნოთ ფორმულა-კრეატივი: ნებისმიერი ადამიანი იმაზე დიდია, ვიდრე მთელი სამყაროს სრულ-ყოფილება.

სადაკომ ლოყაზე მეგობრულად მიჩქმიტა და მთხოვა გაკვე-თილების შემდეგ შინ გავყოლოდი. ამის შემხედვარე ვფიქრობდი: ის იყო კარგი, თუ მე ვიყავი ზედმეტად გაფუჭებული. [ყველაფერი შედა-რებითია ალბათ]

სახლი ხის კარკასისგან და უხეშად გათლილი ძელებისგან აეგო სადაკოს მამას – შიგეოს. ყოველთვის მეგონა, რომ იაპონური კედლები მყარად ნაგები იქნებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც დავრწმუნდი, რომ ნახევრად გამჭვირვალე ქაღალდის გისოსებიანი ჩარჩო საყრდენის ფუნქციას სულაც არ ატარებდა. თუნუქის მსუბუქი სახურავი სახლს უფრო მდაბიოს ხდიდა. გამხმარი ოკოძეს თევზი თილისმასავით ეკიდა შესასვლელში. საცხოვრებელი ღარიბულად იყო მოწყობილი. რაღა დაგიმალოთ და იაპონიაში ჩასული ბერის ჩანაწერი გამახსენდა, რომელიც აღფრთოვანებით წერდა ნაცრისფრად მოგებულ იატაკზე, სპილოს ძვლით გაწყობილ ლაგაზებზე[22], წაბლისფრად გაპრიალებულ ფილა-ქანზე, თეატრალური ფიცარნაგის მსგავსად აწეულ ხის ფარდაზე, – ხელოსანთაგან ქარავანგამოსახული წეროებით. კედლის ნიშაში – ტოკონომაში – ძველებურად იდგა თაიგული, რადიოლა და კედელზე კაკემონო[23] ეკიდა, რომლიდანაც ბრძნული შეგონება იკითხება: „მეტისმეტი თავმდაბლობის უკან სიამაყე იმალება, გულწრფელობა ადამიანის ძვირფასი თვისებაა და გახსოვდეთ, ფულს დაუდექი

[21]. დროის, ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღვთაება; გამოისახებოდა ორი პირისახით, რომელთაგან ერთი წინ ჰქონდა მიქცეული, მეორე - უკან.

[22]. ნოტიო თიხნარი ნიადაგი.

[23]. გრაგნილი.

თავდებად და ადამიანს არასოდეს!.. სძლიე ამპარტავნებას ნების-ყოფით, ეს უკანასკნელი კი კლდეშიც გაატანს“-ო.[24]

ნამიან მრგვალ სიპზე მოვათავსე გეტა[25], მერე რბილ სურიპაში[26] შევაცურე ფეხები, ბოლოს კი ჭილობზე გადასვლისას ტაბი მოვირგე და სასტუმრო ოთახში ბამბუკის სავარძელზე მოვთავსდი.

ზეთის საღებავებით მოხატულ ტილოს (იოგას) მოპირდაპირე მხარეს ნიჰონგას[27] გემოვნებითა და მგზნებარე სტილით შესრულე-ბული მშვენიერი ცხვარი უპირისპირდებოდა. დავიანგარიშე და მივხვდი, სადაკო ჰოროსკოპით ცხვრის[28] წელიწადში უნდა მოვლენოდა ქვეყნიერებას, ამიტომაც ჰქონდა ნახატს და ბავშვსაც პესიმისტური ხასიათი და მორცხვი გამომეტყველება.

იაპონური ალუბალი საკურა ძალიან ლამაზად ჰყვაოდა და ნაზსურნელებით იპყრობდა ოთახს. შიგეოს სწამდა, რომ უთუოდ კარგი წელი დადგებოდა.

ჰანამმა[29] ისე გამიტაცა, რომ ვერც კი ვამჩნევდი მშვენიერ სადაკოს, რომელიც გამოთქმით კითხულობდა ჰაიკუს:

წეროთა ფეხებზე,
ვით სარწეველაზე –
მე და დრო ვეკიდეთ...

რატომღაც ამ წუთას იგი ძალიან ჰგავდა თოჯინების თეატრალურ პერსონაჟ ქალს – ტიარი ონაკუბის, რომლის აწკეპილი წარბები, ბუთხუზა ლოყები, პატარა ცხვირ-პირი, მგრძნობიარე, სათუ-თი, დამყოლი ხასიათი და უეშმაკო მზერა უფრო იდუმალს ხდიდა.

სადაკო სიამისენზე[30] უკრავდა და იმდენად ჰარმონიულ აკორდებს პოულობდა, რომ ვფიქრობდი: ნეტა ეს რომ მოესმინა ამე-რიკელ მფრინავს, მაინც გამოაგზავნიდა ზეციდან მრისხანე ატომურ იარაღს?

დიახ, ეს იყო ტკივილდავიწყებული, ბედნიერება ნაპოვნი მელოდია, რომელიც სამყაროს ერთიანობის უწყვეტ ფაზაში

---

[24]. იაპონური ანდაზების ციკლიდან.
[25]. ქუჩაში ჩასაცმელი ფეხსაცმელი.
[26]. სახლში ჩასაცმელი ფეხსაცმელი.
[27]. მხატვრები ძირითადად წყლის საღებავებით და ტუშით ხატავენ აბრეშუმსა და ქაღალდზე.
[28]. სადაკო 1943 წლის 7 იანვარს დაიბადა და გარდაიცვალა 1955 წლის 25 ოქტომბერს. ნიშანდობლივია, რომ დაბადება-გარდაცვალება ცხვრის წელიწადში მოხდა.
[29]. ყვავილების ცქერით ტკბობა.
[30]. იაპონური სამსიმიანი მუსიკალური საკრავი.

ცდილობდა გზა ეპოვა ადამიანის გახრწნილ მე **(მორანდუმ)** ში, რომელმაც პირობად აღუთქვა მსოფლიოს მშვიდობა და მერე პირველი შესაძლებლობითვე დაარღვია ხანმოკლე მშვიდობის მყოფელობის დუმილი. გაიქცეოდნენ თავნება ბგერები და სადაკო ხელის ერთი მოსმით დაიჭერდა გაქცეულ მელოდიას, ერთად უფრო ლამაზები ხართო, ჩურჩულით ეტყოდა და ამღვრეული თვალებით ათვალიერებდა თავშეკავებულ დედა ფუჯიკოს, რომელსაც საცაა უნდა გადმოუვარდეს ყვრიმალზე ცრემლები.

დედა ფუჯიკო სამზარეულოში გადის და იბარებს: ლამის დამიხრუკავს ვირთევზას ტაფამწვარებიო, თუმცა მე და სადაკო ვგრძნობთ, რომ მასში გულწრფელობის მარცვალიც არ ურევია.

ფუჯიკო ღიმილით დაგვეთხოვა, სამზარეულოს კარები მოხერ-ხებულად გაიხურა და მოგუდულად იტირა.

მერე ვახშამმა მოაწია და უსიტყვოდ ვილუკმებოდით. სადაკო კვლავინდებურად ცოტას ჭამდა.

წეროთა ქარავანმა გადაუფრინა სახლს და გზასაცდენილი მოქარავნე დაედევნა ხომალდის ეკიპაჟს. საბუდარში მიეჩქარე-ბოდათ ფრინველთ.

გვიანხანობას, გამოვემშვიდობე სადაკოს და ნაღვლიანი დავადექი ჰიროსიმას ჩაბნელებულ ხეივანს; გზადაგზა მომდევდა სადაკოს გონივრულად შენიშნული ანდაზა: „ერთ ჭირში მყოფ ადამიანებს ეცოდებათო ერთმანეთი!..“

მეორე დილითაც ფილოსფიის გაკვეთილზე დავიგვიანე...

თითქმის ყველა ოთახში ვეძებდი სადაკოს და ბოლოს გავიგე, რომ ნაგოიას საავადმყოფოში დაეწვინათ...[სხვა ჰოსპიტალში თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა].

პალატაში რომ შევედი მძინარე სადაკოს მოვკარი თვალი. ვნებადგადმომდგარი ჟრჟოლა მთელი გზნებით შემოიჭრა ჩემში.

გვერდით საწოლზე შუახნის ქალი იწვა და ოხრავდა. გოგონას მიტკლისფერ ბალიშზე სიკვდილი ესვენა.

შემომეფეთა, კატასავით ეშმაკურად გამიცინა და იუხერხულა:

—უ, ჰუ ჰუ, როგორ მძულს ჩემი თავი, როცა ასე უასაკოს უნდა ვუდარაჯო და დავუწნა გირლანდები. მართლა, მტირალ ტირიფებთან ხომ დგას ბინდისფერი ბალდახინი?

ოხუნჯობის თავი ნაკლებად მქონდა, თან არ მინდოდა მძინარესთვის დამეფრთხო ძილი.

—ასეა, ზედაც არ მიყურებთ, აინუნშიაც არ მაგდებთ, ვიდრე არ გაიძულებთ თვალი გამისწოროთ, პატიება მთხოვოთ ყველა არაგუ-

ლითადი მოსალმებისთვის. აჯობებს ვიმეგობროთ და როცა გამიცნობთ, მიხვდებით, რომ მხოლოდ ბუნების კანონზომიერების აღსრულებას ვემსახურები. მეც ხომ ცოდვა ვარ. მეც ხომ ადამიანი ვიყავი, სანამ სიკვდილი გავხდებოდი.

—ე, ხე ხე... გგონია გული ამიჩუყდება? ლაჩრებთან მეგობრობა არ შემიძლია და მადლობას გეტყვი, თუ გოგონას თმას არ დაუვარცხნი. მაგასაც მოესწრები, როცა მისი სხეული შენი საკუთრება გახდება. მერე შეგიძლია გააპატიოსნო და კიდევაც თმა დაბანო.

—ოპ, ოპ, ოპ... - ტუჩებთან მიიტანა ხელის მტევანი და თქვა: გაპატიოსნების სპეციალისტი ცალკე არის, მე სულ სხვა ფუნქცია მაქვსო.

მერე ჩუმად ჩამოვჯექი რაფაზე და ხმას არ ვიღებდი. სიკვდილი ზეზეულად წამოიმართა, ჩემს მუხლებთან დაიჩოქა და მთხოვა:

—მოიფიქრე ისეთი რამე, რომ გოგონას გარდაცვალებაზე ფიქრი დავავიწყოთო.

სხვა ლოგინზე გადასკუპდა და ისე ჩაიწნა მომაკვდავი ქალის სხეულში, რომ ძალიან შემეცოდა შუახნის პაციენტი.

—აქ მოდი, პატარავ, - დამიძახა ავადმყოფმა. - რასაც ახლა გიამბობ ჩაინიშნე, რადგან ჩემს შეცოდებებს გიყვები. ადამიანს ძალიან უჭირს თავისი შეცდომების აღიარება, თუმცა ცხადია, როგორც დედა ცუდი ვიყავი.

ენოლა გეი[31]

ჩემი სახელია **ენოლა გეი.**

დაწყევლილ იყოს ჩემი გვარიცა და მოდგმაც, რადგან საშომან ჩემმან დაბადა უკეთურება.

წყეული იყოს სისხლი, რომელიც შეზვირთდა მამაკაცის თესლთან;

წყეული იყოს ნაყოფი, - დაცლილი ამაოების სრულყოფილება;

წყეული იყოს ქალის ორსულობის ცხრა თვე და პლუს (+) მთელი ცხოვრება, თუკი შთამომავლობა სიკეთის მომტანი არ იქნა კაცობრიობისთვის!..

[31]. ატომური ბომბის სახელწოდება, რომლითაც ააფეთქეს ჰიროსიმა.

...

ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა...

უიღბლო ქორწინების შედეგად გამიჩნდა პაულ ტიბეტსი. მშობიარობის ტკივილი და მშობლების სიბერის წუხილი.

ექიმის თქმით, ნაყოფის წონა აბორტის გაკეთების საშუალებას არ იძლეოდა, ვიწრო მენჯის ქონისთვის კი საკეისრო კვეთით მოვილოგინე.

ყველაფერს იმას ვაბრალებ, რომ მასში ნაადრევად შედუღდა: სიძულვილი, პირველკაცობის წყურვილი, მზვაობრობის განცდა, მპყრობელობის უნარი, ეგოიზმი და მიზანთროპობა.

ზიზღით ნადუღი სისხლი განა სამყაროს გაკეთილშობილებას შესძლებდა? ზიზღითვე ჩაისახა იგი და ზიზღით მოიხსენიებენ მას უკუნისამდე! უარესის ღირსია გველის მოდგმა, რომელსაც ეს სიცოცხლე მხოლოდ განცდათა, ემოციათა შესაჯერებლად და წარმავლობისთვის კვარცხლბეკის დასადგამად ესაჭიროება.

სახელი მისია პავლე, თავისაგან პაულად გადაკეთებული. თუ რამე უყვარს მთელს ქვეყნიერებაზე, ესაა ტკბილეული, ქაღალდში გამოკვანძული კანფეტები.

სამი წლის ასაკში ძაღლის ლეკვები ცოცხლად დამარხა. თანატოლებში თამაში არ შეეძლო და იძულებულნი შევიქმენით ოთახში გამოგვეკეტა.

კვირაში ორ დღეს ფსიქოლოგთან სეანსებზე დაგვყავდა; ექიმის დიაგნოზით, პაული დაავადებული იყო შიზოიდური ფსიქოპათიით, რის გამოც სურდა მას განმარტოება და უყალიბდებოდა მშრალი, ოფიციალური დამოკიდებულება ადამიანებთან.

თორმეტი წლის ასაკში, აეროპლანით გადავუფრინეთ მშვენიერ ილინოისს[32]. თითქოს ამან რევოლუცია მოახდინა მის ცნობიერებაში. ჭიანჭველებივით სჩანან ადამიანები და ამ კანფეტს არ აღემატებიან სიდიდითო. მან მორჩილებით ითხოვა ქაღალდის პარაშუტებზე გამოენასკვა მთელი შეკვრა ტკბილეული და ზეციდან გადმოეყარა...

მერე დაიწყო ენციკლოპედიების დამუშავება; გულმოდგინედ იკვლევდა სამხედრო-საავიაციო ხომალდების აგებულებას; გამუდმებით საუბრობდა: საჰაერო ხრახნზე, ფრთაზე, ფიუზელაჟზე, ფილტრზე, რეაქტიულ ძრავზე, საჭე-ამომრთველზე; „ბიპლანი მონოპლანზე უფრო მანევრულია, თუმცა დიდი შუბლური წინაღობა აქვს, რაც ფრენის სიჩქარეს საგრძნობლად ამცირებს“. ცნობილია

[32]. შტატი აშშ-ში, მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთის ცენტრალურ რეგიონში.

ველოსიპედის, თხილამურის, ტივტივის და ნავისებრი აგებულების თვითმფრინავები და ასეთი უამრავი მეცნიერული წვრილმანით გვაბეზრებდა თავს...

და იცით რა ქნა პაულმა მოგვიანებით? თექვსმეტი წლისა სახლიდან გაიქცა. სამხედრო სამსახურში ჩაეწერაო, მომდიოდა ხმები, თუმცა მისი არსებობის შესახებ მერჩივნა არაფერი გამეგო.

წინათ ვახსენე უიღბლო ქორწინება, რომელმაც ოჯახი დამანგრევინა. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ქმარს გავეყარე, სულიერ მეუღლეს - უმწიკვლოებას - არასდროს ვღალატობ. [პატიოსნება სამკაულია, რომელიც ხელიდან არ უნდა გაძვრეს დედაკაცს].

ილინოისში პატარა სახლი მქონდა. ვერანდაზე მიყვარდა ხოლმე გასვლა და სარწეველა სკამზე ჩამოჯდომა.

ბოლო დროს მხედველობა დამიქვეითდა და სისხლის ანალიზებშიც ლეიკემიის ნიშნები აღმომაჩნდა. სამსახურს თავი დავანებე, რადგან ფიზიკური შრომა მიწევდა.

შენი სახელი შემახსენე, პატარავ? ჩიზუკი? ხომ ყურადღებით მისმენ...

— დიახ, - კვერი დავუკარი და უფრო ახლოს მივედი, რომ გარკვევით გამერჩია ტექსტი, რომელსაც მიბნედილი ხმით მიყვებოდა ქალბატონი ენოლა გეი.

—მაშ ასე. რადიომიმღებს ვუსმენდი იმ დილით [ვგონებ პარასკევი იყო, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს] და ამერიკელმა კორესპონდენტმა ხმისაუთრთოლებლად წაიკითხა პრეზიდენტის განცხადება:

„ჩვენ ჩავებით აზარტულ თამაშში...“

ვიფიქრე, ალბათ იმ კაზინოების ლეგალიზაციაზე უნდა გააკეთონ საჯარო მოხსენება, რომლის გაცხოველებული მშენებლობა წამოიწყეს–თქო და ყურადღება მოვადუნე.

„ორი მილიარდი დოლარი დავხარჯეთ უდიდეს მეცნიერულ გამოგონებაზე“.

სიტყვა მეცნიერულის ხსენებაზე კი თმა ყალყზე დამიდგა, ჟრუანტელმა დამიარა. კვლავ ვიმედოვნებ, რომ საუბარია სათამაშო აპარატის სახეობაზე...

ყურთასმენა დავძაბე, კორესპონდეტი კვლავინდებურად აგრძელებდა:

„გამოვიგონეთ, მაგრამ არ ვიცოდით სასურველ შედეგს თუ მოიტანდა...“ ეს იყო ექსპერიმენტი, რომლის ფინალი თვით შემქმნელებმაც ვერ განჭვრიტეს. ეს ცდა დღეიდან შეცვლის სამყაროში

ადამიანთა დამოკიდებულებას. გნებავთ შიში უწოდეთ, გნებავთ ფსიქიკური ზეწოლა!.. მთავრობები, რომლებიც ეცდებიან ომის პოლიტიკის წარმოებას, სასხლეტზე თითის გამოკვრამდე დაფიქრდებიან, აქვთ კი ისეთი მძლავრი იარაღი, როგორც ამერიკას, რომელსაც ომის პირველივე საათებში შეუძლია გამარჯვების მიღწევა. ამ ისტორიას შეუძლია კაცობრიობა ლოიალური გახადოს, თაობებს პატივისცემა ასწავლოს და ვინაიდან იაპონელებმა ჩვენი პირობები არ მიიღეს, ზეციდან წამოსული გამანადგურებელი ატომის სურნელი დაუამებს ყნოსვას.

კორესპონდენტის [და მასავით მოფიქრალი ყველა ჰომოსაპიენსის] სიძულვილი სასულეში გადამცდა და ნერვიულობისგან ცახცახმა ამიყოლია. წარმოვიდგინე, იაპონია ამ დროს მსხვერპლს ითვლის, ნანგრევებში ადამიანებს ეძებს, ამერიკელი რეპორტიორი კი კმაყოფილებით აღნიშნავს:

„ჩვენ გავიმარჯვეთ“.

გაიმარჯვეს იმთავითვე, რადგან დეგუსტაციის სახით მიაღებინეს ადამიანებს: სიმჟავე, სიმწარე და მომწამვლელობა.

სამზარეულოდან ფინჯანი ყავა გამომქონდა, როცა შორით მომავალი მამაკაცის სილუეტი შევნიშნე. ჭიშკართან ატუზულს ვერ გაებედა შემოსვლა. ასე ემართებათ ხოლმე: დამნაშავე ვაჟიშვილებს, უმიზეზოდ სახლიდან გაქცეულებს, მშობლის გულისწყრომით გაბოროტებულებს, საყვედურისა და შენიშვნების არმოსურნეებს, ამბიციურებს, პატივმოყვარეებსა და მედიდურებს, თავაწეულებსა და მაინც ჭვავივით თავჩაქინდრულებს;

ასე ემართებათ: სინდისგაღვიძებულებს, ქენჯნისგან ნამუსატკივებულებს, ჭეშმარიტებისგან შეძრწუნებულებს; დიახ, იმ ადამიანს ჰგავხარ, რომელმაც ცხოვრება სადღაც დადო, მერე დასჭირდა, მიაკითხა და არ დახვდა. (სწორედ ამიტომ ხარ ცხოვრება დაკარგული ადამიანი).

იდექი ახლა და ათვალიერე საკუთარი ჩრდილი. იმ ეზოშიც კი არ შემოაბიჯო, სადაც აიდგი ფეხი. იმ ხეს ნუ ეყუდები, რომლის ქვეშ საქანელა ჩამოკიდა სულძაღლმა მამაშენმა და ნურც იმ ღობეს ჩაუვლი, რისი აღმართვა-შეკეთება იუკადრისე...

ნუ გეგონება, როგორც დედას, გული ამიჩუყდეს, ყველაფერი დავიწყებას მივცე და ხელგაშლილად მიგიპატიჟო სამზარეულოში; გაგიმასპინძლდე უწინდებურად და არ ვითაკილო შენი ძველმანი, ტალახმოდებული პიჯაკების ხელით რეცხვა.

და მაინც შემოვიდა, როგორც უსინდისოთაგანი!.. „დედა“ დამიძახა [სხვა პიროვნებად მაქცია მისმა დაძახებამ] და თითქოს სასწაულმა ნავთობივით ამოხეთქა მიწიდანო!.. ცეცხლი წამეკიდა, სული ამიწრიალდა, თავდავიწყებამ დამიმონა. ნაღველი და კაეშანი სხვა სხეულში გადავნერგე, მოღალატე გულში ჩავიკარი და თმაც დავუვარცხნე.

დიახ, ვიცანი. თითქმის ისეთივე იყო, როგორც სახლიდან გაქცევისას. ის სუნი ასდიოდა, დაბადებამდე, შობის შემდეგაც ყოველ დედას რომ ყნოსვას უამებს და ბედნიერს ხდის. ყველაფრის მიუხედავად, მე ის მიყვარდა. მიყვარდა მაშინაც, როცა მავნებლობდა, ცხოველებს აწამებდა, მეზობლის ბავშვებს სცემდა და მაშინაც, როცა მელასავით გაიძურწა შინიდან. მიყვარდა იმის მიუხედავდ, რომ მთელი წლების მანძილზე ერთხელაც ვერ მოახერხა დარეკვა და ფოსტის გამოგზავნა.

მოვიდა, თვალებში დაგუბებული ცრემლი დამანახა [სახეზე ნაიარევი ეტყობოდა, თუმცა ბავშვობის ფათერაკის შემდეგ საგრძნობლად გაბრდილიყო] და თქვა:

„ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინე!.. ასი წელიც რომ ვიცოცხლო, ეს საზარელი წუთები არასდროს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან-ო!..“

და მოჰყვა საზარელ სოკოზე, დაღუპულ მსხვერპლზე, ეკიპაჟის დაბრმავებულ მეგობრებზე. არეული, დაბნეული და ძალიან შეურაცხადი გამომეტყველებით იხსენებდა ვინმე კაპიტან ფარიზონს, მეტყვიამფრქვევე ბობ კარენს... კუნძულ ტინიანის ბაზის ასაფრენ ბილიკს, 4700 ფუტ სიმაღლეზე მოფარფატე „ენოლა გეის“, სიყრმიდან ამოჩემებულ ტექსტს, „სამიზნეს ამინდი ირჩევს...“

ოთახში წვრილთვალება ექთანი შემოვიდა, კათეტერით წამალი შეუყვანა ენოლა გეის და თხრობის დასრულებამდე პაციენტს ჩაეძინა.

სიკვდილი უწინდელთან შედარებით უფრო ამაყად იწვა მის სხეულზე და ნებივრობდა. ქალს რომ დავხედე, შევნიშნე, მთელი ამ ხნის მანძილზე ცრემლები სდიოდა და ემოციებით დაზაფრულს მის მოსაწმენდად არ ეცალა.

ცხვირსახოცით მოვწმინდე თვალის უპეები.

პალატაში, სადაკოს მამა, შიგეო შემოვიდა. შუბლზე აკოცა მძინარე ქალიშვილს და ლოცვა წაიკითხა:

„მთების სულად წოდებულო მგელო ოკამი, მეომარო ჭრიჭინა ტომბო, ღვთაება ინარ![33] ავადმყოფობის ავგარიოზო კიბორჩხალავ [კანი] და თევზო ოკოძე[34], დაგანახებთ მზის სინათლეს, თუკი უმკურნალებთ ჩემს ქალიშვილს!.. და თქვენ, ყოველნო ციურნო და მიწიერნო, მოგართმევთ კაგამიმოტის[35], ოღონდაც მზეგრძელყავით პატარა სადაკო!..“

...

სწორნის კარტა, მაღალფეხება წერო, სარკმელთან მიყუჟული, აბურძგნილ ბუმბულს ისველებს. ბუდემოშლილი ფრინველი ახალ საბუდარს დაეძებს...

ფიქრი სად შეუძლიათ ფრინველთო! – მჭევრმეტყველებენ ადამიანები და ამით კიდევ ერთხელ, თავიანთ სასიკეთოდ, ღვთისგან ბოძებულ პრივილეგიებს ხაზს უსვამენ.

მაგრამ რა ვთქვათ ახლა იმაზე, ომის კანონმდებლობით უბინაოდ დარჩენილი წეროთაგანი თავჩაქინდრული რომ დგას და არ იცის რა გააკეთოს?! შენ როგორც მოფიქრალი, როგორ მოიქცეოდი ადამიანო?!

სულიერის მსგავსად, აი წეროც დადგა გამოცდისა და არჩევანის წინაშე. – ან ინსტინქტს უნდა დანებდეს ან გულისთქმას მიჰყვეს!.. [ნებისმიერ შემთხვევაში, ინსტინქტითა და გულისთქმით ჩადენილს გაამართლებ, რადგან ორთავე მოვლენას ზებუნებრივად მიიჩნევ, აი ნაფიქრალთან კი საქმე სხვაგვარადაა].

რთულია არჩევანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისგან უცილობელ გამარჯვებას ელოდები!.. თუკი მისხალ-მისხალ არ აწონე, გაზომე და დააკვირდი ყველაფერს, [მით უფრო მაშინ, თუ შენი სიცოცხლე უდღეურ პეპელასთან შედარებით მცირედ ხანგრძლივია და ადამიანთან მიმართებით საგრძნობლად ხანმოკლე]. თავშისახლელი, სახათაბალო და სანანებელი მომავალი, კარზე წამის მეათედში მოგიკაკუნებს.

და ვიდრე შენს სიცოცხლეს აფთარსავით დაეპატრონებოდეს სიკვდილი, შენ უნდა იფიქრო და იოცნებო. ოცნებაზე მარტივი ხომ არაფერია, მითუმეტეს, როცა საოცნებო საგანთა რიცხვი არ აღემატება ერთს. – სასიკვდილო ვადის განგრძობას.

---

[33]. ცხოველის, ძირითადად კი მელიის კულტით გაცხადებული ღვთაება.
[34]. ხალხური რწმენა-წარმოდგენები.
[35]. ტაძარში მისატანი ძღვენი.

აფეთქებული ალუბლის რტო თეთრად აყვავებულა, აკაციასთან დამაშვრალ სიფრიფანაფრთიან ფუტკართა "საგა" კი კამკამა წყაროს დაეძებს.

ყვითლად შეღებილ ოთახის კედელზე დაკიდული საათი ყოფიერების წამებს ითვლის; დარაჯობენ ციფერბლატები მარადისობის წიაღიდან გამოხიზნულ სიკვდილს, რომელიც ზეციურ მისიონერივით მოციქულობს და ხელსაყრელ მომენტს ელოდება, რათა მშვენიერი გოგონა რიგით მიცვალებულად აქციოს.

მთელი დღეები ვსხედვართ მე და სადაკო. ქაღალდის გრაგნილებს მაკრატლით ერთ ზომაზე ვჭრით, ოთახში გაჭიმულ თოკზე თეთრეულივით ვფენთ წეროებს და მათი რიცხვი ისე მრავლდება, რომ იძულებული ვხდებით ენოლა გეის საწოლსზედა სივრცეც გამოვიყენოთ.

...

ის კვლავინდებურად მოთქვამდა. ახსენებდა: მიწისძვრას, ჩასისხლიანებულ მთვარეს, ლეღვის ხის რტოდან მკვახე ნაყოფივით ჩამოცვენილ ვარსკვლავებს, წიგნივით დაგრაგნილ ცას და მღვიმეებში დამალულ ადამიანებს.[36] თავშესაფარი მიეცით ნოესგან მიტოვებულ კამეჩსო და ხელების იმიტაციით ვითომ თავისუფალ ადგილს ეძებდა...

—ეს ნოე ვინ არის, ან კამეჩი და თავშესაფარი რა შუაშია-მეთქი.

—ნოე არის ახალი სიცოცხლე, თავშესაფარი - ჩვენი პლანეტა, ხოლო კამეჩი გაუგონარი კაცის სახე, რომელიც დასაჯეს ზეციურმა ძალებმა. აი, სწორედ ასე იბღავლებს სახედაკარგული, ადგილუპოვნელი პაულ ტიბეტსი!.. კაცი, რომლის ფილტვებში გაჟონა ბოროტების მტვერმა.

მე კი... გულისტკივილის შემდეგ მიზეზს და ადგილს ვეძებდი, შემთხვევას ველოდებოდი, რომ ადამიანებს გავცლოდი. მომეცა საშუალება და დავტოვე კონტინენტი. იქ ჩამოვედი, სადაც ატომური რადიაცია არღვევდა მოქალაქეთა ჯანმრთელობას.

მაგრამ აქაც შევცდი. ნაცნობებისგან მოწყვეტით და ადამიანური გრძნობების გაუდაბნოებით შვება ვერ ვპოვე. ასე უბედურს, მომენატრება ხოლმე მეგობრები, სახლის ვერანდა, ეზოს ჭადრები და

[36]. აპოკალიფსის თავი ბიბლიიდან.

ყვირილს ვიწყებ. მტკივა და ვყვირი...მტკივა და ვყვირი... მაგრამ ყვირილით ეშველება რამეს?

—მე ყველაფერს შენთვის ვაკეთებდი და ეს კარგად იცოდი ენოლა გეი! - ასე მითხრა პაულმა უკანასკნელად. ქურაში გავარვარებულ მოელვარე სპილენძს მიუგავდა პირსახე. თვალები ელვასავით უციაგებდა და ტუჩის ცმაცუნით ამბობდა:

შენი სიყვარულით დავარქვი ხომალდს „ენოლა გეი"; შენი სახელის უკვდავსაყოფად მიმქონდა ის იარაღი, რომელიც შეიძლებოდა გადაზიდვისას ამფეთქებოდა. ახლა კი გინდა უარმყო? ჩემი მეგობრები მათმა დედებმა ხვევნა-კოცნით მიიღეს, სადღესასწაულო ნამცხვრები გამოუცხვეს და კიდით-კიდემდე გაავრცელეს მათი შვილების გმირობის ისტორია. შენ კი, რას აკეთებ ამ დროს? უარყოფ შვილს, მხოლოდშობილ ძეს!.. მე რომ არა, ამას ვიღაც მაინც გააკეთებდა...

—სწორია, ვიღაც გააკეთებდა; შენსავით თავზეხელაღებული, წარუმატებელი, წრუწუნასავით გაქცეული, ოჯახუარყოფილი და უგულო ადამიანი!.. გააკეთებდა ის, ვისაც დასაკარგი არაფერი ექნებოდა. შენი აზრით ენოლა გეი უკვდავყავი? მერე ვინ მოგცა იმის უფლება სხვისი სახელით აკეთო ესოდენ დიდი ბოროტება? შეცდი პაულ! შეცდი, რადგან დედის ხასიათი ვერ შეისწავლე. როცა ჭკუის დარიგება გჭირდებოდა - მიგვატოვე. იმათ რიგებში ჩაეწერე, რომელთა მშობლები შვილებზე უზნეონი და სინდისგარეცხილები გამოდგნენ!.. შურით, ღვარძლით, სიძულვილითა და სისასტიკით იცხოვრე და არ იცოდი, რომ უკეთურების მახლობლად შეიძლება ესაზრდოვა ჭეშმარიტებას, ზნეობას, მორალს, სინდისს, სულიერებას. მერე რა, რომ წარჩინებულთა კოლეჯი დაამთავრე ან წიგნიერი გიწოდეს, შენ ხომ ვერადროს იგემებ ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულს, რადგან უგულოდ დახარჯე სიცოცხლის წამზომი!.. თავად განიდევნე მგრძნობელობის სავანედან და ჰარმონიასმოწყვეტილი ახლა ქვაფენილზე დავარდნილ მარცვალივით ხარ, რომელიც გადარჩენის მიზნით ქარს ეხვეწება ტრანსპორტირებას.

—ზნეობა რას ჰგავს დედა?

—ლეღვის ხის რტოს მიმაგრებულ ნაყოფს; საკმარისია ნაყოფი ქვაფენილზე დაენარცხოს და დედა ხე ზედაც არ შეხედავს!.. უცხოა შენთვის ზნეობაცა და სინანულიც, მოუნანიებელი კაცი კი ჩემთან ვერ გაიყოფს ლუკმას!..

—მაშ, უარმყოფ ენოლა?! იქნებ უადგილო იყოს ზნეობაზე ასე დაგვიანებული საუბარი? თვალებში შემომხედა და შევატყვე, იარაღის კონდახი შეემართა. სასხლეტთან გაუაზრებლად ათამაშებდა თითებს. როგორც წესი, მეომრის თოფში ერთი ტყვია ყოველთვის არის გადანახული და გამონაკლისი არც ახლა იქნება. ვხვდები მის განზრახვას, მაგრამ უმოქმედოდ ვარ. სინამდვილეში ეს იარაღი მან მე დამაჭერინა, თითის გამოკვრა-არგამოკვრის შანსიც მე მომანდო, ხვალინდელი დღეც ჩემს ხელში მოამწყვდია.

ტყვიის გასროლამდე ყველა დედა ფიქრობს, არის კი ისეთი საშუალება, რაც ამ განზრახვას ჩაახშობს?

არის!.. ფარისევლური ალერსი, გულში ჩახუტება, მოფერება, პატიება, სიბრალული... მერე იმაზე ფიქრი, რომ შვილზე უზნეო მშობელი აღმოჩნდა და მისთანები. საკმარისია ჩემგან ერთი უარი და სამუდამოდ დავკარგავ მას. [ერთ უემოციოდ ნათქვამ სიტყვას - გპატიობ, პირიქით, შეუძლია გადამირჩინოს მხოლოდშობილი ძე]. მახსენდება კორესპონდენტის კმაყოფილებით ნათქვამი, „ჩვენ გავიმარჯვეთ!“. და დაიწყო ჭიდილი დედობრივ გრძნობასა და სიმართლეს შორის, რომელიც სამართებელივით მომბჯენოდა ყელზე.

და მე ვარჩიე სიმართლე!..

მე გავიმარჯვე...

სულ აფორიაქებული, აღელვებული და შეურაცხადი დავყურებდი პაულის გვამიდან თქეშით წამოსულ სისხლს, რომელიც ჭიპლარის გადაჭრის და ჩემი სხეულიდან მისი განკვეთის წამებს საოცრად ჰგავდა. უბრალოდ, მაშინ თეთრხალათიანები მილოცავდნენ მის დაბადებას, ახლა კი მორგის თანამშრომლები მისამძიმრებდნენ.

...

633, 634, 635... ფანჯრის რაფაზეც ნახეთ, იატაკზეც, ჭერზეც. ყველგან მოძებნეთ... აი, 641, 642, 643-ე ქაღალდის წეროც გამოჩნდა. ვითვლით, ვანგარიშობთ, მაგრამ არც მეტი გამოდის და არც ნაკლები. ფუჯიკო და შიგეო გოგონას ნივთებს ჩემოდანში ალაგებენ, თან ცდილობენ როგორმე დამალონ მწუხარება, რაც ეს-ესაა შეემთხვათ. ბოლოს და ბოლოს, ხომ კარგად იციან, რომ „არ შეიძლება იმაზე მეტი გააკეთონ, ვიდრე ბედისწერამ მიუზღო“.

მე სარკმელთან ვდგავარ და გარეთ ვიყურები. შუშის მიღმა დგას წერო და დამწუხრებული იყურება. ვხედავ, რომ ნისკარტით ეფერება მასზე უფრო მომცრო ზომის ქაღალდის წეროს. ვაკვირდები

და გაოცებისგან ვყვირი: „644-ე წეროც გამოჩნდა, დედა წეროსთან ერთად-მეთქი!..“

ყველანი ფანჯარასთან ვგროვდებით!.. დიდებულო სინტო, ქაღალდის წეროზე წარწერა იკითხება. „ ჩემი სახელია ჰიროსიმა“, მის ქვეშ კი კოხტად ნაწერი ჰაიკუ:

– წეროთა ფეხებზე,

ვით სარწეველაზე –

მე და დრო ვეკიდეთ...

სწორნისკარტა, ბუდემოშლილი წერო ქაღალდის ნაკეთობას ეალერსება;

ალბათ ისიც დედა იყო.

შესაძლოა ომმა მასაც მოსტაცა შვილი.

შენ რას იტყვი ადამიანო?!

მე? მე მეკითხებით? აა, რასაკვირველია, უნდა გიპასუხოთ ხომ? ჩემი აზრით... დიახ, მე ვამბობ, რომ კეთილშობილება გადაარჩენს სულიერთა სამყაროს... რომ მიმოიხედავ ერთხელაც და მიხვდები, შენზე გაცილებით ლამაზად წეროთა ქარავანს უცხოვრია... შეგრცხვება, ადამიანობას გეფიცები!.. შეგრცხვება და პაულ ტიბეტსის მსგავსად ადგილუპოვნელად მოკვდები...

ნანა შაინიძე

ხულოს რაიონი, სოფელი რაქვთაა ჩემი ადგილის დედა, სადაც 1975 წლის 13 ოქტომბერს ნაბოლარა-მერვე შვილად დავბადებულ-ვარ, ღვინობის თვეში და ამიტომაც მუდმივ თანამგზავრად მსდევს; სხალთისმიერი მორჩილება, ხიხანის მთების სიგორეზე და არეული, ბადაგისეული ხილვებიც...

არანაირი ლიტერატურული პრემიის ლაურიატი არ გახლავართ, აქტიურად ვიბეჭდებოდი და ვიბეჭდები ლანჩხუთის ადგილობრივ თუ საქართველოს სხვადასხვა პრესებში... რამოდენიმეჯერ მიწვეული ვიყავი საქართველოს ტელე-რადიოგადაცემებში, როგორც პოეტი, მაქვს უამრავი მადლობის სიგელი-მათ შორის კულტურის ექსმი-ნისტრის, გურამ ოდიშარიასაგანაც... მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ჩემი ყველაზე დიდი პრემია ჩემი შვილები-რემიკო და ნათია არიან, რომლებიც ჩემი ცხოვრების უღიმღამო დღეების ფონზე, ისე ბრწყინავენ, როგორც უდაბნოში ჩარჩენილი ბროლის ნამსხვრევები.... და კიდევ, უანგარო და უგონო სიყვარული, რომელიც ყოველ ჩემს ამოსუნთქვასი ვეძიე და მივაგენი... (სამწუხაროდ ის უკვე ზეციურშია, მაგრამ თუ გიყვარს, მნიშვნელი არაქვს, ის სად იქნება)

ღირდა ამისთვის სიცოცხლე, მადლობელი ვარ, შენი უფალო!!!

ერთხელ არაღდგომით...

...აწონე, გაზომე, დათვალე, უფალო-
ცოდვები, უკლებლივ არ დაგრჩეს მისხალიც...
თუ გინდა დღეიდან დაიწყე ათვლა და
ეს ერთი დღეც კმარა ცოდვისთვის, მითხარი-
თავშივე რომ მქმნიდი ან მაშინ, რა გქონდა-
მიზანი, სამყაროს საძერწად რა სახის
შემქმენ, და რარიგად დავეცი ხომ ხედავ,
იქედან არ შემრჩა არცარა ნასახი!..
მე თვითონ არ ვიცი-ვინავარ, რატომ ვარ?!
კითხვები ცოდვისებრ ირევა ჰაერში...
ზენიტში რომ გყავდი ქათქათა ღრუბლებზე,
ხომ ხედავ მიწაზე რამძიმედ დავეშვი!..
ახლა ვარ მედეა საწმისის ქურდიც და
მოჭრილი ძიძუიც წამებულ დედოფლის,
ქაჯეთის ციხე ვარ ნაშენი ქვითკირით

და შოთას ასმათიც ასე რომ მენდობი!
ნენეის ცრემლი ვარ მჭადზე ჯვარდასმული,
საღათას ძილი ვარ მე სარგის თმოგველის,
დიდება დავითის აწ უკვე წარსულის-
დღეს გამოღვიძებას ასე რომ მოელის!..
მე ძლიერება ვარ თამარის-სისუსტეც
ქალში რომ შინაგან ხმას ავეყოლიე...
დედა ვარ რძესავსე-შვილობის კერა და
სამ შვილზე მეტი რომ ვეღარ ვიყოლიე...
სელიმის სისხლი ვარ, ხირხათზე დაღვრილი,
ნახლეჩი ყავარის სიზუსტეც გახლავარ
და ქოჩახელასი ჭიბონზე შაირი-
წარსულშიც, ხვალეშიც, და ახლაც აქავარ!
ხედავ, რომ მე ისევ ვაგრძელებ ცხოვრებას
ათასჯერ გვემული, ერთხელ არაღდგომით...
გეტყვი, რომ აქ ვდგევარ სხვაგვარად არ ძალმიძს,
მაგრამ რა გამოვა არ ვიცი აქ დგომით!..
დამსეტყვე, გამწირე, დამსაჯე უფალო!
შენს ღირსად, შენს შვილად არამაქვს უფლება-
ის მრევლი აღარ ვარ სანთელს რომ გინთებდი
და ყოველ სასწაულს ღამეს რომ უთევდა...
შენგანვე ნაბოძებ ჭეშმარიტ სიყვარულს-
რომ კლავდი, ან მაშინ რატომ არ დამინდე?!
ხომ ხედავ, რარიგად შემიძვრა ეშმაკი,
რა არ ვთქვი, რამდენი ცოდვები დავიდე.
ახლა კი სასჯელებს მოველი,უფალო!
ვიცი, რომ არც ასე გაწირავ შენს შვილებს..
არც სული შემრჩა და გვამი ვარ უთავო,
მგონია ეშმაკსაც ამიტომ ვეშვილე!!!

ჯანდაბას

დრომ ყველაფრის დედინაცვლად მაქცია,
არც წარსულის,არც მომავლის აღარ ვარ...
მხრებზე ისევ სიმარტოვე მაცვია,
ალბათ მალე ჭკუიდანაც გადავალ!
მოგონებად შევატოვებ ნაცნობებს
ერთი ქალის გაურჩებულ ცხოვრებას...
იქ მისულს კი ანგელოზი მაცნობებს,
რომ ამაოდ ველოდები ცხონებას!
თითქოს ქვეყნად ყველა ცოდვის ჩამდენი
მხოლოდ მე ვარ და ჯვარს მაცვა ცხოვრებამ...
აქ თუ დარდი ავიტანე ამდენი,
მაშ ჯანდაბას-ეს თავიც და ცხონებაც!!!

მგზავრი სადგურზე

ჩაიარა ეშელონმა რიხინით და
გაიყოლა კადრები და სიყმაწვილე,
აღარ დარჩა არაფერი იმ ჟინიდან-
გზაზე წლებმა ნელნელა რომ ინაწილეს...
უსასრულო ლიანდაგებს აყოლილი
აირეკლა მოგონება ალქაჯივით...
დარჩა ისე ვით არავინ, არყოლილი
და ტილოზე არშემდგარი ნახატივით!
მერე როგორც უბილეთო მოგზაური,
შეატოვა უცხო ბაქანს ბედისწრამ...
დარჩა ისე ვითარც თოვლში მოლაღური,
ვით მაისში სადღაც ტოვებს გველი პერანგს!
სადგური კი ჩამოხეულ აბრასავით-
წარსულის რომ შერჩენია მხოლოდ ზარი,
არსაითკენ მისამართს რომ არ გასწავლის,
მაგრამ მისი არსად არის შესადარი-
რადგან უკვე შეჩვევია ამ სადგურს და...
შორეული მატარებლის კივილები
ყურში ისევ ექოსავით ჩაძახიან
და თან სდევენ მარტოობის ტკივილები.
ბაქანზე კი გატეხილი ციფერბლატის
ისრის წყობა უსასრულოდ დაქანაობს...
გაუთეთრდა მოგონებებს ბილიკები...
და რეისი-,,სიყვარული", სულ ამაოდ!

ნაზმანევი პაემანი

შენი სუნი წაუღია ქარებს,
ცრემლსაც როგორ შეეცვალა გემო..
ხვალე თუ არ გაგითვლია,ან მე-
რად არ ვწუხდი, სიყვარულო ჩემო!..
ფიქრებს ისევ დაღარვია სახე,
დახევია შემოდგომას კალთა
და ვიგონებ პირველად რომ გნახე,
თითქოს ვიდექ ცის და მიწის კართან...
ახლაც ასე იმ კარებთან ვდგავარ,
მოვიგონე იმედები თითქოს,
ხელგაწვდილი იმ მათხოვარს ვგავარ,
ხურდას არა,სიყვარულს რომ ითხოვს!..
და მივდივარ მონატრების ხიდზე,
პაემანი მოლოდინთან დავთქვი...
სიყვარული გავიკეთე თითზე
და შენეულ ესმერალდად დავრში!..

***

...მე შენ კოცნა მოგპარევი,
შენი ტუჩის სიმსხო და...
ნეტაი ჰაიდან მოვდიოდი,
ნეტაი ჰიმთკენ მიმქონდა?!
განა რამე ხეირი დამრჩა,
ერთწამალაი დევბენი...
სინდისის და ვნების კართან-
ქვეყნის ცოდვა დევდევი!
მადლი გამჩენს,ამდენ თმენის!
დერდი გულზე მეხვევა..
პაწაი ოქში თუ არ ვქენი-
ილაქი დემერხევა!!!

შევიფერებდი...

გია ქურიძეს
მიყვარს სევდა და სევდიანი სევდისფერები...
ზღვა მოლურჯფერო, ცაც...ფიქრებიც სევდადფენილი,
მე შენს არყოფნის სიყვარულსაც შევიფერებდი,
ვით მთის კალთებზე ნისლი სევდად შემოფენილი...
მე ჩემეული მიყვარს სევდა, სევდიანებიც
და შენმიერი სიყვარული-გულისგულამდე...
გთხოვ მაპატიო, რომ გიპოვე შეგვიანებით,
მაგრამ ხომ იცი, აგამაღლე კარგო უფლამდე...
სევდას, სევდა რომ არ რქმეოდა ალბათ სახელად,
ჩემს კუთვნილ ზეცას ავასევდასევდისფერებდი,
შენ კი სევდისთვის მოგიწევდა ტრფობის გამხელა
და შენს სიყვარულს უფრო მეტად შევიფერებდი...

,,ჩემი სულის ტკივილებს-შვილებს"

გზას ვეძებ, გზას, ჩემო ბატონო!
ნუთუ, იმ გზაზე სიარული აკრძალული მაქვს?!
იქნებ მომხედოთ, იქნებ ვინმემ მეც მეპატრონოს,
ისევ ძველს ვსტირი, არ დავეძებ ახალ გულისთქმას.
ჰეე, რამხელაა, უსასრულო, აღარ გათავდა...
ისევ თავიდან დამაყენე გზას, დალოცვილო?!
გზის გასაყართან ვიდექი და ისევ აქავარ,
აბა დამპირდი, რომ სავალ გზას არ გამოვცვლიო?!
მაშინ სად არის, მაშინ სადავარ, ეს რა გზებია?!
რა უსასრულოდ აიწელა, ჩემი აღმართი?!-
ნუთუ ამ ქვეყნის ყველა ცოდვა კისრად მდებია
და ამიტომაც ტიალ გზებზე ვეღარ გავვაკდი?!
გზა მიმასწავლეთ, გზა ამებნა ჩემო ბატონო!
მათკენ სავალი გზები ვერსად ვერ მიპოვია,
იქნებ მომხედოთ, იქნებ ვინმემ მეც მეპატრონოს,
აბნეულ გზებზე მაპოვნინოს ორი თოლია.

***

არც გაშლილი ატმის ყვავილებიდან დავბადებულვარ და არც დამსკდარი ბროწეულის სიხასხასე დამყოლია იმთავითვე...

1975 წლის 16 ოქტომბერს დავიბადე ... ღვინობისთვეს. ალბათ ამიტომაც დამსდევს მუდმივ თანამგზავად ბადაგისეული, არეული ხილვებიცა და მათრობელობაც: მიყუჩებაცა და სიშლეგეც.. არადა თითქმის ჩვეულებრივი ნაწნავებიანი გოგონა ვყოფილვარ. ოღონდ ცოტა ფართოდ მქონდა გახელილი თვალები ვიდრე სხვებს და ცოტა უფრო სხვანაირად ვხედავდი ვიდრე სხვები... ისინი ხედავდნენ, რომ დგას უძრავი ხე, ან არადა მის მწვანე ფოთლებს ნიავი აშრიალებს , ან ჰყვავის და ის - ისაა კოკრები გამოაქვს. მე კი ვხედავდი, რომ ხის ფოთლებს ნიავი კი არ აშრიალებდა ყუნწებში უღიტინებდა და ფოთლები ხტოდნენ, ხითხითებდნენ, ლამის გულები უსკდებოდათ. ხე უბრალოდ კი არ ჰყვაოდა, ყოველი კვირტი თოთო ბავშვივით იღვიძებდა, თვალებს იფშვნეტდა, იზმორებოდა და-ტკაც! ღიმილით უბრწყინდებოდა სახე. თვალდახუჭულიც ვხედავდი, სხვებთან შედარებით ! შენ სულ ასე უცნაურად გეჩვენება ყველაფერიო-და არ დამიჯერებდნენ. ეს კი ძალიან, ძალიან ცუდია, როცა შენ რაიმე გჯერა და სხვები არ გიჯერებენ....

ხულო, სოფელი რაქვთაა ჩემი ადგილის დედა და ფესვებიდან-ვე მომყვება სხალთისმიერი მორჩილება და მოკრძალებულობა;

სარეკელას ჭალის სინოყივე; ალიკარის ჩანჩქერის შხეფებში ცისარტყელას წამიერი გაელვება; დიდიეილას, სამსმელოსა და თეთ-რობის მთების ღრუბლებისაკენ სწრაფვის სურვილი; ხიხანის ციხის სიგოროზე და სიამაყე; ცივტბის იდუმალება. აკი თავიდანვე ვთქვი ღვინობისთვიდან გამომყვა მეთქი ბადაგისეული ხილვები...

ოჯახის ნებიერი, ნაბოლარა, მერვე შვილი ვიყავი და ეს იყო ყველაზე ბედნიერი ხანა ჩემს ცხოვრებაში, თუმცა განა მეტწილად ასე არ ხდება ადამიანებში?! ახლაც თვალწინ მიდგას ზამთრისპირის ლბილი, ლბილი ბინდი... მამა ღონივრად მიაბიჯებს, თან ღიღინებს და რომ უფრო ღონივრად გაებიჯებინა კისერზე შემისვა. დედა ცდი-ლობდა არ ჩამოგვრჩენოდა, მარცხენა მკლავზე ეხუტებოდა მამას, დაბლიდან შემოგვხარობდა და მისი კარგი, კეთილი თვალები ახლა უკ-ვე თმაში გაბნეულ ფიფქებშორის ბრწყინავდა. ნეტა რა იყო ასე მტკიცე მაშინ-მამაჩემის მხრები თუ თვითონ დედამიწა?!

მერ, მერე 15 წლის მოვეკიდე ოჯახს. მიყვარდა.. მიყვარდა, როგორც უყვართ ხოლმე ჩემნაირებს. გაზაფხულიანი ხასხასა ჭალები, თოვლის ფიფქებიც, სევდიანი მთაც, ის შეჭაღარავებული ტყე, მუხის

ნაჭრილობევში ამოსული მთელი ბღუჯა იაცა და ჩიტი სკვინჩას მოძახილი-,,სკვინჩ, სკვინჩო" სულ ჩემად მეგულებოდა. უჩვეულოდ ლამაზად მეჩვენებოდა ყველაფერი... დედა გავხდი...

ზეცაში წაიყვანეს ჩემი გიორგი ანგელოზებმა და აქ, დედა-მიწაზე გააუდაბნოა ჩემთვის ყველაფერი არსთა გამრიგემ. არ იკმარა განსაცდელმა ჩემი ცრემლი, ჯერ აფხაზეთის ომმა და შემდეგ უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა მეუღლე...

ისევ ცრემლი, ისევ ძაძები, ისევ სიმარტოვე, მაგრამ ამჯერად ბედნიერების ნამსხვრევი გამოიმეტა გამჩენმა-ჩემი ორი მარგალიტი, ჩემი ქალ-ვაჟი... და ჩემს მიერ გამოვლილ უღიმღამო დღეების ფონზე, მხოლოდ ისინი ბრწყინავენ, როგორც ღამეულ უდაბნოში ჩარჩენილი ბროლის ნამსხვრევები.

...შემდეგ გამოჩნდა ისიც... და ახლა ვცხოვრობ განუზომელი, უსაზღვრო, უანგარო სიყვარულით!..

სიცოცხლე გრძელდება. იმედიც ბჟუტავს, ადამიანი ცოცოხალია მანამ, სანამ მასში ანთია აღთქმული ბედნიერების იმედი და მეც მჯერა, რომ მხოლოდ უდიდესი განცდებითაა შესძლებელი ბედნიერების ნაპირებთან მიახლოვება. ბოლოსდაბოლოს, მწერლობაც ხომ განცდები და ამ განცდების მახსოვრობაა... მეც მუდამ მემახსოვრება ჩემს მიერ განვლილი ყოველი გაბრწყინებული თუ ნარ-ეკლიანი ბილიკიც, სადაც ყოველი წაფორხილებისას დავტოვე ჩემი სულის პაწაწინა ნამსხვრევი. ყოველთვის განცდებით ვიცხოვრებ და თუ სადმე სიმძაფრე ჩამომრჩა, ეს იქნება ჩემი სულის გარდაცვალება. სულისა, რომელიც ჩემს სტრიქონებში გააგრძელებენ სიცოცხლეს, ასე რუდუნებით რომ გამომყავს შავით თეთრზე და ნაღვედალივით ვუბერავ სულს,რომ არ განელდეს და გამიცივდეს...

აკი ვამბობდი, ცოტათი სხვანაირად ვხედავ მეთქი ყველაფერს და ბადაგისეული ხილვები დამყოლია ღვბინობისთვიდან...

ავტობიოგრაფიის დანართი

...ეს მაშინ! ამდენ ქარტეხილებს გადარჩენილი, ისევ არ დამინდო ბედმა და შემმოსა შავით...

...მეორე მეუღლეც წამართვა...

ახლა კი ვდგავარ, უამრავთა ფეხით გათელილ ცხოვრების ქვაფენილზე-მარტოდ, უმისამართოდ... მისგან, მისით თავნაპოვნი და თავდაკარგულიც!.. და ვსუნთქავ მხოლოდ მასზედ სანთლებად ანთებული სიყვრულითა და ლამაზი მოგონობებით-ჩვენი,, საგა" რომ ქვია...და კიდევ ჯერ ვერნაპატიები დედობის და სისხლის ყივილის იმედად..

ხათუნა შავგულიძე

დაიბადა 1962 წლის 25 ივლისს ქ. თბილისში. 1978 წელს დაამთავრა 61-ე საშუალო სკოლა. იმავ წელს ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ინგლისურის ენის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1984 წელს. 2000 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს დიდ ბრიტანეთში. ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი. ლექსების წერა დაიწყო 2008 წელს.

დამაჯერე

მითხარ, როგორ შევაჯერო გული ტრფობით,
მითხარ, როგორ გიცქირო და არ გიმღერო?
მითხარ, როგორ ვკიდო თვალი მტკვარს და მეტეხს
და ეს გული უმოწყალოდ არ დავსერო?..
როგორ შევძლო სიყვარული უფრო მეტად
ან ეს გრძნობა ოდნავ როგორ გავინელო...
ვით ვუსწორო თვალი სიონს, ნარიყალას
და ეს გული ნეტარებით არ დავფერფლო?
დედა ხომ მყავს? დედა მიშვებს და მამხნევებს,
შენც დედა ხარ, მაგრამ ასე რატომ მწირავ?
რად ვერ ვძღები შენი მიწის სურნელებით
და რაც მეტად გეწაფები, მეტად მწყურხარ!
რად მაქციე ასე ხარბად, დაუდგრომლად,
ან ეს გული ტრფობით რით ვერ შეაჯერე?
ჩემო მიწავ, ჩემო მხარევ თბილზე-თბილო
დამაჯერე, გეაჯები, დამაჯერე!
რომ იქნები და გაუძლებ ქართა ქროლვას,
მზე-ბადახში გადაგაფენს ქარვისფერებს...
როცა მოვალ, დაქანცული როცა მოვალ,
ხელებს მომხვევ და მიმღერებ ძველ სიმღერებს...

17 აგვისტო, 2009 წ.

***

და ისევ გავყვები მთვლემარე ქუჩას,
ეზოებს-ღიმილის გარეშე...
ისევ თავს მიხრიან წითელი ვარდები,
ვარდები-სურნელის გარეშე...
ერთმანეთს ხვდებიან ზერელე თვალები,
თვალები-გრძნობების გარეშე
და ისევ ჩვეული, რიტმული სიცოცხლე,
სიცოცხლე-რაღაცის გარეშე...
რაღაცის? ვიღაცის? იმ ცის და იმ ბარის,
იმ ეზოს, იმ ქუჩის გარეშე...
მზისფერი დღეების, ლურჯფრთიან მტრედების,
ლურჯთვალა იების გარეშე...
წუთები, წამები, წიკწიკებს საათი,
საათი-ისრების გარეშე...
ეს რა დრო გასულა, რა წლები გასულან,
გასულან-სამშობლოს გარეშე...

9 სექტემბერი, 2010 წ.

გაზაფხული

იასამანს მოუქარგავს გაზაფხული,
ეს სურნელი არე-მარეს მოჰფენია,
მზის სხივების იისფერი ათინათი
თბილისის ცას მორცხვად შეუფერებია.
ამ დროს, ჩვენში, გნიასია ჩიტუნების,
გოგონებსაც ჭრელ-ჭრულები ჩაუცვიათ...
ნიავს როკვით აჰყოლიან გვირილები,
მინდვრებს ძვირფას ფარჩად მიჰფენ-მოჰფენიან...
ამ დროს, ტრფობას გაუშლია ლაღად ფრთები,
სიკეკლუცით ქალებს მზისთვის უჯობნიათ!
მათი ეშხით გათანგული ჭაბუკები
სიყვარულით მთვრალნი მთვარეს უმღერიან...
ნეტარებით დაქანცული გაზაფხულის
სურნელება დანავარდობს შუკა-შუკა...
ვისაც ხიბლავს სურნელება იასამნის
საქართველოს მიაშუროს, ამ დროს, უნდა!

14 მაისი, 2009 წ.

ვაჟავ!

ვაჟავ, რაოდენ დიდი ხარ,
ბერმუხა ფესვძარღვიანი,
არწივად როდი მიცვნიხარ
რაღაც, სულ სხვა ხარ-ღვთიანი!
ამ მთების ამოგმინვა ხარ,
ამ ჩანჩქერების ,,ჩაკრულო,,
კლდიდან ცრემლებად მდინარ-ხარ,
მაგ კლდეზე ჯვარად გაკრულო...
ცაზე გამტყდარი ელვა ხარ,
მოწყვეტილ ზვავის გრიალი,
ქართველ დიაცთა ღელვა ხარ,
ქართველ ვაჟთ კბილთა ღრჭიალი!
ღმერთების ხელით ნაძერწი
კაცთაგან ბრძენთა-ბრძენი ხარ,
ქართლის ქედებზე ნალეწი
გადმოტყოეცნილი მეხი ხარ!
გრძნობით სისხლამჩქროლებელო,
სიტყვით ხარ ავის მომსვრელი,
მაგ ლექსით ამანთობელო,
ლექსითვე გულისმომკვლელი...
ვაჟავ, რაოდენ დიდი ხარ,
სად გწვდება არწივთ ყივილი?
სულ სხვა ხარ, სხვა გზით მიდიხარ,
მთით მოგსდევს ხარის ყვირილი.
ეჰე, ფშაველო, ვერ ხედავ?
შენს სამშობლოში ბინდია,
ზვიადაური ხმალს ლესავს,
გადმოგვაშველე მინდიაც!
უხმე ალუდას, ლელასა,
შაჰყარე შენი ლაშქარი,
სვანნი დასძახვენ ,,ლილესა,,
აღსდგება ჯვარი ლაშარის!
ჰეი და ვაჟებო, დაჰკარით,
თანაც, უხშირეთ მღერასა,
გაარბენინეთ ცხრა კარი
უპატიჟებელ მტერასა!
ფშაველო, უხმე ლაშქარსა,

შაჰყარე ამ ჩვენს სამყოფლოს,
შავედრე ღომისის ხატსა
ფარად ეფაროს სამშობლოს!
ვაჟავ, ღვთის ნიშნით შობილხარ,
სიტყვას გვეტყოდი უტეხსა,
ეგ შენი სული მშობელ ხალხს
დღესაც საკმეველს უკმევსა...
არ გამარჯვება არცერთ მტერს,
მეწყერს მიჰქონდეს ტკივილი,
სანამ ჩვენს სულში ექოდ ჟღერს
ფშაველი ხარის ყვირილი!

11 თებერვალი, 2015 წ.

ვედრება

ღმერთო, ნუ მოაკლებ საქართველოს
ცაში ფრინველს ლაღს და ფრთამალიანს,
მთაში-ბილიკს თუნდაც საცალფეხოს,
ბილიკს, სამოყვროს და სამართლიანს.
ტყეში ირემსა და ტახს-გარეულს,
შვლის ნუკრს ფაფუკსა და ზურგხალიანს,
წყაროს ფეხმარდსა და გადარეულს,
ფერდობს ფიჭვიანს და მუხნარიანს.
კალმახს, მდინარეში გალაღებულს,
ხელში გასხლეტილს და წინწკლებიანს,
მდედრის შესახვედრად აღტაცებულს-
ჩანჩქერს გადმომსკდარს რომ მისწვდენია.
სახნავ-სათეს მიწას დალოცვილს და
ნიშას და ნიკორას, რქასანთლიანს,
ვაზის ბებერ ტოტებს დაკორძილს და
მზისფერ შემოდგომას, ბარაქიანს.
ღმერთო, ნუ მოაკლებ საქართველოს
მერცხლებს შავჩოხებს და თეთრგულიანს,
ამ ხმებს ჭერასახდელს, სასიმღეროს,
ამაყს- უშბიანს და თეთნულდიანს!
ტაძრებს სადიდებლად ღვთისმშობელის,
დილის წირვა-ლოცვებს გლობიანს,
ათიათასობით ახალშობილს,
დღეებს კეთილსა და მშვიდობიანს.
ღმერთო, ნუ მოაკლებ საქართველოს
ქართველს-დაბრუნებულს, გულმადლიანს,
ღმერთო, ნუ მოაკლებ საქართველოს
ერთგულ თვისტომსა და ადამიანს!

31 მარტი, 2014 წ.

გიორგი ჩაკვეტაძე



დაიბადა: 1986 წლის 2 ოქტომბერს ქ.თბილისში პოეზიისა და პროზაული ნაწარმოებების წერა დაიწყო ადრეულ ასაკში.

იყო საქართველოს საპატრიარქოს ლიტერატურული ჟურნალის „სიტყვა ქართული“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ქ.თბილისის სასულიერო-სემინარია აკადემიის ლიტერატურული კრებულების - „რამდენი რამე ყოფილა სათქმელი“ გამოცემის შემოქმედებითი ჯგუფის წევრი.

არის ლიტერატურული კონკურსების „ლექსების გამოფენა“ და „ეგო-არტი“ ფინალისტი პოეზიასა და პროზაში.

ახალგაზრდობის სამოქალაქო განათლებაში შეტანილი წვლილისთვის მიღებული აქვს ევროპის კავშირისა და კონრად ადენაუერის ერთობლივი ჯილდო.

ჰარე ჩემო!

ზიხარ ახლა სადმე. ტუჩით არმანიაკს
ოდნავ ეხები და როგორც მენატურე,
ისე იმზირები სველი სარკმლებიდან.
ვითარ კეისარი უმზერს სენატორებს.
როგორც განზრახვათა,
ფიქრთა პოლიგლოტი.
შენი თვალებიდან თავად შენ წახვედი.
ახლა შენი მზერა, მზერას აღარ ნიშნავს.
როგორც მთა მთაა და მიდის მუჰამედი.
ჩემთვის ჰარე ჩემო! (ვისთვის ჰარე კრიშნა!)
შენი ქალურობის,
მე ვარ მოჯაჰიდი.
ყოველდღიურობა გახდა ესტაფეტა.
აღარც გამარჯვება, აღარც ტრიუმფები.
ვდგავარ მებადური შორის მენავეთა,
ბადის უთევზობას ვგმობ და ვიფურთხები -
ყელში გამეჩხირა
ბრაზი ვინაიდან.
სისხლში გამჯდარია გლოვის პროცესია.
შენ დრომ წაგიყვანა ნელა, ფეხაკრეფით.
ჩემგან მოიპარე წილი პოეზია,
როგორც შემოდგომამ თეთრი მიხაკები
და გრძნობ
მარტოობა უახლოესია.

სულში სხვანაირი სველი კლიმატია,
მკერდში საკმარისად ბევრი სიმარტივე,
შენგან არაერთი გრძნობის ანათემა.
(ქუჩამ შეუხვია ლურჯი მონასტრისკენ)
ახლაც გაპატიე.
უკვე მერამდენედ.
ზიხარ ახლა სადმე, ტუჩით არმანიაკს
ოდნავ ეხები და როგორ მომენატრე.

***

გრძნობ? აღარ გცივა ამ ოთახში ახლა ადვილად.
გარეთ თოვლია. გეგონება თეთრი ზეფირი.
შენი ტუჩები - ეგზოტიკურ ხილის პასტილა
და ყველა ნაკვთის მოძრაობას
თხრობით,
ზეპირად
ვსწავლობთ და ვიცი გეგონები მაინც შეშლილი,
როგორც მზე ტბორებს ნაწვიმარზე, ისე აგლოკავ.
უადგილოა ახლა ყველა მძიმე, წერტილი;
მე რომ ვარ ახლა, აკითხავენ ამ დროს სალოცავს.
ამ ოთახს ადრე არასოდეს, ასე უტიფრად,
არ უხდებოდა არეული, ძველი საწოლი.
ღამე ვნებების მაღაზია, სრული Duty Free.
იქნებ ოდესმე უშენობამ გადამიყოლოს.
რაში გჭირდება რას გვრძნობ ახლა, ამის რეკლამა.
შენი სხეული დაკოცნილი სანტიმეტრებით.
დრო იყო ჩემში ერთი გოჯიც, რომ არ გეკავა
ახლა კი, ისე გაიზარდე, ვერც კი ეტევი.
ჩვენ შეგვიძლია დავითვალოთ, როგორც ითვლიან,
როდესაც უნდათ დაძინება ღრმად და მკვდარივით.
ჩვენ კი ვითვალოთ, რომ ამ წუთებს, როგორც ნისლიან
ზეცას არ მოვწყდეთ გზააბნეულ თვითმფრინავივით.

გრძნობ?
აღარ გცივა ამ ოთახში ახლა ადვილად.
გარეთ თოვლია. გეგონება თეთრი ზეფირი.
შენი ტუჩები - ეგზოტიკურ ხილის პასტილა
და ყველა ნაკვთის მოძრაობა
თხრობით,
ზეპირად.

***

როგორც საოცნებო საგარმატხა,
ცაზე დაკიდული ჯომოლუნგმა
ხარ და აღარასდროს აღარა თქვა,
რომ ეს დედამიწა- ერთი ლუკმა,
ისე დიდია, რომ გენატრები.
ღამე, სანთლები და ორთომელებს,
როცა სურნელება მუქი რომის
ასდით. დაიწყობდი მაგ წვრილ ხელებს
და მე დამშვიდებით გიამბობდი,
როგორ გადამტეხა უშენობამ.
ღამე კედლებიდან მოვიდოდნენ,
თეთრი სამოსებით, აჩრდილები.
შეგეშინდებოდა. მონდომებით
(მთელი სიყვარულით მაშინდელით)
მხრებზე შემომხვევდი ხელისგულებს.
და მზის მოუთმენელ დალოდებით,
ისე გაწვებოდი სარეცელზე,
როგორც წვებოდი და გამუდმებით,
იყო ღამეები გაწელილი,
ფილმის უსასრულო ფინალივით
ჰოდა აღარასდროს აღარა თქვა,
რომ ეს დედამიწა- ერთი ლუკმა,
ისე დიდია, რომ გენატრები.
როგორც საოცნებო საგარმატხა,
ცაზე დაკიდული ჯომოლუნგმა.

გოგო იყო ...

ორღობეში იხსენებენ გოგოლაანთ მზექალას,
გოგო იყო მართლა მზე და ანათებდა ქვეყანას.
თვალთოფწამლიანია და
თვალში ცა აქვს მზიანი,
გოგო სოფლის საყდარივით თეთრია და ჩუმია.
წარბი ცაზე კიდული და
სიტყვა ოდნავ გვიანი.
ჭურებს მოხდი დაპატიჟებ გამაყრებულ დუნიას.
-თებროლაანთ აბდია ითამადებს! ერგება.
უთხრეს და შეიფერა თამადობის შექება.
გოგო არ შეგვიცივდესო გააჩინეს ნაბადი.
ცეცხლთან სკამი მიუდგეს ტაბლის მოკლეფეხება.
გოგოს გული ჩიტია,
დამფრთხალი და პაწია.
თოვლიანი საყდარივით
თეთრი კაბა აცვია.
გაღმა სოფელს ურჩევიათ -
ყვება ბაქარაანთ თინა:
- ბადრიაანთ უმაჭანკლეს
- ღმერთმა მისცა, გოუჩინა!
-გოგოაო იმნაირი... მზერა მშვილდი, ისარიო.
-გაახილე ბიჭო თვალი, ქე რო გინდა ის არიო.
სათქმელ მიკიბ-მოკიბული, მზერა ალერსიანიო,
სანამ ქალი წოუღიათ
და არაა გვიანიო..
ჩეიარა წინდობამ და ჩეიარა ქორწილმა.
მიყვარხარო - გვიან უთხრა უკვე მუცელმოზრდილმა.
გოგო მორცხვი რანაირი.
სათქმელ მიკიბ-მოკიბული.
გოგო სახე აფაკლული.
კოკამხარზემოკიდული.
გოგო ეზო!
გოგო კარი!
გოგო ქათამს საკენკიო.
გოგო სოფელს ჩამოღამდა,
მეისვენე, დაწექიო!
გოგო ბალღი !

გოგო ბალღი !
ერთი,
ორი,
სამი,
ოთხი...
გოგო რაცხა არ მომწონხარ,დადიხარო რაცხა ოხვრით.
გოგო დედა.
დრო გავარდა.
ახლა უკვე დიდედა.
დროა სწრაფი. ისეთი, რომ
დაბერებას გიბედავს.
ახლა უკვე გოგო ბებო.
ჩემს დროს იყო დუნიაო.
გოგო ვიყავ, იმნაირი,
ჩემს კაცს კითხეთ -
წუნიაო.
გოგო იყო იმნაირი,
თვალი თოფი წამალიო.
მოკლეაო სოფელი და
კაცი გუშღამსახვალიო.
გოგო იყო მართლა მზე და ანათებდა ქვეყანას,
ორღობეში იხსენებენ გოგოლაანთ მზექალას.

***

სიბნელე,
კვამლი და ვერმუტი.
ჩვენს შორის ჩამდგარი თემიდა.
თითები ფორთოხლის გემოთი.
გვიყვარს და ერთმანეთს ვერ ვიტანთ.
სიბნელეს ფერი აქვს ალუბლის
და უცხო სურნელი ნარგილეს.
შენს თვალებს ჩვევა აქვთ საუბრის,
ანგრევენ ჩემს სულის ნაპირებს.
გინატრე რამდენჯერ შორიდან,
შენ ჩემი ცხოვრების ბერმუდი.
ჩვენს შორის ჩამდგარა თემიდა,
სიბნელე,
კვამლი და ვერმუტი.

ნანა ჩხაიძე

ნანა(ნანი) ჩხაიძე დავიბადე და გავიზარდე ქ. ბათუმში სკოლის დამთავრებისთანავე ჩავირიცხე თსუ–ში 1996 წელს მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად დავადექი ემიგრაციის გზას, რომელიც დღემდე გრძელდება. ოდესღაც ამ გზას ექნება დასასრული, მაგრამ მინდა ეს იყოს საკუთარი ნებით დაქრუნება... მენატრება ჩემი სამშობლო, ჩემი კუთხე – აჭარა, ჩემი ხალხი და ჩემი მიწის სურნელება. ვუსურვებ ყველა ემიგრანტს სახლში მშვიდობით დაბრუნებას, თქვენ კი დიდი მადლობა, რომ არსებობთ და ემსახურებით კეთილ საქმეს.

ჩემი ,,ბ ა თ ო მ ი "

მაგნოლიები ყვავიან ახლა,
ჩემი შავი ზღვის სანაპიროზე.
მე ყველგან მისი სურნელი მახლავს,
თუმცა შევყურებ ნახატს ტილოზე.
სევდით ვიგონებ-მხატვარი ფუნჯით,
როგორ ცდილობდა ჩემთვის მის შექმნას.
ზღვას ფერი ჰქონდა საოცრად ლურჯი,
და იდილია ამ სურათს ერქვა...
გარინდებული ვიდექი ზღვასთან,
სიხარულს-წასვლის სევდა მპარავდა,
დამშვიდობებას ვცდილობდი მასთან
მაგნოლია კი ჩემს ცრემლს მალავდა.
დღეს ისევ ყვავის ბათუმში ვარდი,
მაგნოლიებს სდევთ ზღვის სურნელება,
მაშინ ჩემს ქალაქს სულ ახლოს ვყავდი,
ახლა სურათზე მიწევს ფერება...
ნახატს ასაკი შემოახუნდა,
მხატვრის ხელნაწერს ვუცქერ განცხრომით...
მაშინ ნახატში მივეცი ხურდა,
დღეს ძვირფასია სიტყვა-,, ბ ა თ ო მ ი "

მიწას დაგიკოცნი

შენთან . მითხარ როგორ დავიკვნესო,
ჩემო გულდაჭრილო საქართველოვ.
თუნდაც სულ ტკივილი დამიწესო,
დარდმა რომც მჯიჯგნოს და გადამთელოს !
შენთან, მითხარ როგორ მოვიტირო,
როცა შვილმკვდარ დედებს ცრემლს ვერ ულევ.
ჩემთვის-დახატულო ,,ნატვრის ტილოდ"
ჩემს დარდს ვერ შევადრი შენს დარდს-- ულევს.
ჩემო მადლიანო დედა-ბურჯო,
,,ჩემად" მე სათქმელი განა რა მაქვს ?
შენი სახელია-ცას რომ ვლურჯობ,
შენი სიდიადე მხრებით დამაქვს.
მე რა ვაკეთე ან რა დავთესე ?
მზის სხივს თუ შევყურებ-შენი ლოცვით.
მოვალ, რომ ვემთხვიო შენს ძირ-ფესვებს,
მიწას-სისხლშეუმშრალს დაგიკოცნი.
შენთან, მითხარ როგორ დავიკვნესო,
ჩემო გულდაჭრილო საქართველოვ ...

ემიგრანტი დედის ტვირთი

[ლექსი წაკითხულ იქნა
სამებაში წიგნის წარდგენისას]

მძიმე არის ქალის ტვირთი, უფრო მძიმე -დედის.
არასოდეს არ სჩვევია მორჩილება ბედის.
დედა არის დედაბოძი და ოჯახის ბურჯი,
მისი სულის სათნოებას ვერ დახატავს ფუნჯი.
დედა- სიტკბო, დედა-სითბო, დედა-მშობლის კალთა,
დედა-სულის სიამაყე, სხვა დიდება ქალთა.
ულმობლობამ თუმცა ბევრჯერ გულს ლახვარი ჩასცა,
გაჭირვებამ ვერ მოდრიკა, ვერასოდეს დასცა.
ცხრა ვაჟკაციც და 300-იც სამშობლოსთვის ზარდა,
დედა ყველა ტკივილს იტანს -შვილის ცრემლის გარდა...
მძიმე არის დედის ტვირთი, უფრო მძიმე გახდა,
როცა კარი გაიხურა-ემიგრანტი გახდა!
ეკლებიან გზებზე ცრემლს ღვრის,არ აპირებს ჩივილს,
შვილებისთვის შეეგუა მონატრების ტკივილს.
გაუმკლავდა დარდს და ვარამს, არ დაიტყო სევდა,
გაჭირვებას სუსტი მხრებით შეეჭიდა დედა.
ვერაფერმა დააჩოქა, ყველა ტანჯვას უძლებს,
სალოცავად ღვთისმშობლის წინ თუ მოიყრის მუხლებს.
საქართველოს ხერხემალის ერთერთია მალა,
წაქცეულმაც მერამდენედ მოიკრიფა ძალა.
გულზე ჯვარი დაიკიდა და ტკივილით იწვავს,
სასთუმალქვეშ ცრემლად ექცა საქართველოს მიწა.
უცხოეთში მონატრებას მსხვერპლად ექცა დედა,
შვილის ნატვრით დედის გული დღეში ასჯერ კვდება...
საქართველოვ, შენი ლოცვა მოუფინე გზებად,
მონატრების ტკივილია- ე მ ი გ რ ა ნ ტ ი დ ე დ ა !

ჩვენ დაგიჩოქებთ, გმირებო !

[ვუძღვნი ომში დაღუპულ გმირებს]

თავისუფლება ბრძოლებით მოვიდა
და უმოწყალოდ დაღვრილი სისხლით.
ჩვენ ჩვენს სამშობლოს ვიცავთ ოდითგან,
არ გვიბრძოლია-დაგვეპყრო სხვისი.
თავისუფლებას ემსხვერპლა ბევრი,
სიკვდილმა ბევრის შვილი იჩუქა.
მაგრამ ისინი ცოცხლობენ ჩვენში,
მათ ხსოვნას გულში ვინთებთ მზის შუქად.
ომში დაღუპულ მეომარ გმირებს
პატივი არ ვცეთ-არ გვაქვს უფლება,
იმათ სახელს ჩვენ ვერ დავივიწყებთ,
ვინც მოგვიპოვა თავისუფლება.
სიკვდილის შიშიც ვერ წაშლის ჩვენში
თავისუფლების წყურვილს საოცარს.
თქვენ ისტორიას გმირებად შერჩით
და ქართვლის დედის ძუძუ დაგლოცავთ.
დიდება თქვენდა, გმირებო ჩვენო,
სიკვდილით თქვენით გვჩუქნით სიცოცხლეს.
თქვენ ტანკების წინ ვერ დაგაჩოქეს,
ჩვენ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო -თქვენ დაგიჩოქებთ!

ქართული სისხლი

საქართველოში იქნებ არ ვცხოვრობ,
საქართველოდან იქნებ წავედი.
სადაც არ უნდა ვიყო, ვიცხოვრო,
ყველგან მე მაინც მქვია ქ ა რ თ ვ ე ლ ი !
ვარსკვლავებს ჩემი მთებიდან ვუცქერ,
მზის სხივიც ჩემი ქვეყნიდან მწვდება.
კავკასიონი, მტკვარი, შავი ზღვა,
ჩემი ნატვრაა და ჩემი სევდა.
საზღვარგარეთში მიწევს ცხოვრება,
ჩემზე მოქმედებს ქვეყნის კანონი.
და რა საბუთიც არ უნდა მქონდეს–
ქ ა რ თ უ ლ ი არის ჩემი პასპორტი.
იქნებ ვისწავლე წერაც და კითხვაც,
წეს–ჩვეულებაც, ადათიც ქვეყნის.
გონება მაინც ქ ა რ თ უ ლ ა დ მსჯელობს,
და იწერება ქ ა რ თ უ ლ ა დ ლექსიც!
განა ადვილად იცვლება გრძნობა,
და სიყვარული სამშობლოსადმი?!
სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან
მე ჩემი მიწის სურნელი ამდის.
და რა აზრი აქვს მე სად ვიქნები,
ჩემს გულს, გონებას, ჩემს სულს რა შეცვლის ?
სადაც არ უნდა ვიყო, ვიცხოვრო
დუღს ჩემში მაინც სისხლი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს !

ღმერთო, შეგვინდე...

ღმერთო, შეგვინდე სულით ცოდვილებს!!!
ყველაზე მეტი მათ შორის მე ვარ...
შური და ღვარძლი გვძლევს-გვაცოდვილებს,
შენს წინ მუხლმოყრით ამიტომ ვდგევარ.
პირველი მე ვარ---და ჩემით ვიწყებ,
რომ შეგავედრო სული წყეული,
ადამთა მოდგმას ნურასდროს გვიწყენ,
ღალატს რომ არ ვართ გადაჩვეული.
სინათლის სხივში რომ ვეძებთ წყვდიადს,
აღმა მიმავლებს-ვუთხრით სამარეს,
ნაკლით ავავსებთ ღირსეულს, დიადს,
ვისაც ვაჯობებთ--დავასამარებთ!
დავაბინძურეთ სიწმინდე ნეხვით,
ვკარგავთ ღირებულს, რაც გაგვაჩნია,
ჩვენი სურვილით ჩავყავით ფეხი
წუმპეში--დღეს რომ კვალად გვამჩნია.
ღმერთო, გვიშველე, რადგან მგონია,
გახრწნას მიწაში ჩასვლამდე ვიწყებთ.
სიკვდილის ნატვრა-მონაგონია,
თუ უმოწყალოს თვალებით გვიცქერ...
ადამის მოდგმას ასე გვჩვევია-
ვემორჩილებით ქაოსს და ბნელეთს.
გაუტანლობის სენიც ჩვენია...
თუმცა, ცხრა ძმისთვის პერანგიც ვკერეთ !
გადაგვარების გზამდე მისულებს,
შემოგვაშველე წყალობა შენი.
განა ის ჯვარცმა ჩვენ მოვისურვეთ?!
ეშმაკი გვჯაბნის და ვერას ვშველით.
ღმერთო,შეგვინდე სულით ცოდვილებს,
შენს შეწყალებას მუხლმოყროთ ვითხოვ.
ჩემი ცოდვები - მე მაცოდვილებს,
ასეთს კი შენთან-არასდროს მიხმობ...

დ ა ბ ა დ ე ბ ა

(ვუძღვნი დედის 75 წლის იუბილეს)

შენს დაბადებას ერქმეოდა ერთ დროს სიცოცხლე,
შენს მოვლინებას შეხვდებოდნენ თოფის გასროლით.
უფალი ყველას თავის წილი დროით აცოცხლებს,
და ცხოვრებაშიც ყველა სულდგმულს თავის აქვს როლი.
შენი გაჩენით დამბადებელს ერგო დედობა,
მკერდზე მომდგარი რძე ბადაგად შემოგაგება.
შენს ვალს იხდიდი–შეიღირსე შენი შვილობა,
სანამ მშობლობის შენი ჯერი დრომ მოგაგება.
ჩემი გაჩენით -მოგეკუთვნა შენაც დედობა,
მკერდზე მიმიკარ და დალოცე უფლის განგება.
სულ სხვა გრძნობაა ღვთის ნაკურთხი დ ე დ ა შ ვ ი ლ ო ბ ა ,–
მუცლით იწყება და რძიანი მკერდით მყარდება.
სადაც იწყება, იქ მთავრდება ზოგჯერ ეს გრძნობა,
მაგრამ დრო ვერ ცვლის დედისა და შვილის ბუნებას.
უცნაურია ეს კავშირი ,,–დ ე დ ა შ ვ ი ლ ო ბ ა ! '
წლებთან ჭიდილი ვერ ახერხებს მის გახუნებას.

სახელი მიჯობს

ცხოვრება ბევრჯერ გაგაწნავს სილას,
გაბღავლებს,როგორც დაჭრილი ხარი.
კეთილის გვერდით ბოროტსაც სძინავს,
დაიღუპები, თუ არ ხარ მძლავრი.
ცხოვრება მკაცრი ბრძოლის არეა,
სადაც არ ღირხარ ზოგჯერ არც მისხლად.
ზოგჯერ ტკივილი უფრო მწარეა,
ვიდრე იარა–ნადენი სისხლად.
ცხოვრება ბევრჯერ ტალახსაც გესვრის,
მუხლებდაჩოქილს ცრემლით გატარებს.
ბევრჯერ შხამით და ნაღველით გგესლის,
და ცეცხლის ალშიც გამოგატარებს.
ბევრჯერ მწველი და სასტიკი მზეა,–
განათებს, მაგრამ ფერფლადაც გაქცევს.

გონება ბევრჯერ სურვილის ტყვეა,
არ იცი, როდის დაგცემს, წაგაქცევს...
წაგება ზოგჯერ უფრო ძვირია,
ვიდრე მოგება --სინდისის ფასად.
ერთი ღირსება უფრო ტკბილია,
ვიდრე ტიტული--ნამრავლი ასად.
ცხოვრება ათას გამოცდას გიწყობს,
ფასდები ისე, როგორც გივლია.
ერთი ს ა ხ ე ლ ი -ყველაფერს გიჯობს,
ის- სიცოცხლეზე ბევრად ძვირია !

ღმერთო, შეგვინდე...

ღმერთო, შეგვინდე სულით ცოდვილებს!!!
ყველაზე მეტი მათ შორის მე ვარ...
შური და ღვარძლი გვძლევს-გვაცოდვილებს,
შენს წინ მუხლმოყრით ამიტომ ვდგევარ.
პირველი მე ვარ---და ჩემით ვიწყებ,
რომ შეგავედრო სული წყეული,
ადამთა მოდგმას ნურასდროს გვიწყენ,
ღალატს რომ არ ვართ გადაჩვეული.
სინათლის სხივში რომ ვეძებთ წყვდიადს,
აღმა მიმავლებს-ვუთხრით სამარეს,
ნაკლით ავავსებთ ღირსეულს, დიადს,
ვისაც ვაჯობებთ--დავასამარებთ!
დავაბინძურეთ სიწმინდე ნეხვით,
ვკარგავთ ღირებულს, რაც გაგვაჩნია,
ჩვენი სურვილით ჩავყავით ფეხი
წუმპეში--დღეს რომ კვალად გვამჩნია.
ღმერთო, გვიშველე, რადგან მგონია,
გახრწნას მიწაში ჩასვლამდე ვიწყებთ.
სიკვდილის ნატვრა-მონაგონია,
თუ უმოწყალოს თვალებით გვიცქერ...
ადამის მოდგმას ასე გვჩვევია-
ვემორჩილებით ქაოსს და ბნელეთს.

გაუტანლობის სენიც ჩვენია...
თუმცა, ცხრა ძმისთვის პერანგიც ვკერეთ !
გადაგვარების გზამდე მისულებს,
შემოგვაშველე წყალობა შენი.
განა ის ჯვარცმა ჩვენ მოვისურვეთ?!
ეშმაკი გვჯაბნის და ვერას ვშველით.
ღმერთო,შეგვინდე სულით ცოდვილებს,
შენს შეწყალებას მუხლმოყროთ ვითხოვ.
ჩემი ცოდვები - მე მაცოდვილებს,
ასეთს კი შენთან-არასდროს მიხმობ...

თამუნა ჭიღლაძე

თამარ ჭიღლაძე, დავიბადე 1989 წლის 29 მარტს ცხინვალში. 90-იანი წლების ომის გამო ოჯახი გადმოვიდა აგარაში საცხოვრებლად, სადაც გავატარე ბავშვობის წლები და დავამთავრე აგარის საჯარო სკოლა. 2006 წელს ჩავაბარე საქართველო ტექნიკურ უნივერსიტეტში „ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაქულტეტზე“, რომელიც დავამთავრე 2010 წელს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი შპს „ნიკორა ტრეიდი“-ში მოლარე-ოპერატორად,თბილისში 4 წელი. 2014 წელს დავოჯახდი და ოჯახთან ერთად ვცხოვრობ ფოთში.

სიცოცხლის გარეშე

დღეს კიდევ ერთი უპატრონო მოკვდა სიცოცხლე,
დაუტირებლად მიაყარეს მიწა საბრალოს,
ახლა ის დროა, რომ სანთელი ცოდვით იწვოდეს,
ჭირისუფლად კი მოევლინოს თავად სამყარო.
ჟამმა (როგორც ჩანს), ბოლო სუნთქვაც სადღაც მიკარგა,
მწუხარე ქუჩას კვლავ ეტყობა ნაბიჯი მგზავრის,
გაბმულად ყმუის შავი ძაღლი რკინის ჭიშკართან
და ხის ქოშებით დაბარბაცებს ეზოში კვამლი.
აქ მარტოსული ჩამოსახლდნენ სულები სოფლად,
კარდაკარ ურჩად დაეძებენ სიცოცხლის ნიშნებს,
მოგუდულ ჰაერს შეეჩვია ვაი და ოხვრა,
ყველა თავისთვის სამუდამო სამყოფელს ირჩევს.
ძველ სასაფლაოს იასამნის სუნი აბრუებს,
დამტვერილ ქვებზე წარწერებმაც იგრძნეს სიკვდილი,
სისხლი ჩამოსდით ტოტებიდან, თითქოს ალუბლებს,
ბილიკზე მოსთქვამს თმა გაშლილი ქალი გიჟივით...

მოხუცის ალსარება

თამბაქოს სურნელით გაჟღენთილ კედლებში,
არ დამრჩა მარცვალიც, რობუსტას ყავიდან,
მე, ბანქოს თამაშსაც რომ ვეღარ ვეშვები,
ვაღმერთებ ჯერ ისევ ძველმოდურ ყაიდას.
დღითიდღე მიმონებს ცდუნება ლოთობის,
წამწამზეც ჭირხლივით მომედო ჭაღარა,
ოდესღაც სახლ-კარსაც (ვაი,რომ) მოვშორდი,
ახლა კი სიბერემ სულ უფრო დამღარა.
ჩარჩოში მოქცეულ ფოტოებს ვედრები,
აქ ყველა სურათი ჩემს თავზე ძვირია,
სადამდე დავეცი, ო, ღმერთო, ვერ ვხვდები,
მიწა, რომ მიწაა, ვერ ვიღებ ძირიდან.
წლებია ცხოვრებამ ცხენის კუდს მიმაბა,
მივათრევ ხან მე და ხან თვითონ მიმათრევს,
ჩემს ტკივილს, განძივით ღრმად გულში ვინახავ
და სიკვდილს ლანგარზე დადებულს მივართმევ.
ხელების კანკალით გაღებულ ფანჯრიდან,
შემოსულ ჰაერსაც ჩქარ-ჩქარა ვსუნთქავ, რომ
ისედაც ძაღლივით ვკვდები და არ მინდა
სიცოცხლე მარტივად დავტოვო , უფალო...

დღეს, ღმერთმა კარებთან
იმდენ ხანს მიცადა...

მარტო ვარ ოთახში, კვლავ დილით ადრიან
ქარები ერთმანეთს უხსნიან საკინძეს,
მეძახი ნახევრადგახსნილი ფანჯრიდან,
ჩურჩულით...მე მაინც ხმაური მაღვიძებს.
გარუჯულ სხეულზე შილიფად ვიცვამ და
სუსხია,სიცოცხლეს რომ მოსპობს ისეთი,
დღეს ღმერთმა კარებთან იმდენ ხანს მიცადა,
ვიდრემდის ეშმაკის შეძახილს ვისმენდი,
ანთებულ კელეპტარს ხელისგულს ვაწვეთებ
და სულის სიღრმეში მეწვება რაღაცა,

მტრედივით, სხვენზე რომ ვკენკავდე ნამცეცებს,
შენს ხმასაც ვიცნობდი, უფალო, ხანდახან.
მარტო ვარ ოთახში, რატომღაც მგონია
ქარები აივნებს აჭრიან შენობებს,
რა დარჩა, ჩემამდე არც ისე შორია
და მალე ქარები ჩემს სახლშიც შემოვლენ.

და ჩემი სულის ნახევარს გიყოფ...

თვალს ვერ ვაშორებ კამკამა მდინარ-
ეს, თან სიმშვიდე სულ უფრო მიპყრობს,
მე ჩვეულებრივ შენს გვერდით ვზივარ
და ჩემი სულის ნახევარს გიყოფ.
ციცაბო კლდეზე დავტოვე ფრთები,
თუმც, რომ შევეხო მაინც მწადია
ზეცას და კლდიდან მიწაზე ვხტები,
რათა ავფრინდე ისევ თავიდან.
სადაც ღრუბელი მოჰგავს პატარძალს,
ბარათს ვუტოვებ შენთვის წეროებს,
ერთად შეგროვილ ღიმილს ვფანტავ და
ასე იქამდე გავიმეორებ,
ვიდრე ამ ზამთარს მკვეთრად ატყვია,
ჩვენი ზაფხულის ცხელი დღეები.
მზე მოიშუშებს ყველა ნატყვიარს
და თუ ოდესმე შენც მოგბეზრდები,
თვალს ავარიდებ კამკამა მდინარ-
ეს, სადაც მიწა მკერდს ორად იპობს...
მე, ჩვეულებრივ, შენს გვერდით ვზივარ
და ჩემი სულის ნახევარს გიყოფ.

სადმე არსებობს ვითომ საუფლო?

ყოველდღე მინდა დავწერო ლექსი,
მაგრამ არ ვიცი დავიწყო როგორ,
გუმანით ვხვდები, რომ ჩემი გესმის
და ჩემი მორცხვი ღიმილიც მოგწონს.
სადმე არსებობს ვითომ საუფლო?
იქნებ სამოთხე მხოლოდ ჭორია...
რა მირჩევნია მაინც, რა უფრო,
ახლოს მისვლა, თუ ლოცვა შორიდან?
-ღმერთთან, რომელიც თითქმის დავკარგე,
რომელსაც წუთში ათასჯერ ვკარგავ
და მის მოვლენილ ყოველ განსაცდელს
გულის სიღრმეში ვიტოვებ სადღაც.
მაგრამ, როდესაც გამომშრალ მიწას,
როგორც ნაგავი ისე აყრია
ცოდვა, მე მაშინ უფალი მიცავს,
არ ვემეტები დედა მარიამს-
დასავიწყებლად, მე კი ვკითხულობ:
-სადმე არსებობს ვითომ საუფლო?
და უგნურია ნეტავ ვინ უფრო
ჩემზე, რომ ამდენ აუგს ვკადრულობ.

მაია ხოფერია

დავიბადე 1962 წლის 1 მაისს ქ ფოთში დამთავრებული მაქვს სამუსიკო სასწავლებლის თეორიული განყოფილება, 1981 წელს ქ. ფოთში.. მაქვს პედაგოგად მუშაობის 20 წლის გამოცდილება, 2000 წელს წარმატებით დავამთავრე ქ. თბილიში გამსახურდიას სახელობის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით, ბოლო წლები ვიმუშავე საქართველოს დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ოფისის მენეჯერად, მყავს მეუღლე და ორი შვილი, ვცხოვრობ თბილისში... .

ამოვუყვები

მთაწმინდის აღმართს,
წვიმის წვეთებით
თითქოს ვერთობი,
შენზე ვიფიქრებ,
მილიონ ღამეს,
ნეტავი იმ დროს,
რომ შემხვედროდი....
ქუჩის კუთხეში
სუნთქვა გაჩერდა
და გულის ცემას,
თითებით ვითვლი,
ჩემი სიცოცხლე
შენ დაგიტოვე
 და შენს მოსვლამდე,
უგულოდ ვივლი....
აპრილის თვეში,
რა უნდა ტკივილს,
აპრილის თვეში,
ვარდისფრად მოთოვს,
შენზე ვიფიქრებ,
მილიონ ღამეს,
მოვალ და ისევ,
სიყვარულს მოგთხოვ....

***

გაზაფხული დაიწყო,
ვარდისფერი კადრებით,
ვიცი მალე ჩამოხვალ,
ამ გულს სულ ენატრები...
შენ კი არ გენატრები,
და ეს ფიქრიც მითია,
გიბრაზდები ხანდახან,
მაგრამ დროებითია...
მე ჩემს ლექსებს გაჩუქებ,
გაყინული ხელებით,
ყველაფერი დაგითმე,
მოდი მოგეფერები...
გული დარდით სავსეა
და ცხოვრებაც ფიქრია,
ჩემთვის რომ არ გცალია,
იქნებ დროებითია...

***

გარეთ წვიმაა და ლექსი მიმოვფანტე,
უხმოდ სველდებიან ქაღალდები,
როგორ უსაშველოდ მყვარებიხარ,
როგორ ტკივილამდე მენატრები....
ვხედავ სიყვარულში ვერ ვივარგე,
მე ხომ შენ ქუჩაზე დავიკარგე,
მოდი, კიდევ ერთხელ მომეფერე
და ეს მონატრებაც გამიფანტე....
გარეთ წვიმაა და ლექსი მიმოვფანტე,
ტკბილი ოცნებებით, სულში ჩაგიხატე,
მაგრამ სიყვარულში მაინც ვერ ვივარგე
და შენს მოლოდინშიც სადღაც დავიკარგე....

,, ჩემი ოცნება,,

მთამსვლელს გავყვები სალაშქროდ მთაში,
თოვლში დამიკრეფს ედელვაისებს,
რომ მისი ხელით ჩავიწნა თმაში
და გულს სიცოცხლით ისევ ავივსებ,
ჩემი ოცნება არა ჰგავს სხვისას,
ოცნება ფიქრში ვიცი ავიხდენ,
ვივლი ამ ქვეყნად ამ სიყვარულით
და ის მაჩუქებს ედელვაისებს....

***

მოვედი და ამერია გზა- კვალი,
მოვედი და ვღირდი ?-იქნებ არც,
მე არ ვიყავ შენი ფიქრის აპრილი
და შენს გულშიც ვერ ვიპოვე ადგილი,
სულ ნამცეცა სიხარული ვითხოვე,
შენი მზერა, ხმა და სითბო მჭირდება,
თუ არასდროს გამიღიმებ ვიცოდე,
როგორ გავქრე, მოვიფიქრო იქნება,..
გარეთ წვიმს და საშინელი ქარია,
შენთან ყოფნა მომენატრა ძალიან,
თუ კი ფიქრმა შემშალა და დამღალა,
რომ მიყვარხარ, ეს სულ შენი ბრალია...

***

შენთან სიშორემ,
შენთან ყოფნის ,
მასწავლა ფასი,
თურმე რამდენი
საოცნებო წლები
გვქონია,
ეს მონატრება
მანადგურებს და
ეს დუმილი,
არ ვიცი ბედის
სასჯელი ხარ,
თუ ირონია....
სული ჩემი და
ოცნებები
შენთან დავტოვე,
თუ დამიჯერებ,
სხვა სამოთხე,
მე არც მქონია,
გარეთ გამოსულს,
ზოგჯერ სახე
თუ დაგენამა,
ჩემი ცრემლია,
წვიმის წვეთი
ხომ არ გგონია ?..
მე მოვალ ისევ,
გაგახსენებ იმ
ლამაზ წარსულს,
იმ ნათელ დღეებს,
სიგიჟეში ოდნავ
გადასულს,
ჩაგეხუტები, დაგიკოცნი,
ნაფერებ თვალებს
და გეტყვი კარგო
ამ სიყვარულს
არ დავამთავრებ....

***

მე მომეჩვენა, რომ შენ გიყვარდი,
მე შენზე ფიქრით ვარ დაზაფრული,
მომეჩვენა, რომ შენს მშვიდ თვალებში,
იყო სიცოცხლე და გაზაფხული,
როდის ჩამოხვალ და თუ მომძებნი,
ქალს დაკარგულს და დარჩენილს ქარში,
ჩამოდი მალე, ნუ მებუტები,
იასამანი ატირდა ბაღში...
p.s. თეთრი საწოლი, თეთრი ვარდები,
შავი დამბაჩა და ბევრი ტყვია,
მე უშენობა თუ მიწერია,
ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ჭქვია....

***

გთხოვ მომიტევე, იმ მოფერების
და ჩემი ასე მიამიტობა,
აუტანელი, გიჟი ოცნებით,
მოურჩენელი შენდამი ლტოლვა....
მინდა გავარდეს შენი დამბაჩა,
იმ ერთი ტყვიით აღსრულდეს ნება
და შენზე ფიქრი უკიდეგანო,
ვით ქვიშა ხელში, ისე გაქრება...

***

თუ კი საშველი აღარსად არის,
თუ კი წამება ჩემი ხვედრია,
მაშ ასე ადრე რატომ მომკალი,
ისე, რომ ტყვია არც შემხებია...
გაგიჭირდება შენ უჩემობა,
იქნებ ამაზე შენც გიფიქრია,
მოგენატრება ჩემი ტიტინი
და ეს დუმილიც დროებითია...

ირინა ხინიკაძე

დავიბადე 1978 წლის 28 დეკემბერს,ბათუმში–ხელოვანთა და მედიკოსთა ოჯახში. დავამთავრე ბათუმის 1 საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. პროფესიით ვარ ექიმი–რადიოლოგი. ჩვენს ოჯახში მუდამ ისმოდა ლექსი, სიმღერა, მონოლოგები ცნობილი სპექტაკლებიდან. განუმეორებელი დრო იყო. რადგანაც ბაბუა (გადაჭარბებათ ნუ ჩამითვლით), დიდი მსახიობი და დიდი ადამიანი იყო, წიგნის, პოეზიის სიყვარული მისგან ვისწავლე. და თუკი არის ჩემში, რაიმე დადებითი–მეტწილად ეს მისი დამსახურებაა. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

***

დღეს არ ვიცი, რას მოიტანს წვიმა
ზღვიდან ნაპირს, თუ გააღწევს ტივი,
სხვა არ დამრჩა არაფერი წმინდა–
შენს ნალურსმნალ ხელისგულებს ვტირი.
დღეს არ ვიცი, რას მოიტანს ღამე,
სულის ხეზე თუ აყვავდა კვირტი,
შენ ხომ ხედავ -ჩემს ცრემლიან თვალებს,
მე იუდას სინანულზეც ვტირი.
დღეს არ ვიცი, რას მოიტანს „ხვალე",
ცას მიწიდან ხელი როგორ ვახლო?!
მე სხვა ღმერთი, როგორ უნდა მყავდეს,
როცა შენ ხარ, გულთან ასე ახლოს.
დღეს არ ვიცი,რას მოიტანს წვიმა
ზღვიდან ნაპირს, თუ გააღწევს ტივი,
სხვა არ დამრჩა არაფერი წმინდა–
შენს ნალურსმნალ ხელისგულებს ვტირი.

***

ძვირფასო, ისევ მოთოვა გზები,
მე ღმერთს მოვყავარ მიწიდან-შენსკენ.
ჩვენ ერთმანეთის სიჩუმე გვესმის,
და თოვლში ყინვის ზარები რეკენ.
ძვირფასო, ლურჯი ზღვებიც მოთოვა
თოლიების ფრთებს გვანან ფიფქები,
ჩვენი შეხვდრის, როცა დრო მოვა-
მნახავ და აღარ დაგავიწყდები.
ძვირფასო, ოღონდ ხელს ნუ გამიშვებ-
თვალებში მაყრის ქარბუქი ფიფქებს,
და თუკი მეცხრე ცაზე ამიშვეს-
ნატვრის ხეს, ავხსნი ახდენილ ხილვებს.
სადღაც შორს, მთებში გიზგიზებს ცეცხლი
ბუხართან ვათბობ გაყინულ მერცხლებს,
მოვალ და გეტყვი, რაც ადრე ვერ ვთქვი-
მოვალ, მოგიტან თოვლიან ლექსებს.
ძვირფასო, ისევ მოთოვა გზები,
მე ღმერთს მოვყავარ მიწიდან-შენსკენ.
ჩვენ ერთმანეთის სიჩუმე გვესმის,
და თოვლში ყინვის ზარები რეკენ.

***

ქარი დაქრის აწეწილი თმებით,
სევდა მოაქვს მოგონებას-შენზე,
სევდა მოაქვს, მე კი ვდგავარ თმენით,
როგორც ქარი აწეწილი თმებით.
ქარი დაქრის და ვით არსად,არვის,
მე მოველი, შენს შორეულ ძახილს-
რა ხანია-ხმა არ ისმის თარის,
რა ხანია-ქარი დარდებს ბარდნის.
ცისფერ ნისლში, სევდის მესვრის გუნდებს..
სცივათ, მარტოდ მიტოვებულ გულებს.
რა შორია ცამდე-ვეღარ ვხედავ,
ტანკენარი წეროების გუნდებს.
ქარი დაქრის აწეწილი თმებით,
სევდა მოაქვს მოგონებას-შენზე,
სევდა მოაქვს, მე კი ვდგავარ თმენით-
როგორც ქარი აწეწილი თმებით.

***

გაუჩინარდი ჩემო თოლია,
როგორც სიზმარი,თუ მოჩვენება,
ამ დიდ ფრენაში,ისე მომინდა
შენს სპეტაკ ფრთებზე ჩამოსვენება.
ცისარტყელაში გავები ისევ,
შემომეხლართა სხივი შვიდფერი,
შვიდჯერ ჩამიტყდა წამების კიბე
და მშვილდ-ისრებიც აღარ მიშველის.
გადავიღალე ჩემო თოლია,
ჩემთან ხარ გხედავ ,თუ მეჩვენება..
ამ დიდ ფრენაში,ისე მომინდა
შენს სპეტაკ ფრთებზე ჩამოსვენება.

***

ჩემთან ხარ-ვიცი, ხედავ იესო
რაც რამ მიქმნია და მინანია,
საქართველოა ჩემი გოლგოთა,
ბათუმი-ჩემი გეთსიმანია.
აქ, სიყვარული არ არის რთული,
აქ ღელავს ლურჯი ზღვა და ველები,
და როგორც ვაზზე,ჩემს დახნულ გულში
ჰკიდია დარდის მწიფე მტევნები.
აქ,მზე-მარიამს გვანან ვარდები,
აქ დედა უმღერს თოთო ბეღურებს,
მე კი მოვცურავ დღე-და-ღამ შენსკენ-
და წყალზე ვკოცნი შენს ნაფეხურებს.
ჩემთან ხარ-ვიცი,მხედავ იესო,
რაც რამ მიქმნია და მინანია,
საქართველოა ჩემი გოლგოთა,
ბათუმი-ჩემი გეთსიმანია.

გია ჯიჭონაია

დაიბადა 1969 წლის 29 მაისს. 1986-91 წლებში სწავლობდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. პირველი მისი ლექსები და მინიატურები დაიბეჭდა ა.ს.უ. სტუდენტურ ალმანახ "ცხუმში" და ჟურნალ "რიწაში".

პირველი კრებული "მსურდა ლოცვა" გამოიცა 1990 წელს გამომცემლობა "მერანში". გია ჯიჭონაია აღიარებულია, სონეტების, როგორც ლექსის ერთ-ერთი ფორმის საუკეთესო შემსრულებლად საქართველოში.(გამოვიდა მისი სონეტების რამოდენიმე კრებული, (2004 "სიყვარულის სონეტი", 2008 "წერილები ბედნიერებას" (სონეტები). 2014 წელს გამომცემლობა ნეკერში გამოიცა გია ჯიჭონაიას "ადამიანური ყოფის გულსაკლავი სანახაობა" ხუთ ტომად. 1.სონეტები,ლექსი პროზად ("მთვარის აბაზანები"). 2."ოცდამეერთე საუკუნის ქალთა ილუზიები" (მოთხრობები). 3."უკანასკნელი გასეირნება" (მოთხრობები, ნოველები). 4."ოქროს ხანა" (ლირიკული დრამა).5 "ჩემი ხეტიალის თანამგზავრი აზრები", "ერთხელ წმინდა სამების კოლეჯში" (პიესა).

მთვრალი სონეტი ფეისბუკელ მეგობრებს

ყველაზე პატივსაცემი ამქვეყნად მეგობრობის გრძნობაა
რენი ღაბას

ჰე,მეგობრებო შემოგროვდით, მოგიხმობთ ყველას,
ვხედავ ამხელა მძიმე გზაზე მატულობს სევდა,
ვინც მუდამ სწევდა საათს უკან და წინ გასწევდა,
წუხელაც მსდევდა,კვლავ მასწრებდა,ვითხოვდი შველას.
ეს ღამეც ღელავს ვინაც გუშინ ფიქრებს არწევდა
მითხარი ყველავ მაღალ ცაზე ასე რად ელავს,
ეს რომ ვიგრძენი მივაკითხე კვლავ ბახუსს ელამს,
აბა ფხიზელი შუაღამით სონეტს დაწერდა?
რა კარგები ხართ შემოგევლეთ,რა ლამაზები,
ტანწერწეტები,ჰაეროვნად ფერილ-ნაზები,
ეს წვეთ-წვეთები დამიგროვდა თავს ვეღარ ითვლის
მალე ინათებს ფეხს აიდგამს ის შანსონეტიც
თუკი სიმართლეს სისულელედ აღარ ჩამითვლით,
მინდა მოგიძღვნათ სიყვარულით მთვრალი სონეტი.

მთვრალი სონეტი-2

თუ გაშრა ყელი, (შენ თან ფკ მეგობრებს ელი),
ვიღაც მოვიდა,მეორე კი შორს ჩარჩა მთებში,
(ბედნიერების კოლექტიურ მოლანდებებში),
ერთიც წავიდა - დაადგება ვიცი ნათელი.
ვისი გულისთვის მილოცია გულიდან წრფელით,
თურმე ცხოვრება გაატარა დარდს და ცრემლებში,
ოცნებების და ღიმილების თაიგულებშიც -
სანამ მოვიდა გამთენიის გადამთიელი.
ამდენი ხანი რომ არ მძინავს შენი ბრალია,
გრძნობაც ჩლუნგდება, გული ტყდება ამ ტკივილებით,
ამინაზინით,უძილობით გაჟღენთილები,
მისთვის სამყაროც ასე დარჩა ვიწრო გალიად...
ადამიანიც წლის დროსავით ცვალებადია
არ უფრთხილდება მას, ძვირფასი რაც აბადია.

XXXIV (სიყვარულის კანონიდან)

ოჰ, სიყვარულო უჩვეულო შენ ხარ არია,
გაუმართავდე ხელს ნეტავი მათ გაჭირვებულთ,
თუმც გაჭირვება აღარ ახსოვთ რად დალხინებულთ,
ჭირი და ლხინი ძმადნაფიცნი რაკი არიან.
და თუ ცხოვრებამ ძვირფას ხალხთაც ხელი დარია,
შენ რა უნდა ქნა,დაარწმუნებ იმ ახირებულთ?
რომელთაც სჯერათ ყოველი დღე გაუხარებს გულს
და ა.შ. გაანძრიე შენც ხელი დია...
როს სიყვარულო მწამებელი შენ ხარ დემონი,
არავის უნდა რომ იაროს თეთრ ღამით მარტოს,
შენ გაამწარე ბევრი კარგი ადამიანი
და ეს დაჩაგვრა სიყვარულში მითხარი რატომ?
უღვთოს დაუშენს იქ ეროსი მოწამლულ ისრებს,
გაცოფებული შემდეგ დარბის, ღამეებს მისდევს.

ენის ანატომია-2

რახან მიუშვებ ენას, იგიც მისთვის ნავარდობს,
წუხს, უხარია,გაჩერებულს ვერ ნახავ წუთით,
არცერთ ორგანოს არ სჭირდება იმდენი კუნთი,
რამდენიც ენას, - დიდი ხნის წინ თქვა ლეონარდომ.
რაც ირგვლივ ხდება მის შესახებ ყველაფერს ამბობს,
ყველა ოჯახში იხედება (და ბევრი უფრთხის),
ვიცი ლაქლაქში იმ შეცდომებს ბევრიც დაუთვლის,
პასუხსაც მოსთხოვს იმათ გამო და ქცევას დაგმობს.
ქვეყნად კი ყველა საიდუმლოს მისით უვლია
და მის გამოა ყველა ჩხუბი თუ დიდგულობა,
სიტყვამცირობის მწვერვალი ხომ თვით დუმილია
და დაწვრილებით საუბრისა, უსასრულობა.
...ტვინი მისთვის გაქვს, არ თქვა რასაც არ თვლი საჭიროდ,
კბილიც მისთვის გაქვს, ხშირად ენას, რომ დააჭირო.

მთვარის აბაზანები
(ლექსი პროზად)

I რუჯი ცბიერი მხეცებისათვის

არადა როგორი იყო იგი, იცით?-ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა და ამჟამად მარტო ცხოვრობდა, ემოციური, მგრძნობიარე ხასიათი მას დაჰქონდა, გაჭირვებასაც გაექცეოდა, გავლენის ქვეშაც არ ექცეოდა, როგორაც თვითონ მოექცეოდნენ ის სხვასაც ისე სულ ექცეოდა. ერთ პერიოდში ერთ ვიღაცას დიდხანს ემონა, ბოლოს მიხვდა, რომ ეს ამბავიც თურმე ეგონა, სინამდვილეში არავინაც არ ყვარებია, რომ უკეთესნიც ქვეყანაზე იარებიან... რაღაცის შიში სულ იპყრობდა, ხშირად კი სხვებზე მეტი იცოდა (ვიდრე თვით მასზე სხვებმა იცოდნენ), ფორტეპიანოზე უკრავდა, ახალ ამბებსაც სულ უსმენდა, ნალექიანი ყავა უყვარდა, შემდეგ რძიანი, მერე კი ჩაი და მას სვამდა. კარგს კარგი სიტყვებით ამკობდა, ცუდსაც პირშივე მიახლიდა და მას ამბობდა (და იმ დროს ჩქარა ლაპარაკობდა), ერთხანს ალკოჰოლს ეტანებოდა, ფულიც მისთვის არ ენანებოდა, ბევრი რომ დალია რღვევად მდუმარების, იმ დროს დაეწყო ღამის კოშმარები. იმ პერიოდში, როდესაც ის ჩვენ გავიცანით, სახურავზე სძინავს ის ზაფხული და იქ არის, მის სახლის ზემოთ მისთვის შეიქმნა ცასთან ახლოს სულ სხვა გარემო და რუჯს ღებულობს ულტრაიისფერს, თანაც სიზმარში თვალისმომჭრელ ამბავსაც ისმენს. ჰოდა მიდიან იგი აქეთ, იგი კი იმ გზით, როცა შენს იღბალს ჩააბარებ გვერდით უცნობ გზირს, გამოუცნობი ტანჯვითა და გრძნობებით მიხვალ, უბედურება შენს მტერს ელდად (ცერით თავს იფხან), ისევ ქმედება, ისევ ფიქრია, ბრძოლა საფიცარი, ბედნიერების მაუწყებლად მოქრის ისარი, ბუნდოვნად ახსოვს, ნუთუ ისა... არა ის არი. გამძაფრებული მგრძნობელობა ასაკისათვის, სიგიჟეც არის სხვა თუ არა გრძნობებისათვის. ბულვარის მერხზე ხედავ მოხუცს და გეცინება, სულ ახალგაზრდა ვინმე გოგოს ეკურკურება, ქალს მისი სიტყვა მგონი ნაზად ესალბუნება, იფიქრებს ლექსო და ხარხარით გზას მიუყვება, შემდეგ კი ვინმეს ამას სიცილით მოუყვება. გამოირჩევა ის მოხუცი თუ მავანთაგან, დაღლაზე ფიქრი თუ ჯერაც არ მიკარებია, ხელში გამოვლილ მას უამრავ ლამაზმანთაგან, ნუთუ არცერთი წრფელი გულით არ ყვარებია?.. სხვა?-ჩუმად არის, არ იტაცებს ღვინო, დებოში, ცნობის სიმრავლის მარადიულ მონაცვლებაში, უცებ ილევა გასავლელი გრძელი მანძილი, თან სიყვარულიც თურმე არის ცნობისწადილი. ახლა იმ მოხუცს ახალგაზრდა მუხლზე რომ უზის, ვით არაბისთვის ძვირფასი კერძი ჩვილი კუზი*, ისეთი არის მისთვის იგი და

ვერც წაართმევ, ან რომ წაართვა შეიძლება გულიც გაუსკდეს, რაკი სიზმარი წუხანდელი აღარ აუხდეს. სხვა ან რა გინდა თუკი იგი ცხოვრობს ამ წამით, მისი "ტრფობის ლამპარი" სულ სავსეა საწვავით...ოო, ის კი ჩვეულებრივი ეშმაკუნა ქალია, ვითომდა მის ლოდინში ლამის სული დალია, ახლა მან მოხუცს უთხრა ის ძვირფასი სიტყვები, წუხელ რომ მოიფიქრა და სულ უცხოსთან რომ იწვა, სხვასთან კოტრიალობდა და ბაბუ გაახსენდა, ეგონა ამ ფლირტებით მოხუცს გული დაუწვა. კაცს გულში ეღიმება, სახეს კი ძალით მანჭავს, წინა მერხზე კი ვიღაც ბიჭი გონებას კარგავს, იგი კი როგორია, იცით? ოღონდ კარგად აცხოვრე და სიამოვნებით გახდება ა, იმ ბოზანდარას ქმარი და ფიქრობ, რა ხდება?... ყველას ქონება უნდა და ზედ ქალიც, - ასეა, ქვეყანა კი არაკაცებით სავსეა, არავინ იცის წუხელ ღამით ვინ ვისთან დაწვა, მერე გარბიან სხვადასხვა გზით,რაკი გათენდა, ტურფას გონია წუხანდელის მერეც გამშვენდა. ის კი გაიძვერა, გაქნილი და მართლაც გველია, ასე მოკლე რომანთა გამომგონებელია. თან რომ იცოდეთ იგი მოხუცს შეყვარებია...

გამოწყობილან ქალბატონნი მსუბუქ ბატისტში, ქალს შეეშალა ვიღაც კაცი ერთ ძველ არტისტში, ხელზე ზღვისფერი მალაქიტის სადა რგოლები, ყელზე ყულფივით დაგრეხილი ოქროს ზოდები. იქვე მოსახლე ფენებიდან თითქოს ნაღები, ზოგს სულ დაბლები ეცვა, ზოგსაც მაღლები, უზარმაზარი მძივად აცმული მარგალიტები, მყუდრო ქუჩებში სეირნობა, ცხელი ფლირტები, ვით მღვრიე წყალში გულუბყვრილო ლიფსიტები, მსუბუქ ჩურჩულში უნებურად შენც იფილტრები, თან ინანავებ გაგიძლებენ სანამ ფილტვები, ბოლო ფანტანთან უნებურად შენც იშიფრები, ეს სიკვდილია და იწყება ახლით ციფრები და გახსენდება ჭაბუკობის ის გიტარები, გოგონებს ქონდათ და მღეროდნენ რომ ნეტარებით. ბოშა ქალების დაირების რამ-ტამ-ტარები. იქ დადიოდი იმ ქუჩაზე და ნეტარებდი. მძიმე წუთები, საათები, მასთან დღეებიც, როგორც სულ ბოლოს სევდიანი მოგონებები, რაიც უცრემლოდ არასოდეს არ ისმინება, წინ იყურები მომავლიდან რა იცქირება, რა იღრინება, დაძინება რას გააქარვებს. შენც გეძინება (თან თითები მარცვლავენ ქარვებს), იქაც გმირებად ისევ ისინი თამაშობენ, სცენებს ამკობენ ყვავილებით, ხალხი ირევა, გადაირევა მოგონება კვლავ შაირებად, ტურფად ანცობენ ტრფობის ზღვაში სევდას ახშობენ. ქალები ყავდათ მკერდსასვენი, ლამაზნი, ანცნი, მარტო იმათთვის გაივლიდა შუკებში კაცი, თან ხომ ცხოვრება არის ფიქრი კარგზე ნატრების, გულს გიჩქროლებენ ქალიშვილნი ვით ფაშატები, მათ ჯერ ლოგინი არ იციან და სილამაზე, დანარჩენს

სძირავს ღია ზღვაში როგორც ამაზრზენს. ვინც დახმარებას უწევდა უბადრუკ არსებას, ვინაც პირველი სიყვარული დააგვირგვინა, შეწუხ-და და თავისი სხეული დაიკბინა, როცა წაართვა ის სიკვდილმა და შეაჩვენა. ის მინდვრის ყვავილივით თავმდაბალი დარჩება, თავს დაბლა რომ ხრის, ნელ სიოში ვეღარ იძინა, ეს ყვავილები თქვენ, თქვა იმან და გაიცინა, ვინ იცის, იქნებ ეს სიზმარიც უცებ ახდება. ბრწყინვალე რამე, მოოქროულგუმბათოვანი, ჩვენი ბავშვობა, რაიც უმანკო არის, მკაცრი, რასაც სიწმინდის ხელთუქმნელი სურნელი ასდის, შემდეგ ცხოვრება, რაიც ცრემლთა არის მთოვარი, ერთიც იქ დადის დინჯი სახით ვით ყველა კაცნი, ქალის უმანკო ლამაზ სახეს, თითქოსდა მას ცივს,ის სიგიჟეს გვრის და მის კისკისს ისე მოისმენს და გულით სჯერა, უმისობას რომ ვერ მოითმენს, სატრფოს დაიჭერს, გაუღიმებს, ცხვირწირ დაიჯენს... გამორჩეულიც აღარ ეთქმის იმას მათ შორის, ვინაც თავისი სიკაშკაშით მნახველს თვალს ჭრიან, იმედთ მთესავნი თუ ყველა გზებს ჩამოჭრიან, იმ დროს საქმეზე ძველებურად არ ივაჭრნიან, არაკაცური, როგორც ამბობს, ღმერთმა აშოროს, სად ცუდმა საქმემ არემარე მყის ააშმოროს. ლამაზი გოგო, ვის ოდესღაც ლექსო ეტრფოდა, ტრფობა უტყვია, ამიტომაც არას ეტყოდა, პირველი ვნების მახარობლად ვინაც ეუწყა და სიყვარულის ლამაზ ბაღში ჭაბუკს შეუძღვა. ვინაც ასწავლა სილამაზის თაყვა-ნისცემა, ყველაზე მეტი,რომ მას უნდა ხარკის მიცემა,ბევრჯერ იცემა ამ დღეთაგან შემდეგ ჭაბუკი, გზაში ქარბუქი, სიარული ტანჯვად იქცევა. ნუ მოკლედ რაა..

ზურა ჯაფარიძე



ზურაბ თეიმურაზის ძე ჯაფარიძე დაბადებული 21 იანვარი 1977 წელი

1994 წელი – დაამთავრა დაბა ჩაქვის საშუალო სკოლა

1995–2000 წელი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით: ეკონომიკა და მართვა ვნერ ბავშვობიდან მაგრამ გამოვაჩინე მხოლოდ ახლახანს... მყავს მეუღლე და 4 ქალიშვილი

დამიტირე უფალო

ახლა იმდენად გვიანია სინანული, აღარ ღირს ფიქრიც...
ისევ გამიღიმა ცხოვრებამ და
ისევ დაუნდობლად დამიკრიჭა ფერადი კბილები.
ვარდისფერი სათვალე ჩამომთხლიშა და
სილად გამაწნა ეს სამყარო, შავ-თეთრი ფერებით...
ნუ მეფერები.
გატეხილ გულზე ჭინჭრებივით დამიდიან
შენი ხელები, გათოშილი, უსიცოცხლო გულის გალღვობას
ვეღარ შეძლებენ უნიათოდ სულში ფათურით.
მაინც მიზიდავ.
წარსულში დატოვებულ დარდსა და ტკივილს
მოაჭრიალებ ურმებით და მომავალში მინერგავ მარჯვედ.
მერე კი,
წარსულსა და მომავალში დინჯად ფეს
ვგადგმულ სევდის ხეებზე,
აწმყოს ჭამაკს გააბამ და ფანდურით ხელში
დანებდები ბედს, ცხოვრებას, უფალს...
დამიტირე უფალო...
თუ შემოგრჩა წუთი თავისუფალი!..

ემიგრანტი (ექსპერიმენტი)

უკვე ყველაფერი ნათელია დღესავით,
ვერ შევეგუები მარტოობას და
მარტო დარჩენილი ვებუტბუტები ზენ(მ)ას.
შუამავალი ჩვენს შორის კი , -ლოცვა და სანთელია.
სისხლში სხეულის ყველა სითხე შემერია:
ნერწყვი, შარდი, ცრემლი, ოფლი...
ფერი კი მაინც წითელია.
გინდა კოქტეილი?!
ფუჟერით თუ ბაკლით? ყანწით თუ სათლით?
ეგება გეახლო გავსილი ჭინჭილა?
რომ შეძლო და მიმირთვა ვენაზე დაცხრომით?!
მე ვეღარ ვიცხოვრე უშენოდ განცხრომით მიწაზე გამომშრალ.
ვერც ასეთს ვერ გიტან, მძაგხარ და გზიზღულობ,
მაგრამ, სიზმრებში მაინც შენ დაგეძებ.
გლობუსზე შავი ზღვის ნაპირთან გკითხულობ წერტილზე...
გამვლელს და გამომვლელს ვაბარებ მოკითხვებს.
ერთხელაც (ვშიშობ რომ მანამ არ მოგიკვდე) ვიდრე გიხილავ,
გულში ჩამიკრავ, ფეხქვეშ გაგიგებ,
და მერე გახეული ჯიბით წაგიღებ არსად.
მინდა რომ მივიღო კითხვაზე პასუხი:
''მითხარ, -როგორაა მემლექეთი?!"
„ბერექეთი“ მოგცეთ, თუ უკვე შემიგრძენ?!..
ჩემი სისხლი გინდა?! ფურთხში არეული?!
წყაროდ გამოჟონა დარუბანდთან...
მე კი, მოვბარბაცებ ნაბიჯარეული, სიფხიზლეგალეული მარშით
და ვაგინებ ყველას, ვისაც არ უყვარხარ -ჩემო .

ვიმზადებ ხურჯინს

მოგზაურივით ვიმზადებ ხურჯინს,
ვალაგებ საგზლად დარდსა და ვარამს,
არ დამრჩეს ბრაზი და დაბოღმა, ქუჩის
ძაღლივით თან რომ მალულად დამაქვს.
მოგზაურივით ვიმზადებ ხურჯინს,
ვალაგებ სიტყვას, ავყიას, მავნეს,
ის, რაც ვაგროვე ოდითგან გულში,
ვერ გავატანე ვერც წყალს, ვერც გამვლელს.
მოგზაურივით ვიმზადებ ხურჯინს,
წავიღებ ყველა ლანძღვას და წყევლას,
რაც ვერ ვთქვი, რადგან სენი მაქვს მუნჯის...
ვაგროვე, ვფუთე, ვინახე ყველა.
მოგზაურივით ვიმზადებ ხურჯინს,
ამ დღისთვის, დიდი წასვლისთვის მზად მყოფს
არ უნდა დამრჩეს სიავე გურჯის.
რაც ჩემს ქვეყანას ამძიმებს, აზრობს...
მოგზაურივით ვილაგებ ხურჯინს,
მივდივარ, მიმაქვს ყველას ვარამი,
იქნება ახლა, ამ ქვეყნის გულში, -
სიკეთე გახდეს უფრო მთავარი....
წავედი. მიმაქვს მძიმე ხურჯინი...

მე და ჩემი სიბერე

გუშინ ჩემი სიბერე, დავინახე შორიდან.
მის ამღვრეულ თვალებში ჩამოწოლილ ნისლებში,
ჩემი ძველი ტკივილი, მოლივლივე ტბებიდან
ჩამოღვრილი იმედი, მეჩემა და -მივედი.
დავაკვირდი ახლოდან, ვერ ებრძოდა პარკინსონს,
მოცახცახე ხელებით ჰყიდდა გენებს ბაბუის,
არ სციოდა, სიცხეში იხრჩობოდა აგვისტო,
იჯდა ჩრდილში,ნატეხზე, -ნაბუხრალი აგურის.
გახუნებულ შარვალს და პირდაღებულ ფეხსაცმელს
უმალავდა გამვლელებს, უმალავდა მზერასაც,
მისი ძველი ეშხი და შარმი -წლებმა შეჭამეს,
ნანობდა და ტკივილით გაჰყურებდა ვერანდას, -
სადაც უწინ, ყმაწვილი, ტრიალებდა სარკესთან,
გეგმავდა და ხატავდა, მის მომავალ ცხოვრებას,
განა ბევრი უნდოდა, ცოტა, მაგრამ ამდენსაც
არ ელოდა. სიბერეც, -ჰპირდებოდა ცხონებას.
ახლაც, მისი ფიქრები შორს, წარსულში ფეთქავდა,
წარსულიდან ეტრფოდა, ქერა გოგოს დალალებს,
მის უწინდელ სილუეტს, ალბათ ჩემში ხედავდა,
ჩემს მომავალს ხედავდა, -მაგრამ ახალს არაფერს.
გუშინ, ჩემი სიბერე დავინახე, -შორიდან,
ცარიელი თვალებით,ამღვრეული ფიქრებით,
გამაოგნა, მატირა, თავის მოკვლა მომინდა,
მაგრამ, ასე უმწეოც მეჩემა და -მივედი.

მომინდა მეტირა...

მომინდა მეტირა...

იმ ქალის მაგივრად მინდოდა მეტირა, -რომელიც ფეხს რომ წამოიკრავს და წაიბორძიკებს, -ვაი შვილოს ამბობს, ვაი დედას ნაცვლად.

მინდოდა მეტირა...

იმ რაინდის გამო მინდოდა მეტირა, რომელსაც კალთაში მეგობრის თავი აქვს ხელებშემოხვეული და არემარეს გაოგნებული ათვალიერებს და მის ტანს ეძებს...

მინდოდა მეტირა...

იმ ბავშვის გამო მინდოდა მეტირა, რომელსაც ჭიშკართან მოსული ყველა ქალი, საკუთარი დედა ჰგონია და იზრდება ობლობის დასასრულის მოლოდინში...

მინდოდა მეტირა...

იმ მამის გამო მინდოდა მეტირა, რომელსაც ფოსტალიონმა დეპეშა მოუტანა, წაიკითხა და ქვად იქცა, გალურჯდა, გაჭაღარავდა, მეუღლეს კი ორივე დაუმალა, ამბავიც და ცრემლიც...

მინდოდა მეტირა...

იმ თუთის გამო მინდოდა მეტირა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ გაიზრდებოდა ფანდურად გადაიქცეოდა და მაშინ მაინც ამოიკვნესებდა დაგროვილ სევდას, მაგრამ ღუმელში დაიწვა...

მინდოდა მეტირა...

იმ სატირალის გამო მინდოდა მეტირა, რომლის ბოლომდე გამოტირებასაც ვაპირებდი, თუმცა, - ამასობაში მეც დედა მეტირა...

მინდოდა მეტირა...

არიკო ჯოჯიშვილი

არჩილ ჯოჯიშვილი დაიბადა 1957 წელს ქალაქ კასპში. დაამთავრა კასპის მე-2 საშუალო სკოლა. სწავლის პერიოდში გატაცებული იყო ლიტერატურით, ხალხური პოეზიით. ბავშობიდანვე ეუფლებოდა ხალხურ საკრავზე დაკვრას. სკოლის დამთავრების შემდეგ მუსიკალურ-ტექნიკური სასწავლებელში გააგრძელა სწავლა. ათი წელი მუშაობდა ხალხურ ანსამბლში „ერისიონი“.

90-იანი წლებიდან კერძო ბიზნესს მიჰყო ხელი და წარმატებაც მოიპოვა ფართო მოხმარების საგნების წარმოებაში.

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება ეძებდა სულიერ სამყაროს. ბავშობაში დაბადებულმა გრძნობამ ლექსის სიყვარულისა თავისი ასახვა ჰპოვა ავტორის თითოეულ ლექსში, ბნკარედში. შემოქმედი მხატვრულ ფერებში გადმოსცემს: ქალის სილამაზეს, მისდამი სიყვარულის განცდას, სამშობლოს ერთგულებას, დღევანდელ ყოფით სურათებს...

***

შენ ჩემო სიზმრის ზედაშე,
ღამეს შემწირო მძევლადა,
თვალებით ღრუბლის
დამშლელო,
წვიმის დამქცევო ცრემლადა.
ღიმილის დამქვრივებელო,
სიზმრის ამხდენო ფერადად,
ყვავილთა მესაიდუმლევ
და მათ დამფერო ველადა.
გაგიერთგულდი ქალაუ,
შამყვარებიხარ ხელადა,
ჩემს გულზეც ჩამოგეწურა,
ეგ შენი გრძნობის ხელადა. ..
აჩიკო ჯოჯიშვილი...

******განგაშის ზარი******

ცა მოღრუბლულა! არ გავს ეს
დილა, განვლილ სხვა დილას,
ახლად დანაქვრივ ქალის
ელფერი გადაკრავს ღრუბელს,
თუკი მზის სხივებს თვალს
ნაკვრი ლიბრი ზღვაში
ჩაძირავს,
თუკი ცრემლის წვეთს ძალუძს
გადიქცეს უსულო გუბედ.
და მაშინ რაა ჩვენი
ცხოვრება,ფუჭად გასროლილ,
ტყვიის გულას გავს ყოველი
ჩვენი განვლილი წელი,
რის მომტანია..სიტყვა უსულო,
ტყვილად ნასროლი,
არა მგონია ვცხონდეთ სააქოდ,
ან იქ რას ველით.
გაჭირვებულის დაწერილ
სიტყვებს თუკი ვერ ვარჩევთ,
,,გთხოვთ არ ჩააგდოთ ნაგვის
ურნაში... აქ დადეთ პური,,
ვარდის ცქერაში თუ დანაბიჯებ
იას ვერ ვამჩნევთ,
მაშინ სად გაქრა... სად
ჩაიფერფლა, ქართული სული.

***

რაღა გამხდარა ჩვენი ცხოვრება
სიდან მოვედით,
დავმგზავსებივართ ნადირთ
ლუკმისთვის მოძმის
განგმირავთ,
ალბად სულ სხვაა მშიერი კაცის
დილა ნავედრი,
დაგვაგვიანდა! უკვე ჩატეხილ
ხიდზე გავდივართ.

***

ეკლესიასთან მუხლმოდრეკილი
უფალს ვევედრით,
განგება გვრჯის და ალბად
დამდგარა ჟამი გამოცდის,
მივდივართ...
ვტოვებთ...ღმერთის სამეფოს
ზეცას ნავედრნი,
თითქოს ვერც ვამჩნევთ ლუკმა
პურისთვის ხელებს
გამოწვდილს.

***

დაუკარით, ისე ძლიერ
დაუკარით,
რომ წინაპრებს ძვლებზე
ძარღვი აუტოკდეთ
და ხორუმი მთის ბერმუხა
ვაჟკაცების,
მარტყოფზე და თვით
დიდგორზე ამოროკდეს.
გადაფინეთ ცაზე თეთრი
ბაირაღი,
გამობრძმედეთ, ხმალნი
ცხენკაცის ამჭრელნი,

უბრძოლველად კაცი ქვეყნად აბა
რად ღირს,
არ აძახო მომხდურს და მტერს,
თვის გამჩენი.
დაფდაფები ისე ძლიერ
შემოკარით,
მზე ატირდეს და კურცხალი
დაეკიდოს,
ცხრა ძმა
ხერხეულიძეებს,არაგველებს,
თქვენს შემყურეს სულზე
ცეცხლი წაეკიდოთ.

***

შეხსენით სიყვარულს
გრძნობების საკინძე,
ახსენით აზღუდი სირცხვილის
მანტიას,
გაწურეთ ვნებები,მზის სხივზე
აკინძეთ,
ურცხვად შეაფეთეთ თვალები
განთიადს.

***

გულები დაძენძეთ,ღამეში
ჩაღვარეთ
ვარდებს დაუკოცნეთ სათუთად
კვირტები,
ღიმილში ჩაწურეთ
ტუჩები,დაღვარეთ,
შეამკეთ ერთურთი ლამაზი
სიტყვებით.

***

მიყვარხარ! ძვირფასო! სადა ხარ!
შენი ვარ!
უშენოდ სიცოცხლე შავთეთრი
ფერია,
მე შენი ფიქრების სათუთი
მცველი ვარ,
შენ ხომ ხარ ყვავილთა
დამმტვერი ფერია.

დავფეროთ ღიმილი ოცნების
ფერებით,
და მერე მივხვდებით სამყარო
ჩვენია.

***

მიყვარხარ...
აპრილმა ჩამიკრა გულში და
მზის სხივი დანატრის თავგასულ
ლიანებს,
მიყვარხარ...
ატმის რტო ვარდებს გულს
უხსნის და
წვიმის წვეთს შენატრის.
რად დაიგვიანე?
გელოდი და ახლაც მოგელი,
მიყვარხარ...
შენ მაინც გამწირე, მარტის თვეს
მადარე
და მე კი აპრილის ნატყუებ
სიოსგან,
 და+ნაქალწულებ ნუშის კვირტს
გადარე.
რად მომეაპრილე...
რად გამიმაისდი...
რად შემომეყვარე უნაზეს

ფერებით,
არასდროს გამკიცხო...
ნურც ჩამეძიები...
ნებართვის გარეშე თუ
მოგეფერები.

***

მე ვერ ავიტან უშენობას, არ
გამაგონო აღარ მინდიხარ!
აღარ
მიყვარხარ! ვერ დავიჯერებ,
თვალებზე ცრემლი,
არ დამანახო,
არ დამაღონო,
მახსოვს სიტყვები; ძვირფასო,
გელი, გნატრობ, გიჯერებ.

***

როგორ ვეგუო სხვას გულს
უთბობდეს შენი ღიმილი,
სულ სხვა ეფეროს თვალებს
უძიროს, თვალებს ვნებიანს,
ღამე გამხდარა მეწამური ,
სულის ტკივილის,
შენგან მინატოვს მთვარის
ჩრდილი ამდევნებია.

***

ვერ გადავიტან შენს ტუჩებზე
სხვის მოფერებას,
ეგ ნაზი მზერაც, მხოლოდ
სიოსთვის დამილოცნია,
ჩამავალ მზისგან ანადუღ
თვალებს,შევთხოვ ფერებას,
და სულ პირველად შენი
თვალები ჩამიკოცნია.

***

მიყვარდი! ძვირფასო, საოცრად
მიყვარდი,
როგორ არ ველოდით მოთოვა,
გახსოვს?
მაისმა გაჩუქა ლამაზი ვარდები,
მათი სურნელი ხომ ისევ
გვახსოვს.

პირველმა ამბორმა მე
გამათამამა,
გკოცნიდი...
გჩემობდი...გეძებდი... გიცდიდი
და მზერას ნაფერებს ფიქრებში
არეულს,
თვალებზე დანაფენ გრძნობაზე
გიცვლიდი.

***

ნუ იტყვი რომ წლებმა
გაგვრიყეს, რა მოხდა?
მაშინ ხომ წამები წამებით
იწოდნენ, ის განშორება,
ის განაჩენი ,
მთვარემაც გაგვწირა, ღამემაც,
იცოდნენ.
ჩამოიღვარა უძალო მზე და
შენაყინ ტოტებს თოვლს აცრის
ქარი,
,,მზეც აღარ ჩადის უჩემოდ
თითქოს,,
ჰორიზონტს ათოვს ოცნებას
ქალი.

ეპილოგი

როცა სულს ემღერება, უამინდობა ვერ ახშობს სიხარულს. სიხარული კი ადამიანებთან ურთიერთობაში იბადება... უყვარს და უყვართ... ეძებს მეგობრებს. თავს უყრის ერთად და ასე იბადება წიგნი ოცნებად. წიგნი სამშობლოს სიყვარულზე, მის მომავალზე. ფიქრით დაღლილი დაადგა ძნელ გზას. იკრებს შემოქმედთ. ასე იბადება „ჩანაწერები ინგას უბნიდან“. ვის არ შეხვდებით აქ. მიზანი ერთი აქვთ, ამოთქვან სათქმელი. ეს გზა ძნელია და უსასრულო. რა დალევს სათქმელს. მადლი შემოქმედს უნაზესი სტროფებისათვის ფიქრებს რომ მოაქვს და არ ჩერდება. ნაზი ლექსებით და ხალასის სიტყვით შმოდის შენში და სულს ემღერება.

ჰოდა, ერთხელ თქვა: „ციცინათელა ერქვა ამიტომაც ღამე ანათებდა, არადა უნდოდა დღეც დაენახათ მის ნათელი.“

დაინახეს.... მის ირგვლივ თავი მოიყარეს სულის მეგობრებმა, ციცინათელა გაათბეს დიდი სიყვარულით და ისიც აკიაფდა. აი, ნათებაც, დიდი სიყვარულით ანთებული მიუძღვის წინ და იღვრება ულამაზეს, უნაზეს რითმებად. მისგან გადმოსული სითბო და სიყვარული შემოდის სულში და ფიქრი ოცნებად-იქცევა სიტყვებად. მერე აეწყობა ლექსად, მოთხრობად, პატარა ნოველად...

ივლის და ივლის დაუსრულებლად. მოვა შენთან და მოვა ჩემთან. მოგგვრის სიხარულს. მოვა გაზაფხულად, მოვა იმედად, ზოგჯერ დაღონებად. თუ სულს ემღერება, ნუ წაშლი სიხარულს, იმღეროს უნდა. მოვიდეს ლექსად, მოვიდეს ნოველად, გვექცეს სიმღერად ყოველი დილა მისგან განათევი.

„...კარი ან ღია უნდა იყვეს ან დაკეტილი. მე კი კიბეს მოგიტან და ცაში ასვლაში დაგეხმარები... კიბეს მოგიტან ცისკენ მიმავალს, ასვლას გასწავლი მზისკენ აღმავალს...“ იგი მეგობრებს, თანამოაზრეებს იწვევს. სწვავს სიტყვა უთქმელი და აღმაფრენისთვის ემზადება, ოღონდაც შენთან ერთად. ოღონდაც „ინგას უბანში“, „გულთან ახლოს“ და სასოებით.

მოდით თქვენი პოეზიით, პროზით დაიღვარეთ უნაზეს სტრიქონებად, „ინგას უბანი“ კვლავაც ელის ახალი სიტყვის დაბადებას, ელის მოუთმენლად. გზა შორია და ძნელი, მაგრამ არის სიხარული, რომელიც ახალი ქმნილების დაბადებას ახლავს. ამ სიხარულისთვისაც გელით „ინგას უბანი!“

ელიონორა ბიგუა

სარჩევი

წინასიტყვაობა-გიორგი აღნიაშვილი	3
ბელა ალანია	5
დათო არახამია	11
გიორგი აღნიაშვილი	16
შორენა გაბელაშვილი	26
ანტონ გაგუა	32
ინგა გოგიბერიძე	36
ინგა გოგუაძე	43
ანა გელაშვილი	48
გაგა გომართელი	53
ჯაბა გორგილაძე	58
მაყვალა დავლაძე	63
ირაკლი დეისაძე	69
თაფლო ზარიძე	74
თამარ თამაზაშვილი	83
მელი თურმანიძე	87
შორენა კეკუტია	93
ნინო კემულარია	101
ირმა კიკოლიაშვილი	105
ხათუნა კვესელავა	110
ნინო ლაზიშვილი	115
დიანა ლომიძე	125
მაია მახარაშვული	129
გიორგი მელუა	136
ნანა მეტრეველი	141
გიორგი მიცკევიჩი	147

ნინო მოდრეკილაძე 152
ქეთევან ნათელაძე 157
თამარ ნიკურაძე 161
მზაღო ოსიშვილი 174
მაია რაზმაძე 183
თემურ საბელაშვილი 187
რუსუდან სალუქვაძე 193
ნინო სიხარულიძე 203
ნინო სპანდერაშვილი 211
თამარ ქამადაძე 215
ირაკლი შამათავა 220
ნანა შაინიძე 241
ხათუნა შავგულიძე 249
გიორგი ჩაკვეტაძე 254
ნანა ჩხაიძე 260
თამუნა ჭიღლაძე 270
მაია ხოფერია 275
ირინა ხინიკაძე 281
გია ჯიჭონაია 285
ზურა ჯაფარიძე 292
აჩიკო ჯოჯიშვილი 298
ეპილოგი 306

როცა, ამ ცას ღრუბელთა ქარავნებით დაფარულს,
დილის ნისლიც ერთვის და გზაა თითქოს უვალი...
მარტოსულს და დაკარგულს, მწარე ფიქრით
დაზაფრულს
გამიღიმებს შორიდან ჩვენი თბილი ,,უბანი,,
ხმას მომაწვდენს მაყვალას ,,მომეგებე ნიავო,,
გვანებივრებს ეთერი უნატიფეს სტროფებით,
იქით, ჯაბა დაგვძახებს აჭარულად ,,ნენეო,,
დაფრთხებიან ძახილზე მსახვრალნი და მსტოვრები!
ქალის ფეხით დამთვრალი ცეცხლს დაანთებს აჩიკო,
თანაც, თითქოს ზოდიშობს: ,,არ ვარ თინეიჯერი...,,
სიყვარულმა, ძვირფასო, რუსთაველის არ იყოს
გადარია ყოველი-ზრძენიცა და მიჯნურიც...
დათო არახამიას ძალუძს გმირად გაქციოს,
მისწვდე დავით ფერულს და დაერიო უმსგავსებს!
ჩვენს ქალბატონ მადონას ძალუძს მკვდარიც აცინოს,
თაფლო ხელში ჩაგიდებს გულს მფეთქავს და უნაზესს.
ინგა (გოგუაძე) ნაზი ბგერებით სულს ალხენს და
გაართობს...
შორით ჰქარგავს შორენა ქართულ სიტყვას,
სანატრელს,
მეამბოხე თორნიკე ისეთ სიღრმეს გვთავაზობს
ტოლს არ უდებს, მე მგონი, შექსპირსა და სერვანტესს!
ეს რა ,,შარში" ჩავვარდი... არ გამომრჩეს არავინ...
ხათო, ზვიად, ირაკლი, ჩვენი ირა თურქია,
გაგა არის სინდისი, ეკა-ტანი-ტატანი,
აჩი ხოზრევანიძე, ნინო, ნანა მუავია...
ჩუმად! ყური მიუგდეთ... გესმით რაღაც ,,ჩხაკუნი?"
ეს რა ოქროსფერები... ეს რამდენი ძაფია...
ხედავთ?.. მთელი უბანი გულში რომ ჰყავს ჩაკრული-
ინგას გრძნობით ნაქსოვი ,,სიყვარულის შარფია!"

ხათუნა შავგულიძე